

# მ ც ხ ე თ ა

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

ტომი II

დიდი მცხეთის აღრეკინის, ანტიკური და  
აღრეფეოქალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

„მეცნიერება“  
თბილისი  
1978

902.6(641)  
902.6(47.922)  
მ-977

ტომში დიდი მცხეთის მიწაწყალზე 1975—1976 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებზეა საუბარი. ქვეყნდება კარსნისხევის შესართავთან აღმოჩენილი ნასახლარის, მე-თუნეთა სახელოსნოს, სამეურნეო ნაგებობათა და სამაროვნის გათხრისას აღმოჩენილი მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა. ეს მნიშვნელოვნად შეაესებს მცხეთა-ქალაქის უბანთა ისტორიას, უშუალო მწარმოებელთა ცხოვრების სურათს. ძველი დედაქალაქის უბანთა ასე კომპლექსური სურათი აქამდე არ ყოფილა ცნობილი. ამაშია მცხეთის „კერამიკოსის“ აღმოჩენის ისტორიული მნიშვნელობა.

წინამდებარე წიგნში ქვეყნდება აღრეკინის ხანის ორი ნამოსახლარის ნაშთები. ესენია: სამთავრო I და ნარეკვაევი. ეს არის გლეხის სახლის აღმოჩენის პირველი შემთხვევა და, სწორედ ამის გამო, უაღრესად მნიშვნელოვანი დასახლების ტიპისა და ტოპოგრაფიის, სახლთა სახეობის, მისი უმთავრესი ელემენტების, საზოგადოდ, ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების კვლევისათვის.

შეითხველი გაეცნობა სამთავროს სამაროვნის, ახალი არმაზის, კამარახევის, მუხათვეერდისა და სვეტიცხოვლის უბნის ანტიკურ-აღრეფეოდალური ხანის საწარხნულ მასალას, რომელშიაც უმთავრესი მშრომელი ხალხის, ადგილობრივთა, კულტურის ძეგლები მკვეთრად უპირისპირდება მდიდრული სამარხების პრაქტიკულად უცხოურ ნივთიერ კულტურას.

ხალხის ფართო მასების ყოფა, ხუროთმოძღვრება, ნივთიერი კულტურა — ეს არის მთავარი სიხალე მცხეთის არქეოლოგიური კვლევის აწინდელ საფეხურზე.

რედაქტორი — ანდრია აფაქიძე  
Редактор — Андрия Апакидзе  
Editor — Andria Apakidze

ეძღვნება დიდი მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელის, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე (სანდრო) ნესტორის ქვალანდამის ნათელ ხსოვნას.

*Посвящается светлой памяти руководителя полевых исследований Великой Мцхета, одного из основоположников грузинской советской археологии, доктора исторических наук, профессора Александра (Сандро) Несторовича Каландадзе.*

## წიგნისიტიპობა

საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები ითხრება, მაგრამ გეგმაზომიერი, მეცნიერული, სახელმწიფო მნიშვნელობის არქეოლოგიური გათხრები დიდი მცხეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე ხორციელდება.

პირველ საფეხურად ამ დიდი საქმისა უნდა მივიჩნიოთ ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი, როდესაც მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო დიდი მასშტაბის გათხრები ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას წინამძღოლობით.

ივანე ჯავახიშვილი მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების გაშლასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „იმის გასათვალისწინებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს არამარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ მთელი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული-ისტორიული პრობლემების გადასაწყვეტად, უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქი მცხეთა იყო ორი უდიდესი მაგისტრალური გზის... გზაჯვარედინზე და რომ სწორედ ამის გამო ბუნებრივად უნდა მოველოდეთ აქ მასალას საკაცობრიო კულტურის ისტორიის მრავალი მეცნიერული საკითხის გასაცნობად“.

უკვე 1940 წლისათვის ამ თვალსაზრისით უპარესად მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩნდა. სამთავროს ველზე და არმაზისხევში: საქალაქო ხუროთ-

მომღერების, მხატვრული ხელოსნობის, კერძოდ, ოქრომჭედლობის, ჭიქათ-  
მოქმედების, გლიპტიკისა თუ ნუმისმატიკურმა ძეგლებმა ერთბაშად გაუთქვა  
სახელი ქართლის ძველი დედაქალაქის მიწას. ხოლო მცხეთის ახლად აღმოჩენი-  
ლი ეპიგრაფიკული ძეგლების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ამომ-  
წურავად სრული შეფასება ჯერ კიდევ მომავლის საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

ერთი სიტყვით, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი საფეხუ-  
რის ნივთიერმა მონაპოვარმა, შეიძლება ითქვას, მოითხოვა საქართველოს ის-  
ტორიის უძველესი და ძველი მონაკვეთების სულ ახლებურად დაწერა.

1948 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა მკვეთრად  
შეცვალა არქეოლოგიური კვლევა-ძიების გეზი. მცხეთაში კარგა ხნით შეწყდა  
ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები — დასაბრუნებელი ხარვეზი წარმოქმნა  
იმ წლებმა, რომლებიც მცხეთაში გაუცდათ ქართველ არქეოლოგებს. ასე გა-  
გრძელდა ოცდახუთიოდე წელიწადი.

ქართლის ძველი დედაქალაქის მიწა-წყალზე დიდი მასშტაბის სისტემური  
არქეოლოგიური კვლევის ახალი საფეხური დაიწყო 1975 წლიდან, როდესაც  
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის დადგენილების განსახორციელებ-  
ლად გადაიღვა პრაქტიკული ნაბიჯები — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არ-  
ქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა მცხეთის მუდ-  
მი ექსპედიცია და დაიწყო მცხეთის ტერიტორიაზე დაიწყო ფართო მასშტაბის სისტემური არქეო-  
ლოგიური გათხრები.

ახალ ვითარებაში მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედი-  
ციის წინაშე კვლავ დადგა პრობლემა ქალაქური ცხოვრების ჩასახვისა და ქა-  
ლაქების ისტორიის კვლევის გაშლისა ფუნდამენტურად, ივანე ჯავახიშვილისა  
და სიმონ ჯანაშიას მიერ დასახული სივრცე-სიღრმით.

პირველ წლებში მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ფუნდამენტურ სა-  
ისტორიო პრობლემათა საკვლევად იყენებს ახალმშენებლობათა ადგილებში  
აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს. ასეთებია: კარსნისხევის ნამოსახლარი,  
ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი — მუხათგვერდი 1, ადრეანტიკურ-ელი-  
ნისტური ხანის სამაროვანი — კამარახევი, ნასახლარის ნაშთები და ადრეფეო-  
დალური ხანის აკლდამები ახალ არმაზში, რომაული ხანის სამარხები სვეტი-  
ცხოველთან, სამთავროს ველის ჩრდილოეთი მონაკვეთი და, რაც განსაკუთრე-  
ბული ისტორიული მნიშვნელობისაა, ადრინდელი რკინის ხანის ნამოსახლარე-  
ბი სამთავროსა და ნარეკვაზე.

ზემოთ მითითებული დადგენილება მოსაბრუნებელი გახდა მცხეთაში ადრე  
გათხრილ-აღმოჩენილი ძეგლების კვლევისა და პუბლიკაციისათვის მომზადების  
საქმეშიაც. გამოსაქვეყნებლად მზადდება სამთავროს ბრინჯაო-რკინის ხანისა

და ანტიკური ეპოქის სამარხების გათხრა-გამოკვლევის შედეგები და სამარხეული კომპლექსები.

ექსპედიციის კოლექტივი ინტენსიურად იმუშავებს ადრე გათხრილ-აღმოჩენილი ძეგლების გამოსაცემად მომზადებაზე. ივარაუდება ყოველწლიურად თითო ტომი მიინც გადაეცეს გამოცემლობას. ანგარიშებისა და კომპლექსების დაბეჭდვასთან ერთად დაგეგმილია ჯერჯერობით ორი თემატური ტომის მომზადება. ერთი მათგანი ეთმობა პალეოანთროპოლოგიურ მასალას (მას ამზადებს პროფ. მ. აბღუშელიშვილი), ხოლო მეორე — დიდი მცხეთის მდიდარ ნუმიზმატიკურ ძეგლებს (მას მოამზადებს გ. ღუნღუა).

ადრე გათხრილ ძეგლთა გამოქვეყნების პარალელურად დაიბეჭდება სათანადო ანგარიშები ახალ აღმოჩენათა შესახებ, გამოიცემა კომპლექსები სათანადო დოკუმენტაციითურთ. ამ გზით ცდილობს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია და ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილება, დააწინაუროს ადრე აღმოჩენილი მასალების ბეჭდვა და დაუყოვნებლივ მიაწოდოს მკითხველს ახლადაღმოჩენილი ძეგლებიც.

„მცხეთა“ სერია დააარსა აკად. ს. ჯანაშიამ ორმოციან წლებში, მაგრამ ამ სერიის I ტომი გამოქვეყნდა მხოლოდ 1955 წელს. რუსულად იგივე წიგნი დაიბეჭდა 1956 წელს. ამრიგად, 20—23 წლის შემდეგ განახლდა სერიის გამოცემა სახელწოდებით „დიდი მცხეთა“, თანაც განსხვავებული ფორმატით.

არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს ძველი საისტორიო წყაროების დიდი ქალაქის ტერიტორიაზე. ამის გამო უმთავრეს საკვლევ უბნებს საკუთარი შიფრი მიეცა და მონაპოვრის სააღრიცხვო ნომრებს წინამდებარე წიგნშიაც ის უძღვის წინ: ბაგინეთისას — 01/2, კამარახევისას — 01/4, კარსნისხევისას — 01/5, მუხათგვერდისას — 01/11, მცხეთისგორისას — 01/7, ნარეკვავისას — 01/10, სამთავროს სამაროვნისას — 01/1, სვეტიცხოვლის უბნისას — 01/6, ფიქრისგორისას — 01/14.

**ანდრია აფაქიძე**


## მ ც ხ ე თ ა . 1975

მცხეთის მულტივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის  
1975 წლის მუშაობის ანგარიში

მცხეთის მულტივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის დადგენილების შესაბამისად შეიქმნა, 1975 წელს გათხრებს ახორციელებდა დ ი დ ი მ ც ხ ე თ ი ს სხვადასხვა უბანზე: კარსნისხევში, ბაგინეთზე, მუხათვერდთან, ქ. მცხეთაში, მცხეთის გორაზე, ნარეკვავში, ფიქრის გორასა და სამადლოზე.

ექსპედიცია საანგარიშო წელს უმთავრესად ახალმშენებლობებს ემსახურებოდა. კარსნისხევის მარჯვენა ნაპირზე, ხეობის დასასრულს, გამოვლინდა და ძირითადად გაითხარა ძვ. და ახ. წ. პირველი საუკუნეების კომპლექსური ძეგლი. იგი შედგება ხელოსანთა ნასახლარის, სახელოსნო უბნისა და სამაროვნისაგან (სურ. 1).

კარსნისხევის ნამოსახლარზე დადასტურდა სამი კარგად გამოკვეთილი სამშენებლო ფენა. ნამოსახლარი ტერასულადაა განლაგებული ბორცვის ძირსა და თხემზე (სურ. 30—32). შენობები წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა. მათი ნაწილი გადახურული ყოფილა უკვე კარგად ცნობილი მცხეთური (2, გვ. 44—77) ლარიანი და ბრტყელი კრამიტებით (სურ. 33, 35). კედლები ნაგებია ქვიშაქვის ქვატეხილით — ტალახზე, მაგრამ ზოგან წყობაში ურეგია რიფის ქვაც (სურ. 33—35). საცხოვრებელი კომპლექსი, როგორც ჩანს, შედგებოდა ორი ნაწილისაგან: საცხოვრებელი შენობა — სახლი, ოთახი და მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე ნაგებობები. შენობათა იატაკი თიხატყეპნილია. შუა სახლში გამართულია ქვითა და თიხით ნაგები კერა. ნამო-




სურ. 1. კარსნისხევი. ნაკეთი I—IV. გეგმა

სახლარის დიდი ნაწილი მშენებლებს დაუზიანებიათ მიწის სამუშაოებისას, ამიტომ თითქმის ყველა გამოვლენილი ნაგებობის წინა — საფასადო ნაწილი, ე. ი. პირიმახარე დანგრეულია (სურ. 3).

გატხრების შედეგად გამოვლენილ შენობათა ძირითადი ნაწილი (სულ 9 სახლი გაიწმინდა. სურ. 2—5) პირველ ორ სამშენებლო ჰორიზონტს ეკუთვნის\*.

სახლი 1 (სურ. 2—4, 33—35). პირველი სახლი ყველაზე გვიან (1) სამშენებლო პერიოდს ეკუთვნის. იგი მთლიანად კულტურულ ფენაზეა დადგმული, მას პირიმახარე მონგრეული აქვს და მხოლოდ სამი კედელი შემორჩენია.

\* ფენების ნუმერაცია წარმოებდა ზევიდან ქვევით, როგორც ჩვეულებრივ ხდება მათი გათხრისას.



სურ. 2. კახნახევი. I და II ნაგებოთ. გეგმა




საკარეც დანგრეულია. ამ შენობის ფასადი ჩრდილო-აღმოსავლეთით ყოფილა მიქცეული. ასეთივე ექსპოზიცია აქვს თითქმის ყველა სახლს. შემორჩენილი ნაწილის განზომებია:  $1,25 \times 4,10$  მ. როგორც აღენიშნეთ, სახლის კედლები ნაგებია ქვატეხილით — ტალახზე (მათი საშუალო სისქე =  $0,60$  მ). შემორჩენილია კედლების მხოლოდ  $1-2$  რიგი. სახლის იატაკი თითქმის მთლიანად დაფარული აღმოჩნდა ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ლარიანი კრამიტით (შეფარდება  $2 : 1$ ). ყველა კრამიტი წითელი საღებავით, წერნაქით არის შეღებილი და ბევრ მათგანს ემჩნევა ამოღარული ნიშნები. ბრტყელი კრამიტი საშუალო განზომებია:  $0,48 \times 0,38 \times 0,32$  მ; ლარიანისა —  $0,47 \times 0,22 \times 0,18$  მ.

როგორც ვხედავთ, ზემოაღწერილი სახლი კრამიტით ყოფილა გადახურული, რასაც ვერ ვიტყვით იქვე გამოვლენილ სხვა ნაგებობებზე, სადაც მხოლოდ თითო-ორლა კრამიტის ნატეხი აღმოჩნდა.

**სახლი 2** (სურ. 5, 38, 39). მეორე სახლი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სათავსს, რომელსაც კარები ჩრდილოეთის მხრიდან უნდა ჰქონოდა (ეს ნაწილი დანგრეულია მიწის სამუშაოებისას). მე-2 სახლი მიშენებულ-მიდგმული ჩანს შედარებით უფრო კაპიტალურ ნაგებობაზე, რომლის მხოლოდ ერთი კუთხეა შემორჩენილი (სურ. 39). შემორჩენილი კედლები (სიგანე საშუალოდ  $0,35$  მ) ქვატეხილითაა ნაგები. იატაკი თიხატეკნილია. ამ სახლის შუა ნაწილში აღმოჩნდა ქვატეხილთა და თიხით ნაგები ოთხკუთხეა კერა. კერასთან ახლოს გამოვლინდა ოვალური მოყვანილობის ხარა. იატაკზე აიკრიფა დერგებისა და ქოთნების ნატეხები (სურ. 38). მე-2 სახლში გამოვლენილი თიხის ქურჭლის ანალოგები გვხვდება III—IV სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე (1, გვ. 21; 10; 27; 23, გვ. 43). ეს სახლი II სამშენებლო დონეს უნდა მიეკუთვნოს (პირველ ორ სამშენებლო ფენაში აღმოჩენილი მასალების ქრონოლოგიური დანაწილება თითქმის შეუძლებელია).

**სახლი 3** (სურ. 40—43). მესამე სახლიც I სამშენებლო პერიოდს მიეკუთვნება. იგი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისა ყოფილა. შემორჩენილი ნაწილის განზომებია:  $6,30 \times 3,55 \times 3,15$  მ. კედლების საშუალო სისქე  $1,00$  მ-მდე აღწევდა. სახლის სამხრეთ (უკანა) მხარეს შემორჩენილი იყო ქვატეხილით ნაგები კედლის წყობის 8 რიგი (სურ. 41). აღნიშნულ კედელში კარგად გამოიკვეთა სასვეტეები (სურ. 43). სვეტების დასამაგრებლად კედლის კუთხეებსა და ცენტრალურ ნაწილში დატოვებულია ღიობები. როგორც ჩანს, აქ აღმართულ სვეტებზე გადადიოდა სახურავის მზიდი კოჭები. ამ სახლსაც იატაკი თიხისა ჰქონდა. აღსანიშნავია, პირველი კედლის წყობაში სვეტის ძირის (ბაზის) აღმოჩენის ფაქტი (სურ. 42). იგი აშკარად ადრეულია და ხელმეორედ გამოყენებული.

**სახლი 4.** მეოთხე სახლი მდებარეობს V და IX კვადრატებში (0 დონიდან  $+1,30-1,40$  მ). იგი პირობითად შეიძლება II სამშენებლო პერიოდს მიეკუთვნოს. მის გათხრისას გამოვლინდა დამწვარ-დანახშირებული



სურ. 3. კარანისხევი. I და II ნაკვეთი. გეგმა

მოედანი, სადაც აღმოჩნდა პურის საცხობი ღუმელისა თუ კერის ნაწილი. აღნიშნულ მოედანზე (3,80×3,0 მ) აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და რკინის დანა (01/5—303). მე-4 სახლი დამხრობილი უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სახლის კედლების დადგენა ახლა შეუძლებელია (უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი დაზიანდა გვიანდელი სათავსების გამართვისას). ამ სახლს შეიძლება მიეკუთვნოს მე-4 კედლის დასავლეთი ნაწილი. მართალია, მე-4 კედელი 0,50 მ-ით მაღლა მდებარეობს იატაკის დონიდან, მაგრამ ამ მონაკვეთში კედლის მაგივრობა მოჭრილ თირს, კლდეს უნდა გაეწია.

მე-4 სახლში აღმოჩენილი პურის საცხობი ღუმელი (თუ კერა) მომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმისაა (სიგრძე — 0,40 მ, სიგანე — 0,65 მ). მისი წინა მხარე ნაკლული უნდა იყოს. იქვე გამართული ყოფილა სანაცრე ორმო. ღუმელი ორი განყოფილებისაგან შედგება: მარცხენა მხარეს პურის საცხობი განყოფილება მდებარეობდა, რომლის იატაკს წარმოადგენდა პირაღმა ჩადგმული ბრტყელი კრამიტის ნაწილი. კრამიტის აკეცილი გვერდი მეორე — საცეცხლე განყოფილებისაგან გამომყოფი ტიხარი ყოფილა. ცეცხლის სანთები განყოფილება, აგრეთვე, მთლიანად ღუმელიც, ნაგები იყო ალიზით. ღუმელს ხანგეარწრიული, თაღოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა.


ს ა ხ ლ ი 5. მეხუთე სახლი გამოვლინდა კარსნისხევის I ნაკვეთის 1, 2, 5 და 6 კვადრატებში, პირველი სახლის ქვეშ. იგი მე-2 სამშენებლო პერიოდის (ფენას) ეკუთვნის (0 დონიდან + 1,07 მ). მე-5 სახლი ძირითადად გამართულია კულტურულ ფენაზე. იგი სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზეა დამხრობილი. საფასადო ნაწილით ჩრდილოეთისკენაა მიმართული (სურ. 48).

შენობა ნაგებია ქვატეხილით — ტალახზე. ზოგან წყობაში რიყის ქვაც ურევია. გვხვდება, აგრეთვე, აგურისა და კრამიტის გამოყენების შემთხვევებიც. მე-5 სახლი ყველაზე დიდია კარსნისხევის ნასახლარზე გამოვლენილ ნაგებობათა შორის (დაახ. 47 მ<sup>2</sup>). სათავსის უკანა — სამხრეთ ნაწილში კედელი 0,90 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. დასავლეთ ნაწილში — 0,60 მ-ის, აღმოსავლეთ ნაწილში 0,40 მ-ის, ხოლო ჩრდილოეთ მხარეს ფასადის კედლის წყობის მხოლოდ ერთი რიგია შემორჩენილი, ისიც ნაწყვეტად.


მე-5 სახლის კედლები იმდენად ასიმეტრიულია, რომ ძნელია მისი გადახურვის რეკონსტრუქცია. აღმოსავლეთი კედელი 9 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. ჩრდილოეთ ნაწილში კედელი წყდება 1,20 მ სიგრძეზე (შესაძლოა საკარგ ღიობთან გვეკონდეს საქმე). კედელი ნაგებია ქვატეხილით — ტალახზე; ზოგან რიყის ქვაც ურევია. შემორჩენილია წყობის 3 რიგი (0,40 მ სიმაღლეზე). კარგად იკვეთება კედლის აღნაგობა: შიგნიდან და გარედან მას პერანგი აქვს, რომლის ქვები საგულდაგულოდაა შერჩეული. შუა ნაწილი შეესებულება წვრილი ქვით — ღორღით. კედლის სისქე 0,80 მ-მდეა. კედლის გაწმენდისას ჩნდებოდა თიხის ჭურჭლისა და კრამიტის, ზოგან კერამიკული ფილის ნატეხები.



ქრილი 2-2




ქრილი 3-3



ქრილი 4-4

სურ. 4. კარსნისხევი. I და II ნაკვეთი. კრილები



სურ. 5. კარანისი. I და II ნაკვეთი. 80გზ

მე-5 სახლი აღმოსავლეთით ისაზღვრება მე-11 კედლით. ეს უკანასკნელი უსწოროა, შუა ნაწილში გამრუდებულია და 9 მეტრის სიგრძისაა. როგორც ვხედავთ, მე-11 კედელი 1,20 მ მოკლეა მის პარალელურ მე-14 კედელზე. ეს კედლებიც ნაგებია ქვატეხილით — ტალახზე და კონსტრუქციულად თითქმის არ განსხვავდება სახლის დანარჩენი კედლებისაგან. მე-11 კედელზე, მის სამხრეთ მონაკვეთზე, დაშენებულია უფრო გვიანდელი კედლის (კოლექტორის?) ნაწილი. იგი 4 მ სიგრძეზე აზის მე-11 კედელს და ნახევარწრიულად ვრცელდება სახლის უკანა კედელზეც (სურ. 36).

მე-11 კედელი სამხრეთით თითქოს კუთხეს ქმნის სახლის სამხრეთ კედელთან, რომელსაც თითქმის მთლიანად ფარავს ე. წ. კოლექტორი. მე-7 კედელიც, რომელიც მე-8 კედლის ქვეშ იმყოფება, ნაგებია ქვატეხილით. აქაც წყობაში ურევია რიყის ქვაცა და აგურიც. სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია წყობის II რიგი. კედლის სისქეა 0,87 მ, სიმაღლე — 0,90 მ. ამ შემთხვევაში თითქმის დატულია წყობის თარახულობა. გარეთა მხრიდან — სიმაღლეზე, შემორჩენილია კედლის წყობის ორი რიგი, რომელიც თირზე დევს. როგორც ირკვევა, მე-5 სახლის უკანა კედლის გასამართავად მოუჭრიათ თირი და ის ნაწილობრივ მაინც გამოუყენებიათ მთელ სიმაღლეზე. სახლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 3 მ სიგრძეზე კედელი (ქვატეხილის ერთი რიგი) იატაკიდან მხოლოდ 0,40 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. ამ ნაწილში შესაძლოა კედელს აკლდეს შიდა პერანგი.

ჩრდილოეთის მხრიდან მე-5 სახლი ისაზღვრება მე-13 კედლით, რომელიც მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ირიბად, 4,30 მ სიგრძეზე, შემორჩენილია კედლის ქვატეხილის ერთრიგა წყობა. მე-13 კედელი მე-5 სახლს მთლიანად არ ფარავს. აღმოსავლეთ ნაწილში იგი გაწყვეტილია 0,40 მ სიგანეზე. მე-5 სახლის იატაკი დაქანებულია საფასადო ნაწილისაკენ. იგი დაფარული ჩანს დამწვარ-დანახშირებული მოედნებით. როგორც ჩანს, აღნიშნული იატაკი გვიანდელია, რადგან კედლების გასწვრივ გავლებულ თხრილებში გამოვლინდა ადრეული იატაკის ნიშნები. გარდა ამისა, სახლის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ქვატეხილით ნაგები კედლის წყობის ორი რიგი, რომელიც გარდიგარდმო შუაზე ყოფს მას. შესაძლოა, მე 5 სახლი ადრე ორად იყო გაყოფილი ტიხარით.

მე-5 სახლის იატაკზე მე-14 კედელთან აღმოჩნდა რამდენიმე მთლიანად ჩამსხვრეული ჭურჭლის (დერგის, ქოთნის) ნაწილები (სურ. 49, 50).

პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნული იატაკი არ უკავშირდება მე-5 სახლის კედლებს. იგი ადრეული სამშენებლო ფენის კუთვნილება უნდა იყოს.

მე-6 სახლი (0 ხაზიდან 1,00 მ). მეექვსე სახლი დასავლეთის მხარეზე ესაზღვრება მე-5 სახლს. იგი სამხრეთ-ჩრდილოეთ ხაზზე ჩანს დამხრობილი ისევე, როგორც კერსისხევის ნასახლარის გათხრისას აღმოჩენილი თითქმის ყვე-

ლა ნაგებობა. მე-6 სათავსი II ნაკვეთის მე-11 კვადრატში აღმოჩნდა. ამ სახლის ფართობი 18 მ<sup>2</sup> აღწევს.

აღმოსავლეთის მხრიდან მე-6 სახლს ესაზღვრება მე-11 კედელი, დასავლეთით პარალელურად გადის მე-18 კედელი. იგი ნაგებია მოზრდული ქვატეხილისა და რიყის ქვის მონაცვლეობით — ტალახზე. კედელი შემორჩენილია 3 მ სიგრძეზე: მის სიმაღლეს შეადგენს წყობის 4 რიგი (0,40 მ); სიგანე — 0,50 მ. კედელს პერანგი მხოლოდ შიდა მხრიდან აქვს; გარეთა სამოსი, როგორც ჩანს, ჩამოინგრა. სახლს უკანა, სამხრეთი, კედელი არ აქვს. იქ კედლის მაგივრობას, ალბათ, ისევ მოჭრილი თირი სწევდა. უკანა სავარაუდო კედლის მთელ სიგრძეზე შემორჩენილია ერთმანეთზე ორ-სამ რიგად ნაწყობი ბრტყელი და ღარიანი კრამიტები. როგორც ჩანს, ჩაქცეული სახურავის ნაშთი (სურ. 51). იქვე გამოვლინდა ძელის ნაშთები; შესაძლოა, მე-6 სახლის უკანა კედელი ხის ძელებით იყო ნაგები. ჩრდილოეთის მხრიდან მე-6 სახლს ესაზღვრება მე-12 კედელი. ისიც ქვატეხილითაა ნაგები — თიხაზე. შემორჩენილი ნაწილის სიგრძეა 3,75 მ, სიგანე — 0,75 მ. ამასთანავე, შემორჩენილია წყობის მხოლოდ ორი რიგი. მე-12 კედელი უშუალოდ მიშენებულია მე-11 კედელზე. მიუხედავად ამისა, ზემოაღწერილი კედლის მიჩნევა მე-6 სახლის ფასადის მხარედ გაჭირდება. იგი დასავლეთის მხრიდან სცილდება სახლის ფარგლებს და ამასთან უსწოროც არის.

კარნისხევის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების კერამიკა (სურ. 69—103), რომელიც ძირითადად მოვარდისფრომონითალოდაა გამომწვარი და თხელკეციანია. მრავლადაა გამოვლენილი სამტუჩა ხელადები, რელიეფური კოპებით შემკული ხელადისებრი სასმისები თუ სარწყულ-სადგინეები, ორყურა დერგისებრი ჭურჭელი და სხვ. ნამოსახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა, აგრეთვე, ლითონისა და თიხის მცირე ქანდაკებები, ქვის სატყორცნი ჭურვები, ძელის საკინძი, სინოპური ამფორის ძირი (სურ. 74).

კარნისხევის ნასახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მასალებიდან პირველ რიგში იქცევს ყურადღებას:

ა. ქვევრი. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ოთხი ტიპის ქვევრი, ძირითადად მოწითალოდ და მოჩალისფროდ გამომწვარი.

1 (01/5—400). კვერცხისებრი მოყვანილობის ქვევრი — მოჩალისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, თხელკეციანი, პირდაბრტყელებული; ტანზე, ყოველ 0,30—0,40 მ, რელიეფური სარტყლები შემოსდევს. ძირბრტყელია (სურ. 33, 36). განაზომები ასეთია: სიმაღლე — 1,75 მ, პირის დმ — 0,30 მ, მუცლის დმ — 0,90 მ, ძირის დმ — 0,15 მ.

2 (01/5—401). სფერულმუცლიანი ქვევრები — მოყავისფრო მოწითალოდ გამომწვარი. სქელკეციანი. სქელი და გაბრტყელებული პირი და მკაფიოდ გამოსახული ყელი აქვს. ტანზე, ყოველ 0,50—0,80 მ, რელიეფური სარტყლები

ამხნევი, რომელიც შესრულებულია დაკეპნილი, ირიბად ამოღარული ხაზებით. ბრტყელქუსლიანია (სურ. 58, 62). განზომებები: სიმაღლე — 1,62 მ, პირის დმ — 0,40 მ, მუცლის დმ — 1,10 მ, ძირის დმ — 0,10 მ.

8 (01/5—402). ოვალური, თითქმის კვერცხისებრი ქვევრები — მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, სქელკეციანი; განიერი და სქელი, დაბრტყელებული პირი აქვს, ძირი — ბრტყელი.

4 (01/5—203). ოვალური, თითქმის კვერცხისებრი, მცირე ზომის ორყურა ქვევრი. თხელი და ვიწრო პირი აქვს. განივკვეთში მრგვალი ყურები პირს ქვემოთ, მხრებზე აქვს დაძვრწილი. ყელთან ნაჭდევი რელიეფური სარტყელი ეტყობა. ყურზე ნაჭდევი ხაზების სამკაული გასდევს. ძირბრტყელია. კეცი თხელია, მოჩალისფრო-მოწითალო, კარგად განლექილი თიხისა (სურ. 73). სიმაღლე — 0,96 მ, მუცლის დმ — 0,60 მ, ძირისა — 0,12 მ.

ბ. დ ე რ გ ე ბ ი. 1 (01/5—259). დერგი სფერულტანიანი, ორყურა. მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი; პირგადაშლილი; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს; ძირი — ბრტყელი. ბრტყელი ყურები მუცელზე შეუულადა აქვს დაძვრწილი. ყურებს ქვეშ ოდნავ წელშეზნექილია (სურ. 72). სიმაღლე — 0,39 მ, პირის დმ — 0,11 მ, მუცლის დმ — 0,33 მ, ძირის დმ — 0,21 მ.

2 (01/5—247). დერგი, თითქმის სფერულტანიანი, ორყურა, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი. თხელკეციანი, პირმოყრილი, ბაკოდაქანებული. პირს ქვემოთ რელიეფური სარტყელი ემჩნევა. ბრტყელი ყურები პირს ქვემოთ და მხარზე აქვს დაძვრწილი. ძირბრტყელი (სურ. 75). სიმაღლე — 0,29 მ, პირის დმ — 0,12 მ, მუცლის დმ — 0,29 მ, ძირის დმ — 0,19 მ.

გ. ჯ ა მ ე ბ ი. 1 (01/5—176). ჯამი თიხისა, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი. კარგად განლექილი, თხელკეციანი, პირმოყრილი. პირს ქვემოთ გამობურცულია, კალთადაქანებული, ძირბრტყელი (სურ. 93).

2 (01/5—162). ჯამი თიხისა, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, კარგად განლექილი. პირგადაშლილი, კალთადაქანებული, ძირბრტყელი (სურ. 103). გვხვდება ავრეთვე ამავე ტიპის თითქმის შეუულკედლიანი ჯამებიც.

8 (01/5—326). ჯამი თიხისა, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, თხელკეციანი, პირმოყრილი. მთლიანად წითლადაა შეღებილი (სურ. 98).

დ. ხ ე ლ ა დ ე ბ ი. 1 (01/5—120). ხელადები თიხისა, პირგადაშლილი, ყელწიბოიანი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. გვხვდება ამავე ტიპის რელიეფური კოპებით შემკული თიხის ჭურჭლის ნაწილები (სურ. 78—81).

2 (01/5—219). გვხვდება ზემოაღწერილი ტიპის ხელადისებრი ჭურჭლის გრძილყურიანი ცალები (სურ. 87). ზოგ მათგანს ყური ფრინველის რელიეფური გამოსახულებით აქვს შემკული (სურ. 108).

ე. ქ ა ნ დ ა კ ე ბ ე ბ ი. 1 (01/5—268). მამაკაცის თავის გამოსახულება. ტერაკოტა. მოწითალო-მოვარდისფრო თიხისა. კეფისა და ქედის ნაწილი ჩამოტე-



ხილი აქვს. სახასიათო პორტრეტს გვაგონებს: სახის ნაკვეთები სქემურადაა გადმოცემული, დეტალიზაციის გარეშე; თმები მოკლე ხაზებითაა გამოხატული და თითქოს უშუალოდ წარბებს ებმის. თავი მომრგვალებულია, კეფა — დაბრტყელებული. წვერი ლოყებსა და ნიკაპზე მოკლე ხაზებით არის გადმოცემული. თვალებისა და ყურების მიდამო ჩაღრმავებულია; თვალები მრგვალი ბურცობებითაა გადმოცემული; ცხვირი — მოზრდილი, ამაღლებული და გაფართოებულია. პირი ფართო ამოღარული ხაზითაა გადმოცემული, ნიკაპი — ქდეებით შემკული, წინწამოწეული. ყელი საკმაოდ მალალი უნდა ჰქონოდა (სურ. 106, 107).

განზომები: სიმაღლე — 4,0 სმ, სახის სიფართოე — 3,0 სმ, სახის სიმაღლე — 2,5 სმ.


2 (01/5—260). ქალის გამოსახულება. ტყვიისა. იგი წარმოადგენს ფეხზე-მდგარი შიშველი ქალის ქანდაკებას, რომელსაც ყელსაბამი ამკობს. მოხრილი ხელები ყურთან აქვს მიტანილი. ვარცხნილობა გადმოცემულია ირიბად ამოღარული ხაზებით; თმები უკან, კეფასთან აქვს შეკრული. შუბლი დაბალი და დაქანებული აქვს. თვალები ოვალური წრეებითაა გადმოცემული; ცხვირი — ბრტყელი და განიერი; პირი საკმაოდ ფართო ამოღარული ჭრილითაა გადმოცემული. ნიკაპი მოზრდილი და წინწამოწეული აქვს. სახე საერთოდ ტლანქად არის დამუშავებული. მკერდი ამოზიდულია; ტანი მკერდს ქვემოთ თანაბრად ფართოდება; ფეხები ტანთან შედარებით მოკლე და მუხლებში ოდნავ მოხრილი. იგი ტერფებით ტყვიისავე ფირფიტაზეა დარჩილული. როგორც ჩანს, სარიტუალო საგანს წარმოადგენდა და დამაგრებული უნდა ყოფილიყო რაღაც საგანზე (სურ. 104, 105).

კარსნისხევის ნამოსახლარზე აღმოჩენილ მასალებს, რა თქმა უნდა, გარდა ქანდაკებებისა, ანალოგები ეძებნება გვიანანტიკური ხანის ქართლის სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე გამოვლენილ სამარხებსა და კულტურულ ფენებში (4; 9; 14; 16; 17; 22; 35; 38; 56).

კარსნისხევის ნასახლარის აღმოსავლეთით, სამოცილოდ მეტრზე აღმოჩნდა საწარმოო უბანი. იგი ამჟამად ბორცვზეა განლაგებული. ანტიკურ ხანაში ეს ბორცვი, შესაძლოა, არ იყო მოკვეთილი გზით და საწარმოო უბანი კარსნისხევის კანიონის მარჯვენა ფერდზე ყოფილა. იგი ნასახლარიდან გამოყოფილია მცირე მშრალი ხევით, რომელიც კარსნისწყალს მარჯვენა მხრიდან უერთდება (სურ. 30).

საწარმოო უბანი აღმოჩნდა მიწის სამუშაოებისას, რკინიგზის ლიანდაგის II ტოტისათვის საწოლის მშენებლობის დროს.

მუშაობის დაწყებისას ფართობი დაიყო კვადრატებად. 1975 წელს 12 კვადრატი ითხრებოდა, ხოლო 1976 წელს მას დაემატა სამი. საწარმოო უბნის შემორჩენილი ფართობია დაახლოებით 500 მ<sup>2</sup> (სურ. 6, 7, 17).



სურ. 6. კარსნისხევი. IV ნაკვეთი. საერთო გეგმა

საწარმოო უბანი მეთუნეთა სახელოსნოს წარმოდგენს. იქ დასტურდება თიხის ჭურჭლის დამზადების თითქმის სრული ციკლის მიმდინარეობა: თიხის გარჩევა, დამკლევება, მოზელა, სამეთუნეო მორავზე ჭურჭლის ამოყვანა, შეშრობა, გამოწვა, შეღებვა და ა. შ. ზემოაღნიშნული ემყარება IV ნაკვეთზე

აღმოჩენილი სათავსებისა და მათთან დაკავშირებული მსუბუქი (ფარდულის ტიპის) ნაგებობის ნაშთების აღმოჩენას კარსნისხევის ნამოსახლარის სახელოს-  
ნო უბანზე:

ს ა თ ა ვ ს ი 1. გამართული იყო IV ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილში (სურ.  
147). მასში ორი ქურაა მოწყობილი პირით სამხრეთისაკენ. სათავსი ოთხივე  
მხრიდან კედლებით არის შემოსაზღვრული. კედლები სხვადასხვა დონეზე მდებ-  
არეობს. პირველი სათავსის ზომებია  $4,90 \times 3,90$  მ. მისი იატაკი, როგორც  
ჩანს, მე-2 კედლის შემზადების საძირკვლის დონეზე გადიოდა.

მე-2 კედელი ნაგებია წვრილი ქვატეხილის ერთრიგა წყობით. იგი, შესა-  
ძლოა, ალიზის კედლის შემზადება ყოფილიყო (სიგანე — 0,80 მ). კედლები  
დამხრობილია WO ხაზზე. სამხრეთის მხრიდან კედელს უშუალოდ ეკვრის  
I ქურის უკანა მხარე. მე-2 კედლის საძირკველი სათავსის დანარჩენი კედლე-  
ბის საძირკვლის დონეზე გაცილებით მაღლა მდებარეობს (0 დონიდან — 0,44 მ).  
მეორე კედლის სიგრძეა 2,40 მ, სიგანე 0,90—1,00 მ აღწევს.


მესამე კედელი მეორის მსგავსია და მის გაგრძელებას წარმოადგენს,  
ოღონდ იგი 0,30 მ დაბლა მდებარეობს (0 დონიდან 0,97 მ). მე-3 კედლის სიგრ-  
ძეა 1,60 მ, სიგანე 0,90 მ-მდე აღწევს. აღნიშნულ კედელს სამხრეთის მხრიდან  
მე-4 ქურის უკანა მხარე ეკვრის.

მე-4 კედელი პირველ სათავსს დასავლეთის მხრიდან საზღვრავს. შემორ-  
ჩენილია ქვატეხილებით ნაგები ერთრიგა წყობა: კედლის სიგრძეა 2,0 მ, სიგა-  
ნე — 1,0 მ.

მე-4 კედელი ნაგებია შედარებით მოზრდილი ქვატეხილებით. აქაც შე-  
მორჩენილია ერთრიგა წყობა. მე-4 კედელი კირნარევე ქვალორლიან ფენაზე  
გაუმართავთ. აღნიშნული ფენა საწარმოო მოედანზე კედლის ფუნქციასაც ას-  
რულებს. ეს ფენა I სათავსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც ვრცელდება და  
მე-4 კედლის გაგრძელებას წარმოადგენს (2,4 მ სიგრძე). I სათავსის SW კუთხე-  
ში მე-4 კედელი მე-2 სათავსის მე-5 კედელს უერთდება. იგი კონსტრუქციუ-  
ლად არ განსხვავდება მე-4 კედლისგან, მაგრამ ამ უკანასკნელზე საგრძნობლად  
დაბლა მდებარეობს (0,30 მ-ით).

I სათავსის სამხრეთი მხარე ორფენიანია; იქ ორი პერიოდის კედელი გა-  
დის: პირველი, ადრეული (№ 7), სათავსის აღმოსავლეთ კედელთან კრავს  
კუთხეს და დასავლეთისკენ მიემართება 3,90 მ სიგრძეზე. იქ მე-7 კედელი წყდებ-  
ა ან, შესაძლოა, საკარე ღიობი იყოს. მისი სიგანეა 1,7 მ. მე-7 კედელი ნაგებია  
ქვატეხილის ერთრიგა წყობით, ზოგან შეინიშნება მე-2 რიგის არსებობის კვა-  
ლიც. გვიანი კედლის (№ 5) ფრაგმენტი ( $1,30 \times 0,70$  მ) 0,45 მ-ით მაღლა მდებ-  
არეობს. კედელი № 1 სათავსის სავარაუდო იატაკის დონეზეა შემორჩენილი  
ქვატეხილის ერთრიგა წყობის სახით.

I სათავსს აღმოსავლეთის მხრიდან საზღვრავს № 6 კედელი. იგი ქვატეხი-  
ლითაა ნაგები — ტალახზე (სიგრძე — 9,10 მ, სიგანე — 0,70 მ). მე-6 კედელი



სურ. 7. კარხნისხევი. IV ნაკვეთი. კრილები

სცილდება I სათავსის ფარგლებს და ჩრდილოეთისკენ გრძელდება. შემორჩენილია № 6 კედლის წყობის 2 რიგი: ზოგან მე-3 რიგის ნაშთებიც შეინიშნება. № 6 კედელი № 1 სათავსის სამხრეთ ნაწილში კუთხეს კრავს № 7 კედელთან. მე-6 კედელი, როგორც ჩანს, ორგვარ ფუნქციას ასრულებდა: იგი აღმოსავლეთის მხრიდან წარმოადგენდა ქურების გასამართავად საგანგებოდ მოზვიენულ თიხნარი მიწის მოედნის საყრდენს და მე-4 ქურის აღმოსავლეთ ნაწილში — თბოიზოლატორს.

I სათავსის გადახურვაზე მსჯელობა ძალიან ჭირს, რადგანაც ამ ნაგებობის გამოვლენისას მცირე რაოდენობით აღმოჩნდა კრამიტი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოადგენდა ფარდულის ტიპის ღია ნაგებობას ან სათავსს. კედლები ალიზისა ჰქონდა, თუმცა ამ ვარაუდის გასამართლებლად ძალიან მწიერი მასალა მოპოვებული.

ს ა თ ა ვ ს ი 2. მე-2 სათავსი დასავლეთის მხრიდან ეკვრის პირველს (სურ. 146—148). იგი ძირითად ქვალორლიან კირნარევე ფენაში ჩანს ჩაჭრილი 0 ხაზიდან 0,98 მ სიღრმეზე (განზომები —  $6,10 \times 3,60$  მ). სათავსის იატაკი თიხატკეპნილია, თანაც საგანგებოდ მოშანდაკებული ჩანს. თითქმის მთელ ფართობზე შეინიშნება ცეცხლის კვალი; სათავსის ცენტრალურ ნაწილთან აღმოჩნდა დიდრონი ქვატეხილები — კერის ნაშთი ( $0,60 \times 0,50$  მ; სურ. 148).

მე-2 სათავსს შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია; ამ მხრიდანვე კედელში დატოვებულია საკარე (სიგანე — 1,80 მ). სათავსის ნაწილი დაზიანებულია — სამხრეთ-დასავლეთი კუთხე ჩამოცლილი აქვს მიწის სამუშაოებისას; შესასვლელის მხრიდან № 2 სათავსს მე-5 კედელი საზღვრავს; იგი 6,50 მეტრის სიგრძეზეა შერჩენილი. მე-5 კედლის დასავლეთი ნაწილის საძირკვლის დონე 0,33 მ-ით მაღლა მდებარეობს აღმოსავლეთი ნაწილის საძირკვლის დონესთან შედარებით, ე. ი. თითქმის იგივე სურათი მეორდება, რაც პირველ სათავსში შეინიშნა. კედელი ნაგებია ქვიშაქვის საშუალო ზომის ქვატეხილით — ტალახზე; კედლის საპირე ქვები საგულდაგულოდ ჩანს შერჩეული. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან სათავსის კედლებად ქვალორლიანი კირნარევი ფენა — დედაქანია გამოყენებული. იგი 0,60 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი.

აღმოსავლეთის მხრიდან № 2 სათავსს საზღვრავს მე-4 კედელი, რომელიც თავის მხრივ I სათავსის დასავლეთ კედელსაც წარმოადგენს (მე-4 კედელი პირველი და მეორე სათავსის გამყოფია). იგი, როგორც აღვნიშნეთ, ორი ნაწილისაგან შედგება. სათავსის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს აქაც დედაქანია გამოყენებული (1,30 მ სიგრძეზე), შემდეგ ქვატეხილით ნაგები კედელია (2,00 მ სიგრძეზე), რომლისგანაც 1 რიგია მხოლოდ შემორჩენილი. მე-4 კედლის საძირკვლის დონე სათავსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში 0,23 მ-ით მაღლა მდებარეობს მე-5 კედლის საძირკვლის დონისაგან (სათავსის ამ მონაკვეთში კუთხეს აღნიშნული კედლები ქმნიან). მე-4 კედლის ქვატეხილით ნაგები ნაწილი უშუალოდ არ წარმოადგენს მე-2 სათავსის აღმოსავლეთ კედელს. იგი აღნიშ-

ნული კედლიდან 0,50 მ დაცილებითაა ჩაჭრილი დედაქანში. ამრიგად, მე-2 სათავის აღმოსავლეთ კედელსაც კირნარევი, ქვალორლიანი ფენა — დედაქანი წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული სათავის კედლების თავისებურებების გამო ძალიან ძნელია გადახურვის რეკონსტრუქცია. ნაყარში, რომლითაც შევსებული იყო მე-2 სათავი, შეგვხვდა თითო-ოროლა კრამიტის ნატეხი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მე-2 სათავის ფარდულის ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა, შესაძლოა, კრამიტით გადახურულს. მაგრამ ეს მხოლოდ ივარაუდება.

მე-2 სათავის ჩრდილოეთ მხარეზე (კვ. 1, 2 და 4) ზედა ფენის ალების შემდეგ გამოვლინდა რამდენიმე სამარხი, ძირითადად თიხნარევე-ქვალორლიან ფენაში, რომელშიც ერია ღიდრონი ქვატეხილებიც.

I სათავის ჩრდილოეთით გაიწმინდა თიხატკეპნილი მოედანი (0 ღონიდან — 1,60 მ), რომელიც კირნარევე-ქვალორლიან ფენაში იყო გაჭრილი (კვ. 2, 3 და 5, 6). იგი საჭურჭლე თიხის მოსაზველი მოედანი უნდა ყოფილიყო (6,00 X X 2,80 მ). დასავლეთის მხრიდან მოედანი ისაზღვრება დედაქანით, აღმოსავლეთით მას ნაწილობრივ საზღვრავს მე-6 კედლის გაგრძელება (2,30 მ-ზე) და მე-2 ქურა: ჩრდილოეთ მხარეზე იგი დაზიანებულია, ხოლო სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება I სათავის ჩრდილოეთი კედელი (№ 2 და 3).

I სათავის აღმოსავლეთიდან ესაზღვრება თიხატკეპნილი მოედანი, სადაც თიხის ჭურჭლის წარმოების პროცესთან დაკავშირებული ნაგებობა უნდა ყოფილიყო გამართული (ფარდული სამეთუნეო დაზვისათვის?). ამ ვარაუდს გამოთქმის საშუალებას იძლევა ქვატეხილით ნაგები ბაზების ნაშთები ხის სვეტებისათვის, რომლებიც ერთ მწკრივშია გამართული და ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი მანძილით არის დაცილებული. სავარაუდო სვეტის ძირები აღმოჩნდა მე-6, მე-7 და მე-10 კვადრატებში (სურ. 6).

ქურა 1 (სურ. 149, 150). პირველი ქურა აღმოჩნდა ზემოაღწერილ I სათავში (კვ. 5 და 6). იგი მე-4 ქურის დასავლეთით, მის პარალელურად მდებარეობს. 1 ქურა მეორე სამშენებლო ფენას უნდა ეკუთვნოდეს. ქურა დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ქურის ქვედა — საცეცხლე განყოფილება მიწაში ჩანს გამართული. იგი უშუალოდ არის მიდგმული მე-2 კედელზე. პირველი ქურა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა; კუთხეები მომრგვალებული აქვს, ცუდადაა დაცული და შემორჩენილის ნაწილის მიხედვით ძნელია მსჯელობა მეორე სართულის (განყოფილების) არსებობის შესახებ. ვინაიდან პირველი ქურა მე-4 ქურის სინქრონულია (მათ ერთმანეთისაგან ერთი საერთო კედელი, თბოიზოლატორი ჰყოფს), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც ვერტიკალურ ქურათა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

პირველი ქურის სიგრძეა (მასთან დაკავშირებული წინა ნაწილის ჩათვლით) 4,30 მ, საკუთრივ ქურის სიგრძე — 1,45 მ, სიგანე ყელთან — 0,55 მ, ცენტრში — 0,65 მ, ბოლოში — 0,55 მ.

ქურის პირის წინ საკმაოდ დიდი სანაცრე თუ სანაკვე ორმო ყოფილა ამო-  
ლებული (დმ — 1,70 X 1,20 მ, სიღრმე — 0,55 მ), ყელიდან 0,70 მ დაშორე-  
ბული (სურ. 147).




ქურის ყელი, როგორც ჩანს, ქვის თალით ყოფილა გადმოყვანილი. შემორ-  
ჩენილია თალის საყრდენი ქვები, რომლებიც ვერტიკალურადაა ჩადგმული ერთ-  
მანეთის პირდაპირ. საცეცხლე განყოფილების გადახურვის სხვა კვალი არ ჩანს.  
ქვედა განყოფილების კედლები ალიზის სქელი ფენით ყოფილა შელესილი. ზოგ  
ადგილას კედლის შელესილობაში შეინიშნებოდა კერამიკის ფრაგმენტები. ქუ-  
რის კედლები შემორჩენილია 0,25 მ სიმაღლეზე. იატაკი თიხატყეპნილია. იგი  
ქურის პირისკენ მკვეთრად ჩანს დაქანებული. საცეცხლე განყოფილების აღ-  
მოსავლეთი კედლის დონეზე შემორჩენილია ქვატეხილით ნაგები გარსაცმის  
ერთიგა წყობა. იგი მე-4 ქურის დასავლეთ კედელთანაა დაკავშირებული. ქვე-  
და განყოფილების დასავლეთ კედელთან გარსაცმის კვალი არ შეინიშნებოდა.

ქურა 2 (სურ. 8, 151). მეორე ქურა 0 დონიდან 1,37 მ სიღრმეზე აღმო-  
ჩნდა. შემორჩენილი იყო მისი უკანა მხარე (1/3 ნაწილი). დანარჩენი (ცენტრა-  
ლური და წინა მხარე) რკინიგზის მშენებლებს ჩამოუჭრიათ. ქურა ფერღზეა  
ნაგები. თანამედროვე მიწის ზედაპირი გადათხრილი ჩანდა ბულდოზერით, ამი-  
ტომ ძნელი გასარკვევი იყო, თუ რა სიღრმეზე მდებარეობდა მე-2 ქურა მიწის  
ზედაპირიდან თავის დროზე.

მეორე ქურა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე ჩანდა დამხრობილი სამხ-  
რეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადახრით. ქურის უკანა მხა-  
რის შემორჩენილი ნაწილი ოვალური მოყვანილობისაა (უდიდესი სიგანე —  
1,90 მ, სიმაღლე — 0,95 მ). მე-2 ქურას ნაწილობრივ კულტურული ფენა აქვს  
დაზიანებული. იგი შევსებული ჩანდა ფხვიერი თიხნარი, სილანარევი მიწით.  
ქურის შევსებაში აღმოჩნდა თიხის ქურჭლის რამდენიმე ნატეხი, აგრეთვე  
ძვლის ფრაგმენტები.

მე-2 ქურა შემორჩენილი ნაწილის გაწმენდის საფუძველზე თაღოვანთა-  
ჯგუფისა ჩანს. თალი ოვალურად გადადიოდა ქურის ცენტრისაკენ. ქურის თა-  
ლის ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, 1,10 მ სიგრძეზე გას-  
დევს ქვატეხილის ორი რიგისაგან შემდგარი სარტყელი (სისქე — 0,30 მ), რაც  
ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არ გრძელდება, შესაძლოა ჩამოტეხილია; ქურა-  
მთლიანად შელესილი უნდა ყოფილიყო კირნარევი თიხნარი მიწით. ამავე თიხ-  
ნართაა მოშანდაკებული ქურის თავზე, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, გამართუ-  
ლი თიხის მოსაზელი მოედანი.

ქურის იატაკიც ოვალურია (შემორჩენილი ნაწილის უდიდესი სიგანე —  
1,90 მ, სიგრძე — 1,25 მ). იატაკი-თალთან ერთად ქრილში ელიფსოიდურია.  
ქურის იატაკიც კირნარევი თიხიანი მიწითაა მოშანდაკებული. შემორჩენილ  
ნაწილზე კარგად შეინიშნება ხანგრძლივი ცეცხლის კვალი; 0,10 მ სისქის ფენა  
დამწვარ-დანახშირებულია, ხოლო 0,70—0,80 მ მოწითალო-აგურისფერადაა



სურ. 8. კარსნისხევი. ქურა 2. გეგმა, კრილები




დამწვარი. იატაკი 0 ღონიდან ცენტრალურ ნაწილში 2,24-მ-ია, ნაპირებზე — 2,19 მ.

ქურის თალი შიგნიდან მოშავო-მოვარდისფროდაა დამწვარი. დამწვარი ფენის სისქეა 0,30—0,40 მ. შიგა შელესილობა თითქმის მთლიანად ჩამოშლილია.

შემორჩენილი ნაწილის სიმცირის გამო ძნელია მე-2 ქურის კონსტრუქციაზე მსჯელობა.

თალის ზურგი (გარე პირი), რომელიც ნაწილობრივ კირნარევი, თიხნარი მიწითაა ნაგები (ზოგან რიყის ქვებიც ურევია) ძირითადად მიწაში ყოფილა ჩადგმული (ქურის სამივე კედელი მიწაში ჩანს გაჭრილი).

ქურა 3 (სურ. 9, 152). პირველი და მეოთხე ქურებისაგან განსხვავებით, იგი შენობის გარეთ მდებარეობს (კვადრატები 3, 6). მე-3 ქურა გამოვლინდა 0



სურ. 9. კარსნისხევი. ქურა 3. გეგმა, კრილები

დონიდან 1,32 მ-ზე; იგი ზემოაღწერილი ქურების (№ 1 და № 4) სინქრონული ჩანს და მიეკუთვნება II სამშენებლო დონეს. მე-3 ქურის პირი აღმოსავლეთითაა მიქცეული. ისიც ე. წ. ვერტიკალურ ქურათა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. შემორჩენილია ქურის ქვედა — საცეცხლე განყოფილების ნაწილი, რომელიც მთლიანად მიწაში ყოფილა ჩადგმული. მე-3 ქურა წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა; კუთხეები მომრგვალებული აქვს. ქურის უკანა — დასავლეთი, მხარე მიდგმულია კედელზე, I სათავის აღმოსავლეთის კედლის გაგრძელებაზე. ამ ქურის საცეცხლე განყოფილების კედლების პირის დონეზე ქვატეხილის თბოიზოლატორის კვალი შეინიშნება, მაინცდამაინც, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებთან. როგორც ჩანს, თიხის ქურჭლის გამოსაწვავი კამერის გარსაცმის ფუნქციას მიწაყრილი ასრულებდა: კედლებს მიწა ქქონია შემოყრილი. ქურასთან დაკავშირებული მისასვლელის ნაწილი დანგრეული იყო მიწის სამუშაოებისას. შემორჩენილია სანაცრე ორმოს ნაწილი, რომელთანაც აღმოჩნდა დამტვრეული ქვევრის ნატეხებით მოფენილი ფართობი. იქვე ეყარა წიდადქცეული ალიზის შელესილი ნატეხები; სავარაუდოა, რომ იგი ქურის განახლების დროსაა ქურიდან გამოტანილი.

ქურის შემორჩენილი ნაწილის სიგრძე, წინა ქურასთან დაკავშირებულა ნაწილის ჩათვლით, აღწევს 3,40 მ; საკუთრივ ქურის სიგრძე — 2,90 მ; სიგანე ყელთან 0,80 მ-ია, სიგანე შუა ნაწილში — 0,90 მ, სიგანე უკანა კედელთან — 0,90 მ.

ქურის ყელი შესაძლოა ქვატეხილით ნაგები თალით იყო გადახურული. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს თალის საყრდენი ქვების აღმოჩენის ფაქტი. ქურის ყელის ჩრდილო მხარეს შემორჩენილია ერთი ქვატეხილი, რომელიც სიმაღლეზე ყოფილა ჩადგმული. მეორე ასეთივე ქვატეხილი მის მოპირდაპირე მხარეზე მდებარეობს (ანალოგიური ქვის საყრდენები გააჩნდა მე-4 ქურის ყელის თალს).

მე-3 ქურის იატაკი თიხატეხილია; ეტყობა ხანგრძლივი ცეცხლის კვალი. იატაკზე უხვად ჩნდებოდა საცეცხლურის გადახურვის, ქურის ჩაქცეული ნაწილები — ალიზის შელესილობის კვალი.

საცეცხლურის ჩრდილო კედელი შემორჩენილია 0,45 მ სიმაღლეზე. როგორც აღვნიშნეთ, იგი მთლიანად მიწაში ზის და შელესილია ალიზის სქელი ფენით. კედლის სისქეა 0,15—0,20 მ; ეტყობა ძლიერი ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი. კედლის შიდა პირი (პერანგი) წიდადქცეული ალიზის ქერქითაა დაფარული. კედლის დამწვარი, ვარდისფრად შეფერილი, ნაწილის სიგანეა 0,25 მ. იგი უსწორია, ეტყობა ჩაღრმავებები. კედლის პირის დონეზე შეიმჩნევა თაღების საყრდენების კვალი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თაღები აქაც ისეთივე ნახევარწრიული იყო, როგორც მე-4 ქურაში. კედელზე შერჩენილია ოთხი ამგვარი თაღის ფუძის ნაშთი. თაღებს შორის ინტერვალია 0,20 მ. ყოველი თაღის ფუძის სიგანე 0,40 მ აღწევს, ჩრდილოეთი კედლის შემორჩენი-


ლი ნაწილი 0,50 მ-ია. საცეცხლურის პარალელური, გრძივი კედელი კონსტრუქციულად იმეორებს ზემოაღნიშნულს. სამხრეთი კედლის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი დაზიანებული იყო ელექტრობოძისათვის ორმოს ამოღების დროს.

საცეცხლურის უკანა კედელი ზემოაღწერილი კედლების ანალოგიურია. იგი შემორჩენილია 0,45 მ სიმაღლეზე. საცეცხლურის კედლებში ზოგან შეინიშნება თიხის კურკლის (ქვევრის, დერგის) ნატეხები.

ქუ რ ა 4 (სურ. 10, 157, 158). მე-4 ქუ რ ა I სათავსოა გამართული. იგი 0 დონიდან 1,01 მ-ზე გამოჩნდა (0 ხაზი ემთხვევა მიწის აწინდელ ზედაპირს). მე-4 ქუ რ ა მე-6 კვადრატში მდებარეობს და მეორე სამშენებლო დონეს უკავშირდება. ქუ რ ა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა დამხრობილი (ქუ რ ის პირი სამხრეთის მხრიდანაა გამართული). იგი წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა, ოღონდ კუთხეები მომრგვალებული აქვს. ეს ქუ რ ა ორსართულიანი უნდა ყოფილიყო და ე. წ. ვერტიკალურ ქუ რ ათა ჩვეულებას ეკუთვნის. ქუ რ ის ქვედა განყოფილება (საცეცხლური) მთლიანად მიწაში ზის. ჩანს, ამ მიზნისთვის საგანგებოდ მოუწინააღმდეგებოდათ მოედანი და შემდეგ ჩაუჭრიათ ორმო ქუ რ ის გასამართავად. ქუ რ ის იატაკი თიხატეხილია, ეტყობა ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი. მისი საცეცხლე განყოფილება ჩრდილოეთის მხრიდან უშუალოდ ეკვრის მე-3 კედელს. ასევე კედელთანაა დაკავშირებული საცეცხლეს აღმოსავლეთი მხარე. ხოლო დასავლეთით საცეცხლეს ქუ რ ის დონეზე გამოვლინდა ქვატეხილით ნაგები გარსაკმის ნაწილი. იგი ზემოაღნიშნულ კედლებთან ერთად წარმოადგენდა საცეცხლე განყოფილების იზოლატორს (გარკვეული ტემპერატურის შესანარჩუნებლად). სიგრძე წინა ქუ რ ასთან დაკავშირებული ნაწილის ჩათვლით იყო 4,50 მ. უშუალოდ ქუ რ ის სიგრძეა 2,50 მ. სიგანე შუა ნაწილში — 1,15 მ. უკანა (N) კედელთან — 0,90 მ, სიმაღლე ყელთან — 0,40 მ, შუა ნაწილში — 0,50 მ, უკანა კედელთან — 1,51 მ.

ქუ რ ის პირის წინ სანაცრე ორმო მდებარეობს. იგი უშუალოდ უკავშირდება ქუ რ ის ყელსა და საცეცხლე განყოფილებას. სანაცრე ორმო ქუ რ ის პირისკენ არის დაქანებული.

ქუ რ ის ყელი ქვატეხილით ნაგები თალით ჩანს გადახურული. თალი ნახევარწრიულია და ორი გრძელი ქვატეხილისაგან შედგება (პირველი, დასავლეთ მხარეს მდებარე, ქვატეხილის განაზომებია:  $0,40 \times 0,20 \times 0,12$  მ; მეორე — აღმოსავლეთ მხარეს მდებარე, ქვატეხილის ზომებია:  $0,50 \times 0,20 \times 0,14$  მ). ქვის თალის ბოლოები ვერტიკალურად ჩადგმულ ფილაქვებზე იყო დაყრდნობილი (განაზომები —  $0,65 \times 0,29 \times 1,20$  მ); იგი შუაშია გადატეხილი. საცეცხლის დასავლეთი კედელი ძირითადად ალიზითაა ნაგები — შელესილია თიხის სქელი ფენით. ზოგან წყობაში ურევია წვრილი ქვატეხილიც. კედელზე კარგად შეინიშნება ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი. შემორჩენილი კედლის სიმაღლეა 0,50 მ. აღმოსავლეთი კედელი კონსტრუქციულად არ განსხვავდება დასავლეთი კედლისაგან. იგი, როგორც ჩანს, უშუალოდ ებჭინებოდა



სურ. 10. კარსნისხევი. ქუჩა 4. ვეგმა, კრალეზი.

პირველი სათავსის აღმოსავლეთ კედელს. საცეცხლურის აღმოსავლეთი კედელი შემორჩენილია 0,45 მ სიმაღლეზე. უკანა კედელი ნაგებია ალიზით. წყობაში ზოგან ურევია ქვატეხილის ფრაგმენტები. კედელზე ჩანს ძლიერი ცეცხლის კვალი.

საცეცხლე განყოფილების ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია გადახურვის ნახევარწრიული ორი თალი, რომლებიც ალიზის დიდრონი აგურებითაა ნაგები. თალის ფუძე განიერია, ცენტრისკენ თანაბრად შევიწროებული და ეყრდნობა საცეცხლურის გრძივ კედლებს. ჩრდილოეთ მხარეს მდებარე თალის ფუძის სიგანეა 0,40 მ, ხოლო თავთან — 0,15 მ.

სამხრეთ მხარეს მდებარე თალი განსხვავებულია. თალში დატანებული ჩანს ცეცხლის ამოსასვლელი 3 სათვალე. როგორც ჩანს, საცეცხლე განყოფილება მთლიანად გადახურული ყოფილა ალიზის აგურებით, შესაძლოა, გარდიგარდმო და სიგრძეზე. თალები ზემოდანაც თიხით იყო გადალესილი და თალის ზედაპირი ზედა — თიხის გამოსაწვავი კამერის, იატაკის დონეზე უნდა ვიგულისხმობთ:

ზედა განყოფილების არსებობაზე მიგვითითებს, აგრეთვე, საცეცხლურის უკანა (№ 1) კედელი, რომელიც სცილდება კამერის სავარაუდო იატაკის დონეს, ე. ი. შემორჩენილია ვერტიკალური ქურის მეორე იარუსის მაჩვენებელი ელემენტიც.

თიხის ქურჭლის გამოსაწვავი კამერის კედლები არ არის შემორჩენილი, ამიტომ ქურის გადახურვაზე მსჯელობა ჭირს, მაგრამ აქ რაიმე ორიგინალური სახურავი არც არის მოსალოდნელი. დატვირთული ქურა, ჩვეულებრივ, გადაილესებოდა ხოლმე.

კარსნისხევის გრძელი ქურები განსხვავდება ანტიკურ სამყაროში გავრცელებული მრგვალი და მსხლისებრი მოყვანილობის თიხის ქურჭლის გამოსაწვავი ქურებისაგან (50) და ემსგავსება ხოვლეგორის ადრეანტიკური ხანის ქურებს (40). როგორც ჩანს, გრძელი ქურების მშენებლობის ტრადიცია იველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზეც გრძელდებოდა.

საწარმოო უბანზე, ქურებში და მის მახლობლად აღმოჩნდა წითელი წერნაქით მოხატული ჭურჭელი, რომელიც გვიანელინისტური ხანით (39; 65) უნდა დათარიღდეს (სურ. 153—155). საილუსტრაციოდ ვიძლევით მე-3 ქურაში აღმოჩენილი ერთ-ერთი ჯამის აღწერილობას:

1 (01/5—168; სურ. 154). ჯამი თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი, შემორჩენილია პირ-გვერდისა და ძირის ნაწილი. ემჩნევა წითელი ფერის საღებავით მოხატვის კვალი. პირმოყრილია, კალთადაქანებული, ქუსლამოლარული. ქუსლზე და ძირთან წერნაქით მოხატული სარტყელი შემოუყვება. ქუსლის ფსკერზეც ანალოგიური სარტყელი შემოსდევს. ჯამის ფსკერიდან კედლებისაკენ მცენარეული სამკაული ყოფილა გამოსახული. ამჟამად წერნაქი ნაწილობრივ ემჩნევა. დამზადებული ყოფილა ცუდად განლეჟილი თიხისაგან, მაგრამ კარგად არის გამომწვარი. სიმაღლე — 7,3 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 1,8 სმ, ქუსლის ყელის დმ — 6 სმ.

კარსნისხევის ნასახლართანვე გამოვლინდა სამა-  
კარსნისხევის როვანი, რომელიც ძირითადად კრამიტსამარხებისაგან  
სამაროვანი შედგება (სურ. 159, 160). სულ გაითხარა 30 სამარხი. სა-  
მაროვანზე დადასტურდა აგრეთვე: ორმოსამარხები  
(სურ. 170, 219, 304). ხის ძელებით გადახურული სამარხი (სურ. 217), თიხის  
ფილასამარხი (სურ. 209, 210) და ქვევრსამარხი (სურ. 309, 312).

კრამიტსამარხები ძირითადად წარმოადგენენ ბრტყელი და ლარიანი კრამი-  
ტებით ნაგებ ორფერდსახურავიან ყუთებს, რომლებიც მიწაში ამოთხრილ ორ-  
მოში ყოფილა გამართული (სურ. 239). ზოგიერთ კრამიტსამარხს იატაკიც კრა-  
მიტისა ჰქონია (სურ. 245). სამარხებში აღმოჩნდა: თიხის მოვარდისფროდ გა-  
მომწვარი სამტუჩა ხელალები, რელიეფური სარტყელებითა და კოპებით შექ-  
მული ხელადისებრი ჭურჭელი, კოჭბები, მინის სანელსაცხებლეები, ოქროს სა-  
ყურეები და სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები,  
რომაული და პართული მონეტები, გემიანი ბეჭდები, ირმისა და ვერძის ქანდა-  
კებები (საკიდები), ზარაკები და სხვ.

#### სამარხთა აღწავობა და ინვენტარი

ს ა მ ა რ ხ ი 1. სამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 30 მაისს საწარმოო უბან-  
ზე, სადაც იგი ნაწილობრივ დააზიანეს მშენებლებმა. სამარხის ორმო კულტუ-  
რულ ფენაში იყო გაქრილი, წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისა ჩანდა;  
მისმა სახურავმა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,30—0,35 მ სიღრმეზე იჩინა  
თავი. სახურავი ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტებისაგან შედგებოდა (სა-  
მარხის სახურავის გარეგანი ზომებია: 1,40 X 90 მ). იგი დასავლეთიდან აღმო-  
სავლეთისკენ იყო დამხრობილი. სამარხის კედლები არ გამოვლინდა. შესაძ-  
ლოა, კრამიტებით გადახურულ ორმოსამარხთან გვექონდეს საქმე. მიცვალებუ-  
ლი მარჯვენა გვერდზე ესვენა კიდურებმოკეცილი; ხელები თავს ქვეშ ჰქონდა  
ამოღებული. სამარხში აღმოჩნდა:

1 (01/5—1, სურ. 161). ხელადა, მოჩალისფროდ გამომწვარი, კარგად გან-  
ლექილი თიხისა. ოდნავ პირგადაშლილია; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს.  
ყელწიბოიანია, ცალყურა. ყურისთავი ყელზე აქვს დაქერწილი, ყურისძირი კი  
მხარზე. სიმაღლე — 17 სმ, ყელის დმ — 7 სმ, მუცლის დმ — 19 სმ, ძირის  
დმ — 14 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ.

2 (01/5—2, სურ. 162). ხელადისებრი სასმისი თიხისა, მოჩალისფროდ გა-  
მომწვარი, ოდნავ პირგადაშლილი. სადა, კარგად განლექილი თიხისაგანაა დამ-  
ზადებული. დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს. ცალყურა. ყურისთავი ყელზე

აქვს დაძვრწილი, ხოლო ყურისძირი მხარზე: მომრგვალებულმუცლიანია, ბრტყელძირა. სიმაღლე — 14,5 სმ, პირის დმ — 6 სმ; მუცლის დმ — 15 სმ, ძირის დმ — 10,5 სმ, კეცის სისქე — 0,4 სმ.

მ (01/5—2). სასაფეთქლე რგოლები (2 ც.), ბრინჯაოსი, მცირე ზომისა, ბოლოებგახსნილი, განივეკვთში მრგვალი.

ს ა მ ა რ ხ ი 2. მეორე ორმოსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 12 ივლისს IV ნაკვეთის მე-4 კვადრატში, ე. ი. საწარმოო უბანზე. იგი ნაწილობრივ დაუზიანებიათ ბოძისათვის ორმოს ამოღებისას. სამარხი მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე გამოვლინდა. სამარხის ორმო ქვალორლიან კირნარევე ფენაში იყო გაჭრილი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ იყო დამხრობილი.

მიცვალებული გულაღმა გაშოტილი ესვენა. ხელები მუცლას ქვემოთ, ბოქვენის მიდამოებში ჰქონდა დაწყობილი. ჩონჩხის ძვლები დაშლილიყო, თავის ქალა კი მშენებლებს დაეზიანებინათ. სტრატეგრაფია გვიჩვენებს, რომ სამარხი სახელოსნოს (საწარმოო უბნის) დანგრევის შემდეგ არის გამართული. სამარხში აღმოჩნდა:

4 (01/5—3; სურ. 163). სამხარლოე ყაწიმის(?) რგოლი, ბრინჯაოსი. იგი განივეკვთში მრგვალია და უსწორო (დმ — 3,3 სმ).

ს ა მ ა რ ხ ი 3 (სურ. 164). ეს ორმოსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 14 ივლისს IV ნაკვეთის მე-10 კვადრატში, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,30 მ სიმაღლეზე. სამარხი თიხნარშია გაჭრილი და მას დაზიანებული აქვს კულტურული ფენა. იგი ქვის ფილებით იყო გადახურული. სახურავად კირქვის ნატეხი ფილები იყო გამოყენებული (სახურავის გარეგანი განაზომები:  $1,92 \times 0,95$  მ). ცენტრალურ ნაწილში სამარხს თხელი ფილის ნატეხი ეფარა. სამარხის ორმო წაგრძელებულ-ოვალურია. ამ ორმოში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული. იგი გულაღმა გაშოტილი დაუსვენებიათ, თავით დასავლეთისკენ მიქცეული. მარჯვენა ხელი მუცელზე ედო, ხოლო მარცხენა — უსახლო ძვალზე, ბოქვენის მიდამოებში. ძვლები დაშლილიყო. სამარხი უინვენტარია.

ს ა მ ა რ ხ ი 4 (სურ. 165, 168). ეს კრამიტსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 15 ივლისს IV ნაკვეთის მე-4 კვადრატში, ე. ი. იგიც — საწარმოო უბანზე, თანაც — გვიანდელ ფენაში. სამარხი აგებული იყო ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტით. სახურავი ორფერდა უნდა ჰქონოდა. კრამიტსამარხი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისა ყოფილა, მაგრამ ნაწილობრივ დაზიანებული იყო. კრამიტყუთის გრძივი კედლები ოთხ-ოთხი ვერტიკალურად ჩადგმული ბრტყელი კრამიტებისაგან შედგებოდა, თავსა და ბოლოში ორ-ორი ბრტყელი კრამიტი იყო ჩაყენებული. ამგვარად შედგენილი ყუთი ბრტყელი კრამიტებით გადაუხურავთ, ხოლო მათი შეერთების ხაზებზე ღარიანი კრამიტები დაუფარებიათ (კრამიტყუთის გარეგანი ზომები —  $1,90 \times 10,0$  მ, შიდა —  $1,40 \times 0,80$  მ) სამარხი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ყოფილა დამხრობილი.

სამარხის სახურავი ჩაქეული იყო, ხოლო ყუთი — მიწით ამოვსებული. სამარხში გამოვლინდა ბავშვის ჩონჩხის ნაწილები. სამარხში აღმოჩნდა:

5 (01/5—4, სურ. 167). მძივები სარდიონისა, მოწითალო-მოვარდისფრო, გამკვირვალე, თოთხმეტწახნაგა. სიგანე — 0,9 სმ. სიგრძეზე გახვრეტილია.

6 (01/5—4). მძივი მინისა, მრგვალი, ბურთულა. ირიზებულია (დმ — 1,0 სმ).

ს ა მ ა რ ხ ი 5 (სურ. 166). ეს ორმოსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 3 ივლისს IV ნაკვეთის მე-2 კვადრატში მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,30 სმ სიღრმეზე. სამარხის უსწორო ოვალური მოყვანილობის ორმო გაუჭრიათ ქვალორიდან კირნარეე ფენაში. სამარხი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო დამხრობილი. ორმოს განაზომები:  $1,65 \times 0,80$  მ. სამარხის იატაკზე აღმოჩნდა რიყისა და კლდის ქვატეხილები (ორმოსამარხს საწარმოო უბნის გვიანდელი ფენა გაეჭრა).

მიცვალებული კიდურებმოკეცილი ესვენა, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე. ძვლები ძლიერ დეფორმირებული და არეული იყო.

მე-5 სამარხში აღმოჩნდა:

7 (01/5—5, სურ. 169). ხელადა სამტუჩა, კარგად განლექილი და მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა, თხელკეციანი, ცალყურა (ყურ-მომტერეულია); მხრები — დაქანებული, მუცელი — მომრგვალებული; ყურისთავი უშუალოდ პირზეა მიძერწილი, ყურისძირი კი მხარზე. ყურისთავთან რელიეფური კოპი აქვს დაძერწილი. მუცელზე რელიეფური კოპებისაგან შემდგარი სამი სარტყელი შემოსდევს; ძირი ბრტყელი აქვს. ცხადია, მორგვზეა ნაკეთები. განაზომები: სიმაღლე — 16 სმ, მუცლის დმ — 13 სმ, ძირის დმ — 9 სმ, პირის დმ —  $7 \times 5,6$  სმ.

ს ა მ ა რ ხ ი 6 (სურ. 170). ეს ორმოსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 19 აგვისტოს, ქვალორიდან კირნარეე ფენაში (IV ნაკვეთის 1 კვადრატი). ოვალური მოყვანილობის სამარხი ორმოს განაზომებია:  $1,25 \times 0,80$  მ.

მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთ მხარეზე. სამარხის სამხრეთი ნაწილი დაუზიანებიათ მშენებლებს. სამარხში აღმოჩნდა:

8 (01/5—6, სურ. 171). ხელადა, მოჩალისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა, თხელკეციანი; ოდნავ პირგადაშლილია, ცილინდრულყელიანი, ცალყურა და მუცელმომრგვალებული; ყურისთავი მხარზე აქვს დაძერწილი, ყურის ძირი კი მუცელზე. მუცელზე რელიეფური კოპებისაგან შემდგარი სამი სარტყელი აქვს. ძირბრტყელია. მორგვზე დამზადებული. სიმაღლე — 13,0 სმ, პირის დმ — 5,9 სმ, მუცლის დმ — 13,4 სმ, ძირის დმ — 8,5 სმ.

9 (01/5—7, სურ. 172). ხელადისებრი სასმისი, მოვარდისფროდ გამომწვარი. ოდნავ პირგადაშლილია, ცილინდრულყელიანი, ცალყურა, სფერულმუც-



ლიანი. ყურისთავი მხარზე აქვს დაძვრწილი, ყურისძირი კი მუცელზე. მუცელზე რელიეფური კოპებისაგან შემდგარი ორი სარტყელი აქვს. ძირბრტყელია. სიმაღლე — 10,3 სმ, პირის დმ — 4,5 სმ, მუცლის დმ — 11,3 სმ, ძირის დმ — 8,5 სმ.

10 (01/5—11, სურ. 176). ბეჭედი ბრინჯაოსი, ფარაკიანი. ბრტყელი ოვალური რკალი მხრებთან თანაბრად გაფართოებულია და თანდათან გადადის ოთხკუთხა ფარაკში. მხრებზე ამოკვეთილია ხის შეფოთილი რტოს გამოსახულება. ფარაკზე თვალბუდე ყოფილა დარჩილული. თვალბუდის გარშემო წერტილებისგან შემდგარი წრე ამჩნევიან.

11 (01/5—15, სურ. 175). ბეჭედი რკინისა, გემიანი, ძლიერ დაქანებულია. შემორჩენილია განივკვეთში მრგვალი რკალის ნაწილი, რომელიც მხრებთან ფართოვდება და გადადის მომრგვალებულ ფარაკში. ფარაკში ოვალური მოვარდისფრო-მოწითალო ინტალიო ზის. გემაზე ამოკვეთილია ფეხზე მდგომი ფიგურა ჰერმესისა. ჰერმესის თავი გამოსახულია პროფილში მარცხნივ. მარჯვენა ხელი გვერდზე აქვს გაშვებული, რომელშიც ქისა უჭირავს. მარცხენა ხელში — კვერთხი. თავზე ქუდი — პეტასი ახურავს. ფარაკის სიგრძე — 1,2 სმ, სიგანე — 2,0 სმ, სიმაღლე — 0,3 სმ, რკალის დმ — 1,8 სმ, გემის სიგრძე — 0,9 სმ, სიგანე — 0,7 სმ.

12 (01/5—12, სურ. 174). სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსი (2 ც.). უსწორო, ოვალური მოყვანილობის თავებგახსნილი სადა რგოლებია, რომელთაც ბოლოები ერთმანეთზე გადატანილი აქვთ. რგოლების დმ — 2 სმ და 1.5 სმ.

13 (01/5—13, სურ. 179). ნემსი(?) ბრინჯაოსი. შემორჩენილია განივკვეთში მრგვალი ღერო და ყუნწის ნაწილი, სიგრძე — 4,5 სმ.

14 (01/5—14; სურ. 180). ზარაკი ბრინჯაოსი, დამტვრეულია და ნაკლული: შემორჩენილია ბრინჯაოს თხელი ფურცლისგან დამზადებული ზარხუფისებრი თავისა და გვერდების ნაწილი; თავი მომრგვალებული და გახვრეტილი ჰქონია.

15 (01/5—10, სურ. 177). მძივები: პასტის იოტები (26 ც.) ღია და ცისფერი. ერთი ცისფერი თვალედი, მრგვალ-ბრტყელი მძივია; ორი — მოვარდისფრო სარდიონისა; ორი — მომწვანო ფერის მინისა, ცილინდრული; ერთიც — მრგვალი, ჩამქრალი მარგალიტის ბურთულა მძივია.

16 (01/5—8, სურ. 173). მძივი ქვისა, დიდი, ბურთულა. დმ — 3.1 სმ, სიმაღლე — 2 სმ.

17 (01/5—9, სურ. 178). მძივი გიშრისა, მრავალწახნაგა. გახვრეტილია სიგანეზე. სიგრძე — 2,2 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი 7 (სურ. 181). ეს კრამიტსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 8 აგვისტოს, კარსნისხევში, II ნაკვეთის მე-6 კვადრატში, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,60 მ სიღრმეზე. იგი ნაწილობრივ სამხრეთ მხარეზე თირში ყოფილა გაქრილი. სამარხს არ აღმოაჩნდა სახურავი, მხოლოდ თავსა და ბოლოში დატანებული ჰქონდა გვერდებზე დაყენებული ბრტყელი კრამიტები, რომლებიც,

ჩვეულებრივ, ზურგით სამარხის შიგა მხარისაკენ იყო მიქცეული. გრძივი კედლების მხოლოდ ქვატეხილით ნაგები ნაშთი იყო შემორჩენილი აღმოსავლეთ მხარეს. ასეთი შედგენილობის გამო მას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს კრამიტსამარხი. სამარხის ორმო წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა (გარეგანი განაზომები:  $1,23 \times 0,60$  მ; შიგა განაზომები:  $1,05 \times 0,60$  მ). სამარხი ინდივიდუალური იყო. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთისკენ მიქცეული. მარცხენა ხელი მუხლამდე ჰქონდა ჩამოშვებული, ხოლო იდაყვი მოღუნული მარჯვენა გულმკერდის წინ ედო. ამ ხელში თითქოს მინიატურული თიხის ჭურჭელი ეჭირა. სამარხში აღმოჩნდა:

18 (01/5—16, სურ. 193). ხელადისებრი სასმისი, კარგად განლექილი, მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა; თხელკეციანი; პირი და ყური მოტეხილი აქვს; უხეშადაა ნაძერწი. ოდნავ პირგადაშლილი; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს, მომრგვალებული მუცელი. ყურისთავი მხარზე აქვს დაძერწილი, ხოლო ყურისძირი მუცელზე. ბრტყელძირიანი. მუცელზე ირიბი, რელიეფური კოპებისაგან შემდგარი სამი სარტყელი აქვს. განაზომები: სიმაღლე — 11,3 სმ, პირის დმ — 6,0 სმ, მუცლის დმ — 12,0 სმ, ძირის დმ — 8,1 სმ.

19 (01/5—17, სურ. 183). ხელადისებრი სასმისი თიხისა: მოჩალისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი, უხეშად ნაძერწი; პირგადაშლილია, დაბალი ცილინდრული ყელი აქვს. ყურისთავი მხარზეა დაძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. სფერულმუცლიანია, ძირბრტყელი. მუცელზე რელიეფური კოპების ორი სარტყელი აქვს. ყურმოტეხილია და პირჩამომტვრეული. სასმისის სიმაღლე — 10,5 სმ, პირის დმ — 6 სმ, ძირის დმ — 7 სმ.

20 (01/5—18, სურ. 184). ხელადისებრი სასმისი თიხისა: მოჩალისფროდ გამომწვარი, მინიატურული; ხელითაა ნაძერწი; ოდნავ პირგადაშლილია; არათანაბრად მომრგვალებული მუცელი აქვს. მოზრდილი ყურისთავი მხარზე აქვს დაძერწილი, ხოლო ყურისძირთან მხარზე ამოღარული წერტილების სარტყელი ემჩნევა. ასევე ამოღარული ხაზები ვერტიკალურად დაუყვება მთელ ტანზე, ძირამდე. ამგვარი სამკაული ყურზეც ამჩნევია. სიმაღლე — 3,8 სმ, პირის დმ — 2,1 სმ, მუცლის დმ — 3,4 სმ, ძირის დმ — 3 სმ.

21 (01/5—19, სურ. 191). ფირფიტის ნატეხები, რკინისა, ძლიერ დაყინული (დანა?).

ს ა მ ა რ ხ ი 8 (სურ. 182, 186). კრამიტსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 6 აგვისტოს, II ნაკვეთის მე-6 და 8 კვადრატებში, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,80 მ სიღრმეზე. სამარხი ფერდზე ყოფილა გამართული, ამიტომ შეუძლებელი იყო ჩადგმისდროინდელი ზედაპირის დადგენა. სამარხი ორმო ნაწილობრივ თირში გაუჭრიათ. იგი წაგრძელებული ოთხკუთხა მოყვანილობისაა. სამი კედელი შედგენილი იყო ვერტიკალურად ჩაყენებული ბრტყელი კრამიტებით, მეოთხე კედლად თირია გამოყენებული. სამარხის აღმოსავლეთ გვერდზე ერთი ბრტყელი კრამიტი იყო. ჩრდილო კედელი ვერტიკალურად მდგარი ოთხი კრა-

მიტისაგან შედგებოდა, ხოლო თავსა და ბოლოში ორ-ორი ასეთივე კრამიტი ჰქონდა დატანებული.

სამარხში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული. იგი მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით დასავლეთ მხარეზე ესვენა. ძვლები ნაწილობრივ დაშლილი ჩანდა. სამარხის იატაკი მოსწორებული თირისა იყო. სამარხში აღმოჩნდა:

22 (01/5—20, სურ. 187). ხელადა თიხისა: მოჩალისფროდ გამომწვარი, მსხლისებრტანიანი; ოდნავ პირგადაშლილი, დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს. ყელწიბოიანი. ყურისთავი ყელზე აქვს დაძერწილი, ყურისძირი — მუცელზე. მხრებდაშვებულია, ძირბრტყელი. სიმაღლე — 14,5 სმ, პირის დმ — 7,8 სმ, ძირის დმ — 11 სმ.

23 (01/5—21, სურ. 185). ხელადა თიხისა: მოჩალისფროდ გამომწვარი, მსხლისებრტანიანი, ოდნავ პირგადაშლილი; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს, ყელწიბოიანი. ყური განივკვეთში ოთხკუთხა-მომრგვალებული, ყურისთავი ყელზე აქვს დაძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. კარგად განლექილი თიხისგანაა დამზადებული. სიმაღლე — 13 სმ, პირის დმ — 7,3 სმ, ძირის დმ — 10 სმ, მუცლის დმ — 14 სმ.

24 (01/5—22). ხელადისებრი სასმისი თიხისა: მოჩალისფროდ გამომწვარი, მსხლისებრტანიანი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, ოდნავ პირგადაშლილია, ცილინდრულყელიანი; ყელზე ამჩნევია მკრთალი რელიეფური სარტყელი. მხრები მკვეთრად დაქანებული აქვს, ძირი — ბრტყელი, სიმაღლე — 9,5 სმ, მუცლის დმ — 9,9 სმ.

25 (01/5—23, სურ. 188). დანა რკინისა: ძლიერ დაქანგულია, ცალპირ-ლესილი, ოდნავ მოღუნული. ყუნწიანი. შემორჩენილია ყუნწი, რომელშიც რკინის მანქვალაა გაყრილი.

ს ა მ ა რ ხ ი 9 (სურ. 194). ეს ორმოსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 31 ივლისს, II ნაკვეთის მე-6 კვადრატში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,70 მ სიღრმეზე. სამარხი ორმო (დაახლ. 0,70 × 0,60 მ) მოყვითალო ფერის თიხნარში გაუჭრიათ. ოთხკუთხა მოყვანილობისაა, თუმცა, ორმოს ზუსტი კონტურების დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული. იგი მარცხენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთ მხარეზე. მარცხენა ხელი მუხლის გასწვრივ ჰქონდა ჩამოშვებული, იდაყვში მოღუნული, მარჯვენა ხელი კი პირისახის წინ ედო. სამარხში აღმოჩნდა:

26 (01/5—25, სურ. 192). კოკობი თიხისა: მოვარდისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი, ტანზე შერჩენილი აქვს წითელი საღებავის კვალი; ოდნავ პირგადაშლილია, დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს, მსხლისებრტანიანი, ძირბრტყელი. ყურისთავი მხარზე ჰქონია დაძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე (ყურნაკლულია). პირზე სადინარი აქვს. სიმაღლე — 7,5 სმ, მუცლის დმ — 7,4 სმ, პირის დმ — 4,6 სმ, ძირის დმ — 5 სმ.

27 (01/5—24, სურ. 189). კოჭობი თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი, მსხლისებრტანიანი. დამზადებულია კარგად განლეპილი თიხისაგან, თხელკეციანია, ოდნავ პირგადაშლილი, დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს. ტანზე შერჩენილი აქვს წითელი საღებავის კვალი. მუცელზე მკრთალად ამჩნევია რელიეფური კოპებისაგან შემდგარი სარტყელი. განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი ყური მხარსა და მუცელზე აქვს დაბერწილი. სიმაღლე — 7,3 სმ, პირის დმ — 4,8 სმ, ძირის დმ — 5 სმ. უხეშადაა ნაქერწი.

28 (01/5—26, სურ. 190). მიწვები, ბურთულა იოტები. დამზადებულია ლურჯი მინისაგან. შესაძლოა მოოქრული იყო — შერჩენილი აქვს ოქროფერვის კვალი.

სამარხი 10 (სურ. 195, 196). კრამიტსამარხი აღმოჩნდა 1975 წლის 11 აგვისტოს, II ნაკვეთის მე-8 კვადრატში. სამარხი მოყვითალო ვერის თიხნარ ფენაში გაუქრით მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,30 სმ სიღრმეზე. სამარხი შედგენილია ოთხი ბრტყელი, გვერდბაქეცილი კრამიტით: თავსა და ბოლოში კრამიტები ვერტიკალურად იდგა, ხოლო გრძივი კედლები გვერდულად; ჩადგმული კრამიტებისაგან შედგებოდა. სამარხი გადახურული ყოფილა ერთი ბრტყელი კრამიტით, ასევე ერთი კრამიტი ქმნიდა იატაკს. თავსა და ბოლოში კრამიტებს შეყენებული ჰქონდათ თირის ბრტყელი ქვები. სამარხის განზომებები: 0,60 × 0,45 × 0,50 სმ.

სამარხში ჩონჩხი არ ყოფილა, შესაძლოა კენოტაფი იყო(?). სამარხში აღმოჩნდა:

29 (01/5—27, სურ. 197). მივი პასტისა: მომწვანო, რომბისებრი, დაწახნაგებული, ინკრუსტირებულია მინის ოქროსფერი „თვლებით“. სიგრძეზე გახვრეტილია. სიგრძე — 24 სმ, სისქე — 1,2 სმ.

30 (01/5—27). მივი პასტისა, კრელი, კასრისებრი. განზე ირიბად დაუყვება თეთრი, ყვითელი და მწვანე ტალღური ზოლები. სიგრძეზე გახვრეტილია.

81 (01/5—27). მივი პასტისა, მოთეთრო-მოყვითალო, ნიჟარისებრი.

32 (01/5—27, სურ. 197). მიწვები ძვლისა, ოთხკუთხა მოყვანილობის, დიაგონალურად ორი ამოღარული ზოლი ამჩნევია.

სამარხი 11 (სურ. 198, 199). აღმოჩნდა 1975 წლის 3 აგვისტოს, II ნაკვეთის მე-8 კვადრატში, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,50 მ სიღრმეზე. სამარხი თირშია გაქრილი. იგი წარმოადგენდა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ორფერდასახურავიან კრამიტყუთს, შედგენილს ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით (გარეგანი განზომებია: 14,3 × 1,0 მ). გრძივი კედლები შედგენილია ვიწრო თავით დაყენებული სამ-სამი ბრტყელი კრამიტისაგან, ხოლო თავსა და ბოლოში ორ-ორი კრამიტი ჰქონია ჩადგმული. სამარხი გადახურული იყო 6 ბრტყელი კრამიტით, რომელთა შეერთების ადგილზე ღარიანი კრამიტები იყო დაფარებული. ღარიანი კრამიტები ელაგა, აგრეთვე, სამარხის ცენტრალურ ნაწილში — სიგრძეზე: ეს კეხის კრამიტებია. სამარხის სახურავი

ცენტრალურ ნაწილში სიგრძე ჩაქცეულია. თვით სამარხი მიწით იყო ამოვსებული. სამარხეულ კრამიტებს შერჩენილი ჰქონდა წერნაქის კვალი; თითქმის ყველა კრამიტზე ამოღარულია ასო-ნიშნები. სამარხის შიგა განაზომებია:  $1,16 \times 0,78$  სმ.

სამარხში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული. იგი მარჯვენა გვერდზე ესვენა კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ძვლები ნაწილობრივ დაშლილი იყო. სამარხში აღმოჩნდა:

33 (01/5—28, სურ. 203). ხელადისებრი სასმისი თიხისა: ჩალისფრად გამომწვარი, ოდნავ პირგადაშლილია; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს, ტანი — მსხლისებრი, ყური — განივკვეთში ბრტყელი; ყურისთავი მხარზე აქვს დაძვრილი, ხოლო ყურისძირი — მუცელზე. მუცელზე ამჩნევია რელიეფური კოპებისაგან შეღვენილი სარტყელი. ძირბრტყელია, უხეშად ნაძერწი. სიმაღლე — 13,0, პირის დმ — 5,8, ძირისა — 7,0 სმ.

34 (01/5—29, სურ. 202). ხელადისებრი სასმისი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი. დამზადებულია მორგვზე, უხეშად ნაძერწი. პირგადაშლილი, დაბალი ცილინდრული ყელი აქვს, მუცელი — სფერული. ყური — მრგვალ-ბრტყელი; ყურისთავი მხართან აქვს მიძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. ძირბრტყელია. მუცელზე რელიეფური კოპებისგან შემდგარი ორი სარტყელი გადასდევს. სიმაღლე — 11,5, პირის დმ — 14,5, მუცლისა — 13,1 სმ.

35 (01/5—30). დანა რკინისა: ძლიერ დაქანგულია, ნაკლული, ცალპირლესილი. შემორჩენილია პირი და ყუნწის ფრაგმენტი. პირი სწორი, წვერისაკენ თანაბრად შევიწროებულია. სიგანე ყუნწთან — 8,7 სმ, პირის სიგანე — 7,8 სმ, სიგანე ვადასთან — 1,7 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი 12 (სურ. 200, 201). კრამიტსამარხი აღმოჩნდა 4 აგვისტოს, II ნაკვეთის მე-8 კვადრატში. იგი ნაწილობრივ თირში იყო გაჭრილი და მიწის აწინდელა ზედაპირიდან 1,85 მ სიღრმეზე მდებარეობდა (+2,05 მ).

სამარხი შედგენილია ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით. იგი წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხა, ორფერდასახურავიან ნაგებობას. გარეგანი განაზომებია:  $2,37 \times 1,12$  მ. სახურავი ჩვეულებრივ ჩაქცეულა.

სამარხის გრძივი კედლები შედგებოდა ოთხ-ოთხი ვერტიკალურად ჩადგმული ბრტყელი კრამიტისაგან, ხოლო ვანივი კედლები — ორ-ორი კრამიტისაგან. სულ სამარხის კედლების ასაგებად 12 სოლენი გამოუყენებიათ. კრამიტყუთი გადახურულია ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტებით. ამ უკანასკნელთა შეერთების ადგილებს, ჩვეულებრივ, ღარიანი კრამიტი ფარავს. სამარხის ცენტრალურ ნაწილში ორი კალიბტერი აღმოჩნდა. ისინი ჩვეულებრივ თავხეს ფარავდნენ, ე. ი. კეხის კრამიტებად გამოიყენებოდნენ. ყუთი მიწით იყო ამოვსებული. კრამიტყუთის შიგა განაზომებია:  $1,42 \times 0,80 \times 0,50$  მ.

სამარხში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული. იგი მარჯვენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სა-

მარხს იატაკი მოსწორებული თიხატყეპნილი და ნაწილობრივ თირისა ჰქონდა. სამარხში აღმოჩნდა:

36 (01/5—32, სურ. 205). ხელადა თიხისა, მოჩალისფროდ გამომწვარი; ოდნავ პირგადაშლილია; ყელი დაბალი, ცილინდული აქვს. ყელწიბოიანი; ყური ბრტყელგანივკვეთიანია. ყურისთავი ყელზე დაძერწილი, ხოლო ყურისძირი — მუცელზე. ტანი მსხლისებრი მოყვანილობისა აქვს და ეტყობა ანგობის კვალი. ძირბრტყელია. სიმაღლე — 16 სმ, პირის ღმ — 8,0, მუცლის — 18,0, ძირისა — 11,5 სმ.

37 (01/5—31, სურ. 206). კოკობი თიხისა, მოჩალისფროდ გამომწვარი. ოდნავ პირგადაშლილია; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს. სფერულმუცლიანი. ყურისთავი ყელზეა დაძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. საკუთრივ ყური მოტეხილი აქვს. სიმაღლე — 10 სმ, პირის ღმ — 5,5 სმ, მუცლის ღმ — 11,3, ძირის ღმ — 8,5 სმ.

38 (01/5—34, სურ. 204). ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაჟანგული და გატეხილია: განივკვეთში მრგვალბრტყელი. რკალი მხრებთან გაფართოებულია და გადადის დაბრტყელებულ, რომბისებრ ფარაკში. ბეჭდის ღმ — 2,4 სმ, ფარაკის სიგრძე — 2,0, სიგანე — 1,0 სმ.

39 (01/5—33). მონეტა ვერცხლისა. ოროდ I-ის (ძვ. წ. 57—37 წწ.).

ს ა მ ა რ ხ ი 13 (სურ. 207, 208). აღმოჩნდა 11 აგვისტოს, II ნაკვეთის მე-8 კვადრატში, მიწის ზედაპირიდან 1,75 მ სიღრმეზე (+2,58 მ). სამარხის ჩასადგმელი ორმო ამოჭრილია თირში. თვით სამარხი წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედის მოყვანილობის ორფერდსახურავიან კრამიტყუთს. იგი შედგენილია წერნაქით შეღებილი ბრტყელი და ლარიანი კრამიტებით.

სამარხის გრძივი კედლები შედგენილია ოთხ-ოთხი ვერტიკალურად ჩადგმული კრამიტით. სამხრეთი გრძივი კედლის გასწვრივ ერთ მხრივად შემოწყობილი იყო ქვატეხილები, ხოლო განივი კედლები ორ-ორი ბრტყელი კრამიტისგან შედგებოდა. სამარხი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ იყო დამხრობილი. სამარხის სახურავი ჩაქეული იყო, თვით ყუთი — მიწით ამოვსებული. კრამიტყუთის გარეგანი განაზომებია:  $1,52 \times 0,90$  მ. სამარხის იატაკი მოსწორებული თირისა იყო. კრამიტყუთის შიგა განაზომებია:  $1,70 \times 1,64 \times 0,88$  მ. სამარხში ერთი მიცვალეული დაუკრძალავთ; მას ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოწყობილი. სამარხში აღმოჩნდა:

40 (01/5—35, სურ. 216). ხელადისებრი სასმისი თიხისა: ჩალისფრად გამომწვარი, ოდნავ პირგადაშლილი, პირდაბრტყელებული, დაბალი; ცილინდრული ყელი აქვს, ყელწიბოიანია, სფერულმუცლიანი; ყურისთავი ყელზეა მიძერწილი, ყურისძირი — მუცელზე. ძირბრტყელია; ტლანქად ნაძერწი. დამზადებულია მორგვზე. სიმაღლე — 12,5 სმ, პირის ღმ — 6,8, მუცლის — 13,5, ძირისა — 9,5 სმ.

41 (01/5—36, სურ. 215). კოკობი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი: ოდ-

ნავ პირგადამლილია; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს. სფერულმუცლიანია, ძირბრტყელი, ყური განივკვეთში მომრგვალო; ყურისთავი მხარზე აქვს დაძერწილი, ხოლო ყურისძირი — მუცელზე. ყურზე ირიბი ნაქდები ზოლებისგან შედგენილი სარტყელი ამჩნევია, ყელს ქვემოთ ნაქდები ტალღური სარტყელი შემოსდევს, ხოლო მუცელზე — ირიბი ამოღარული ზოლები გასდევს. სიმაღლე — 9,1 სმ, პირის დმ — 6,0, მუცლის — 10,9, ძირისა — 6,5 სმ.

42 (01/5—37, სურ. 213). დანა რკინისა: სასხლავი უნდა იყოს; ძლიერ დაქანებულია, ცალპირა; პირი თანაბრად შევიწროებულია წვერისაკენ. ყუნწიანია, რომელშიც ორი მანკვალი და ხის ტარის ნაშთებია შერჩენილი. სიგრძე ყუნწიანად — 6,3 სმ. პირის სიგრძე — 4,0 სმ, პირის სიგანე — 1,2 სმ (ვლასთან), პირის სისქე — 0,02 სმ.

43 (01/5—40, სურ. 212). სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი: ღერო განივკვეთში მრგვალია; რგოლი — ოვალური; თავები ოდნავ დამსხვილებული აქვს. დმ — 1,5 სმ.

44 (01/5—40, სურ. 212). სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი. ზემოაღწერილის ანალოგიურია, თავგახსნილი არ არის, დმ — 1,2 სმ.

45 (01/5—38, სურ. 214). მძივები: ა. ცისფერი მინისა, დაწახნაგებული (23 ც.). საშუალო სიგრძე — 0,8 სმ; ბ. მინისებრი პასტისა, ბურთულა (34 ც.), დმ — 0,5 სმ; გ. თეთრი მინისა. იგი წარმოადგენს ერთმანეთზე გადაბმულ სამ ბურთულა მძივს (5 ც.); დ. ლურჯი მინის, ოვალური მძივი. სიგანე — 7,0 სმ, სისქე — 2,5 სმ.

46 (01/9—39). მონეტა ვერცხლისა. არტაბან II-ის (10/11—38 წწ.).

ს ა მ ა რ ხ ი 14 (სურ. 209, 210). აღმოჩნდა 1975 წლის 23 აგვისტოს, I ნაკვეთის მე-9 კვადრატში. მიწის ახლანდელი ზედაპირიდან 1.80 მ სიღრმეზე (+1,85 მ). იგი უშუალოდ ნამოსახლარის კულტურულ ფენაშია გაჭრილი და ნაგებია თიხის კვადრატული ფილებით. ეს თიხის ფილასამარხი დამხრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამარხის სამხრეთი მხარე მთლიანად თირში იჯდა. სამარხი წარმოადგენს კუბური მოყვანილობის ყუთს, რომლის იატაკიცა და სახურავიც თითო ფილისაგან შედგებოდა. ფილების საშუალო ვანაზომებია:  $0,38 \times 0,38 \times 0,40$  მ.

სამარხი პირამდე საესე იყო თიხნარით, სილანარევი მიწით. შიგ ბავშვი იყო დაკრძალული. იგი მარჯვენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი, თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. სამარხში აღმოჩნდა:

47 (01/5—41, სურ. 225). მძივი პასტისა, ბურთულა მოყვითალო ფერისა. ტანზე ამჩნევია თეთრი კლაკნილი ზოლი. დამტვრეულია. დმ — 1,1 სმ.

48 (10/5—42). რკინის ნივთის (დანის?) ნატეხი. ისე ძლიერ დაშლილი, რომ აღება ვერ მოხერხდა.

ს ა მ ა რ ხ ი 15 (სურ. 222). აღმოჩნდა 1975 წლის 20 აგვისტოს, მიწის

ზედაპირიდან 0,50 მ სიღრმეზე (—0,65 მ). სამარხი გაჭრილი იყო ქვალორიან, სილანარე ფენაში. მიცვალებული დაუქრძალავთ ოვალური მოყვანილობის ორმოში (1,38 × 0,85 მ); იგი ესვენა მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ძვლები დაშლილი იყო. სამარხი ორმო დაეზიანებინათ მიწის სამუშაოებისას. სამარხში აღმოჩნდა:

49 (01/5—44, სურ. 229). ხელადა თიხისა: მოწითალო-მოვარდისფროდ გამოძწვარი; პირი და ყელი ჩამოტეხილი აქვს. თხელკეციანია: კარგად განლექილი თიხისგან დამზადებული. მუცელი მომრგვალებული აქვს, ძირი — ბრტყელი. მუცელსა და მხარზე რელიეფური კოპებისაგან შემდგარი ხუთი სარტყელი აქვს შემოვლებული; ყური — მომრგვალებული, განიკვეთში ოთხკუთხა; ყურისთავი მხარზე აქვს მიძერწილი, ხოლო ყურისძირი — მუცელზე. სიმაღლე — 10,5 სმ, მუცლის დმ — 14,5, ძირისა — 10,5 სმ.

50 (01/5—43). ხელადა თიხისა: მოწითალო-მოჩალისფროდ გამოძწვარი, დამტვრეული, მსხლისებრტიანანი, პირგადაშლილი, ძირბრტყელი; ყური — განიკვეთში მომრგვალებული; ყურისთავი ყელთან აქვს დაძერწილი, ყურისძირი — მხარზე. მრგვალ მუცელზე ემჩნევა ამოღარული სარტყლები — მორგვზე ტრიალის კვალი. სიმაღლე — 11,2, ძირის დმ — 6,0, მუცლისა — 10,6 სმ.

51 (01/5—45, სურ. 228). დანა რკინისა: ყუნწიანი, ცალპირლესილი; ძლიერ დაჟანგებულია და ნაკლული. სიმაღლე — 11,2, ყუნწის სიგრძე — 4,0, პირის სიგანე — 2,0 სმ.

სამარხი 16 (სურ. 219). 11.11.75 (+0,1,25 მ). ეს ორმოსამარხი ნასახლარის მე-19 კედლის აღების შემდეგ გამოვლინდა. სამარხის ორმო (1,35 × 0,85 მ) მოყვითალო თიხნარ ნიადაგში გაუჭრიათ მიწის ზედაპირიდან 1,80 მ სიღრმეზე. მიცვალებული უშუალოდ ორმოში ესვენა, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთ მხარეზე. სამარხში აღმოჩნდა:

52 (01/5—129, სურ. 227). ხელადა თიხისა: მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამოძწვარი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან; პირგადაშლილია, ყელწიბოიანი; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს; მუცელი — სფერული; ყური — განიკვეთში მომრგვალებული. ყურისთავი ყელზე აქვს დაძერწილი, ყურის ბოლო — მხარზე. ძირბრტყელია. სიმაღლე — 15,4, პირის დმ — 5,5, ძირის — 10,7, მუცლისა — 16,0 სმ.

53 (01/5—189, სურ. 223). კოჭობი თიხისა: მოწითალო-მოჩალისფროდ გამოძწვარი, თხელკეციანი, სადა; პირი და ყური ჩამოტეხილი აქვს; ყელზე ნაქდევნი ხაზებით შედგენილი სარტყელი ამჩნევა.

54 (01/5—190, სურ. 226). მძივები მინისა (3 ც.) — ერთი სეგმენტისებრი, მეორე — ცილინდრული, მოოქრული; მესამე — მწვანე, ბურთულა (სეგმენტისებრი მძივის სიგრძე — 0,9 სმ).

სამარხი 17 (სურ. 217, 221). 9.IX.75. აღმოჩნდა ნასახლარის ერთ-



ერთი კედლის (№ 19) აღების შემდეგ მიწის აწინდელი ზედაპირიდან 2,00 მ სიღრმეზე. იგი ძირითადად თირში ამოჭრილ ორმოში (1,55 × 1,10 მ) იყო გამართული. ნაგები ყოფილა კრამიტით, ქვატეხილითა და ხის ძელებით. გრძივ კედლებს ქმნიან ვერტიკალურად ჩადგმული ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტები. განივი კედლები ქვატეხილით არის ნაგები, ხოლო გადასახურავად გამოუყენებიათ ზის ძელები და კრამიტები — შემორჩენილი იყო ორი ბრტყელი და ორი ღარიანი კრამიტი. სამარხი მიწით იყო ამოვსებული და გაძარცული ჩანდა. იგი დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე აღმოჩნდა დამხრობილი. სამარხის გარეგანი განზომებია: 1,65 × 0,93 მ. შიდა ზომები — 1,28 × 0,88 მ. მას იატაკი თირისა ჰქონდა. სამარხში აღმოჩნდა:

55 (01/5—46, სურ. 224). კოქობი თიხისა: მოჩალისფროდ, მაგრამ კარგად გამომწვარი, უყურო, პირგადაშლილი; ყელი დაბალცილინდრული აქვს: მუცელი — მრგვალი; ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 6,2, პირის დმ — 4,7, ძირის — 7,0, კეცის სისქე — 0,2 სმ.

56 (01/5—49). სამაჯური ბრინჯაოსი: ძლიერ პატინირებული და დაშლილი. იგი წარმოადგენს მრგვალგანივევითიან ღრუ რკალს, რომელზედაც დახვეულა ბრინჯაოსივე მავთული (დმ — 7,0 სმ).

57 (01/5—47). ბეჭედი რკინისა: გემიანი, ძლიერ დაჟანგული და დაშლილი. შემორჩენილია განივევითში მრგვალი რკალის ნატეხი, რომელიც მხრებთან გამსხვილებულია და გადადის ოვალური თვალბუდეში. ამ ბუდეში მოყავისფრო სარდიონის ინტალიო ზის. გემაზე ამოკვეთილია სინკრეტული ღვთაება (ათენას, ნიკეს და ტიხე-ფორტუნას სახეებია შერწყმული). ქალღმერთს მუზარადი ზურაფს. მხრის უკან მოჩანს გრძელი ფრთა. მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს, მარჯვენა ხელში კი თავთავი და ყაყაჩოს ყვავილი. იმავე ხელით საკვს ეყრდნობა.

58 (01/5—48). ბეჭედი რკინისა: თვალედი. ძლიერ დაჟანგული და დამტვრეულია. შემორჩენილია განივევითში მომრგვალებული რკალის ნატეხი, რომელიც მხრებთან ფართოვდება და გადადის ოვალურ სათვალბუდეში. ამ უკანასკნელში თეთრი პასტის თვალი მჭდარა (შემორჩენილია მხოლოდ ნაშთი). თვალბუდის სიგრძე — 1,2 სმ, სიგანე — 1,0 სმ.

სამარხი 18 (სურ. 218, 220, 231, 232). 3.IX.75 (+0,80 მ). გამართულია მდინარეულ ქვიშნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 0,25 მ სიღრმეზე. მისი გრძივი ღერძი მიმართულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ეს წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობის ორფერდასახურავიანი კრამიტყუთი ნაგებია ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტის ჩვეულებრივი მონაცვლეობით (სამარხის გარეგანი განზომებია: 2,00 × 1,00 × 0,65 მ). სამარხის გვერდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წახნაგოვანია, სახურავი სამარხში იყო ჩაქცეული. აღმოსავლეთი გრძივი კედელი ოთხი გვერდულად ჩადგმული კრამიტისაგან შედგებოდა, ხოლო მოპირდაპირე მხარე — ვერ-

ტიკალურად ჩადგმული ორი ბრტყელი და ორი ღარიანი კრამიტისაგან. თავკედ-  
ლებად თითო-თითო სიგრძივჩადგმული კრამიტი იყო გამოყენებული. თავზე გა-  
დაუხურავთ ხუთი ღარიანი კრამიტით.

სამარხი მიწით იყო ავსებული (შიგა განზომებია:  $1,24 \times 0,65$  სმ). იგი  
ინდივიდუალური ყოფილა. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, ძლიერ  
ხელფეხმოკეცილი. ხელები, როგორც ჩანს, თავქვეშ ჰქონდა ამოწყობილი. სა-  
მარხში აღმოჩნდა:

50 (01/5—50, სურ. 230). ხელადა თიხისა: სამტუჩა, პირჩამოტეხალი, მო-  
ჩალისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი, დამზადებულია კარგად განლექილი  
თიხისაგან. სფერულტანიანი, ძირბრტყელი; დაბალი, ცილინდრული ყელი აქვს.  
ყური განივკვეთში მომრგვალებულია; ყურისთავი უშუალოდ პირზე აქვს მი-  
ძერწილი, ხოლო ყურისძირი — მხარზე. ყურისა და პირის შეერთების ად-  
გილზე კოპი აქვს დაძერწილი. სიმაღლე — 16,5 სმ, მუცლის დმ — 16,0, ძირი-  
სა — 11,5 სმ.

60 (01/5—51, სურ. 233). ხელადა თიხისა: სამტუჩა, პირჩამოტეხილი, მო-  
ჩალისფროდ გამომწვარი; მსხლისებრტანიანი, განივკვეთში მომრგვალებული.  
ყურისთავი უშუალოდ პირზე აქვს დაძერწილი; ყურისძირი — მხარზე. ცილინ-  
დრულყელიანი: მუცელზე — მხართან, ამოღარული სარტყელი ამჩნევია; ყე-  
ლის ძირიდან მუცლისაკენ რადიალურად ამოღარული ზოლები გასდევს; ასე-  
თივე ზოლები მუცელზეც ეტყობა: ძირბრტყელია. სიმაღლე — 17,5, მუცლის-  
დმ — 16,0, ძირისა — 11,0 სმ.

61 (01/5—52, სურ. 235). კოჭობი თიხისა: ხელითაა ნაძერწი, მოჩალის-  
ფროდ გამომწვარი, ოდნავ პირგადაშლილია და ცილინდრულყელიანი. ყელს  
ქვემოთ და ყურზე ირიბი ნაჭდევი ზოლებისაგან შედგენილი სარტყელი გადას-  
დევს. ყური — განივკვეთში მომრგვალებულ-ოთხკუთხა; ყურისთავი ყელზე  
აქვს დაძერწილი, ყურისძირი — მუცელზე. ყურს გარედან ამოღარული ზოლი  
გასდევს. სფერული მოყვანილობის მუცელზე რელიეფური კოპების სარტყელი  
აქვს. მთელ ტანზე ირიბი ღარები — კანელურები ეტყობა. ძირი ბრტყელი აქვს.  
სიმაღლე — 6,0, პირის დმ — 4,0, მუცლის — 7,0, ძირისა — 5,0 სმ.

62 (01/5—53, სურ. 238). სანელსაცხებლგ მინისა: რძისფერია, ოდნავ პირ-  
გადაშლილი, პირშესქელებული; მაღალი, ცილინდრული ყელი ძირისკენ თა-  
ნაბრად გაფართოებულია; ოდნავ ძირშეზნექილი. სიმაღლე — 5,0, პირის დმ —  
1,2, მუხლის — 2,2, ძირისა — 1,8 სმ.

63 (01/5—55). ბეჭედი ბრინჯაოსი: ოვალური, განივკვეთში მრგვალ-  
ბრტყელი. რკალი მხრებისაკენ თანაბრად ფართოვდება და გადადის ოვალურ-  
ფარაკში. ფარაკზე თავლისფერი მინის ამობურცულზურგიანი თვალია დამაგ-  
რებული. თვალზე ამოკვეთილია მამაკაცის ბიუსტი — პროფილში მარჯვნივ.

64 (01/5—56, სურ. 234). ბეჭედი რკინისა: ძლიერ დაქანგული და დამ-

ტერეული. შემორჩენილია რომბის მოყვანილობის ფარაკი, რომელშიც მცირე ზომის მინის მომწვანო-მოცისფრო თვალი ზის.

65 (01/5—54, სურ. 237). მძივები გიშრისა, დამტვრეული, მრავალწახნაგა, სიგრძეზე გახვრეტილები.

ს ა მ ა რ ხ ი 19 (სურ. 239, 244, 245). 19.IV.75 (+0,40 მ). აღმოჩნდა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,50 მ სიღრმეზე. სამარხის ორმო მოყვითალო ფერის სილანარეე თიხნარში იყო გაჭრილი. ამ ორმოშია ჩადგმული წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, ბანურსახურავიანი კრამიტყუთი. სახურავი სამარხში იყო ჩაქცეული. სამარხი დამხრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. გარეგანი განაზომებია:  $1,60 \times 1,10$  მ.

სამარხის გრძივი კედლები სამ-სამი ვერტიკალურად ჩადგმული ბრტყელი, გვერდებზე კი კრამიტისგან შედგებოდა, ხოლო განივ კედლებად ორ-ორი ისეთივე კრამიტი ჰქონდა ჩაყენებული. იგი გადახურული იყო ბრტყელი და ღარიანი კრამიტების ჩვეულებრივი მონაცვლეობით. ამ სამარხს იატაკიც კრამიტისა ჰქონდა — ოთხი ბრტყელი კრამიტი ელაგა. შიგა განაზომებია:  $0,88 \times 0,83$  მ. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, კიდურებზე მოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

66 (01/5—57, სურ. 246). ხელადისებრი სასმისი თიხისა: მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, ბაკობაბრტყელებული. ყელი წიბოიანი; ყური — განივკვეთში მრგვალი. ყურისთავი ყელზე აქვს დაძერწილი, ყურისძირი — მუცელზე; ტანი — მსგლისებრი მოყვანილობისა, სადა; ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 12,0, პირის დმ — 6,0, მუცლის — 12,0, ძირისა — 17,5 სმ.

67 (01/5—403). ხელადისებრი სასმისი თიხისა: მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, სადა. ზემოაღწერილის ანალოგიური მოყვანილობითაც და სიდიდითაც.

68 (01/5—59, სურ. 241). ბეჭედი რკინისა, თვალედი. შემორჩენილია განივკვეთში მომრგვალებული რკინის ნაწილი, რომელიც თანდათან გადადის ოვალურ ფარაკში. ფარაკზე პასტის თვალი მჭდარა. ფარაკის სიგრძე — 1,0 სმ, სიგანე — 0,8 სმ.

69 (01/5—58, სურ. 242). სასაფეთქლე რგოლი თუ საყურე ბრინჯაოსი, დაფარულია პატინით. რგოლი განივკვეთში მრგვალია და შესამჩნევად დამსხვილებული, ბოლოები გახსნილი და დაწახნაგებული აქვს, დმ — 1,0 სმ.

70 (01/5—58, სურ. 242). სასაფეთქლე თუ საყურე — ზემოაღწერილის ანალოგიური და მისი წყვილი.

71 (01/5—60; სურ. 243). მძივები: 16 — გიშრისა, შვინდის კურკის ფორმის; 5 მინისა, ბურთულა.

ს ა მ ა რ ხ ი 20. 9.X.75 (+0,24 მ). აღმოჩნდა მე-2 ნაკვეთის მე-3 კვადრატში.

სამარხის ორმო მოყვითალო ფერის სილანარევი თიხნარ ნიადაგში გაუმართავთ. იგი წარმოადგენდა ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხს ( $0,90 \times 0,65$  მ). მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი. სამარხი დაზიანებული იყო მშენებელთა მიერ.

ამ ორმოსამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

ს ა მ ა რ ხ ი 21. 11.X.75 ( $-0,60$  მ). აღმოჩნდა IV ნაკვეთზე. სამარხს ჩაქრილი ჰქონდა მე-2 სახლის იატაკზე მდებარე კულტურული ფენა. იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო დამხობილი.

მიცვალებული უშუალოდ მიწაზე დაუსვენებიათ, ზევიდან კი ქვევრის ნამტვრევები გადაუფარებია (აღდგება ერთი ქვევრი). სამარხის გარეგანი განაზომებია:  $1,48 \times 0,80$  სმ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი. ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. ძვლები ძლიერ დაშლილი იყო.

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

ს ა მ ა რ ხ ი 22. 5.X.75 ( $+0,20$  მ). აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-10 კვადრატში. იგი კულტურულ ფენაში იყო ჩაშვებული. სამარხი ჩვილი ბავშვისა იყო და მხოლოდ ერთი ლარიანი კრამიტისაგან შედგებოდა (კრამიტის სიგრძე —  $52,0$  სმ, სიმაღლე —  $6,0$  სმ; თავთან —  $30,0$  სმ; ბოლოში —  $14,0$  სმ). ეს ერთადერთი კრამიტი ეფარა უშუალოდ მიწაზე დაწვენილი ბავშვის ჩონჩხს. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუსვენებიათ, კიდურებმოკეცილი, თავით დასავლეთისკენ. ძვლები ძლიერ დაშლილი იყო.

სამარხი უინვენტაროა.

ს ა მ ა რ ხ ი 23. 11.X.75 ( $+0,15$  მ). აღმოჩნდა პირველი ნაკვეთის მე-7 კვადრატში. იგი წარმოადგენდა კულტურულ ფენაში ჩაშვებულ ორმოსამარხს (განაზომებია —  $1,10 \times 0,55$  სმ). მიცვალებული მარცხენა გვერდზე ყოფილა დაკრძალული, კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ (დაკრძალულის პოზის დადგენა მხოლოდ მკერდის ქვედა ნაწილის მიხედვით მოხერხდა. ზედა ნაწილი წაცლილი ჰქონდა მიწის სამუშაოებისას).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

ს ა მ ა რ ხ ი № 24 (სურ. 248, 251). აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-7 კვადრატში. სამარხი კულტურულ ფენაში იყო ჩაქრილი, იგი ბანურსახურავიანია. ნაგებია ბრტყელი და ლარიანი კრამიტებით, მცირე ზომისაა ( $0,92 \times 0,58 \times 0,60$  მ), ბავშვის დასაკრძალავად განკუთვნილი. დამხრობილი სამხრეთ-აღმოსავლეთ — აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთ — დასავლეთისკენ. გრძივი კედლები ორ-ორი ვერტიკალურად ჩადგმული ბრტყელი კრამიტისგან შედგებოდა. სამარხის დასავლეთ ნაწილში დატანებული იყო ერთი გვერდულად ჩადებული ბრტყელი და ერთი ლარიანი კრამიტი, ხოლო აღმოსავლეთ მხარეს განივი კედლად — ერთი ბრტყელი კრამიტი ვერტიკალურად.

სამარხის სახურავად გამოყენებული იყო ორი თავშექცევით დადებული

ბრტყელი კრამიტი, რომელთა კიდებზე, როგორც ჩანს, ღარიანი კრამიტები ეწყო. სამარხი მიწით იყო ამოვსებული: იგი გაუძარცვავთ. ძელები არეული და დაშლილი აღმოჩნდა. მიცვალებული, როგორც ჩანს, მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ, მოკუნტულ პოზაში (სამარხის შიგა განაზომებია: 0,69 × 0,38 მ). სამარხში აღმოჩნდა.

72 (01/5—61). ბეჭედი ბრინჯაოსი, ფარაქიანი, დამტვრეული. შემორჩენილა ბრტყელი (ფურცლოვანი) რკალის ნაწილი, რომელიც მხრებთან თანაბრად ფართოვდება და გადადის რომბული მოყვანილობის ფარაქში.

73 (01/5—62). მძივები პასტისა, ბურთულა, მოყვითალო ფერისა (ალები-სას დაიშალა).

ს ა მ ა რ ხ ი 25 (სურ. 247, 249). 16.X.75 (+0,15 მ). აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-7 კვადრატში. სამარხი კულტურულ ფენაში გაუჭრიათ. სამარხს წარმოადგენს ერთი ღარიანი კრამიტი, რომელიც მიწაზე დასვენებულ ჩვილ ბავშვს ეფარა (ღარიანი კრამიტის განაზომებია: 0,48 × 0,35 × 0,11 მ). სამარხი დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. ჩონჩხი ძლიერ დაშლილი იყო. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ, მოკუნტულ პოზაში, თავით ჩრდილოეთისკენ. უინვენტარო.

ს ა მ ა რ ხ ი 26 (სურ. 250, 252, 253). 24.X.75. აღმოჩნდა I ნაკვეთზე, მე-10 კვადრატში. იგი კულტურულ ფენაში იყო გაჭრილი და წარმოადგენდა წაგრძელებულ კრამიტყუთს, რომელიც შედგენილი ყოფილა ბრტყელი და ღარიანი კრამიტებისგან. სამარხის გრძივი კედლები ოთხ-ოთხი ბრტყელი შიგნით გადაქცეული კრამიტისაგან შედგებოდა. განივი კედლებად თითო კრამიტია ჩაყენებული (გარეგანი ზომებია: 1,45 × 0,75 მ). სამარხი გადახურული უნდა ყოფილიყო კრამიტით, რაც ჩამსხვრეული იყო; იატაკი სამი თავებშექცეული კრამიტისა ჰქონდა. დამხრობა: სამხრეთ-დასავლეთ — დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ — აღმოსავლეთისაკენ.

მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი (სამარხის შიგა განაზომებია: 1,41 × 0,50 მ). სამარხში აღმოჩნდა:

74 (01/5—64). მონეტა ვერცხლისა, ავგუსტუსისა: პირჩამოტეხილია, ცუდადაა დატული. შუბლზე — ავგუსტუსი პროფილში მარჯვნივ, პირტიტველა, თმები უკან აქვს გაკრული ზონრით; გარშემო შემოუყვება გაცვეთილი წარწერა; ზურგზე — ფესზე მდგარი გაიუსი და ლუციუსი. დმ — 1,9 სმ.

75 (01/5—65, სურ. 254). ბეჭედი რკინისა, გემიანი: ძლიერ დაქანგული და ნაკლული. შემორჩენილია განივკვეთში მომრგვალებული რკალის ნაწილი, რომელიც მხრებისკენ გაფართოებულია და ოვალურ ფარაქში გადადის. ფარაქში მოყვითალო მინის ინტალიო ზის; მასზე გამოხატულია სტილიზებული არტემიდე ეფესელი, რომლის სხეული გადმოცემულია ამფორის სახით: თავზე მოდიუმი ადგას; მის ორივე მხარეს ავაზებია გამოსახული\*.

\* კარნისხევის სამაროვანზე აღმოჩენილი გეგმები განსაზღვრა ქ. რამიშვილმა.

76 (01/5—66, სურ. 255). საყურე თუ სასაფეთქლე ბრინჯაოსი: პატინით დაფარული. იგი წარმოადგენს განივკვეთში მომრგვალებულ ოვალურ რგოლს, რომლის ბოლოები დამსხვილებულია და ერთმანეთზე გადადის.

77 (01/5—67, სურ. 258). მძივი პასტისა: მოყვითალო, შეინდის კურკის ფორმისა, სიგრძეზე გახვრეტილი. სიგრძე — 1,5 სმ.

78 (01/5—63, სურ. 259). ხუფის სახელური თიხისა: მოჩალისფროდაა გამომწვარი, ძალიან წაგრძელებული კონუსის მოყვანილობისაა. შესაძლოა, სამარხში კულტურული ფენიდან იყოს მოხვედრილი.

სამარხი 27 (სურ. 256, 257, 260). 25.X.75 (+0,15 მ). აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-10 კვადრატში. სამარხი ნაწილობრივ კულტურულ ფენაშია ჩაჭრილი და წარმოადგენს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის კრამიტყუთს, რომელიც ნაგები იყო ბრტყელი, გვერდობაკეცილი და ღარიანი კრამიტების ჩეულებრივი მონაცვლეობით. სახურავი ორვერდა უნდა ჰქონოდა. განივ კედლებზე შემორჩენილი იყო „კეხის“ კრამიტის ნატეხები.

სამარხის სახურავის თითოეულ კალთას შეადგენს ხუთი ბრტყელი და ოთხი ღარიანი კრამიტი. გარდა ამისა, სამარხის სახურავს გარედან შემოსდევდა კრამიტის დიდრონი ნატეხების არშია (გარეგანი ზომებია: 2,75 × 1,05 მ). სახურავი სამარხში იყო ჩაქეული. იგი საგრძნობლად სცილდებოდა საკუთრივ კრამიტყუთს.

სამარხის გრძივი კედლები შედგება ოთხ-ოთხი ბრტყელი კრამიტისგან; განივ კედლებად ორ-ორი კრამიტი გამოუყენებიათ. სამარხი მიწით იყო ავსებული (შიგა ზომებია: 1,45 × 0,73 მ.).

სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა, მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

79 (01/5—68, სურ. 277). ხელადა თიხისა, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, თხელკეციანი; კარგად განლექილი თიხისგანაა დამზადებული, პირი სამტურა აქვს, ჩამოტეხილი: ყელი — ცილინდრული, ყური — განივკვეთში ოთხკუთხა-მომრგვალებული; მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი. ყურისთავი უშუალოდ პირზეა დაქრწილი, ყურისძირი — მხარზე. მუცელზე რელიეფური კოპებით შედგენილი სამი სარტყელი აქვს. სიმაღლე — 18,0, პირის დმ — 8,0. მუცლის — 17,0, ძირისა — 10,0 სმ.

80 (01/5—69, სურ.276). ხელადა თიხისა: მოწითალოდ გამომწვარი. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ჩამოტეხილია და ყურნაკლული, ყელი — წიბოიანი, დაბალი; მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. ყურისთავი ყელზე ჰქონია დაქრწილი, ყურისძირი — მხარზე. სიმაღლე — 13,0, პირის დმ — 5,5 მუცლის — 13,0, ძირისა — 9,5 სმ.

81 (01/5—70, სურ. 291). სანელსაცხებლე მინისა, მოცისფრო, ცილინდრული მოყვანილობის, ირიზებული: პირგადაშლილია და ბაკოდასქელებული. ყელი თითქმის არა აქვს, ტანი — ცილინდრულია, მხრებთან გაგანიერებული.

ძირისკენ თანაბრად შევიწროებულნი; ძირი — ბრტყელი, ოდნავ შეზნეჲილი. სიმაღლე — 9,5, პირის დმ — 3,0, ძირისა — 3,5 სმ.

82 (01/5—71, სურ. 268, 269). ზარაკები ბრინჯაოსი (2 ც.), მოყვანილობით კონუსისებრი. თავზე მრგვალი ყუნწი აქვს ჩამოსაკიდად. ტანზე — პირთან ამოღარული სარტყლები. ერთ ზარაკს შერჩენილი აქვს ენა, ისიც ბრინჯაოსი. სიმაღლე — 2,5, პირის დმ — 1,5 სმ.

83 (01/5—72—75, სურ. 270—273). ზარაკები ბრინჯაოსი (4 ც.), მოყვანილობით კონუსისებრი, ტანზე სამი ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის სარკმელია ამოჭრილი; თავზე მრგვალი ყუნწი აქვს. შერჩენილი აქვთ რკინის ენის ნაშთები. სიმაღლე — 2,0, პირის დმ — 1,0 სმ.

84 (01/5—96, სურ. 275). ზარაკები ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა, პირამიდისებრი: ტანზე თარაზულად ამოღარული ზოლები დაუყვება; თავზე მრგვალი ყუნწი აქვს. თავსა და პირზე რელიეფური სარტყელი შემოსდევს. წახნაგის ბოლოებზე ქიმებია. რკინის ენა ჰქონია. სიმაღლე — 2,0, პირის დმ — 1,0 სმ.

85 (01/5—88, სურ. 287, 289). ბეჭედი რკინისა, გემიანი, დაქანგული და ნაკლული. შემორჩენილია განიკვეთში სამკუთხა-მომრგვალო რკალის ნაწილი, რომელიც მხრებთან გაფართოებულია და გადადის ოვალურ თვალბუდეში. ბუდეში ყავისფერი სარდიონის ინტალიო ზის. მასზე გამოხატულია მხედარი-ღვთაება, მითრას და სხვა ასტრალურ ღვთაებათა შერწყმული სახე, პროფილში — მარჯვნივ. ცხენს ტორი აქვს აწეული ბომონის წინაშე, რომელზედაც ცეცხლი ანთია. მხედარს სხივებიანი ქუდი ახურავს და მხარზე მოსასხამის კალთა უფრიალებს. მის უკან სიცოცხლის ხე დგას, რომელზედაც გველია შემოხვეული. მხედრის თავზე, მარცხნივ, ნამგალა მთვარეა გამოხატული, ხოლო მარჯვნივ — ვარსკვლავი. გამოსახულება ნატიფად და მკაფიოდ არის ამოჭრილი, ფონი გაპრიალებულია, გამოხატულება კი მქრქალი. ინტალიოს სიგრძე — 1,5, სიგანე — 1 სმ.

86 (01/5—84). ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაქანგული და ნაკლული. შემორჩენილია განიკვეთში მომრგვალებული რკალის ნაწილი, რომელიც მხრებისკენ გაფართოებულია და გადადის ელიფსურ ფარაკში. ფარაკზე დამაგრებულია მოყვითალო ფერის ოვალური მოყვანილობის თვალი — ინტალიო: გამოხატულია ქალღმერთი გრძელ ნაოჭიან ქიტონში. მარცხენა ხელში მას გრძელი კვერთხი უჭირავს, მარჯვენაში კი სისტრუმი. გემის სიგრძეა 1,0 სმ.

87 (01/5—102, სურ. 286). ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაქანგული და ნაკლული. შემორჩენილია განიკვეთში მომრგვალებული რკალის ნაწილი, რომელიც მხრებისკენ გაფართოებულია და გადადის ოვალურ ფარაკში, რომელშიაც ყავისფერი სარდიონის ინტალიო ზის. გამოხატულია ქალღმერთი ნემეზიდა, რომელსაც მარცხენა ხელში საზომი უჭირავს, მარჯვენაით კი ქიტონის ზოლი აქვს გამოწეული (მხრის არეში). გემის სიგრძე — 0,7 სმ.

88 (01/5—81, სურ. 285). ბეჭედი ბრინჯაოსი, ოვალური. ბრტყელი რკალი

მხრებთან გაფართოებულია და გადადის მომრგვალებულ ფარაქში. ფარაქზე დამაგრებულია ლურჯი მინის ამალღებულზურგინი თვალი, რომელზედაც არამკვეთრად ჩამოსხმული გამოსახულებაა ფორტუნასი — სიუხვის ყანწი, რაშიც მცენარის შტო დევს. რკალის დმ — 1,5 სმ. ინტალიოს სიგრძე — 0,5 სმ.

80 (01/5—82, 85, 86). ბექედები რკინისა (3 ც.), სამივე ერთნაირია და, თითქმის ერთნაირადაც, ძლიერ დაქანგული და ნაკლული. შემორჩენილია განივკვეთში მომრგვალებული რკალის ნაწალი, რომელიც მხრებთან გაფართოებულია და გადადის მომრგვალებულ ფარაქში, რაშიც, როგორც ჩანს, პასტის თვალი მქდარა (ნაშთი შემორჩენილია ერთ ბექედზე). თვალბუდის სიგრძე — 1,2 სმ.

90 (01/5—73). საკიდი ბრინჯაოსი: ჰვირული, ბიკონუსური. თავზე მრგვალი ყუნწი აქვს დამაგრებული, ტანზე ემჩნევა რომბული მოყვანილობის ოთხი სარკმელი.

90a (01/5—76, სურ. 267). სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი: პატინით დაფარული. იგი წარმოადგენს განივკვეთში მომრგვალებული მავთულის რკალს, რომლის ბოლოები ერთმანეთზე გადადის. დმ — 1,1 სმ.

90b (01/5—83, სურ. 293). აბზინდა ბრინჯაოსი: უენო — მრგვალგანივკვეთიან რგოლზე შერჩენილია ბრინჯაოს მავთულისაგან დაწნული ძეწკვი. დმ — 1,5 სმ.

91 (01/5—73, სურ. 262). საკიდი ბრინჯაოსი: ჰვირულია, ბიკონუსური, ტანზე სამი რომბული სარკმელი აქვს; თავზე — მრგვალი ყუნწი; წახნაგის ბოლოებზე — წერტილოვანი ქიმები.

92 (01/5—97, სურ. 266). საკიდი ბრინჯაოსი — ყურძნის მტევნის იმიტაცია. თავზე მრგვალი ყუნწი აქვს. სიმაღლე — 1,6, დმ — 1,0 სმ.

93 (01/5—78, სურ. 261). საკიდი ბრინჯაოსი, პატინით დაფარული. რქებდაგრებილი ვერძის სკულპტურული გამოსახულებაა; ფეხმოტეხილია; ზურგზე შერჩენილი აქვს ყუნწის ძირები. მუცლის არეში ამოღარული ზოლი გასდევს. სიგრძე — 3,0, სიმაღლე — 2,0 სმ.

94 (01/5—77, სურ. 263). საკიდი ბრინჯაოსი: პატინით დაფარული. რქებდატოტვილი ირმის სკულპტურული გამოსახულებაა. ზურგზე დამაგრებული აქვს ყუნწი. მუცლის არეში ამოღარული ზოლი გასდევს. სიგრძე — 3,5 სმ, სიმაღლე — 2,0 სმ (ყუნწიანად).

95 (01/5—79, სურ. 264). საკიდი ბრინჯაოსი, პატინით დაფარული. რქებდატოტვილი ირმის სკულპტურული გამოსახულებაა, სტილიზებული. ფეხები მთავრდება რგოლებით, რომელშიც შერჩენილია რკინის ნაშთი. ზურგზე მრგვალი ყუნწი აქვს.

96 (01/5—80, სურ. 265). საკიდი ბრინჯაოსი — ძირგამოყვანილი სურის იმიტაცია.



07 (01/5—91, სურ. 283). მძივები ძოწისა: 5 ბრტყელია, დაწახნაგებული; 2 — თოთხმეტწახნაგა, სიგრძეზე გახვრტილი.

08 (01/5—91, სურ. 261). მძივები ლურჯი მინისა (10 ც.), თოთხმეტწახნაგოვანი.

09 (01/5—91, სურ. 278, 279, 282). მძივები ქვისა და პასტისა (18 ც.). 6 ცილინდრული, პასტისა. ამათგან ორი — ინკრუსტირებული, ორი მრავალწახნაგა, დანარჩენი — ბურთულა. ერთი მათგანიც ინკრუსტირებულია თეთრი მასით.

100 (01/5—91, სურ. 278). მძივები: შვიდი ლურჯია, დაწახნაგებული, დანარჩენი (23) — თაფლისფერი, ორნაწილელი.

101 (01/5—91, სურ. 278—283). მძივები სარდიონისა: ორი მრგვალობრტყელია, ოთხი ცილინდრული.

102 (01/5—91, სურ. 283, 290). მძივები სხვადასხვა. ერთი — მთის ბროლისა, დაწახნაგებული, სიგრძით 2,6 სმ, მეორე — ქალცედონის, ბიკონუსური, მესამე — მინისა, ბურთულა.

103 (01/5, სურ. 278—283). მძივები: ერთი — გიშრისა, კონუსური, დაწახნაგებული; სამი — პასტისა, მათგან ერთი — დაღარული, მეორე — მომწვანო-მოლურჯო, მსხლისებრი, მესამე — ბურთულა, ინკრუსტირებული, 18 კი მინის იოტებია. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე იასპის კენჭი (სანახელაო ქვა?) და რკინის ნივთის ნაწილები.

104 (01/5—100, 101). მონეტები ვერცხლისა (2 ც.), გოტარხესის (არტაბან II).

105 (01/5—102). მონეტა ვერცხლისა, ავგუსტუსის (გალიის ზარაფხანა).

106 (01/5—90, სურ. 284). საყურეები ოქროსი (2 ც.). ბოლოებგახსნილი ოვალური რგოლებია, ერთი ბოლო ყურძნის მტევნის იმიტაციით არის დაგვირგვინებული.

ს ა მ ა რ ხ ი 28 (სურ. 294). 29.X.75 (+0,20 მ). აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-10 კვადრატში. ოვალური ორმოსამარხი, რომელიც მოყვითალო ფერის სილანარევ-თიხნარ ნიადაგში ყოფილა ამოჭრილი (განაზომები: 1,60 X 0,90 მ), დამხრობილი ჩანდა SSO—NWW.

სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით SWW-კენ მიქცეული. ჩონჩხი ცუდად იყო დატული. სამარხში აღმოჩნდა:

107 (01/5—103, სურ. 299). ხელადა თიხისა, მოჩალისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, პირჩამოტეხილი, მსხლისებრტანიანი. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი, წიბოიანი; მუცელი — მსხლისებრი; ძირი — ბრტყელი. ბრტყელი ყურისთავი უშუალოდ ყელზე აქვს მიძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. სიმაღლე — 15,5, პირის დმ — 7,0, მუცლის — 16,0, ძირისა — 9,0 სმ.

108 (01/5—104, სურ. 295). სანელსაცხებლე მინისა, მომწვანო-მოლურჯო.

ირიზებულია. პირი გადაშლილი და დაბრტყელებული აქვს. ყელი — მაღალი, ცილინდრული, შეზნექილი სარტყლით გამოყოფილი კონუსური მოყვანილობის ტანისაგან; ძირი — შეზნექილი. სიმაღლე — 12,0, პირის დმ — 2,0, ყელის — 5,5, ძირისა — 5,0 სმ.

109 (01/5—107, სურ. 302). დანა რკინისა: ძლიერ დაეხანგული და ნაკლულია. შემორჩენილია დანის ყუნწი სამი მანჭვლითურთ და წვერის ნაწილი ქარქამითურთ. სიგრძე — 6,5, ყუნწისა — 3,5, პირისა — 3,0 სმ.

110 (01/5—109, სურ. 303). ლილაკი ოქროსი: სქელი ფურცლისგან დამზადებულ ლილაკისებრი გარსაკრავია(?) დმ — 0,5 სმ.

111 (01/5—108, სურ. 300). საკიდი ოქროსი: წარმოადგენს ოქროს მრგვალ ფირფიტას, რომელზედაც დაჩილულია ოქროსავე მავთულის ყუნწი და ერთი რგოლი. დმ — 0,4 სმ.

112 (01/5—105, სურ. 296). ვარდულები მინისა (16 ც.). შვიდფურცლოვანი ვარდულის იმიტაცია. მოოქრული ყოფილა.

113 (01/5—106, სურ. 298). მძივები: ერთი მოყვითალო პასტისა, ცილინდრული; მეორე — ლურჯი მინისა, მრგვალ-ბრტყელი; მესამე — აქატისა, ელიფსური, ზოლიანი, დაწახნაგებული, ერთი მთის ბროლისა — ბურთულა და ერთი ც — მინისა, მოოქრული.

114 (01/5—404, სურ. 297). საყურე და სასაფეთქლე ოქროსი (2 ც.). იგი წარმოადგენს ოქროს მავთულისაგან დამზადებულ ბოლოებგახსნილ და ბოლოებდამსხვილებულ ოვალურ რგოლს დმ — 1,8 სმ.

115 (01/5—110). მონეტა, ავგუსტუსის დენარი, გალიის ზარაფხანისა.

ს ა მ ა რ ხ ი 29 (სურ. 304). 30.XI.75 (+0,33 მ). აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-6—7 კვადრატებში. სამარხი წაგრძელებულ ოთხკუთხა ორმოს (1,18 X X 0,68 მ) წარმოადგენს. იგი ძელებით ყოფილა ნაგები. ორმოს კედლებზე კარგად შეინიშნებოდა ხის ძელების ანაბეჭდები. ხის კედლები 12,0 სმ სიმაღლეზე იყო შემორჩენილი. დამხრობა ჩრდილო-ჩრდილო — დასავლეთიდან სამხრეთ-სამხრეთ — აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში ერთი მიცვალებული დაუკრძალავთ, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისკენ დამხრობილი. სამარხში აღმოჩნდა:

116 (01/5—111, სურ. 302). ხელადა თიხისა, მოჩალისფრო-მოყვარდისფროდ გამომწვარი, სადა: პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი, წიბოიანი; ტანი — მსხლისებრი; ძირი — ბრტყელი; ყური — განივკვეთში მომრგვალებული. ყურისთავი ყელზე აქვს დაქერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. ბრტყელძირაა. სიმაღლე — 12,5, პირის დმ — 6,0, ძირის — 10,0, მუცლისა — 13,5 სმ.

117 (01/5—113, სურ. 306). სანელსაცხებლე მინისა, მომწვანო-მოლურჯო, ირიზებულია: პირი გადაშლილი და დაბრტყელებული აქვს; ყელი — მაღალი, ცილინდრული, შეზნექილი სარტყლით გამოყოფილი კონუსური მოყვანილო-

ბის ტანი; ძირი — ბრტყელი, თითქოს ოდნავ შეზნექილი. სიმაღლე — 10,5 სმ; პირის დმ — 1,5, ყელის — 6,0, ძირისა — 5,0 სმ.

118 (01/5—112, სურ. 307). ხელადა თიხისა, შავადაა გამომწვარი, სადა. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — ცილინდრული; ყური — განიკვეთში მომრგვალებული; ტანი — სფერული; ძირი — ბრტყელი; ყურისთავი უშუალოდ პირზე აქვს მიძერწილი, ყურისძირი კი მხარზე. სიმაღლე — 10,0, პირის დმ — 4,5, მუცლის — 8,0, ძირისა — 5,0 სმ.

119 (01/5—114; სურ. 305). ნემსი(?) ბრინჯაოსი, პატინით დაფარული, დამტკრეული. შემორჩენილია განიკვეთში მრგვალი — წვერისაკენ თანაბრად შევიწროებული ღერო, სიგრძით — 4,3 სმ.

118 (01/5—115). მძივი მინისა: მოგრძო, გვერდებდაწახნაგებული, თავ-ლისფერი.

ს ა მ ა რ ხ ი 30 (სურ. 309, 312). 26.XI.75 (+0,20 მ). აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-9 კვადრატში. ქვევრსამარხია, გვერდზე დაწვენილი სილანარევ თიხნარ ნიადგაში ამოთხრილ ორმოში. ქვევრი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან და მოვარდისფრო-მოჩალისფროდ არის გამომწვარი; დამხრობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებული ძლიერ მოკუნტულ პოზაში ასვენია მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ. სამარხის გვერდზე სხვა ქვევრის მოზრდილი ნატეხებიც იყო გადაფარებული. ქვევრის სიმაღლე — 0,93, სიგანე მუცლისა — 0,60 მ. სამარხში აღმოჩნდა:

120 (01/5—116, სურ. 310). ხელადა თიხისა, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, პირგადაშლილი: წიბოიანი ყელი, მსხლისებრი მოყვანილობის ტანში გადადის; ძირი ბრტყელი აქვს; ყური — განიკვეთში მომრგვალებულია; ყურისთავი ყელზე აქვს დაძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. სიმაღლე — 14,5, პირის დმ — 7,5, მუცლის დმ — 15, ძირის დმ — 10,5 სმ.


121 (01/5—117, 118, სურ. 311). მძივები: ორი — მოვარდისფრო სარდონისა მრგვალ-ბრტყელი; დანარჩენი ლურჯი მინისაა, სამნაწილედ.

1/ კარსნისხევის სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსები გვიან ანტიკური ხანის მასალის შემცველია. ანალოგიური კომპლექსები ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (9; 12; 17; 24; 37; 56) და, აგრეთვე, მის ფარგლებს გარეთ, თანაც ძალიან ფართოდ (46; 57; 61; 63; 66).

კარსნისხევის სამაროვანზე დადასტურებული დაკრძალვის წესი (ხელფენ-მოკეცილი), სამარხთა აღნაგობა (ქვევრსამარხები, ორმოსამარხები), აგრეთვე ინვენტარის ნაწილი (შავპრიალა კერამიკა) და სტრატეგრაფიული მონაცემები სამაროვნის ადრეულობაზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნულის გამო, შესაძლებელია სამაროვნის თარიღი ზოგადად I—II სს. განისაზღვროს (გამონაკლისს წარმოადგენს მე-3 სამარხი, რომელიც ქრისტიანული ხანისაა).

საანგარიშო წელს მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა ბაგინეთზე, სვე-



ტებიანი დარბაზის დასავლეთით. იქ, II ტერასზე მოიზომა ოთხი ნაკვეთი, რომელმაც ფაქტიურად გააგრძელა ჯერ კიდევ ორმოციან წლებში გავლებული თხრილი. ამ მონაკვეთზე ძირითადად მიმდინარეობდა ტერასის მოსწორება. ზედა ფენის ალებისას უხვად ჩნდებოდა მცხეთური, ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ლარიანი კრამიტების ნატეხები, აგრეთვე მოწითალოდ გამომწვარი თიხის ქურჭლის ნატეხები არმაზციხე III-ის პერიოდისა. იქვე გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები კედელი, ზემოაღნიშნული პერიოდის შენობის ნაშთი. გვიანდელ კედელში აღმოჩნდა:

122 (01/2—405, სურ. 327, 328). გვიანელინისტური ხანის ნაგებობის კარნიზის ნაწილი, რომელზედაც ამოკვეთილია ლომის რელიეფური, შესამჩნევად სტილიზებული გამოსახულება და რვაფურცლიანი ვარდული (45, გვ. 480).


მუხათგვერდთან, საქართველოს სამხედრო გზის პირზე, გაითხარა ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი (სურ. 329, 330).

უმეტესი ნაწილი სამარხებისა წარმოადგენს ქვიშაქვის დიდრონი ფილებით ნაგებ ბანურსახურავიან ქვაყუთებს (სურ. 330). ისინი საოჯახო-კოლექტიური სამარხებია, სადაც ორიდან ოთხამდე მიცვალებულია დაკრძალული. ყველა მათგანი ასვენია გულალმა გაშობილი, თავით დასავლეთისაკენ. ზოგიერთ სამარხში აღმოჩნდა სამკაული და ტანისამოსთან დაკავშირებული ნივთები (სურ. 335, 350).

სხალტბის ქედის ჩრდილო ფერდობზე, სადაც ეს ნარეკვაზი უკანასკნელი მდ. ნარეკვაზის მარჯვენა ნაპირის ტერასებზე ეშვება, კარგად შეინიშნება ეროზიით დანაწევრებული წაგრძელებული გორაკუდები, რომელთა წინასწარულმა დაზვერვამ (1960—1961 წწ.) აშკარა გახადა, რომ აქ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნასახლართა ფართო ქსელთან უნდა გვეკონდეს საქმე (სურ. 351). ამის დამადასტურებელი იყო აქ მოკრებილი რუხი და შავპირილა თიხის ქურჭელთა უამრავი ფრაგმენტი, შინაურ ცხოველთა ძვლების ნატეხები, თიხატყეპნილ კედელ-იატაქის მქონე ნაგებობათა ბათქაშის ნიმუშები, ჩახრამულ ადგილებში თუ საარხე თხრილებში შენიშნული ნაცროვან-ნახშიროვანი ლინზები და მრავალი სხვა. ფერდობის ტყიანი საფარის გაჩეხვა-გამეჩხრება და, ამის შედეგად, გაძლიერებული ეროზიული პროცესი ისევე, როგორც აქაური სავარგულების ინტენსიური ათვისება ზემოაღნიშნულ კულტურის ძეგლებს აშკარა განადგურებით ემუქრება. სავსებით ბუნებრივია, რომ ახლად აღდგენილი მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნარეკვაზში მუშაობის წამოწყება ამ გარემოებამ განაპირობა.

მუშაობა დაწყებულ იქნა მდ. ნარეკვაზის მარჯვენა ნაპირზე. შესართავთან ახლოს, ფერდობზე, მაღალი ელექტროძაბვის ქვესადგურის უკან. სადაც შეი-

\* დაწერილებით იხ. აქვე.



სურ. 12. ნარკვევები. გეგმა

ნიშნებოდა კულტურული — ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა, რომელიც ბლომად შეიცავდა გვიანდელი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ შევპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხებს, ბათქაშისა და ალიზის ნიმუშებს, ცხოველთა ძვლებს და სხვ. (სურ. 368—372).

ექსპედიციაში მიღებული სტანდარტის თანახმად, გადაზომილ იქნა ქვეყნის მხარეების მიხედვით 432 კვ მეტრის მომცველი ფართობი. მას ეწოდა ნაკვეთი და აღინიშნა ლათინური ციფრით I. იგი დაიყო 12 კვადრატად, რომელთაგან თითოეული 36 კვ მეტრს მოიცავს, მაშასადამე, კვადრატის გვერდის სიგრძე-სიგანე 6 მეტრია. საჭირო შემთხვევაში ეს უქანასკნელიც დანაწევრდება მცირეკერად ერთეულებად.


მთელი ნაკვეთი, მისასვლელი გზისპირის გარდა, მალალი ბეძვით იყო დაფარული და მის აღებას მთელ ფართობზე საკმაოდ ბევრი დრო დასჭირდა.

საანგარიშო სეზონის განმავლობაში მოესწრო მხოლოდ კორდოვანი, ჰუმუსიანი ფენის აღება. მისი სიმძლავრე ყველგან ერთნაირი არ არის და მერყეობს 24—45 სმ შორის. მიუხედავად ამისა, ამ ფენაშიაც უხვად იყო კერამიკული ნაწარმის ნაშთები (ცხადია, მეტ-ნაკლებად მცირე ნატეხების სახით), ძირითადად ფერდობის ზემოთა ნიშნულებიდან ჩამორეცხილ-ჩამოტანილი, აგრეთვე, ცხოველთა ძვლები, ალიზისა თუ თიხის შელესილობის ხელახალა გამიწებული ნიმუშები.

კერამიკული ნაწარმი, როგორც ეს ნამოსახლარის კულტურულ ფენას შეეფერება, ერთობ ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი და მათგან ჭურჭლის რომელიმე ნიმუშის აღდგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მაგრამ სამთავროსა და ნარეკვავის სამაროვანთა შესაბამისი ხანის ჭურჭლის ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მონაპოვარ მასალაში ძალიან კარგად გამოიყენება ეპოქისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის თითქმის ყველა სახეობა: ჯამი, ფილა, ფინჯანი, ლანგარი, ქოთანის, ქილა, ჰიქლა, ხელადა, დოქი, გოზაური, კოკა, დერგი, ქოცო, ქვევრი და სხვ. როგორც ვხედავთ, ნარეკვავის მასალაში ისეთი ფორმებიც გამოირჩევა (ქოცო, ქვევრი, საერთოდ დიდი ტევადობის ჭურჭელი), რომელიც სამაროვნებისათვის, კერძოდ, ორმოსამარხებისათვის, ცნობილი მიზეზების გამო, სრულიად არ არის დამახასიათებელი. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ ნამოსახლარის კერამიკა გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე სამაროვნისა, რომელიც მეტწილად, თითქოს უფრო პორტატულ ფორმებს თხოულობს.

ცნობილია, აგრეთვე, ამ მონაპოვრის ფაქტურა, თიხის შედგენილობა, გამოწვის ხარისხი, ფერი, ჭურჭლის ზედაპირის გაპრიალების ხერხები, ამოღარულ-ამოკაწრული გეომეტრიული სახეები, იშვიათ შემთხვევაში რელიეფური ზედნადები: მუქუქები, კოპები, ქიმები.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მოიხსნა მხოლოდ კორდოვანი ფენა. კულტურული ფენის პრეპარაცია დაწყებული იყო მხოლოდ ერთ, მე-7 კვადრატში.



სურ. 13. მუხაბგერდი. გეგმა

აქ კარგად გაიკვლეოდა ნაცროვანი ფენა, სადაც ნაპოვნი იყო მარგალიტის პატარა მძივი, ტახის ეშვი, რკინის მოხრილი დანისპირის ნატეხი და რუხი და შავ-პრიალა თიხის კურჭლის ნატეხები (სურ. 327, 332, 337). განსაკუთრებით აღსანიშნავია:

123 (01/10—456, სურ. 368). საბეჭდავი თიხისა, მრგვალი, ბრტყელპირიანი; პირზე ერთმანეთში ჩაწერილი 7 წრეა ამოღარული. სიმაღლე — 5,0 სმ. საბეჭდავის დმ — 4,0 სმ. მსგავსი საბეჭდავები დამახასიათებელია გვიანბრინჯაოსა და აღრინდელი რკინის ხანის ნამოსახლართა ფენებისათვის.

124 (01/10—467, სურ. 359, 360). საბეჭდავი თიხისა, მრგვალბრტყელ-ზედაპირიანი, რომელზედაც ამოღარული ყოფილა ერთიმეორეში ჩასმული



„სამკუთხედები“. მთელ ზედაპირზე „სამი დიდი სამკუთხედი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემონახულია მხოლოდ ერთი და მცირე ნაწილი მეორისა. სიმაღლე — 5,0 სმ, დმ — 6,1 სმ.

ამ სახელწოდებას ატარებს კოდმანის მთის აღმო-  
**ფიქრისგორა** საელეთი დაკავებული ნაწილი, რომელიც დასცქერის სამთავროს სამაროვანსა და ტაძარს. ამჟამად აქ მცხეთის რაიონული საავადმყოფოს კორპუსი დგას. 1957 წელს აქ სამთავროს ტაძრის აყობებაზე, კბოდზე, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა გლეხის სახლი დარბაზული ტიპისა და დამწმარე სათავსოები, რომელიც მოწიფული შუასაუკუნეებით (XI—XIII სს.) დათარიღდა.

სწორედ საავადმყოფოსა და გლეხის ნასახლარს შორის მინდორზე (სურ. 375, 376) წყლის აუზისათვის ქვაბულას აპოლები დროს თავი იჩინა ქვასამარხებმა. სულ გათხარა 12 სამარხი. ისინი ჩნდებოდნენ 0,50—0,80 მ სიღრმეზე მიწის აწინდელი ზედაპირიდან. აქ აღმოჩენილია მოგრძო სწორკუთხედის მოყვანილობის ქვაყუთები, რომელთა გრძივი კედლები ან მთლიანი მასიური ფილაქვებია, ან წყვილი ფილაქვისაგან შედგება. განივი (აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრის) კედლები, როგორც წესი, თითო ფილაქვას წარმოადგენს. ჰხურავთ 2 ან 3 ფილაქვა. საშენი ფილაქვები დაუდევრად გამოკაფული და უსწორმასწოროა; კედლები ერთიმეორეზე ყოველთვის ვერ არის მორგებული. დანარჩენი ფარლიატები რიყის ან ნატეხი წვრილი ქვით არის შეესებული. ერთ შემთხვევაში კუთხეები შიგნიდან გაჯით იყო შელესილი. უმთავრესად საოჯახო სამარხები ჩანან — შიგ წევს ერთიდან ოთხამდე მიცვალებული, თავით, ჩვეულებრივ, დასავლეთისაკენ მიქცეულა, გულადმა მწოლიარე, გულხელდაკრეფილი. ერთი სიტყვით, ზუსტად ისეთი სურათი გვაქვს, როგორსაც სამთავროს, კარსნისხევის, არმაზისხევის, მარტაზისხევის, ბარგიყარაის და სხვ. ადრეფეოდალური ხანის სამაროვნები წარმოადგენდნენ.


ცნობილია, რომ აღნიშნული ხანის სამარხები ინვენტარით ერთობ ღარიბია და ამათგან გამონაკლისს არც ფიქრისგორის სამარხები შეადგენდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ძველი წარმართული ჩვეულება ჯერ კიდევ სრულ დავიწყებას არ მისცემია და თითო-ოროლა ნივთი, რა თქმა უნდა, პირადი სამკაულების კომპლექტიდან, ჰირისუფლებს მიცვალებული ფიქრიგორელებისათვისაც გაუტანებიათ. მაგალითად, 1-ლ ქვისსამარხში აღმოჩნდა:

125 (10/14—1). ბრინჯაოს წვრილფეროიანი საკინძი, რომლის თავი ძოწის მრგვალი მძივით არის დაგვირგვინებული.

126 (01/14—2). ისეთივე საკინძი, რომელიც მთავრდება ბრტყელი გიშრის თავით. მის ცალ მხარეზე ზენური სახეა ამოკაწრული.

127 (01/14—3, სურ. 378). ოქროს წყვილი, დიდ-პატარა, ნახევარსფეროსებრი კილიტი, რომელსაც შიგნიდან ოქროსავე განივი ყუნწი აქვს.

მე-3 სამარხში აღმოჩნდა:



სურ. 14. ფიქრისგორა. გეგმა

128 (01/14—5). ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი, პასტის მძივითა და ბრინჯაოს წყვილი ბურთულა როზეტით შემკული.

129—130 (01/14—4, 6, 7). რკინის საკინძი, რკინისავე ბეჭედი, დანისპირი და სხვ.

მე-4 სამარხში იყო:

181—188 (01/14—12—18). რკინის ნაწილობრივ დაზიანებული (ფიბულაები), ბრინჯაოს და რკინის საკინძები, რომელთა თავები დაგვირგვინებულია ბროწეულის ყევილით, ზოგისა — მარგალიტის ან ბრინჯაოს ბურთულეებით.

134 (01/14—19, 20, სურ. 379). ძოწის 48 ბურთულა მძივი, მინის კოხტა სანელსაცხებლე და სხვ.

დაახლოებით ასეთივე ნივთები მეტ-ნაკლები რაოდენობით მოიპოვებოდა მე-9—12 სამარხებში. ასე რომ, აქ ჩატარებულმა თხრამ რამდენიმე სამარხის ინვენტარი მაინც გადაგვიჩინა დაღუპვა-განადგურებას და ახალი მასალა შემატა ადრეფეოდალური ხანის მოქალაქეთა ფართო წრის კულტურის კვლევა-დახასიათებას.


ასეთი სამარხები და მათში აღმოჩენილი ინვენტარი სამთავროს სამაროვანის ანალოგია-პარალელების მიხედვით თარიღდება ჩვ. წ. IV—IX საუკუნეებით.

საანგარიშო წელს მუშაობა მიმდინარეობდა მცხეთისგორის სამხრეთ-დასავლეთ ბოლოზე, თავმოსწორებულ მოედანზე. სამუშაო უბანი ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ივარგლება ბეჟანანთხევით, სამხრეთიდან მტკვრის მარცხენა ტერასით, აღმოსავლეთი ფერდობი საქართველოს სამხედრო გზისაკენ ეშვება (სურ. 380—384, 386).

1962 წელს ეს მოედანი, გორის სტრატეგრაფიის გარკვევის მიზნით, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით თხრილით იყო გაჭრილი. მაშინდელი მონაპოვარის მიხედვით ჩანდა, რომ გორაზე ანტიკურიდან ფეოდალურზე გარდამავალ ხანაზე (IV—V სს.) ადრინდელი ფენები არ უნდა ყოფილიყო.

ამ უბანზე გადაზომილმა ნაკვეთმა (18 X 24 მ) მოიცვა 1962 წლის თხრილიც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამუშაო უბანი ყოველმხრივ გამჭოლ, საქარე ადგილზეა და, ბუნებრივია, რომ აქაური კულტურის ძეგლები ძალიან დაზიანდნენ ატმოსფერული აგენტების (მუდმივი ქარის, ეროზიის) ძალეში მოქმედების შედეგად. ეს კარგად შეინიშნებოდა ბეჟანანთხევის მხრიდან ჩანრამულ ფლატეთა კრილებში და მით უფრო დაადასტურა საანგარიშო სეზონში ჩატარებულმა თხრამ. თუმცა ჭერჭერობით მხოლოდ პირველი ფენა არის აღებული, მაგრამ თუ რამდენად დაშლილ-დანგრეული და ნირშეცვლილი იყო იქაურ ნაგებობათა ნაშთები, თავიდანვე კარგად ჩანდა.

კვადრატებში აღმოჩნდა გადამწვეარი ალიზის გროვა, რომელიც საკმაოდ კომპაქტური მასის სახით არის წარმოდგენილი. გროვაში ჩვეულებრივი მიწა არც შეგვხვებოდა. ალიზის გორახები თავისივე ფხვნილში იყო არეული. ჩვენი ცდის მიუხედავად, მთლიანი ალიზის აგურის მიგნება ჭერჭერობით ვერ მოვახერხეთ. ალაგ-ალაგ თიხატყეპნილი იატაკის მქონე სათავსოთა ფრაგმენტებიც ჩნდება. ისინი უმთავრესად ფლატის გასწვრივი მეორე რიგის კვადრატებშია, მაშინ როდესაც ალიზის გროვებით წარმოდგენილი ნაშთები თხემის გასწვრივ შეინიშნებოდა უმეტესწილად. ჩვენი დაკვირვებით ისე ჩანს, რომ ეს უკანასკნელი გორის თხემზე გამავალი ალიზით ნაგები 6-მეტრიანი ზღუდის გადმონგრეული ნაშთი უნდა იყოს. თიხატყეპნილი იატაკის მქონე სათავსოები, შესაძლოა, თავის დროზე ზღუდე-გალავნის მომსახურე-მოდარაჯე პერსონალის დროებით თავშესაფარ-სამყოფელს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ფლატის პირას



სურ. 15. მცხეთის სიონი. გეგმა

(ბეჟანანთხევის მხრიდან) აღმოჩნდა ნატეხი ქვისაგან ნაგები შენობის კედლის ნაშთები, კერძოდ, აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების კუთხედ შეკრული კვანძის ნაშთი. უდიდესი ნაწილი (მათ შორის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები მთლიანად) ადრიდანვე გადანგრეულია ზემოხსენებულ ხევში. შენობის დანიშნულება, ისევე როგორც ალიზის ნაგებობათა ნანგრევებთან მისი ურთიერთობა, ჭრჭერობით გამორკვეული არ არის და მათი ცუდი დაცულობის გამო საექვოა ოდესმე გაირკვეს.

ამავე ნაკვეთში გაიწმინდა რამდენიმე თიხის თონე-სათბური, რომელთა სტრატეგრაფია ჭრჭერობით საკვებით ცხადი არ არის, მაგრამ აქვე (სარწყავი წყლის აუზის მახლობლად) 1759 წელს გათხრილი გლეხის სახლში აღმოჩენილ თონეთა ანალოგების მიხედვით, სავარაუდოა, რომ ესენიც მოწიფულ შუა საუკუნეებს (XI—XIII სს.) ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება კულტურული ფენის შინაარსს, იგი შეიცავს ღარიანი და ბრტყელი კრამიტის უამრავ ფრაგმენტს, უმთავრესად, ჩალისფრად გამომწვარი თიხის ყელწიბოიანი ჰიქლა-ხელადების, ღრმა ჯამების და ქოთან-ქილების ფრაგმენტებს, რკინისა და ბრინჯაოს წვრილმან ინვენტარს, შინაურ ცხოველთა (მსხვილ და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის და სხვ.) დანაწევრებულ ძვლებს, ნაცარს, ნახშირს, ბათქაშის ნიმუშებს, ალიზის აგურის ნამტვრევებსა და მრ. სხვ.

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან აღდგა და ყურადღებას იქცევს:

185 (01/7—5, სურ. 385). ღრმა ჯამი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, უხეშად ნაკეთები, სქელკეციანი, ოდნავ პირმოყრილი. სქელქუსლიანი, ტუჩიანი ლანგრის ტიპისა. სიმაღლე — 13,0, პირის დმ — 30,5, ქუსლის დმ — 14,5 სმ. ჩამხობილი იდო მე-10 კვადრატში.

186 (01/7—6, სურ. 387). ჰიქლა თიხისა: მოშავოდ გამომწვარი, ყელმაღალი, რომელსაც მსხლისებრი მოყვანილობის ტანი, სამტუჩა პირი, ბრტყელი და სქელი ძირი აქვს. მე-10 კვადრატში აღმოჩნდა.

გარდამავალი ხანისათვის მეტად დამახასიათებელია თიხის ჭურჭელი, რომლის დიდი ფრაგმენტები მე-8 კვადრატში აღმოჩნდა:

187 (01/7—4). ჭურჭელი აგურისფრად ყოფილა გამომწვარი. სამტუჩა, გადამლილი, ბაკოიანი პირი და მაღალი ყელი ჰქონია (8,1 სმ). განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი ყური ყელზეა მიძერწილი (მეორე ბოლო მხარზე იქნებოდა მიძერწილი, მაგრამ იგი არ შემონახულა). პირის დმ — 8,5 სმ, ყურისა — 5,0 სმ.

უაღრესად საინტერესო, იშვიათ ექსპონატს წარმოადგენს თიხის სათამაშო ჩანჩხურა (ბავშვისათვის).

188 (01/7—15). ჩანჩხურა თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი, მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელია. დამზადებულია წმინდად გაცირილი თიხისაგან, თხელკეციანია. პირი მთავრდება მილისებრ წაგრძელებული და ჰერმეტიკულად დახშული ყელით. ყელს, მხრებსა და მუცელს სამრიგად შემოყვება პაწია

მეჭეპეები. მხრებზე, სხვადასხვა ადგილას, 14 წვრილი ნახვრეტი აქვს. იგი აღ-  
მოჩნდა მე-10 კვადრატში, 0,30—36 მ სიღრმეზე.

ხშირი იყო მინის ქურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენის შემთხვევებიც, მა-  
გალითად, სირჩის ქუსლებისა მე-7 და მე-12 კვადრატებში, ყელ-გვერდის ნა-  
ტეხებისა მე-4, 7 და 12 კვადრატებში. არის ბრინჯაოს ქურჭლის მცირე ფრაგ-  
მენტები (მე-4 კვადრატში), სარდიონის მძივი (მე-9 კვადრატში) და სხვ. შინა-  
მოხმარების საგნებიდან უნდა დასახელდეს:

130 (01/7—13). კირქვისაგან გამოთლილი კვირისტავი (სიმაღლე — 2,6,  
ღმ — 4,8, ნახვრეტის ღმ — 1,0 სმ), რომელიც მე-12 კვადრატში აღმოჩნდა.

140 (01/7—14). რკინის ნამგლისებრი იარაღის 5 ფრაგმენტი, რომლებიც  
მე-10 კვადრატში აღმოჩნდა. კარგად შეინიშნება შიდაპირის ალესილობა, საერ-  
თო სიგრძე — 19,4 სმ. აგრეთვე სამი ნატეხი რკინის საბრძოლო იარაღისა(?)  
(მე-4 კვადრატში), რომლის უფრო ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება.

141 (01/14—11). სალესი ქვა, რომელსაც ხანგრძლივი მუშაობის კვალი  
ეტყობა. სიგრძე — 16,5 სმ. ნაპოვნია მე-11 კვადრატში.

სამეურნეო ხელსაწყო-იარაღთაგან აღსანიშნავია ხელსაფქვაკვი, უფრო  
სწორად, მისი ნატეხი. იგი ფორიანი ბაზალტისაგან არის გამოთლილი. წარმო-  
ადგენს ზედაქვის ნაწილს. შემალღებული, რელიეფური ყელი ჰქონია, რათა  
მარცვალი არ დაფანტულიყო. მსგავსი ხელსაფქვაკვების უფრო კარგად დაცუ-  
ლი ცალეები ამ მიდამოებში ადრეც იყო ნაპოვნი (სახელდობრ, 1959 და 1962  
წლებში). აღარაფერს ვამბობთ აქაურ ნაგებობებში გადასახურავად გამოყენე-  
ბულ კრამიტებზე, რომელთა უამრავი ნატეხი გვხვდებოდა გათხრის დროს.  
თუმცა მთელი ცალეები არ აღმოჩენილა, მაგრამ აშკარად ჩანს ტიპოლოგიური  
იგივეობა და ტექნოლოგიური სიახლოვე ანტიკური ხანის კრამიტებთან. იგივე  
არ შეიძლება ითქვას მათ ზომა-სიდიდესა და მასიურობაზე. ანტიკური ხანის  
კრამიტები 1,5-ჯერ მაინც დიდია, ვიდრე გარდამავალი და ადრინდელ შუასაუ-  
კუნეთა დროის ცალეები. გარდა ამისა, წერნაქს ისე ხშირად აღარ მიმართავენ,  
როგორც ეს ანტიკური ხანისათვის იყო დამახასიათებელი. რაც შეეხება ნაწარ-  
მის გამოწვის ხარისხს, ამ მხრივ მათ შორის განსხვავება თითქმის არც არის.

ამ ადგილებში გათხრების გაგრძელება აუცილებელია იმის გამოც, რომ  
ეროვნის გამოვტაცოთ ნივთიერი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები.

(სურ. 388—391). მცხეთა-სამთავროს რაზმის ერთ-

სვეტიცხოვლის	ერთ სამუშაო უბნად იქცა ქალაქის მჭიდრო დასახლე-
უბანი	ბული უბანი ადრინდელი შუასაუკუნეებიდან მაინც, მანამდე კი, ამ უკანასკნელი ოციოდე წლის მანძილზე


შემთხვევადან შემთხვევამდე წარმოებული გათხრების შედეგების მიხედვით,  
მტკვარ-არაგვის ხერთვისის ვაკობი უმთავრესად სასაფლაოდ, ხელოსანთა უბ-  
ნად, აგრეთვე ბაღების გასაშენებლად ჩანს გამოყენებული. განსაკუთრებით  
ხშირი მოსახლეობა იყრის თავს ამ ადგილას მას შემდეგ, რაც ჩვენი ეროვნული

საისტორიო წყაროების მოწმობით, სამეფო წალკოტში ჩნდება ქრისტიანული სარწმუნოების პროპაგანდის ერთ-ერთი და მთავარი კერა სვეტიცხოვლის ტაძრის სახით. ჩვენი სამუშაო უბანი სწორედ ამ ტაძრის დასავლეთით, სულ რაღაც 20—40-ოდე მეტრის მანძილზეა. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მიდამოებში მეტ-ნაკლები მასშტაბის მიწის სამუშაოებს ყოველთვის, უგამონაკლისოდ, მოსდევს ზოლმე წიაღისეული კულტურის ძეგლთა გამოჩენა. ასე მოხდა ეხლაც. საცხოვრებელი სახლისთვის განკუთვნილ ნაკვეთზე (12 × 13 მ) ქვაბულის ამოღებისას აღმოჩნდა შუასაუკუნეთა ხანის ქვის ნაგებობათა კედლები და მათთან დაკავშირებული კულტურული ფენები. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩარევამ, ცხადია, გადაუღებელი გახდა. ქვაბულის ფართობის პრეპარაციამ გამოარკვია, რომ გვიანდელ შუასაუკუნეთა ერთი რიგის ნაგებობათა ნაშთები უკვე დანგრეული იყო და მისგან დარჩენილიყო მხოლოდ თიხის ხსნარზე რიყის ქვით ნაგები ერთი კედლის ნაშთი 11,0 მ სიგრძისა (0,85 მ სისქე და 0,40 მ სიმაღლე).

ქვაბულის შემდგომმა შესწავლამ (იგი დაღრმავებული იქნა თანამედროვე ზედაპირიდან 4,5—5,0 მეტრამდე) დაადგინა, რომ გარდა ზემოაღნიშნული რიყის ქვის კედლების ნაწყვეტისა, აქ საქმე გვაქვს შუასაუკუნეების ნამოსახლართა სულ ცოტა 3 ფენასთან, რომელთაც ძირს უგია ორი სამარხეული ფენა: ახ. წ. I—II სს. კრამიტსამარხებისა და ძვ. წ. I საუკუნის ქვეერსამარხებისა.

ზემოდან პირველი ფენა წარმოდგენილია კერამიკული წყალსადენითა და რამდენიმე რიყისქვით ნაწყობი კედლის ნაწყვეტით. ფენის განმსაზღვრელია წყალსადენი. იგი მიწის ზედაპირიდან 2,0 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. შედგება ვიწრო დიამეტრიანი თიხის მილებისაგან (სურ. 351) და მოთავსებულია კირხსნარის ქუროში (ბუდეში). მტკიცე დულაბის ეს საწოლ-საბურავი, როგორც ჩანს, საიმედოდ იცავდა წყალსადენს მექანიკური დაზიანებისაგან და, ალბათ, გაყოვნისაგანაც. მილგაყვანილობა დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და პირდაპირ სვეტიცხოვლის ტაძრისაკენ არის დაგეზებული. ამ მილგაყვანილობის ტრასის კარგა მოზრდილი ფრაგმენტი (20-ოდე მეტრის სიგრძისა) მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი იყო 1957 წელს, ამ უბნიდან ჩრდილო-დასავლეთით 100-ოდე მეტრის მანძილზე, სტადიონისა და 26 კომისრის ქუჩის კუთხეში, საკარმიდამო ნაკვეთის გათხრის დროს<sup>10</sup>. მაშინ ივარაუდებოდა, რომ წყალსადენს სათავე უნდა აეღო იქვე მახლობლად თავჩენილი, აწ უკვე დამშრალ წყაროდან\*. მაშინვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს წყალსადენი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ მეურვეობასთან, რასაც ჯერ კიდევ „სრულიად საქართველოს“ მე-

<sup>10</sup> ეს წყარო 1938 წელს იელისში ძლივს ეონავდა. იქვე მდგარი აკაკის ხის ქვეშ. როგორც აქაური ხანდაზმული მცხოვრებლები აღნიშნავენ, წყარო თავის დროზე (ე. ი. ამ 50 წლის წინა ხანებში) საკმაოდ დიდი ღებეტისა ყოფილა და ირგვლივ მოსახლენი თურმე მისი წულით კმაყოფილებოდნენ.



სურ. 16. სვეტიცხოვლის უბანი. გეგმა

ფეთ-მეფე ალექსანდრე I ღიღი (1412—1444) ეწეოდა სვეტიცხოვლის მეურ-  
ნეობის აღდგენა-განმტკიცებისა, და, კერძოდ, ამ ტაძრის მომსახურე პერსონა-  
ლის წყლით მომარაგების დარგში.

წყალსადენის ტრასის თანამედროვე უნდა იყოს რიყისქვის კედლის ნაშთი,  
რომელიც ქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სწორი კუთხით ებმის  
ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულების მსგავსსავე კედელს. საფიქრებე-  
ლია, რომ ეს ორი კედელი ერთი სათავისა იყოს, მაგრამ ამის გარკვევა შეიძ-  
ლება მხოლოდ შემოაღნიშნული კედლის საბოლოო გამოვლინების შემდეგ. ზე-  
მოდან მეორე ფენა, ცხადია, უფრო ადრეულია და უნდა ეკუთვნოდეს  
XI—XIII სს. ამის მაგალითს წარმოადგენს მეტ-ნაკლებად კარგად დაცული  
სათავსი, რომელიც სწორკუთხა მოყვანილობისაა. იგი სამი მხრიდან შედარე-



ბით კარგად დაცული კედლებით არის შემოსაზღვრული, ხოლო მეოთხე მხარეზე მას ტიხარი აქვს ჩაშენებული ისე, რომ მისი ბოლოები ძირითად კედლებზე ორგანულად არ არის გადაბმული. კედლის წყობაში აქაც უმთავრესად რიყისქვაა გამოყენებული, მაგრამ აქა-იქ ნატეხი ქვაც ურევია. როდესაც წყობაში მხოლოდ რიყისქვის გამოყენებასთან გვაქვს საქმე, მაშინ წყობის ხასიათი თევზიფხურია, ხოლო ნატეხი ქვის მომეტებულად შერევის შემთხვევაში სწორი, თარაზული წყობა გვაქვს (სურ. 389). ამასთანავე რიყისქვის თევზიფხურად ნაწყობი კედლის ფუნდამენტი ყოველთვის ნატეხი ქვის სწორი წყობით არის წარმოდგენილი.

ამ ფენას უნდა ეკუთვნოდეს უმეტესობა პურის საცხობი და სათავსო სათბობი თიხის ლემელებისა, ქვევრებისა, კერებისა, თიხის წყალსადენი მილებისა და სხვა საყოფაცხოვრებო თუ საკულტო ხასიათის დეტალებისა.

ფრიად საყურადღებო ფაქტთან გვაქვს საქმე ქვაბულის ცენტრში აღმოჩენილ-გაწმენდილი ერთ-ერთი დეტალის სახით. ეს არის მოგრძო ბრტყელი რიყის ქვა, მიწაში ვერტიკალურად ჩასმული: მასზე ზემოდან პირქვე ჩამოცმულია ქვევრის თუ მოზრდილი ქოცოს ყელ-პირის ფრაგმენტი ისე, რომ მიწაში ჩარგული ქვა ჭურჭლის ყელ-პირის ზუსტად ცენტრში მოდის. დეტალის აწრი და დანიშნულება გაურკვეველია. იქნებ იგი ნაყოფიერების კულტის სიმბოლური გამოსახულების ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტზე მიგვიითიებდეს.

ზემოდან მესამე ფენა ანტიკურიდან გარდაამავალი, IV—V სს. და აღრინდელი შუასაუკუნეების დროისა ჩანს. იგი ყველაზე მეტად დაზიანებულია. სათავსოთაგან კვალის თითო-ოროლა ნაწყვეტი ჩანს გადარჩენილი. ამ დროის კედლის ერთ-ერთ ნაწყვეტზე ზემოდან გადადის შუაფეოდალური ხანის რიყისქვის კედელი. იგი უმეტესწილად ფლეთილი ქვიშაქვისაგან არის ნაგები, თუმცა ალაგ-ალაგ რიყისქვაც ურევია. შემორჩენილია კედლის წყობის 2—3 მწკრივი. სისქე არ აღემატება 0,70 მ. იგი მიემართება ქვაბულის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხისაკენ და შედის აწინდელ კრილში. მისი გამოვლინება მიწის დიდ სამუშაოებს მოითხოვს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ზემოაღწერილი ფენისეული კედლებიდან ამა თუ იმ ხასიათის სათავსის გეგმის დაპერა-გამოხაზვა არ ხერხდება. გარდა იმისა, რომ კედლები გაუთხრელ ფართობში იჭრებიან, გათხრილ ნაწილშიც ძლიერ დაზიანებული, არაერთგზის გაწყვეტილი და ნირშეცვლილია, რაც მათ შორის ურთიერთობის გაკვლევას ფრიად აძნელებს. საამისოდ, ე. ი. ნამოსახლარი ფენებისა და ნაგებობათა გამოსავლინებლად დიდი ფართობის აღება-გათხრაა საჭირო, ეს კი ამ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი ხდება უზნის მჭიდრო დასახლების გამო.

ფენაში საკმაო რაოდენობით მოიკრება თხელკედლიანი მინისა და წითლად თუ ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია:

142 (01/6—3, სურ. 402, 403). ცალყურა, პირგადაშლილი, სფერულმუც-ლიანი ქოთანის, შებოლილი და პატარა, სამტუჩა, ყელწიბოიანი ხელადა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა: მაღალი, პირს ზემოთ აზიდულყურიანი. სამტუჩიანობა და ყელწიბოიანობა გვიანანტიკური ხანის ტრადიციებზე მიგვითითებს.

143 (01/6—16, სურ. 399). კრაქი თიხისა, ხელით ნაძერწი, შებოლილი, დაბალი, პირლია ტიპისა.

144 (01/6—23). ბრინჯაოს ზარაკი ოთხწახნაგა, რკინის ენიანი.

145 (01/6—29). ხელსაფქვეავის დიდი ფრაგმენტი, ზედაქვის ნაწილი ყოფილა ფორებიანი ბაზალტისაგან გამოკოდილი; პირშემალღებული სამარცველ აქვს.

146 (01/6—15). ბეჭედი ოქროსი, ღრუფირფიტოვანი, მხრებდაწახნაგებულ-ლი. კორპუსში ამოჭრილია სწორკუთხედის მოყვანილობის თვალბუდე, რომელშიაც მკიდროდ ზის შესაბამისი ფორმის სარდიონის თვალი, რომელზედაც ამოკვეთილია ინტალიო — მორბენალი ქურციკის მარცხენა პროფილი. ეს ნივთიც საკმაო არქაული ნიშნების მატარებელია.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქვაბულის დაღრმავებისას მის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ო რ ი ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ფ ე ნ ა: გვიანდელი ანტიკური (ახ. წ. I—II სს.) და გვიანდელი ელინისტური (ძვ. წ. I ს.) ხანისა. პირველი კრამიტსამარხებით არის წარმოდგენილი, მეორე — ქვევრსამარხებით. ორივე ტიპის სამარხები დელუვიური წარმოშობის ლიოსისებრ თიხნარშია გაჭრილი, თითქმის ერთსა და იმავე დონეზე. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

გ ვ ი ა ნ ა ნ ტ ი კ უ რ ი ხ ა ნ ი ს ა მოღწეულია სამი სამარხი (№№ 3, 4, 6; სურ. 392, 393, 396, 397). ორიოდე კრამიტსამარხი კიდევ ჩანს ქვაბულში, მაგრამ მათი გათხრა-პრეპარაცია ამ სეზონში ვერ მოესწრა.

ს ა მ ა რ ხ ი № 3. კრამიტსამარხია. აღმოჩნდა ქვაბულის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. იგი დამხრობილი იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს შორის. აგებული იყო ლარისებრი და ბრტყელი კრამიტებისაგან; სახურავი ორფერდა. ქანობიანი ჰქონდა, მაგრამ იგი და ჩრდილო კედელი ძალიან დაზიანებული იყო იმ ორმოსაგან, რომელიც მოგვიანებით ამოუღიათ (იგი ახლაც კარგად გაირჩევა სამარხის თავზე, მიწის ჰრიალში). აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები წყვილი სოლენისაგან (ბრტყელი კრამიტისაგან) შედგებოდა, რომლებიც თავ-ბოლო შექცევით არიან მიწაში ჩარგული. გრძივი (ჩრდილოეთი და სამხრეთი) კედლები შედგება 4—4 ასეთი თავ-ბოლო შექცევით ჩადგმული კრამიტისაგან. ძირსაც 6 ბრტყელი კრამიტი ეფინა თავ-ბოლო შექცევით და ჩაპირ-ქვევებული. გარდა ამისა, სამარხის სიგრძივ კიდევებს გასდევდა ოთხი ლარისებრი კრამიტისაგან შემდგარი ბორდიური, რაც პირველად დასტურდება მცხეთურ კრამიტსამარხებში (სურ. 401). ფსკერზე, აღმოსავლეთი კედლის ძირში, გამართული იყო წყვილი კალიბტერისაგან შემდგარი სასთუმალი. აღნიშნული ფაქტიც პირველად ფიქსირდება აქაურ სამარხებში. მასზე გულაღმა, გაშოტი-

ლად, დასვენებული იყო საკმაოდ ძვალმსხვილი ადამიანის — მამაკაცის ჩონჩხი. მიცვალებულისათვის თავის აღმოსავლეთისაკენ მიქცევა მცხეთის სამარხებში ამ ხანისათვის ძალიან იშვიათი შემთხვევაა, თუ ადრეგათხრილი სამარხების მიხედვით ვიძსჯელებთ. კარგად იყო დაცული ქვედა კიდურება, გულმკერდის არე კი, სადაც რაიმე ნივთი იყო მოსალოდნელი, არეულ-დარეული იყო.

გამართლდა ჩვენი ექვი სამარხის გაძარცვულობის შესახებ. კედელ-სახურავის ეგზომ დაზიანება და სამარხის თავზე გამართული ორმო ასეთ ექვს თავიდანვე ბადებდა. მართლაც, სამარხში მძარცველებს დარჩენიან მხოლოდ ორიოდ ნივთი:

147 (01/6—61). სანელსაცხებლე მინისა (2 ც.). შემორჩენილია მხოლოდ ჭურჭლის ნამტვრევები

148 (01/6—59). მონეტა ვერცხლისა, პართული.

სამარხი I საუკუნით თარიღდება. ამ სამარხიდან უნდა მომდინარეობდეს:

149 (01/6—22, სურ. 406). ვერცხლის ჭურჭლის ყური, რომელზედაც გამოხატულია ფაფრიანი დრაკონის მორკალური ტანი. იგი ჩვენ უშუალოდ ამ სამარხის მახლობლად, იმავე დონეზე ვიპოვეთ. მძარცველებს იგი, როგორც ჩანს, იქვე დავარდნათ.

სამარხი 4 ქვაბულის იმავე ნაწილში აღმოჩნდა. დამბრობა დასავლეთ-აღმოსავლეთისაკენ. ზუსტად წინამავლის აგებულებისაა. სახურავი, ცხადია, ჩაქცეულია. თითქმის სანახევროდ მიწითაა სავსე. შიგ იწვა საკმაოდ მალალი ინდივიდი, თავით დასავლეთისაკენ მიქცეული, ფეხები მუხლებში ოდნავ მოხრილი და მარჯვნივ გადაქცეული ჰქონდა. მიცვალებული ქალი უნდა ყოფილიყო, რასაც თითქოს თანმხლები ინვენტარიც მოწმობს. ჩრდილო კედლის ძირში იდგა:

150 (01/6—76). მინის ოთხკუთხაკორპუსიანი დაბალი ბოთლი.

151 (01/6—71—74). ოთხი ორყურა მინის ჭურჭელი (სურ. 383—386). მათ შორის ერთი ამფორისებრი, ლურჯი მინისა (სურ. 367, ცენტრში, წინა რიგში).

152 (01/6—75, სურ. 428). მოყვითალო გამკვირვალე მინის სანელსაცხებლე, წაგრძელებული, ოვალურტანიანი, თითქოს რელიეფურზედაპირიანი. იგი სირიული წარმოშობისაა და თარიღდება ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნით.

158 (01/6—62, სურ. 439). მონეტა ოქროსი: ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძი.

154 (01/6—63, სურ. 433, 434). წყვილი საყურე მავთულოვანი ოქროსი.

155 (01/6—65). მონეტა ვერცხლისა, პართული.

156 (01/6—66, 67). ბეჭდები ბრინჯაოსი. წყვილი, გამკვირვალე მინის თვლიანი. ერთ-ერთ თვალზე გამოხატულია ტახტზე მჯდომარე გრძელკაბიანი

მანდილოსანი, რომელსაც ზეალმართულ მარცხენა ხელში მოგრძო საგანი (ჩი-რალდანი?) უჭირავს, მარჯვენა — წინ გაწვდილი აქვს.

157 (01/6—69). ზარაკი ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა.

158 (01/6—79). გასტროპოიდის ნიჟარები — 3 ც.

159 (01/6—80). ფერუმარილის სალესი დიდი ბრტყელი სადაფის ნიჟარა.

160 (01/6—81—89). მძივები: სარდიონის, სელიანის, ოპალისა და გიშრი-სა. მოცისფრო (ბიპირამიდული) აქატის მძივსაკიდები და სხვ.

161 (01/6—78, სურ. 437, 438). საბეკდავი ძვლისა. ინტალიო — მხედარი პროფილში მარცხნივ; მას ცალი ხელით თითქოს აღვირი უჭირავს, მეორე მალ-ლა აქვს შემართული. საფიქრებელია, რომ ეს სიუჟეტი ღვთაება მითრას გამო-ხატავდეს (8, გვ. 343—347)

სამარხი 6. კრამიტსამარხია (სურ. 396, 397, 401). ყველაზე დაცული და მდიდარი იყო. იგი 0 ხაზიდან 3,15 სიღრმეზე აღმოჩნდა, რაც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 4,75 მ უდრიდა. ჩადგმული იყო ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ კედელში; მის გვერდით 30-ოდე სმ, ჩრდილო მხრიდან ქვევრსამარხი იყო (სურ. 396). აწყობილი იყო 20 კრამიტისაგან: 4—4 სიგრძის, 2—2 განივ კედლებად. 6 ფსკერის საფენად. ამასთანავე თითო კალიპტერი ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში იდო ამ უკანასკნელთა გასამაგრებ-ლად. ქანობიანი სახურავი, როგორც წესი, ჩაქცეული იყო, კურტნის შემაკავებელი ხის ხარისხის დაღობა-ჩაქცევის შედეგად. სამარხის გრძივ კედლებს კალიპტერის ბორღიური გასდევდა, კურტნის ფრაგმენტებიც სამარხის თავსა და ბოლოს გადადიოდა. ამის გამო სამარხის გასამართავად  $2,60 \times 1,20 \times 0,50$  მ სიდიდის ორმოს ამოღება დასჭირებიათ. სამარხის გარეთა განაზომე-ბი  $2,10 \times 1,10 \times 0,50$  მ უდრიდა, შიგნითა —  $1,40 \times 0,80 \times 0,38$  მ.

შიგ ჩასული მიწა მხოლოდ ფარავდა ჩონჩხსა და სამარხეულ ინვენტარს. სამარხში საკმარის მალალი ტანის მანდილოსანი ესვენა, თავით აღმოსავლეთით დამხრობილი, მარჯვენა გვერდზე; ფეხები თავისუფლად ჰქონდა მოხრილი; მარჯვენა ხელი — თავქვეშ ამოდებული, მარცხენა — სახის წინ. მძინარე ადამიანის პოზა ჰქონია.

სამარხი გამოირჩეოდა მრავალრიცხოვანი, მდიდრული, ნატიფი ინვენტარით, რომელთაგან დავასახელებთ ზოგიერთს.

162 (01/6—99). ხელადა თიხისა: სამტუჩა, პირმრგვალი და ყელწიბოიანი.

163 (01/6—100). ხელადა მუცელგანიერი.

164 (01/6—101). კრაქი თიხისა: პატარა, დაბალი (გვამის წინ იდგა).

165 (01/6—132). სადაფის ნიჟარა, ფერუმარულის სალესავი. იდო გულ-მკერდის არეში.

166 (01/6—102—104, სურ. 421, 424, 426). სანელსაცხებლე მინისა, კოლ-ბისებრი (სამი).

167 (01/6—106—107, სურ. 423, 425). სანელსაცხებლე მოლურჯო მინისა: სფერულმუცლიანი, ერთი ორყურა (423), მეორე ცალყურა (425).

168 (01/6—108, სურ. 422). სანელსაცხებლე მუქი ყავისფერი გამჟვირვალე მინისა, ამფორისებრტანიანი. მე-2 კრამიტსამარხში ნაპოვნის ზუსტი ანალოგი.

მსგავსი მინის ჭურჭლეულის წარმოების დრო და ადგილი კარგად არის ცნობილი. იგი სირიული წარმოშობისაა და ფართოდ არის გავრცელებული ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეთა ანტიკურ სამყაროში. ცხადია, მას ამავე ხანებში უნდა გაეგლო გზა იბერიის სატახტო ქალაქის მცხეთის მაღალი სოციალურა წრის წარმომადგენელთა კოსმეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასეთ თარიღს მხარს უჭერს სამარხში აღმოჩენილი:

169 (01/6—113, 114). მონეტები ოქროსი: ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაეები (2 ც.).

170 (01/6—122, 123). მონეტები ვერცხლისა: წყვილი, რომელთა ფართო გავრცელება ჩვენში ახ. წ. პირველ საუკუნეებზე მოდის.

მაღალმხატვრული ღირსებისაა აქ აღმოჩენილი ოქრომჟედლური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც უმთავრესად სამკაულებად არის წარმოდგენილი (სურ. 432). მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ:

171 (01/6—119, სურ. 432). ყელსაბამი. იგი შედგება ორი წნული ძეწკვი-სა და თითქმის წესიერი მრგვალი მედალიონისაგან. საკიდების თავში ბროწეულის ყვავილის მოყვანილობის წყვილი ბურთულაა, ხოლო ბოლოში, აგრეთვე წყვილი, შესაბნევი რგოლი. საკიდი ძეწკვები მედალიონთან შეერთებულია ძეწკვებით, თავებსა და მედალიონის ჩარჩოებზე მირჩილული პატარა რგოლებისა და მათში გაყრილი მანქვლების მეოხებით. მედალიონის ჩარჩოში მრგვალ-ამობურცული აღმანდინის უსახო თვალია.

172 (01/6—117, 118, სურ. 435, 436). ოქროს წყვილი საყურე, ერთიმეორის ზუსტი ანალოგები. სანიმუშოდ აღებული ცალი შედგება ნუშისგულის მოყვანილობის ფარფლიანი ჩარჩო-ბუდისაგან აღმანდინის თვალითურთ, მხარზე მირჩილული, წიწვოვანი სახეებით შემკული სამკუთხა თხელი ფირფიტისაგან და მის ნაპირზე სამი რგოლის მეშვეობით ჩამოკიდულ ლეროთაგან, რომლებიც სათითაოდ ცვარასაგან შედგენილი ყურძნის მტევნის იმიტაციით მთავრდება: ბუდის ზურგზე მირჩილულია ორგზის მორკალული ოქროსავე ლერო, ყურის ბიბილოში გასაყრელად.

თუ დავუშვებთ, რომ მტევნებს ზემოთ ნაწილობრივ შიშვლად დარჩენილი ლეროები შევსებულ-შემკული უნდა ყოფილიყო ფერადი მინით ან პასტით, ან, რაც უფრო სავარაუდოა, მარგალიტის მძივებით, მაშინ თვალწინ დაგვიდგება ერთი საუკეთესო ნიმუში პოლიქრომული სამკაულისა, რითაც ესოდენ მდიდა-

რია მცხეთის მაღალი სოციალური ფენისა და განსაკუთრებით არმაზისხევის არისტოკრატიის სამარხეული ინვენტარი (4).

სამკაულთა ამავე რიგს ეკუთვნის:

178 (01/6—115, 116, სურ. 441, 444). ფირფიტოვანი ოქროს წყვილი სათითო-ბეჭედი ოვალური თვალბუდითურთ. ერთში ამობურცული აღმანდინის თვალია ინტალიოთი, რომელზედაც ქალღმერთი ნიკეა გამოსახული; მას მოსავს დანაოქებული კაბა. მეორის ბუდეში თავსწორი სარდიონია, რომელზედაც ამოკვეთილია გრძელკაბიანი ქალღმერთი (ფორტუნა), პროფილში მარჯვნივ, თმები მალა აქვს ავარცხნილი; მარჯვენა ხელით მართავს საჭეს, მარცხენაში სიუხვის ყანწი უჭირავს.

174 (01/6—125, სურ. 442). მშვენიერი ინტალიო ამკობს აქ აღმოჩენილ რკინის ბეჭედსაც: სარდიონის თვალზე ამოკვეთილი ინტალიო გამოსახავს მრგვალ-ბრტყელ საყრდენზე მდგომარე მარცხნივ ამაყად მომზირალ არწივს, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ თითქოს ბროწეულის(?) სამ-სამი ნაყოფის ასხმულა ამკობს.

175 (01/6—120). აქვეა სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ოქროს კილიტები თუ ღილაკები, რომლებიც დაკრძალული მანდილოსნის სიციოცხლეში მის თავსაბურავსა თუ ტალავარს ამკობდნენ ან მის სუღარას განსვენების შემდეგ.

დაკრძალულის სამარხეული ინვენტარის რეპერტუარს ავსებენ:

176 (01/6—133—138). სხვადასხვა ზომა-მოყვანილობისა და დამუშავების მძივები და მძივსაკიდები ფერადი პასტისა და მინისა.

176a (01/6—131). საკინძი ბრინჯაოსი (აბზინდა), რომელიც წარმოადგენს არწივის თავის ზედა ნაწილის ქანდაკებრივ გამოსახულებას; მის აბზინდობას ამტკიცებს ღრუში დატანებული განივი ყუნწი.

ყველაზე ძვირფასღირებულ მონაპოვრად მიგვაჩნია:

177 (01/6—109—111, სურ. 445—447), საწერი მოწყობილობის კომპლექტი. იგი შედგება ცილინდრული მოყვანილობის, ოღნავ წელში გამოყვანილი თხელფირფიტოვანი ბრინჯაოს სამელნისაგან, რომელსაც თან ახლავს სახურავი: ბრინჯაოსავე ოთხი ცალი წკირისაგან (სიგრძე — 4—5—5,2 სმ) და ძვლის მრგვალღეროვანი სტილოსისაგან (სიგრძე — 16,5 სმ). თუ ზოგიერთ წვრილმანს არ გამოუვლდებოდა, დაახლოებით, ამით ამოიწურება ამ, მართლაც, მდიდრული სამარხის ავლადიდება (01/6—99—138). მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს ოღნავ შევჩერდეთ ამ უკანასკნელი მონაპოვარის მნიშვნელობაზე. მხედველობაში გვაქვს საწერი მოწყობილობის კომპლექტი. ეს არის სამელნის აღმოჩენის მესამე შემთხვევა მცხეთაში. პირველი აღმოჩენა ეკუთვნის ფრ. ბაიერსს, რომელმაც ბრინჯაოს ცილინდრული სამელნე დაადასტურა სამთავროს ერთ-ერთ სამარხში. მასზე შესრულებული ლათინური წარწერა იუწყებოდა, რომ იგი კალპურნიის სახელოსნოს ნაწარმი იყო. მეორე სამელნე, ვერცხლისა, შეგვხვდა

ერთ-ერთ სამარხში მცხეთის ქალაქის ტერიტორიაზე (არაგვისა და ლენინის ქუჩების შესაყარში, უნივერსიტეტის მშენებლობის ადგილას) 1958 წელს ჩატარებული გათხრის დროს. მესამეც — ეს არის. რაც შეეხება სტილოსს, დღეისათვის მცხეთის სამარხულ ძეგლებში უკვე ხუთიოდე ასეთი ნივთი გამოიყოფა. გარდა ამისა, ჩვენ გუშანი გვაქვს, ზოგიერთი მინის ცილინდრული ჭურჭელი, ჩვეულებრივ, ანტიკური ხანის სამარხებიდან მომდინარე, შესაძლოა, სამელნედ იხმარებოდა. ყოველ შემთხვევაში, საწერ მოწყობილობათა აღმოჩენის შემთხვევების მომრავლება აშკარად მოწმობს წიგნიერების გავრცელებას ძველ მცხეთაში. ამ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიკური იბერიის კულტურული პროფილის დასადგენად და გასათვალისწინებლად. მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე წერდნენ და კითხულობდნენ საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები, ის მაინც ფაქტია, რომ სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანთა ურთიერთობაში წერაკითხვას დიდი საზოგადოებრივი როლი სჭერია და რომ ადამიანის კულტურის ეს ძვირფასი შენაბენი მარტოოდენ გამოვლელ-გამომვლელთა კომუნიკაციის საშუალება არ ყოფილა.

თუ აღრეაღმოჩენილ წარწერათა ხასიათის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ 1975 წელს აღმოჩენილი საწერი ხელსაწყოები პირველ რიგში გამოიყენებოდა სამეფოს ოფიციალური დოკუმენტების შესადგენად, მაგრამ ასე ხშირი შემთხვევა საწერი მოწყობილობის აღმოჩენისა სწორედ სამარხებში და არა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ნაგებობათა კულტურულ ფენებში, ქალაქური კულტურის, კერძოდ, მწიგნობრობის დაწინაურების შთაბეჭდვად სურათს სახავს: თავისებურ მითითებას გვაძლევს იმის თაობაზე, რომ გვიანანტიკური ხანის ქართული ქალაქური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა დამწერლობა, უფრო საზოგადოდ, მწიგნობრობა, რომლის შემოღება მიეწერება ფარნავაზს — ქართლოსის ნათესავთაგან პირველ მეფეს „ქართლსა შინა“ (34, გვ. 26). რა თქმა უნდა, ამ აღმოჩენის მიხედვით არაფრის თქმა შეიძლება იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე იწერებოდა აღმოჩენილი სამელნე მოწყობილობით, მაგრამ მცხეთის მოქალაქეთა წრეში, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, რომ არსებულა მოთხოვნილება საწერ მოწყობილობაზე და გავრცელებულიც ჩანს ის, დავას არ უნდა იწვევდეს. ქალაქური კულტურის ამ ელემენტის მაჩვენებელი, ეს კიდევ ერთი ნივთიერი საბუთი, სამთავროსა და არმაზისხევის შესართავთან ადრე აღმოჩენილ ბერძნულ, ებრაულ და არმაზულ-არამეული დამწერლობის ძეგლებთან ერთად, ერთხელ კიდევ გვახსენებს გვიანანტიკური ხანის ქართლის საამეფო ქალაქის მცხოვრებთა ეთნიკურ სიჭრელეს, რაც შესაძლოა, ასახული იყოს სინქრონულ სამარხთა ნაირსახეობებშიაც კი. იგი, იმავე დროს, დამახასიათებელ ილუსტრაციას წარმოადგენს უძველესი ქართული საისტორიო წყაროს, ფარნავაზამდელი ვითარების ამსახველი ცნობისა, იმის შესახებ, რომ

„იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული. ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“ (34, გვ. 16; 2, გვ. 242; 3, გვ. 11).

საწერი მოწყობილობის სახეობა თითქოს ეჭვს იწვევს, რომ ის შემოტანილია რომიდან. ამასვე მიუთითებს ფრ. ბაიერნის მიერ აღმოჩენილი „სამეღვის“ ლათინური წარწერა, რომელშიაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კალპურნიის სახელსწრთა ნახსენებია. გადამწყვეტი მნიშვნელობისა შესაძლოა იყოს სვეტიცხოვლის უბნის მე-6 სამარხის (კრამიტსამარხი № 3) კრანოლოგიური მასალის შედარებითი გამოკვლევა. მაგრამ წინამდებარე ანგარიშის წერისას ეს სამუშაო არ იყო დასრულებული.

სვეტიცხოვლის უბნის კრამიტსამარხთა გათხრამ კვლავ დაადასტურა აღრე შემუშავებული თვალსაზრისი ამ სახის სამარხთა მდიდრულობის შესახებ (2, გვ. 92). ამის დამადასტურებელია, როგორც ვნახეთ, სხვებზე უფრო მკაფიოდ სვეტიცხოვლის უბნის მეექვსე სამარხი და მისი ინვენტარი. მცხეთელ რიგით მოქალაქეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო პქონოდა და, მით უფრო, საფლავში ჩაეწყო ამდენი ოქრო-ვერცხლი, შინა და სხვ. არ შეეძლო მას, როგორც აღრეც შეინიშნა, აღვილად ეშოვნა კრამიტის „სახლ საკრძალავთა“ ასაგებად საჭირო სამშენებლო კრამიტიც (2, გვ. 92). ეს შთაბეჭდილება საანგარიშო წელს კარგად დადასტურდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, კარსნისხევის შესართავთან გათხრილ სამაროვანზეც, სადაც ფიქსირებულია მხოლოდ ერთი კრამიტის ქვეშ და კრამიტის ნატეხზე დაკრძალვაც კი.

ამრიგად, კრამიტებით შედგენილი „სახლი საკრძალავები“ მცხეთა ქალაქის მდიდრული ფენის, მოქალაქეთა წარჩინებული ნაწილის კუთვნილებას წარმოადგენდა და მათში, როგორც წესი, მდიდრული, უცხოეთიდან შემოტანილი სამარხეული ნივთები გვხვდება. საანგარიშო წელს ამას მკაფიოდ გვიჩვენებს სვეტიცხოვლის უბნის მეექვსე სამარხიც.

სვეტიცხოვლისა და კარსნისხევის უბნებზე 1975 წელს გათხრილი კრამიტსამარხების ერთობლივი გამოკვლევა იმასაც გვიჩვენებს, რომ მცხეთის მოქალაქეთა ის ჯგუფიც, რომელიც კრამიტსამარხებში იკრძალებოდა, სოციალურად ღრმად დიფერენცირებულია: მდიდრებს, ქონებიერთ უპირისპირდება ღარიბ-ღატაკობა. ასეთი სურათი ისახება სამარხთა აგებულებისა და საფლავში ჩატანებული ნივთების მიხედვით.

შესაბამისად, თავს იჩენს სოციალურად ორგვარი კულტურის ძეგლები: ა. მდიდართა ან წარჩინებულთა წრისა — ზედაფენის კულტურული სახის მაჩვენებელი და ბ. ღარიბ-ღატაკთა — ნივთიერი დოვლათის შემქმნელთა კულტურული სახის მაჩვენებელი. ისიც მკაფიოდ შეინიშნება, რომ ზედაფენის ნივთიერი კულტურის ძეგლები მთლიანად შემოტანილია, უცხოურია ან მათი ნაწილი იქნებ იყოს უცხოელი ხელოსნების მიერ დამზადებული ადგილობრივ სახელოსნოში, სადაც შესაძლოა, მუშაობდნენ ადგილობრივებიც და ქმნიდნენ



ძეგლებს უცხოური სიუჟეტების თუ შემოტანილი ნივთების მიბაძვა-მიხედვით. ამ რიგის ძეგლებიც პრაქტიკულად უცხოურია.

ნივთიერი დოვლათის შემქმნელთა, ე. ი. მასობრივ სამარხებსა და ლარიბ-ლატაკთა ნასახლარებზე უნდა მოველოდეთ აბორიგენთა ნივთიერი კულტურის ძეგლებს. ამიტომაც, მცხეთის მუდმივმოქმედი ექსპედიციის საგანგებო ინტერესს მასობრივი, ე. ი. ლარიბული სამარხები იწვევენ. შესაბამისად, ბუნებრივია, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას გვიანანტიკური ხანის მასობრივი სამაროვნებისა და ნამოსახლარების გათხრა-გამოკვლევა წარმოადგენს.

### გვიანდელი ელინისტური ხანის სამარხული ფენა

ამ დროისაც აგრეთვე სამი ქვევრსამარხი გაითხარა (სამარხები №№ 1, 2, 5). ეს არის ჩვეულებრივ წითლადგამომწვარი, საკმაოდ სქელკედლიანი, უსახო, ალბათ მეურნეობაში გამოყენებული ქვევრები, გვერდზე ჰორიზონტულად მწოლიარე, უმთავრესად ქვეყნის მხარეების მიხედვით დამხრობილი, რომლებშიც თითო ან ორ-ორი ჩონჩხია ამა თუ იმ გვერდზე მისვენებული. როგორც დაკრძალვის წესის, ასევე კულტურის ელემენტებისა და ქრონოლოგიის მიხედვით ისინი სამთავროს ქვევრსამარხთა სრული პარალელები არიან, რის გამოც მათზე დაწვრილებით აღარ შეგჩერდებით (სურ. 394, 395).

ს ა მ ა რ ხ ი 2 თითქოს უკეთ ჩანდა დაცული, თუმცა თვით ქვევრი ძალიან დამტვრეული იყო. მასში აღმოჩნდა წყვილი ჩონჩხი: ერთი მარცხენა, მეორე მარჯვენა გვერდზე ესვენა.

ამ ტიპის სამარხისათვის დამახასიათებელი ინვენტარი:

178 (01/6—46). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, მოყავისფროდ მოწერნაქებული, ცალყურა; ყელი დაბალი აქვს, მხრები — დაქანებული, მუცელი განიერი.

179 (01/6—47). ხელადა თიხისა, უფრო ღიაფრად გამომწვარი, აგრეთვე ცალყურა და სფერულმუცლიანი, სამტუჩა.

180 (01/6—48). სამაჯური ბრინჯაოსი: ზურგშენეწილი და პარგახსნილი.

181 (01/6—49). სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი. ფრაგმენტები.

182 (01/6—51—55). მძივები ცისფერი პასტის, დაბალკონუსური: სარდიონისა — მანდარინისებრი; გიშრისა — კასრისებრი; მოთეთრო-გამჭვირვალე შინისა — მსხლისებრი; მუჭი მოყავისფრო მინისებრი პასტისა — მილაკისებრი. დიაგონალურად ინკრუსტირებული მძივი; ჟღალი პასტის მძივსაკიდები (3 ც.) — მგლის კბილის მოყვანილობისა. აქვეა ქვევრსამარხისათვის ერთობ ტიპური:

188 (01/6—56). რკინის დანა (უფრო სწორად, მისი ორი ნატეხი) და სხვ.

ს ა მ ა რ ხ ი 5. ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა, კრამიტ-სამარხის მახლობლად, პირით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართული. ქვევარი საესებით დაშლილი იყო. საფიქრებელია, რომ იგი დამარხვის მომენტშიც არ იყო მთელი და მიცვალებული, ალბათ, ერთ დიდ გვერდით ნაწილზე დაასვენეს და ზემოდან ნატეხები დააფარეს, როგორც ეს არაერთგზის გვქონდა დადასტურებული სამთავროს სამაროვანზე. შიგ საქმაოდ მაღალი ტანის ინდივიდის ჩონჩხი ესვენა, მარცხენა გვერდზე, რა თქმა უნდა, მკვეთრად ფეხებმოხრილი. მარცხენა ხელის მტევანი თავქვეშ ედო. აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

184 (01/6—90, 91). ჩალისფრად გამომწვარი თიხის წყვილი ხელადა (დაბალი დოქი), ცალყურა, ყელდაბალი და მუცელგანიერი. ერთი მათგანი მარგვალპირიანი და ყელწიბოიანია, ხოლო მეორე სამტუჩა.

185 (01/6—92, 93). ვერცხლის წყვილი სასაფეთქლე რგოლი და ბრინჯაოს მსხვილმავთულოვანი წყვილი სამაჯური.

186 (01/6—94, 95, 97, 98). მძივები მოთეთრო-მოცისფრო, მოლურჯო პასტის, სარდიონის, ვიშრის, მოოქრული მინისა და სხვ.

187 (01/6—96). დანა რკინისა, ოდნავ მოხრილი, სასხლავის ტიპისა. უნდა ვიფიქროთ, სასხლავადაც გამოყენებული.

ქვევრსამარხთა აღმოჩენა იმ მხრეზეც არის საყურადღებო, რომ სამარხთა ეს სახეობა ძვ. წ. V—IV საუკუნეებიდან ცოცხლობს კავკასიაში და, ამდენად, საერთო-კავკასიური მოვლენა ჩანს. მართალია ჭერჭერობით არ შეიძლება ითქვას, რომ ის უკლებლივ ყველა რეგიონს ახასიათებდეს, თუმც ასე ტოტალური გავრცელება კულტურის ელემენტებისა არც არის მოსალოდნელი. კოლხეთის, იბერიის, ალბანიისა და არმენიის მიწაწყალზე ქვევრსამარხთა გავრცელება, ჩვენი აზრით, იძლევა იმის საფუძველს, რომ სამარხ ნაგებობათა ეს სახეობა კავკასიური ცივილიზაციის დამახასიათებლადც მივიჩნიოთ.

1975 წლის მუშაობის შედეგების შესახებ საუბრის შეჯამებისას ხელოსანთა უბნის აღმოჩენის ხაზგასმაა აუცილებელი. საუკუნეზე მეტია მცხეთა ითხრება და მხოლოდ საანგარიშო წელს გამოვლინდა ხელოსანთა ნამოსახლარის კომპლექსი. გაირკვა, რომ გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი შედგებოდა შემდეგი ელემენტებისაგან: ნასახლარი, სახელოსნო უბანი, სამეურნეო ნაგებობები და სამაროვანი. ნასახლარი ერთსახლიანი (ერთოთახიანი) ელემენტიადამხმარე ნაგებობითურთ. სახლი (დასახლება) უკარმიდამოა. კარსნისხევის ხელოსანთა უბანი — დასახლება ქართლის, ანტიკური ხანის დედაქალაქის აუცილებელი უბანია, მსგავსი ათენის „მექოთნეთა უბნის“ — „კერამიკოსისა“.

კრამიტსამარხებიცა და ქვევრსამარხებიც დიდი ხანია ცნობილია მცხეთაში, კერძოდ, სამთავროზე, მაგრამ გვიანელინისტურ-გვიანანტიკური ხანის ქვევრსამარხებისა და კრამიტსამარხების აღმოჩენა სვეტიცხოვლის უბანზე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ისინი ცხადსა ხდიან, რომ ჩვ. წ. IV ს. ცნობილი მშენებლობა, დაკავშირებული მირიანის სახელთან („იწყეს ხუროთა შენე-

ზად ეკლესიისა გარეგნივ ზღუდესა, მაყვალთა მათ ზედა, საყოფნელსა წმიდისა ნინოსა, სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო“ (34, გვ. 118), ხორციელდება გვიანელინისტური ხანის სამაროვნისა და კულტურული ფენების მოშლის შემდეგ. ამ ადგილებში ჩანს მირიანისდროინდელი „სამეფო სამოთხე“ და „სახლი ღმრთისა“ (3, გვ. 11). როგორც ვხედავთ, საანგარიშო წელსაც იჩინა თავი ელინისტურ-რომაული ხანის ძეგლებმა საკუთრივ სვეტიცხოველთანაც კი. ეს უკვე მერამდენე ნივთიერი მითითებაა მტკვარ-არაგვის ხერთვისში ელინისტურ-რომაული ხანის ქალაქური ცხოვრების ნაკვალებისა. ამრიგად, 1975 წლის აღმოჩენებიც უკერენ მხარს ქართული საისტორიო წყაროების ცნობას მცხეთა ქალაქის არსებობის შესახებ ფარნავაზის დროს („მოვიდა ფარნავაზ მცხეთას“, ფარნავაზ „წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა“ (34, გვ. 23).

ასეთია მოკლედ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნამუშევარი 1975 წლისათვის. როგორც დავინახეთ, აღნიშნული წლის მუშაობის შედეგები მნიშვნელოვნად ავსებენ ჩვენს ცოდნას მცხეთის ისტორიული წარსულის შესწავლის დარგში. საანგარიშო წელს მცხეთის ნაკრძალის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არაერთი საყურადღებო ძეგლი გადაურჩა, როგორც ბუნების დამანგრეველ მოქმედებას (ნარეკვაევი, მცხეთისგორა, მუხათგვერდი), ასევე ახალმშენებლობათათვის წარმოებული მიწის სამუშაოების დროს მოსალოდნელ განადგურებას (კარსნისხევი, ქალაქის უბნები, ფიქრისგორა). ამ ფაქტორების მოქმედება, ბუნებრივია, მომავალშიაც გაგრძელდება, რაც გვავალებს — არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამის შესაბამისად კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით განვახორციელოთ.

А. АПАКИДЗЕ, А. КАЛАНДАДЗЕ, В. НИКОЛАИШВИЛИ

М Ц Х Е Т А. 1975.

МЦХЕТСКАЯ АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ 1975 ГОДА

Резюме

Созданная постановлением Центрального Комитета КП Грузии и Совета Министров СССР постоянно действующая Мцхетская археологическая экспедиция вела археологические работы на разных участках («убани») «Великой Мцхета».

У устья Карснисхеви, впервые на территории «Великой Мцхета» раскапывался комплекс поселения (собственно поселение — жилые и хозяйственные здания, производственные и хозяйственные сооружения и могильник) первых веков нашей эры.

Комплекс вювь обнаруженного поселения расположен террасообразно на склоне и у подошвы горы. Устанавливается существование жилых и хозяйственных сооружений трех строительных периодов. Стены и фундаменты жилых зданий выложены из рваного камня на глиняном растворе (рис. 30—32).

Жилые помещения в плане четырехугольные; некоторые из них имели черепичную кровлю. Для перекрытия зданий использованы черепицы, характерные для Мцхета античной эпохи — солены и жалптеры.

Полы в жилых комплексах глинобитные с очагами в центральной части помещения. Жилой комплекс в основном состоит из двух частей: жилья и легкой крытой пристройки хозяйственного назначения, в которых также обнаружены очаги — следы огня.

В жилых зданиях и в культурных слоях обнаружено: красно-розовая столовая посуда, обломки кухонной керамики, а также большие хозяйственные сосуды (пифосы — «кзеври»). Вся керамика изготовлена на гончарном круге; она тонкостенная, светлорозового с красным оттенком обжига — характерная для памятников Картли и города Мцхета первых веков нашей эры.

На невысоком холме, к югу от поселения, обнаружены развалины производственных сооружений. Это — керамические обжигательные печи — в плане длинные, подчетыреугольные, отличающиеся от грушевидных и круглых керамических обжигательных печей античной эпохи и переключаются с раннеантичными печами Ховлегора.

Видимо, местные традиции сооружений вытянутых печей продолжались и в позднеантичное время.

Рядом с поселением обнаружен могильник, состоящий из черепичных ящиков и грунтовых погребений (рис. 2), по всем данным, синхронный с раскапываемым рядом поселением. Черепичные ящики, как правило, четырехугольные с двукратным перекрытием (рис. 220). Обнаружены также погребения, составленные из черепиц и рваного камня, т. е. комбинированные с деревянным перекрытием. Инвентарь погребений: кувшинчики типа ойнохой, глиняные сосуды с рельефным шишковидным украшением и со следами красного ангоба.

Прслеживается однородность, однотипность и, по всей вероятности, синхронность керамических изделий, обнаруженных на поселении, в культурных слоях, на производственном участке и в погребениях.

В отчетном году были продолжены изыскания на территории внутренней крепости Мцхета, в частности, — непосредственно к западу от «Колонного зала» Багинети — открытого еще, в сороковых годах. Здесь выявлены остатки зданий и архитектурные детали, в том числе примечательная часть карниза с рельефным изображе-

нием стилизованной львиной головы и розетки позднеэллинистической эпохи (рис. 327, 328).

Работы в Нареквави носили охранный характер. Раскопки начались на сильно эрозированном участке, где размывались слои поселения эпохи поздней бронзы и раннего железа. При снятии первого, дернового слоя удалось собрать изрядное количество обломков серо- и чернолощенных сосудов, костных остатков домашних животных; встретились также: бусы из глины, пасты, сердолика; обломок железного ножа; глиняная печать с резным изображением представленных в друг друга кружков и др. Встречаются отдельные фрагменты опрокинувшихся стен из сырцовых кирпичей. Обнаруженные материалы указывают на существование в Нареквави остатков поселения эпохи поздней бронзы и раннего железа, раскопки которого остаются задачей на последующие раскопочные сезоны.

Раскопки возле собора Светицховели, — к западу от него, также носили стасательный характер. Здесь при выемке котлована (11×13 м) для строящегося дома выявились остатки поселений средневекового времени. Доследование участка, потребовавшее углубление котлована до 4,00—4,50 м, показало следующую стратиграфию (сверху вниз):

### 1. Культурный слой позднефеодального времени (XV—XVIII в.в.).

Представлен он фрагментами стен, сложенных из булыжника и рваного камня на глиняном растворе; глиняными печами, крупным фрагментом гончарного водопровода, цементированном муфтой на известковом растворе; обломками красноглиняной столовой посуды.

### 2. Культурный слой среднефеодального времени (XI—XIV в.в.).

Представлен остатками сооружений со стенной кладкой той же структуры и того же характера, глинобитным полом, торнями, очагами, крупными кувшинами, обильными находками обломков красноглиняной кухонной и столовой посуды; есть некоторое количество обломков поливной посуды.

### 3. Культурный слой раннефеодального времени (VI—X в.в.).

Характеризуется он остатками построек с булыжной, преимущественно, кладки на глиняном растворе; обломками керамики палевого цвета и др. Следы поселения сильно повреждены при строительных работах в последующие времена.

4. Остатки могильника позднеантичного времени (I в.

до н. э. — I в. н. э.). В западной части участка было открыто 6 погребений — три кувшинных и три черепичных.

Кувшинные погребения содержат скорченные костяки в сопровождении небольшого количества глиняных сосудов палевого оттенка и малых размеров; различных бус, железных ножей для подрезки виноградной лозы и парфянских монет I века до н. э. и другого мелкого инвентаря.

Из 3-х черепичных погребений одно было разграблено в древности, остальные два содержали довольно богатый могильный инвентарь. В этом отношении отличалось шестое погребение. Костяк представительной дамы из весьма зажиточного слоя общества сопровождался следующими предметами: золотое ожерелье весьма тонкого плетения, снабженное выпуклым гранатовым камнем в гнезде; пара трехлучевых золотых серег с выпуклыми алмадинами; пара золотых перстней со вставленными камнями и резными изображениями божеств; пара золотых монет — подражаний статерам Александра Македонского; бронзовое скульптурное изображение головки орла — деталь для убранства женского кушака; цветная стеклянная посуда малых размеров — весьма тонкой работы, изящной по форме, для хранения благовоний; бронзовая чернильница цилиндрической формы с крышкой, вместе с костяным стилем и четырьмя бронзовыми пакопечниками (рис. 445—447).

Пикристорга. К западу от Самтаврского могильника раскопки были начаты с целью освобождения места для строящегося водного резервуара. Здесь было раскопано 11 погребальных каменных ящиков раннефеодального времени. Извлеченный из них довольно выразительный могильный инвентарь перекликается с материалами синхронных могильников Мцхета, а в первую очередь, Самтаврского могильника.

Раскопки на юго-западной части Мцхетис гора выявили культурные слои переходного от позднеантичного к раннефеодальному и собственно раннефеодального времен, известным еще по раскопкам 1968 года.

Остатки поселений представлены многочисленными фрагментами стен, сложенных как из рваного камня на глиняном растворе, так и из сырцовых кирпичей. Как правило, много обломков кухонной столовой глиняной посуды, чаш со сливом и др., обожженных в палевоый цвет, гладких, т. е. неорнаментированных.

ა. ავაშიკა, ა. კალანდია, ვ. ნიკოლაიშვილი, ვ. მანჯგალაძე, ა. სიხარულიძე,  
მ. საღრაძე, ლ. ხეცურიანი, თ. ჯღარაკაძე, მ. კნელიაძე, რ. ღაველიანი,  
ვ. გიუნაშვილი

მ ც ხ ე თ ა. 1976

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის  
მუშაობის ანგარიში

მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია 1976 წელს განა-  
გრძობდა კვლევა-ძიებას დ ი დ ი მ ც ხ ე თ ი ს ტერიტორიაზე.

ექსპედიციის შვიდივე რაზმი გათხრებს ძირითადად აწარმოებდა ახალმშენ-  
ებლობებზე: კარსნისხევში, მუხათგვერდზე, ახალ არმაშში, კამარახეთთან, სამ-  
თავროზე, სვეტიცხოველთან და ნარეკვაზე.





საანგარიშო წელმა მნიშვნელოვანი მასალები მოგვცა მტკვრისა და არაგვის  
ბერთვისში საქალაქო ცხოვრების აღსადგენად ადრეანტიკური პერიოდისა და მო-  
კიდებული ადრეფეოდალური ხანის ჩათვლით.

ექსპედიციის ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს სამ-  
თავროში და ნარეკვაზე გამოვლენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამო-  
სახლარი. სამთავროს ნამოსახლარი და მუხათგვერდის სამაროვანი ნაწილობ-  
რივ დაკონსერვდა და მომზადდა საჩვენებლად.

კარსნისხევი  
(01/5)

კარსნისხევში გრძელდებოდა 1975 წელს აღმოჩე-  
ნილი ძეგლების შესწავლა. ნამოსახლარზე დასრულდა  
პირველ ორ (გვიანდელ) სამშენებლო პერიოდთან და-  
კავშირებული სახლების გამოვლენა-შესწავლა (სურ.  
30, 31).

კარსნისხევის ნამოსახლარზე საანგარიშო წელს ძირითადად დასრულდა  
საველე სამუშაოები: მოიხსნა პირველ ორ სამშენებლო პერიოდთან დაკავში-  
რებული ნაგებობები, რომლებიც ძირითადად კულტურულ ფენაზე იყო გამარ-  
თული; გამოვლინდა ადრეული (მესამე) ფენის შენობათა ნაშთები — ქვატეხი-  
ლით ნაგები კერები, დამწვარ-დანახშირებული თიხატეხპილი იატაკის ნაწილები.




სურ. 17. კარსნისხევი. ნაკვეთების განლაგება

ტები და სამეურნეო ორმოები. აღნიშნული ფენა ძლიერ დაუზიანებია გვიანდელ ნაგებობებს: ამიტომაც გაძნელდა იქ ცალკე კომპლექსის გამოყოფა. ადრეულ ფენაში აღმოჩნდა მრგვალი კალორიფერის აგურები, რაც იმ ადგილზე აბანოს არსებობაზე, შესაძლოა, მიუთითებდეს. აღსანიშნავია სინოპური ამფორის ძირის (01/5—245) აღმოჩენის შემთხვევა ერთ-ერთი შენობის (სახლი № 6) იატაკზე.



კარსნისხევის ნამოსახლარის გავრცელების საზღვრების დასადგენად ახლოს, ხეობის მარჯვენა ფერდზე, გაიჭრა რამდენიმე საძიებო თხრილი, რომელთა გაფართოების შედეგად მოიზომა ორი ნაკვეთი — V და VI (სურ. 552, 558). V ნაკვეთზე 5 მეტრის სისქის კულტურული ფენის აღების შემდეგ გამოვლინ-





სურ. 18. კარსნისხევი. V ნაკვეთი. გეგმა

და ღარიანი კრამიტებით ნაგები ღია მილსადენის ნაშთი (სურ. 553), რომელიც დაკავშირებული ჩანს ქვევრებთან (მილსადენის დონეზე აღმოჩნდა სამი დიდი ქვევრის პირი). V ნაკვეთზე აღმოჩენილი კულტურული ფენა შეიცავდა ნამოსახლარზე დადასტურებული თიხის ჭურჭლის ანალოგიურ კერამიკას; აგრეთვე, დამწვარ-დანახშირებულ და დანაცრულ შრეებს; კულტურული ფენა ნაწილობრივ დაძრული და დაცურებული ჩანს ფერდიდან. ნამოსახლარიდან ორასიოდ მეტრის დაცილებით გავლებულ სადაზვერვო თხრილში (VI ნაკვეთი) გამოვლინდა საწნახელი და მარნის ნაშთი (სურ. 19, 21, 621). იგი წარმოადგენს პიდრაელიკური ხსნარით მოკირწყლულ შემოზღუდულ მოედანს (3,2 X 2,4 მ),



სურ. 19. კარსნისევი, საწნახელი

რომელიც ეკვრის კერამიკული ფილებით აშენებულ აბაზანისებრ ნაგებობას — საქაჯავს. ორივე მათგანი იატაკში გაჭრილი ფერდზე ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზეა გამართული. მას უკავშირდება წვრილი ქვით მოფენილი საურ-მე გზა(?) (სურ. 21).

კარსნისხევის ნამოსახლარის ყველა სამშენებლო ფენაში დიდი რაოდენობით გამოვლინდა სხვადასხვა დანიშნულების მოწითალოდ გამომწვარი თიხის ქურქველი თუ მათი ნატეხები. ვაქვეყნებთ ზოგიერთი მათგანის აღწერილობას:

დ ე რ გ ე ბ ი. 1 (01/5—270, სურ. 70). დერგი ორყურა, მოჩალისფრო, კარგად გამომწვარი თიხისა, თხელკეციანი, პირი გადაშლილი აქვს; ბაკო — ბრტყელი; ყელი — დაბალი, ცილინდრული, მხრებთან მკვეთრად გაფართოებული; ყურები — მუცელზე დაძვრწილი, განივკვეთში მომრგვალებული; ტანი — ყურსქვემოთ ოდნავ შეზნეპილი; მუცელი — სფერული, ძირისკენ თანდათან შევიწროებული; ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 53,3 სმ, მუცლის დმ — 43,5, ყელის — 13,5, პირის — 15,0, ძირისა — 21,0 სმ.

აღმოჩნდა მე-18 კედლის ალების შემდეგ, მე-6 სახლში.

2 (01/5—247, სურ. 75). დერგი ორყურა, მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა, თხელკეციანი. პირმოყრილი; პირს ქვემოთ რელიეფური სარტყელი შემოსდევს; ყურები — განივკვეთში ოთხკუთხა; მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 28,5 სმ, პირის დმ — 12,0, ძირისა — 18,0 სმ.

აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-13 კვადრატში.

3 (01/5—259, სურ. 72). დერგი ორყურა, მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი; ყურები — განივკვეთში ოთხკუთხა — მომრგვალებული; მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი. ყურები მუცელზე შვეულად აქვს დაძვრწილი, ყურის ძირთან ოდნავ წელშეზნეპილია.

სიმაღლე — 38,5 სმ, მუცლის დმ — 34,5, პირის — 10, ძირისა — 20,5 სმ.


აღმოჩნდა მე-6 სახლის იატაკის ქვეშ.

4 (01/5—271, სურ. 77). დერგი ორყურა, მოჩალისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირმოყრილი; პირის ქვემოთ წიბო ამჩნევია; ტანი სფერული აქვს; ყურები — განივკვეთში ოთხკუთხა-მომრგვალებული; ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 23,5 სმ, პირის დმ — 13, მუცლისა — 28,5 სმ.

5 (01/5—272). დერგი ორყურა, მოყვითალო-მოჩალისფრო. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი; ყელი — დაბალი, ცილინდრული; ყურები — შეველი, მუცელზე დაძვრწილი; განივკვეთში მომრგვალებულ-ოთხკუთხა; მუცელი — ოვალური, ყურების ქვეშ წელშეზნეპილი; ძირი — ბრტყელი უნდა ყოფილიყო.

სიმაღლე — 33,5 სმ, პირის დმ — 11,0, ყელის — 9,5, მუცლისა — 32 სმ. აღმოჩნდა № 5 სახლში.



სურ. 20. კარსნისხევი. VI ნაკვეთის გეგმა

6 (01/5—273, სურ. 76). დერგი უყურო, მოწითალო-მოვარდისფრო; პირი მრგვალი აქვს, გადამლილი; ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი. ტანზე, ძირისკენ, ემჩნევა ჩარხზე ტრიალის კვალი.

სიმაღლე — 39,0 სმ, ყელის დმ — 17,0, მუცლის — 41,0, პირისა — 23 სმ.  
7 (01/5—188). დერგი უყურო, მოჩალისფრო, სქელკეციანი, ქარსნარევი. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი; მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 31,5 სმ, მუცლის დმ — 27,5, ძირისა — 15 სმ. აღმოჩნდა IV ნაკვეთის მე-10 კვადრატში.

8 (01/5—274, სურ. 69). დერგი მოჩალისფრო, ყურიანი. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — წიბოიანი; მუცელი — სფერული, ძირბრტყელი. ყური ორად გაყოფილი, პირს ქვემოთ, ერთმანეთის პირდაპირ აქვს დაძვრწილი.

სიმაღლე — 68,0 სმ, პირის დმ — 24,0, ყელის — 22,0, მუცლის — 50,0, ძირის — 20 სმ.

აღმოჩნდა № 6 სახლის იატაკის აღების შემდეგ.

9 (01/5—275). დერგი თიხისა, ლეგა-მონაცრისფრო, პირი გადაშლილი აქვს; ბაჟო — დაქანებული; ყელი — დაბალი; მუცელი სფერული; ტანი — ოვალური, ძირისაკენ ვიწროვდება; ძირი — ბრტყელი. პირის დმ — 18 სმ, ძირისა — 17,5 სმ. აღმოჩნდა ნამოსახლარის მე-13 კვადრატში.

10 (01/5—177). დერგი ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; სქელკეციანი, ქარსნარევი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — დაბალი, პირის დმ — 20 სმ. აღმოჩნდა XVII კვადრატში, 0 ხაზიდან 50—70 სმ.

11 (01/5—183). დერგი მომწვანო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი; ყელი — ცილინდრული; ძლიერ დეფორმირებული და დამწვარია (კერამიკული წუნი); პირის დმ — 13, ყელის — 10 სმ. აღმოჩნდა IV ნაკვეთზე, ქურების უკან.

12 (01/5—276). დერგი მომწვანო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, თხელკეციანი, პირი გაშლილი აქვს; ტანი — ცილინდრული; დეფორმირებული და დამწვარია (კერამიკული წუნი). პირის დმ — 10 სმ, ყელისა — 9 სმ. აღმოჩნდა I ნაკვეთის ადრეულ ფენაში (თიხის მიღებთან).


13 (01/5—275). დერგი თხელკეციანი, სუფთა სილანარევი თიხისა, ემჩნევა მორგვზე ბრუნვის კვალი: პირი გადაშლილი აქვს, ყელი — ცილინდრული, პირის დმ — 10 სმ, ყელისა — 9,5 სმ. აღმოჩნდა მიღებთან.

14 (01/5—277). დერგი მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა. გარედან ემჩნევა წითელი საღებავის (წერნაქის) კვალი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი.


15 (01/5—279). დერგი მოჩალისფრო, თხელკეციანი, კარგად განლექილი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი; პირის დმ — 10,0 სმ, ყელისა — 9,0 სმ. აღმოჩნდა მე-13 კვადრატში (კერასთან).

16 (01/5—278). დერგი მონაცრისფრო-მოვარდისფრო, სქელკეციანი, ცუდად გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი. ემჩნევა მორგვზე ბრუნვისა და ცეცხლის ზემოქმედების კვალი.

VI



სურ. 21. კარანახის ნანგრევები. VI ნაპოვნი. 80გზ



სურ. 22. კარსისხევი. საწნახელი. კრილი 3-3

17 (01/5—284, სურ. 46). დერგი ორყურა; პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი, ცილინდრული; ყური — შვეული, განივკვეთში მრგვალი; ყურისთავი მხარზეა მიძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. ასეთივე ყურია დაძერწილი მოპირდაპირე მხარეს; ყურზე კვერცხის მოყვანილობის ორნამენტი ემჩნევა. ყელის ქვემოთ რელიეფური სარტყელი ამჩნევა, რომელსაც დაკეპნილო წერტილების რიგი დასდევს. პირის დმ — 21 სმ.

18 (01/5—280). ქოთანი ღია მოჩალისფრო, თხელკეციანი, კარგად განლექილი თიხისა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი; მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 15,5 სმ, პირის დმ — 10,0, ყელის — 9,5, მუცლის — 18,5, ძირისა — 13,5 სმ. აღმოჩნდა მე-5 კვადრატში (ძილებთან).

19 (01/5—281). ქოთანი მოჩალისფრო, თხელკეციანი. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი; მუცელზე შემოუყვება რელიეფური კოპებისაგან შედგენილი სარტყელი. პირის დმ — 6,5 სმ; ყელის — 5,5 სმ.

20 (01/5—282). ქოთანი მოშავო-მონაცრისფრო, ცუდად გამომწვარი თიხისა; პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი. ემჩნევა ცეცხლის ზემოქმედების კვალი. კეცის სისქე — 0,6 სმ. აღმოჩნდა მე-5 კვადრატში (ძილებთან).

21 (01/5—285). ქოთანი მოვარდისფრო-მოწითალო, კარგად გამომწვარი თიხისა, თხელკეციანი, ემჩნევა მორგვზე ტრიალის კვალი. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი; მუცელი — სფერული. პირის დმ — 10 სმ. აღმოჩნდა მე-5, 9, 13 კვადრატების ზოლში.

22 (01/5—289). ქოთანი თიხისა — მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, ყურიანი, უხეშად ნაძერწი. ემჩნევა ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი (გამურულია). პირი გადაშლილი აქვს; ყელი — გამოყვანილი, განივკვეთში მომრგვალებული. ყურისთავი პირის ქვემოთაა მიძერწილი, ყურისძირი — მუცელზე. კეცის სისქე — 1,0 სმ. აღმოჩნდა მე-6 სახლის ქვეშ — დამწვარ ფენაში.

23 (01/5—121, სურ. 82). ქოთანი თიხისა — მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ყურიანი, თხელკეციანი. ემჩნევა ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი (გამურულია). პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი, გამოყვანილი; მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი; ყური — განივკვეთში ოთხკუთხა-მომრგვალებული; ყურისთავი უშუალოდ პირზე აქვს დაძერწილი (იგი პირს ზემოთ სცილდება), ყურისძირი კი მუცელზე. სიმაღლე — 17,5 სმ, პირის დმ — 10,0, ყელის — 9,5, მუცლის — 17,5, ძირისა — 10,2 სმ. აღმოჩნდა ნასახლარზე მე-9 ქვევარში.

24 (01/5—149). ჯამი მოწითალო-მოვარდისფრო, თხელკეციანი, კარგად განლექილი თიხისა. პირი ბრტყელი აქვს; კალთა — მომრგვალებული; ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 4,2 სმ, კეცის სისქე — 0,8 სმ. აღმოჩნდა ნამოსახლარის მე-2 ტერასაზე.



25 (01/5—135, სურ. 94). ჯამი — მოჩალისფრო, სქელკეციანი, კარგად განლევილი თხისა. პირმოყრილი, ბაკომომრგვალებული, კალთა — დაქანებული. ძირი ბრტყელი აქვს, ღარით გამოყოფილი. სიმაღლე — 8,0 სმ, კეცის სისქე — 1,2 სმ. აღმოჩნდა მე-4 ნაკვეთის 10 კვადრატში.

26 (01/5—168, სურ. 154). ჯამი თიხისა, მოწითალო, პირმოყრილი. კალთა მკვეთრად დაქანებული აქვს, ქუსლი — გამოყვანილი, ქუსლზე გარედან ემჩნევა წერნაქით მოხატული სარტყელი. ფსკერზე და კალთებზე შიგნიდან მცენარეული ორნამენტი ყოფილა გამოსახული (ნაწილობრივ ემჩნევა). სიმაღლე — 7,2 სმ, ქუსლის დმ — 7,6 სმ. აღმოჩნდა IV ნაკვეთის 10 კვადრატში.

27 (01/5—286). ჩაფი მოწითალო-მოვარდისფრო თიხისა; პირი გადაშლილი აქვს; ბაკო — მომრგვალებული; ყელი — ცილინდრული, წიბოიანი; ყური — შევეული, განეკვეთში ოთხკუთხა-მომრგვალებული; ყურისთავი ყელზეა მიძერწილი, ყურისძირი კი მხარზე (მხრისა და მუცლის შეერთების ადგილზე). პირის დმ — 8,0 სმ, ყელისა — 7,5 სმ. აღმოჩნდა ნამოსახლარზე, მე-5, 13, 19 კვადრატების ზოლზე.

#### სამუშაო მასალა

28 (01/5—287). მილი მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თიხისა. იგი წარმოადგენს ერთ მხარეს თანაბრად შევიწროებულ ცილინდრს, რომელსაც ვიწრო ნაწილთან (7 სმ დაცილებით) რელიეფური სარტყელი ამჩნევა. დამზადებულია კარგად განლევილი ქვიშანარევი თიხისაგან. ემჩნევა ჩარხზე ტრიალის კვალი (ადრეულ ფენაში აღმოჩნდა, მე-5 სახლის ქვეშ). სიმაღლე — 53,0 სმ, თავის დმ — 8,5, ძირისა — 11,5 სმ, კეცის სისქე — 1,4 სმ.

29 (01/5—288). კერამიკული ფილა (ავური), მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კვადრატული ფორმა ჰქონია. დამზადებულია კარგად განლევილი ქვიშანარევი თიხისაგან, ფიცრებით შეკრულ ყალიბში. კეცის სისქე — 6,5 სმ, შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 24,0 სმ, სიგანე — 16,0 სმ. აღმოჩნდა მე-5 სახლის იატაკის ქვეშ.

30 (01/5—280). კრამიტი ბრტყელი, გვერდებაკეცილი (სოლენის ტიპისა); მოწითალოდ გამომწვარი, ტრაპეციის ფორმა აქვს. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ორფიცრიან დაზგაზე (ზურგზე ემჩნევა ფიცრის ანაბეჭდი). კრამიტის წიბურები და გარე კუთხეები დანით ჩამოუთლიათ. ბოლოდან 5 სმ დაშორებით, შიდაპირზე, დატანილია ხელოსნის ნიშანი (ნახევარწრიული ფორმისა). ბოლოდან 8,5 სმ დაცილებით ორივე მხარეს აქვს მხრები — ილღია. შიდა მხრიდან კრამიტს ემჩნევა მუქი წითელი ფერის წერნაქის კვალი. კრამიტის სიგრძე — 49,0 სმ, სიგანე განიერ ნაწილ-

ში — 36,0 სმ, ვიწრო ნაწილში — 33—39 სმ, გვერდის სიმაღლე — 6,5 სმ, კე-  
ცის სისქე — 2—2,5 სმ.

81 (01/5—399, სურ. 137). აგური კალორიფერისა, მოწითალო-მოვარ-  
დისფროდ გამომწვარი. დამზადებულია კარგად განლეჟილი, სილანარევი თი-  
ხისაგან (ზოგ ადგილზე შეინიშნება ქვიშის მსხვილი ჩანართები). იგი წარ-  
მოადგენს დისკოსებრ მრგვალ აგურს, რომელიც, ალბათ, კალორიფერის სვე-  
ტის ასაგებად იყო გამოყენებული. დმ — 4,5, სისქე — 4,5 სმ.

კარსნისხევის ნამოსახლარზე ზოგიერთი შენობის ალების შემდეგ აღმო-  
ჩნდა სამარხები. სულ საანგარიშო წელს კარსნისხევეში გაითხარა ექვსი სამარხი.

### სამარხთა აღწერა და ინვენტარი

ს ა მ ა რ ხ ი № 31 (სურ. 316, 319). 1976.IX (+0,68 მ). იგი ნამოსახლარის  
მე-5 სათავსის იატაკის ალების შემდეგ გამოვლინდა I ნაკვეთის 1 კვადრატში.  
სამარხი თირში იყო ჩადგმული. შედგება ორი ერთმანეთზე პირით დაფარებუ-  
ლი კალიბტერისაგან, რომელთა ვიწრო ნაწილების შეერთების ადგილზე ვერ-  
ტიკალურად ჩადგმული იყო ქვევრის ნატეხი. სამარხში ჩვილი ბავშვი იყო და-  
კრძალული. იგი მარცხენა გვერდზე დაუსვენებიათ ხელფეხმოკეცილი. ხელები  
გულმკერდის წინ ეწყო. სამარხის სიგრძე — 56,0 სმ, სიგანე — 28,0 სმ. სამარ-  
ხი უინვენტარო იყო.

ს ა მ ა რ ხ ი № 32 (სურ. 320, 323). 1976.30.VIII (+1,00 მ). აღმოჩნდა  
I ნაკვეთზე. სამარხი თითქმის მთლიანად თირში გაუმართავთ. იგი წაგრძელე-  
ბული ოთხკუთხედის ფორმის ორფერდასახურავიანი კრამიტყუთია, რომელიც  
დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ყოფილა დამხრობილი. სახურავი მთლიანად  
სამარხში იყო ჩაქცეული. სამარხის სახურავი გარდიგარდმო 6 ბრტყელი კრა-  
მიტით ყოფილა გადახურული, რომელთა გვერდების შეერთების ადგილზე  
ხუთი წყვილი ღარიანი კრამიტი დაუწყვიათ. ცენტრალურ ნაწილში სიგრძეზე  
ერთ რიგად ელაგა ბრტყელი კრამიტები — პირით სამარხის ცენტრისაკენ მი-  
მართული (თავხეს გადახურვა). სახურავს გარშემოსდევდა ქვატეხილის ერთ-  
რიგა არშია. სამარხი მიწით იყო ავსებული.

სამარხის გრძივი კედლები ოთხი ვერტიკალურად ჩადგმული კრამიტისაგან  
შედგებოდა, ხოლო განივ კედლებად სამ-სამი ბრტყელი კრამიტი იყო გამო-  
ყენებული.

სამარხის გრძივი კედლების გასწვრივ და ცენტრში გაიწმინდა ხის ძეღე-  
ბის ნაშთი. როგორც ჩანს, აღნიშნულ ძეღებზე ელაგა სამარხის სახურავის  
კრამიტები (შიგა ზომები — 1,60 × 1,22 მ).

სამარხში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული. იგი მარცხენა გვერდზე

ესვენა ხელფეხმოკეცილი, თავით დასავეთით. ხელის მტევნები თავქვეშ ჰქონდა ამოწყობილი. მიცვალებული უშუალოდ მოსწორებულ თირზე დაუსვენებიათ. სამარხში აღმოჩნდა:

32 (01/5—191, სურ. 322). ხელადისებრი სასმისი თიხისა, მოჩაღისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი. პირი გადაშლილი აქვს; ცილინდრული მუცელი მომრგვალებულია: ყური — განიკვეთში ოთხკუთხა — მომრგვალებული; ძირი — ბრტყელი. ყურის თავი მხარზე აქვს დაძერწილი, ყურისძირი კი მუცელზე. სიმაღლე — 11,5 სმ, პირის დმ — 5,0; მუცლის — 12,5; ძირისა — 9,0 სმ.

33 (01/5—193, სურ. 321). ხელადა თიხისა — თხელკეციანი, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი; პირი სამტუჩა აქვს; ყელი — დაბალი, ცილინდრული; ყური — ბრტყელი, უშუალოდ პირზე და მხარზე მიძერწილი; მუცელი — მომრგვალებული; ძირი — ბრტყელი. მუცელზე ემჩნევა რელიეფური კოპებისგან შედგენილი სამი სარტყელი. ყურისთავი უშუალოდ პირზე აქვს დაძერწილი, ყურისძირი — მხარზე. სიმაღლე — 12,0 სმ, მუცლის დმ — 11,0, ძირისა — 8,5 სმ.

34 (01/5—203, სურ. 325). საყურე ოქროსი — წარმოადგენს ოქროს განიკვეთში მრგვალი მავთულისაგან დამზადებულ ოვალურ, ბოლოებგახსნილ რგოლს, რომლის ერთ მხარეზე დამაგრებულია სამ-სამი ცვარასაგან შედგენილი პირამიდა — ყურძნის მტევნის იმიტაცია (რგოლი გატეხილა და შემდეგ ჩანს ერთმანეთზე მირჩილული). საყურის დმ — 1,5 სმ.

35 (01/5—203, სურ. 326). საყურე ოქროსი — ზემოაღწერილის ანალოგიური. საყურის დმ — 1,5 სმ.

36a (01/5—192). საკინძი ბრინჯაოსი. თავი დაწახნაგებული აქვს; ღერო — განიკვეთში მრგვალი; მთლიანადსხმულია. დმ — 5,4 სმ.

36 (01/5—201). ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაჯანგული და გატეხილი. განიკვეთში მრგვალი, ოვალური რკალი მხრებთან გაფართოებულია და გადადის რომბულ ფარაკში, რომელშიც მოწითალო სარდიონის ინტალიო ზის. მასზე ამოკვეთილია ბომონი (საკურთხეველი), რომელზედაც ცეცხლი ანთია. რკალის დმ — 2 სმ; გემისა — 0,9 სმ. იგი შედუღებულია მეორე ანალოგიური ფორმის ბეჭედთან. ამ უკანასკნელის ოვალზეც მსგავსი გამოსახულებაა ამოკვეთილი. ინტალიო შედარებით მცირე ზომისაა: სიგრძე — 0,7 სმ.

37 (01/5—200). ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაჯანგული და ნაკლული. მოტეხილი რკალი განიკვეთში ოთხკუთხა — ოვალური ყოფილა. მხრებთან ჰკვეთრად ფარაოვდება და გადადის რომბულ ფარაკში, რომელშიც ოვალური მოწითალო ინტალიო ზის, რომელზედაც ამოკვეთილია მწერის (ფუტკრის) გამოსახულება. ინტალიოს სიგრძე — 0,8 სმ.

ზემოაღწერილ ბეჭედზე მირჩილულია ისეთივე ბეჭდის ფრაგმენტი, რომელშიც კონუსისებრი თვალი ზის.

38 (01/5—202). ბეჭდის ფრაგმენტი, რკინისა, ძლიერ დაჯანგულია. შე-

მორჩენილია რომბის მოყვანილობის ფარაკი. ფარაკში ზის მოწითალო ფერის ოვალური ინტალიო, რომელზედაც ამოკვეთილია ფეხზე მდგარი ქალღმერთი (ათენა?). ქალღმერთს თავი პროფილში — მარცხნივ აქვს გამოხატული, ხოლო ტანი ანფასშია მოცემული; მარჯვენა ხელში კვერთხი (შუბი) უჭირავს, ხოლო მარცხენა ხელი წინა აქვს გაშვერილი. ინტალიოს სიგრძე — 0,8 სმ.

39 (01/5—192, სურ. 324). მძივები: გიშრისა — მრგვალ-ბრტყელი (6 ც.), თექვსმეტწახნაგა (3 ც.); ბურთულა (3 ც.); ლურჯი მინის — მილისებრი, დაწახნაგებული (6 ც.); მოწითალო სარდიონისა, ბურთულა (5 ც.); მოთეთრო-მოყვითალო პასტისა (6 ც.); ლურჯი მინის იოტები (8 ც.); გულის მოყვანილობის მთის ბროლის მძივი (1 ც.); სარდიონის ზარაკისებრი მძივი (1 ც.).

40 (01/5—195, სურ. 324). მძივები მინისებრი მასისა, მოზაიკური — ქრელა (სიგრძე — 7,5 სმ), ლურჯი მინისა — მილაკისებრი, დაწახნაგებული (9 ც.), მინისა მოზაიკური, კურკის ფორმისა (2 ც.), თეთრი მასისა — მრგვალ-ბრტყელი (1 ც.), გიშრისა — მრგვალ-ბრტყელი (8 ც.), ქარვის — ბურთულა (2 ც.), გევიპტური პასტის მძივსაკიდი, სოლისებრი, მოვარდისფრო სარდიონის ბურთულა მძივი (4 ცალი — ერთი მოზრდილი, სიგრძით 2,4 სმ). თეთრი პასტის მძივი, რომელშიც ბრინჯაოს მავთული ჩანს გაყრილია (შემორჩენილია ნაშთი). სამარხში აღმოჩნდა, აგრეთვე, კურკლის ნამსხვრევები რძისფერი გაუმკვირვალე მინისა, რომლის აკრეფა ვერ მოხერხდა.

41 (01/5—197—199). მონეტები ვერცხლისა, ავგუსტუსის (3 ც.), გალიის ზარაფხანა.

ს ა მ ა რ ხ ი 33. 1976.6.IX, V ნაკვეთი. აღმოჩნდა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,04 მ სიღრმეზე. გაჭრილია მოყვითალო ფერის ქვალორლიან თიხნარ ნიადაგში, რომელშიც გვხვდებოდა თიხის კურკლის ნატეხები. იგი წარმოადგენს ბრტყელი, გვერდბაკეცილი კრამიტით ნაგებ ოთხკუთხა მოყვანილობის ბანურსახურავიან კრამიტყუთს (გარეგანი ზომები —  $0,55 \times 0,33$  მ) და ჩვილი ბავშვის დასაკრძალავად ყოფილა განკუთვნილი. კედლებად თითო-თითო კრამიტი იყო გამოყენებული. მიწით იყო შევსებული. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუსვენებიათ, ხელფეხმოკეცილი. ძვლები ძლიერ დაშლილია, რის გამოც მიცვალებულის დაკრძალვის პოზის გარკვევა მხოლოდ ძვლების ფრაგმენტების განლაგების მიხედვით თუ მოხერხდება. სამარხი გაბარცული ჩანდა. ჩაცვივულ მიწაში ჩნდებოდა თიხის კურკლის ნამტვრევები. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა.

ს ა მ ა რ ხ ი 34. 1976.16.X. ნაკვეთი I, კვადრატი 10. სამარხი ნამოსახლარის ყველაზე ადრეულ ფენაში ყოფილა გაჭრილი. სამარხ ორმოს გარშემო ქვატეხილები ჰქონდა შემოწყობილი, შემორჩენილი იყო რამდენიმე ქვა ( $60 \times 45$  სმ). მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ დაშლილი იყო, ამიტომ დაკრძალულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. თავისქალის მდებარეობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული თავით დასაველეთისკენ იყო დამხრო-

ბილი და მარცხენა გვერდზე იწვა. სამარხის იატაკზე აიკრთა პასტის მძივები.

ს ა მ ა რ ხ ი 35 (სურ. 313). 1976.6.XI. ნაკვეთი I, კვადრატი 10. სამარხი ნაწილობრივ კულტურულ ფენაში ყოფილა ჩაქრილი. მიცვალებული ხის ძელებით ნაგებ ორმოსამარხში დაუკრძალავთ. ძელების ნაშთი ჩნდებოდა სამარხის ჩრდილო კედლის გასწვრივ, აგრეთვე სახურავის პრეპარაციისას. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, ხელფეხმოკეცილი. ძვლები ძლიერ დაშლილი იყო (თავის ქალა არ ჩანდა). მარცხენა ხელი მუცლის გასწვრივ აქონდა ჩამოშვებული, მარჯვენა კი გულმკერდის პირდაპირ. სამარხში აღმოჩნდა:

42 (01/5—391, სურ. 315). სანელსაცხებლე, ღია გამჟვრივალე ფერის მინისა. პირგადაშლილი, ცილინდრულყელიანი, სფერულმუცლიანი, ორყურა (ყურები ცისფერი მინისა აქვს); ძირშეზნეჟილია. ყურისთავი ყელზე აქვს დამაგრებული, ყურისძირი კი მხარზე. სიმაღლე — 5,5 სმ, პირის დმ — 2,0, ყელის — 1,3, მუცლის — 4,5, ძირისა — 2,5 სმ.

43 (01/5—392). ბეჟედი ვერცხლისა — ძლიერ დამტვრეული და დაშლილი. როგორც ჩანს, იგი წარმოადგენდა ოვალური მოყვანილობის, მრგვალგანივიკვეთიანი რკალის მქონე ფუყე რგოლს, რომელიც მხრებთან თანაბრად გაფართოებულია და გადადის რომბისებრ ფარაკში, სიციარიელე შევსებული ჩანს მასით (სუბერატულია?).

44 (01/5—393, სურ. 314). ხელადა — თხელკეციანი, შავად გამომწვარი, კარგად განლეჟილი თიხისა, შავპრიალა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი — ცილინდრული, ყური — მომრგვალებული, განივიკვეთში ოთხკუთხა, ძირი — ბრტყელი. ყურისთავი უშუალოდ პირზე აქვს დაქერწილი, ხოლო ყურისძირი — მხარზე. ტანზე ემჩნევა დაწნევით შესრულებული ვერტიკალური ზოლები. სიმაღლე — 14 სმ, პირის დმ — 6,0, ყურის — 5,5, მუცლის — 13,5, ძირისა — 8,5 სმ.

45 (01/5—394, სურ. 318). მძივები: მოყვითალო ფერის მინისებრი მასის, პასტის (2 ც.), მოვარდისფრო-მოთაფლისფრო სარდიონის ბურთულა (1 ც.), მოთეთრო-მოყავისფრო სეგმენტისებრი (3 ც.), მოყვითალო ფერის პასტის იოტები.

სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე რკინის ნივთის ფრაგმენტი, რომელზეც შერჩენილია ქსოვილის (სელის) ანაბეჭდი.

46 (01/5—396). მონეტა ვერცხლისა, არტაბან II.

47 (01/5—397). მონეტა ვერცხლისა, ავგუსტუსის (გალიის ზარაფხანა).

48 (01/5—398, სურ. 317). სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ცხვრის ორი სათამაშო კოჭი (გახვრეტილი).

ს ა მ ა რ ხ ი 36. 1976.XI. I ნაკვეთი, კვადრატი 7. იგი გამოჩნდა მე-8 კედლის ალების შემდეგ. სამარხი ფაქტიურად დანგრეული იყო. ქვის ნატეხი ფილებით მოგებული იატაკი და ქვატეხილებით ნაგები კედლის ნაშთები შე-

შორჩა. სამარხი დამხრობილი ყოფილა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (განზომები --  $1,4 \times 0,98$  მ).

სამარხში ჩონჩხი არ აღმოჩენილა (კენოტაფი?). იატაკზე აღმოჩნდა:

40 (01/5—406). ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებულ ბოლოებგახსნილ დაწახნაგებულ რგოლს, რომელიც ბოლოებისაკენ თანაბრად შევიწროებულია.

საანგარიშო წელს კარსნისხევეში აღმოჩენილი ყველა ზემოჩამოთვლილი ძეგლი ძირითადად სინქრონულია და ახ. წ. პირველი საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

### მუხათვერდი I (01/11)

მუხათვერდის სამაროვანზე საველე სამუშაოები გრძელდებოდა ოთხი თვის (ივლის-ოქტომბერი) განმავლობაში\*. ამ ხნის მანძილზე გაითხარა 360 მ<sup>2</sup> ფართობი. სამარხთა სახურავები ჩნდებოდა მიწის თანამედ-

როვე ზედაპირიდან 0,20—0,90 მ სიღრმეზე. მიწის ზედაპირთან სამარხთა ასეთი სიახლოვე შესაძლოა ნაწილობრივ იმით იყოს გამოწვეული, რომ ბორცვის ზედაპირი, რომელზედაც სამაროვანია მოწყობილი, დამრეცია და საუკუნეების განმავლობაში ინტენსიურად ირეცხებოდა. შესაძლოა, სამარხები საგანგებოდ იყო ჩადგმული მიწის ზედაპირის სიახლოვეს, რათა მისი ხელმეორედ გამოყენება შესძლებოდათ. ამის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს ქვის ნიშნულები, რომლებიც რამდენიმე სამარხის სახურავზე ვერტიკალურად იყო აღმართული. ეს ნიშნულები ქვიშაქვის ფილის სხვადასხვა ზომის (სიმაღლე — 0,30—0,50 მ) ნატეხებს წარმოადგენენ და რაიმე განსაკუთრებული დამუშავების კვალი მათ არ ეტყობათ.

საანგარიშო წელს სამაროვანზე გამოვლინდა 57 სამარხი, რომელთაგან 56 ქვაყუთი იყო, ხოლო ერთი ქვიშაქვის ლოდებით გადახურული ორმოსამარხი. ქვაყუთები ისე მკვიდროდა ჩადგმული, რომ მეტწილად მათ შორის გავლაც კი ჰქონდა. სამარხთა უმრავლესობა ჩადგმულია კირნარევე ქვა-ლორდიან ნიადაგში. ყველა სამარხს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვს და ბანურ-სახურავიანია. ქვა-ყუთების კედლებად და სახურავად გამოყენებულია ქვიშაქვის მეტ-ნაკლებად სწორად გამოჭრილი ლოდები, რომელთაგან ზოგიერთს უხეშად დამუშავების კვალი ემჩნეოდა. იმის გამო, რომ ზოგიერთი სამარხის ფილაქვები არ იყო სწორად და თანაბრად გამოჭრილი, დარჩენილა ფარლიატები, რომლებიც ქვიშაქვის ნატეხებითა და რიყის ქვებით შეუვსიათ. გარდა ამისა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა გრძივი კედელი მოკლე ან დაბალი მოსვლიათ და ამიტომ ვიწრო ფილაქვით ან ნატეხი ქვებით შეუვსიათ. .

\* საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: უფრ. ლაბორანტები — ლ. ხეცურაანი, ნ. კაპანაძე, მ. ძნელაძე, დ. ლუკაშვილი, ო. ბენაშვილი; სტუდ.-პრაქტიკანტები თ. ბიბილური, მ. გოცაძე; ასპირანტი ა. ორჯონიძე, ფოტოგრაფები: გრ. სიმონიანი, რ. საანიშვილი, ვლ. ნიკოლაიშვილი; მხატვარი მ. ივანიშვილი, ინჟინერ-გეოდეზისტები: ვ. მასხარაშვილი და ა. კუციანი.

საანგარიშო წელს სამაროვანზე გამოვლენილ 57 სამარხიდან გაიხსნა 17. სამაროვნის ნაწილი შემოიღობა და მომზადდა სანახავედ, დასათვალიერებლად\*).

17 გახსნილი სამარხიდან მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა დაზიანებული იყო. გამონაკლისს წარმოადგენს 30-ე ქვაყუთი, რომელიც კარგად იყო დაცული. იგი გახსნისა და ჩონჩხის ალაგების შემდგომ აღდგენილ იქნა. ოთხი სამარხი (№№ 66, 67 68 და 70) ფაქტიურად კედლის ორიოდ ფრაგმენტით იყო წარმოდგენილი. ოთხივე სამარხი იმ ბორცვის ქრილში ჩანდა, რომელზედაც სამაროვანია გამართული.

ორიოდე სიტყვა დაკრძალვის წესზე: საანგარიშო წელს მუხათგვერდის სამაროვანზე გახსნილი 17 სამარხიდან მიცვალებულთა ჩონჩხი აღმოჩნდა 13-ში (ჩონჩხი არ აღმოჩენილა №№ 53, 66, 69 და 72 ქვაყუთებში). ხუთ სამარხში (№№ 47, 71, 67, 68 და 70) ჩონჩხი ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი, რის გამოც ვერ მოხერხდა აქ მიცვალებულთა რაოდენობის, დაკრძალვის წესისა და დამხრობის დადგენა. ფაქტიურად სამაროვანზე მიცვალებულთა ჩონჩხი მეტ-ნაკლები დაცულობით 8 სამარხში აღმოჩნდა (7 ქვაყუთი და 1 ორმოსამარხი). ყველა დადასტურებულ შემთხვევაში მიცვალებულნი დამხრობილნი იყვნენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, თავით დასავლეთისკენ (მცირეოდენი გადახრებით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ). როგორც ვხედავთ, დაკრძალვის წესი უკვე საკმაოდ დაკანონებული ჩანს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მუხათგვერდის სამაროვანი ფუნქციონირებდა იმ დროს, როდესაც მცხეთაში ქრისტიანულ რელიგიას უკვე საკმაოდ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული.

დაკანონებულ წესად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს მიცვალებულთა გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალვა. გამონაკლისს წარმოადგენდა 30-ე ქვაყუთი, სადაც მიცვალებული ფეხებმოკეცილი დაუსვენებიათ. მაგრამ ამ შემთხვევაში რაიმე განსხვავებულ დაკრძალვის წესთან არ უნდა გვქონდეს საქმე. როგორც ჩანს, მიცვალებულის ზომები არ შეესაბამებოდა ქვაყუთის ზომებს, რის გამოც ჭირისუფალთ მიცვალებულის ქვედა კიდურები მუხლებში მოუხრიათ და ისე ჩაუსვენებიათ.

მიცვალებულთა რაოდენობა სამარხებში სხვადასხვაა: ერთიდან სამამდე. თითო მიცვალებული ესვენა ორ სამარხში (№№ 51 და 65), ორ-ორი მიცვალებული — სამ სამარხში (№№ 25, 30 და 14); სამ სამარხში კი სამ-სამი მიცვალებულის ჩონჩხი იყო (№№ 36, 39 და 43), ე. ი. რვა სამარხიდან ორი ინდივიდუალური იყო, ხოლო ექვსი კოლექტიური.

არც ერთ სამარხში მიცვალებული დასვენებული არ ყოფილა საგანგებოდ მომზადებულ იატაკზე. ყველა უბრალოდ მოსწორებულ მიწაზე იყო

\* მუხათგვერდი, I. 1977 წლის 24 მაისს გადაეცა აღრიცხვაზე ასაყვანად და დასაცავად მცხეთის რაიონის კულტურის განყოფილებას (აქტი № 3).

დასვენებული. ინვენტარი აღმოჩნდა რვა სამარხში (№№ 25, 30, 36, 39, 43, 51, 65 და 74). მის დიდ ნაწილს საკინძები შეადგენენ. საკინძებს, რომელთაც ღერობები ბრინჯაოსი ან რკინისა აქვთ, ხოლო თავები — იმავე, ან სხვა მასალისა (ძოწის, მარჯნის, ძვლის). გვხვდება, აგრეთვე, მძივები (მინის, პასტის, სარდიონის, ძოწის, გიშრის, ქარვისა და სხვ.) სხვადასხვა მოყვანილობის (ცილინდრული, სფერული, მილისებრი და სხვ.), ბრინჯაოს სამკაული, ეყვნები, მშვილდსაკინძი, საბეჭდავი (ბრინჯაოსი და სარდიონის), ბრინჯაოს აბზინდა, რკინის ქამრის ფრაგმენტები და სხვ.

საანვარიშო წელს მუხათგვერდი I სამაროვანზე აღმოჩენილ ინვენტარს მრავალი ანალოგი მოეძებნება, როგორც დიდი მცხეთის ტერიტორიაზე (სამთავრო, არმაზი, კარსნისხევი, ფიქრისგორა), ისე მის ფარგლებს გარეთაც (ურბნისი, რუსთავი, ვაშლაჯვარი).

სამარხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარი გვაძლევს იმის უფლებას, რომ მუხათგვერდის სამაროვანი ზოგადად ჩვ. წ. IV—VIII სს. დავათარიღოთ.

საილუსტრაციოდ აღვწერთ სამაროვანზე დადასტურებულ ორი ტიპის სამარხს:

ქ ვ ა ყ უ თ ი 65 (სურ. 334). აღმოჩნდა II ნაკვეთზე, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,24 მ სიღრმეზე. ბანურსახურავიან სამარხს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა.

სამარხის გარეზომები:  $1,40 \times 0,70 \times 0,60$  მ. ქვაყუთი შეკრული იყო ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული ხუთი ფილით, ხოლო გადახურული იყო სამი სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ლოდით. სამარხი დაზიანებული იყო, მაგრამ გაპარცვის გარეგანი ნიშნები არ შეიმჩნეოდა.

სამარხში აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი; ძვლები ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი. სამარხი და მიცვალებული დამხრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ — თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

50 (01/11—37, სურ. 342). მძივები ძოწის, გიშრის, ქარვისა და სარდიონის (69 ც.); სხვადასხვა ფორმისა (შეინდის კურკისა და მანდარინის ფორმის, სფეროსებრი, გვერდებდაღარული) და ზომის. მძივები აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

51 (01/11—38, სურ. 343). სამაჯური ბრინჯაოს მავთულისა, ბოლოებგადაგრეხილი. აღმოჩნდა ჩრდილოეთ გრძივ კედელთან.

52—54 (01/39—41, სურ. 350). ეყვანი ბრინჯაოსი. აღმოჩნდა სამხრეთ-გრძივ კედელთან.

55 (01/11—42, სურ. 347, 348). საბეჭდავი ბრინჯაოსი, ფართონახვრე-



ტიანი ყუნწი აქვს. გამოსახულია ზებუ(?) . აღმოჩნდა მიცვალებულს მუცლის, არეში.

56 (01/11—43, სურ. 246). მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, რკინის ენიანი, ჰვინტიანი. აღმოჩნდა იქვე.

57 (01/11—45, სურ. 350). საყურე ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

58 (01/11—45, სურ. 349). სარტყელი რკინის რგოლებით შედგენილი. აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის არეში.

სამარხი შედარებით გვიანი ხანისაა, VI—VIII სს. თარიღდება.

ს ა მ ა რ ხ ი 74 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია. აღმოჩნდა I ნაკვეთზე, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.40 მ სიღრმეზე. სამარხის სახურავს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. იგი ბანურსახურავიანია და შედგებოდა ქვიშაქვის ტლანქად დამუშავებული ხუთი მასიური ლოდისაგან. სამარხის გარეზომებია: 2,30 X 1,30 მ. დამხრობა სამხრეთ-დასავლეთ — დასავლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთ — აღმოსავლეთისაკენ (სურ. 331, 332).

სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი (მოზრდილისა და ბავშვის)\*. მოზრდილი ესვენა გულალმა გაშოტილი. მარცხენა ხელი ტანის გასწვრივ ჰქონდა ჩამოშვებული, ხოლო მარჯვენა გულმკერდის არეში იდო. ქვედა კიდურები მუსლებში ჰქონდა ოდნავ მოხრილი. ბავშვი ესვენა მოზრდილის მარჯვნივ, კიდურებმოკეცილი. ჩონჩხი ძალიან ცუდად იყო დაცული. სამარხში აღმოჩნდა:

58a (01/11—56, სურ. 335). საკინძის თავი მარჯნისა, ბროწეულის ყვავილის ფორმისა. იგი ედო მოზრდილი ინდივიდის თავის ქალას უკან.

ეს სამარხიც მოგვიანოა და აგრეთვე, VI—VIII სს. უნდა დათარიღდეს.

1976 წელს ახალი არმაზი ითხრებოდა 18 მაისიდან

ახალი არმაზი 1 ნოემბრამდე. აღნიშნული უბანი მდებარეობს არმაზის

(01/12)


და მარტაზის ხევებს შორის. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება მტკვარი, ხოლო სამხრეთით — თრიალეთის

ქედის კალთები (სურ. 23, 24).

I და II ნაკვეთები მოიზომა რკინიგზის ბაქან „არმაზის“ სამხრეთით, ფერლობის ძირში (სურ. 23).

I ნაკვეთზე გამოვლინდა ადრეფეოდალური ხანის 17 სამარხი (სურ. 452). სამარხის გრძივი კედლები ნაგებია ქვატეხილით ტლანხზე, ხოლო თავკედლებად ქვიშაქვის თითო ფილაა გამოყენებული. სამარხები გადახურულია ქვიშაქვის მოზრდილი ფილებით; ზოგან კედლებს შემორჩენილი აქვს შეღესილობის კვალი. ზოგიერთი სამარხის თავთან ვერტიკალურად აღმართულია ქვიშაქვის

\* მოზრდილი 35—37 წლის მამაკაცია, ხოლო ბავშვი 3—4 წლისა. სავარაუდოა. სპარსში ჩასვენებული იყო მამა-შვილის ჩონჩხი. კრანოლოგიური მასალა შეისწავლა ა. გამყრელიძემ.



სურ. 23. ახალი არმაზი. გეგმა

ფილის ნამტკრევი, რომელიც უნდა ყოფილიყო გამოსაცნობი ნიშანი სამარხის მრავალგზის გამოყენებისათვის (სურ. 148, 151). უმეტესი წილი სამარხებისა (10) ინვენტარიან იყო. აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, საყურეები, მინისა და პასტის მძივები, ბრინჯაოს საკინძები, შშვილსაკინძები, სამაჯური, ერთი პართული მონეტა, თიხისა და მინის ჭურჭელი.

ს ა მ ა რ ხ ი 3 (სურ. 458, 459). 1976.18.VIII. აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-9 კვადრატში. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,85 მ სიღრმეზე. სამარხი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა. მისი სახურავი და თავკედლები შედგენილი იყო ქვიშაქვის მასივური ფილებით, ხოლო გრძივი კედლები ამოშენებული ჰქონდა. სახურავზე (ცენტრში) შვეულად აღმართული იყო ქვიშაქვის

ნახევარწრიული ფორმის ქვა — ნიშანი(?). ზომები:  $0,92 \times 0,20 \times 0,12$  მ. ჩრდილოეთის გრძივ კედელში გამოიყოფოდა წყობის 6 რიგი (კედლის ზომები:  $2,14 \times 0,65 \times 0,22$  მ), სამხრეთის გრძივ კედელში — წყობის 5 რიგი (ზომები:  $2,00 \times 0,67 \times 0,20$  მ). ქვატეხილი ნაწყობი იყო თიხაზე. სამარხის დასავლეთი თავკედლის ზომებია  $0,90 \times 0,65 \times 0,16$  მ, აღმოსავლეთისა კი —  $0,93 \times 0,63 \times 0,7$  მ.

სამარხის სახურავად გამოუყენებიათ ქვიშაქვის ოთხი ფილა, რომლებიც გარდიგარდმო ეწყო სამარხის გრძივ კედლებზე. დასავლეთიდან პირველი ფილა გახსნამდე ჩაიქვა სამარხში; მეორე ფილის ზომებია  $1,48 \times 0,60 \times 0,15$  მ, მესამე —  $1,12 \times 0,38 \times 0,22$  მ, მეოთხე —  $1,23 \times 0,33 \times 0,16$  მ. სამარხის გარეზომებია  $2,25 \times 1,50 \times 1,05$  მ.

სამარხის ორმო გაუჭრიათ კირნარევე-ქვალორლიან ნიადაგში. იგი კარგად იყო დაცული, დაზიანებისა და გაძარცვის კვალი არ შეიმჩნეოდა. სამარხის გრძივი ღერძი დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მის გარშემო ამოდიოდა თითო-ოროლა ჩალისფრად გამომწვარი თიხის ქურქლის ნატეხი.


სამარხი გაიხსნა 1976 წლის 3 ნოემბერს შემდეგი თანმიმდევრობით: ავხადეთ სახურავის ფილები და მოვხსენით ჩრდილო გრძივი და აღმოსავლეთის თავკედელი. სამარხში ჩაყრილი იყო სახურავის ფილის ჩაქცევის დროს ჩასული მიწა. მიცვალებულის ჩონჩხმა თავი იჩინა სამხრეთ კედლის ზედაპირიდან  $0,55$  მ სიღრმეზე, ხოლო ინვენტარმა —  $0,63$  მ-ზე. სამარხში აღმოჩნდა 3 ინდივიდის ჩონჩხი, 2 მიხვეტილი იყო ჩრდილოეთ გრძივ კედელთან, ხოლო გამოთავისუფლებულ ადგილზე ესვენა გვიან დაკრძალული მიცვალებული. სახურავის ჩაქცეულ ფილას დაუზიანებია (დაუმტვრევია) გვიან დაკრძალული ინდივიდის თავის ქალა, ზედა კიდურები და მკერდის ძვლები. მიცვალებული დასვენებული იყო გულადმა, გამოტილ მდგომარეობაში; ხელები ტანის გასწვრივ ჰქონდა ჩამოშვებული. დამხრობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

50 (01/5—12—5). ბეჭედი ვერცხლისა, მრგვალგანივკვეთიანი რკალი გადადის ოვალურ ფარაკში. ფარაკის სიგრძე  $1,8$ , სიგანე —  $1,3$ , რკალის დმ  $2,3$  სმ. აღმოჩნდა გვიან დაკრძალული ინდივიდის ბარძაყის ძვლებს შორის.

60 (01/5—12—5). საკინძი რკინისა, დაუანგული, დამტვრეულია. სიგრძე —  $7,8$  სმ, ღეროს დმ —  $0,3$  სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალას არეში.

61 (01/5—12—7). მძივები გიშრისა,  $36$  ც., კასრისებრი მოყვანილობის, მცირე ზომის. სიმაღლე —  $0,6$ , სიგანე —  $0,4$  სმ. აღმოჩნდა გვიან დაკრძალულ მიცვალებულის გულმკერდის არეში.

62 (01/5—12—6). ბეჭედი ოქროსი, თვალედი. რკალი ორმაგი აქვს, ბრტყელ რკალზე შემოუყვება ოქროს დაკეცილი მავთული და დარჩილული



სურ. 24. ახალი არმაზი. გეგმა

აქვს ოვალური ფარაკი, რომელშიც აღმანდინის თვალი ზის. ფარაკის ორივე მხარზე დასმულია ოქროს თითო ცვარა. აღმოჩნდა მიხვეტილი ჩონჩხის მარცხენა ხელის მტევანთან.

63 (01/5—12—9). საყურე ოქროსი, თავგახსნილი. რკალზე მირჩილული აქვს ოქროსავე პატარა ყუნწი, რომელზეც ჩამოკიდებულია ბრინჯაოს ღერო. ღეროზე ასხმულია კოქის ფორმის თეთრი პასტის მძივი, რომელსაც ოქროს ვარდულები და სამი პატარა მარგალიტის მძივი ამკობს. რკალის დმ — 1,2, ბრინჯაოს ღეროს სიგრძე — 1,7 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი ჩონჩხის თავის ქალასთან.

64 (01/12—9). საყურე ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგიური. აღმოჩნდა მიხვეტილი ჩონჩხის თავის ქალასთან. მიცვალებული ესვენა კირნარეკველორიდან ნიადაგზე. სამარხის შიგა ზომები:  $1,85 \times 0,85 \times 0,73$  მ.

I ნაკვეთის აღმოსავლეთით, მის გაგრძელებაზე, გაითხარა II არასრული ნაკვეთი, რომელიც შედგება 8 დიდი კვადრატისაგან (სურ. 23, 24). ორივე ნაკვეთი მდებარეობს დამრეც ფერდობზე, ჭრილში შეინიშნებოდა მძლავრი კულტურული ფენა. ჰუმუსის ფენაში გამოვლინდა ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი დიდძალი კერამიკა, რომელთა შორის მრავლად გვხვდება კერამიკული წუნი. აღნიშნული ვითარება გეაფიქრებინებს მთის ფერდობზე სამეთუნეო სახელოსნოს არსებობას. გაიწმინდა ზედაპირული ფენა, ჩაქცეული ნამოსახლარის კედლები; გამოვლინდა სახლის კონტურები. გამოიკვეთა სამი კედელი, ნაგები ქვატეხილით თიხაზე.

ქარხანა „პრომსვიაზის“ აღმოსავლეთით გაითხარა 70 X 20 კვადრატული მეტრი, მოიზომა III ნაკვეთი (სურ. 23). აღნიშნულ ნაკვეთზე გამოვლინდა ორი თავწაკვეთილი ქვევრი (სურ. 454—456). გაიწმინდა ალიზის ფენა, რომლის კონტურების დაქერა ვერ მოხერხდა. აღნიშნულ ფართობზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოვარდისფრო-მოჩაღისფროდ გამომწვარი თხელკეციანი კერამიკა, რომელსაც ადრეფეოდალური ხანის თიხის ქურქლის იერი აქვს.


1976 წლის 27 ივლისიდან 5 ნოემბრამდე მცხეთის  
კამარახევი არქეოლოგიური ექსპედიცია თხრიდა ადრეანტიკური  
(01/4) ხანის სამარხებს კამარახევის სამაროვანზე, მდ. არაგვის  
მარცხენა ნაპირის გაყოლებაზე, სოფ. წიწამურთან\*).  
აღმოსავლეთით სამაროვნის საზღვარია საქართველოს სამხედრო გზა, დასავლეთით — მდ. არაგვი, ჩრდილოეთით — დიდი კამარახევი, ხოლო სამხრეთით პატარა კამარახევი (სურ. 25).

გათხრის დაწყების მიზეზი იყო უინვალიდან გარდაბნამდე მიწისქვეშა კოლექტორის გაყვანასთან დაკავშირებული სამუშაოები. იქვე მიმდინარეობს მშენებლობის სამინისტროს ინერტული მასალების დამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა.

საძიებო რაზმის გასვლისთანავე ცხადი გახდა, რომ საქმე გვექონდა სამაროვანთან, რომელიც ჭერ კიდეც 1953 წელს ნაწილობრივ შეისწავლა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (2; 21).

აღრე შესწავლილი ნაკვეთის გაგრძელებაზე გაითხარა 432 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ახალი ნაკვეთი. გამოვლინდა 72 სამარხი, რომლებიც გაქრილი იყო სილანარე სქელ თიხნარში. გათხრების დაწყებამდე მშენებლებს ზედა ფენა (დე-

\*) უზნის ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა უმცრ. მეცნ. თანამშრომელს თ. ჯღარკავას. ტოპოგრაფები: ვ. მასხარაშვილი და ა. კუცია; მხატვარ-არქიტექტორები: შ. ცინცაძე, ლ. ხუბერაშვილი და მ. ივანიშვილი; ფოტოგრაფები: გ. სიმონიანი, ვლ. ნიკოლაიშვილი და რ. საანიშვილი; სამარხების გათხრაში მონაწილეობდნენ ექსპედიციის წევრები: ნ. კაპანაძე, მ. კაკაქიშვილი, ი. ხუნდაძე, დ. ლეკაშვილი, მ. ფეოდოროვა, ნ. სოფაძე, თ. სურგულაძე, მ. დავიდენკო, ა. ორჯონიძე, ა. გამყრელიძე



კარმალცის

სურ. 25. კარმალცის, გივგბი

ლუვიური დანალექი) მოუხსნიათ, რის გამოც დიდ ფართობზე ვერ დადგინდა მიწის ზედაპირი და პირობითი დონე გავაღეთ ( $\pm 0$ ). ნული ხაზიდან სამარხები 1,50 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ისინი ერთმანეთისაგან 1—1,5 მ იყო დაშორებული. სამაროვანზე დადასტურდა სამი სახის სამარხები: ა. ორმოსამარხები (მიწაყრილიანი, ქვიშაქვის ფილებით გადახურული და ქვაყრილიანი); ბ. კომბინირებული — ქვიშაქვის ფილებით და რიყის ქვებით აგებული სამარხები; გ. ქვაყუთები.

ორმოსამარხები ჩაპრილია თიხნარში, იატაკზე ზოგჯერ შეიმჩნევა საფენის კვალი — ხის ტოტების ანაბეჭდები თუ ლაქები. როგორც წესი, მიცვალებულებს იატაკის დონეზე ფეხის ტერფებთან ან ზედა კიდურების სიახლოვეს ედგა თიხის ჭურჭელი ალაპის ნარჩენებითურთ. შეწირული საქონლიდან უმრავლესი წვრილფეხა რქოსანს მიეკუთვნება\*.

დაკრძალვის წესი ყველა სამარხში თითქმის ერთნაირია. მიცვალებული დაუსვენებიათ კიდურებმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. დამხრობა ნებისმიერია. ყველა მიცვალებულს თავის ქალა უდევს რიყის ქვის „სასთუმალზე“. ზოგიერთი სამარხის გარშემო ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები, საქონლის ძვლებთან ერთად (ალაპის ნაშთი?).

სამაროვანზე გამოვლინდა ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა: ლეგა ფერის ხელაღები, კოჭბები, ჯამები, ტოლჩები; აგურისფრად გამომწვარი წითლად ანგობირებული ჯამები (მათ შორის გვხვდება სამფეხა ჯამები). ყურადღებას იქცევს სამაროვანზე წერნაქით მოხატული თიხის ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი. მოხატული კერამიკა 1953 წ. არქეოლოგიური კამპანიის დროს არ აღმოჩენილა. ბრინჯაოს ნივთები: ზოომორფული გამოსახულებებით თავებშემკული სამაჯურები, ცილინდრულთავიანი საკინძები, ზარაკები, ძეწკვი, მძივები, ილარი, რომელსაც თავი შემკული აქვს ფრინველის გამოსახულებით; ბეჭდები, სარდიონის, ქარვის, მინისა და პასტის მძივები, რკინის შუბისწვერები, მოხრილი დანები, მახვილები და სხვ.

სამარხეული მასალის მიხედვით წინასწარულად შეიძლება სამაროვანი IV—III სს. დავათარილოთ. აქ დაკრძალული მოსახლეობა, უნდა ვიფიქროთ, ცხოვრობდა იქვე, სოფ. წიწამურის, სტრაბონისეული სისამორას, მიდამოებში (2, გვ. 196).

საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ კამარახევის სამაროვანზე დადასტურებული ოთხი ტიპის სამარხის აღწერილობას.

ს ა მ ა რ ხ ი 6. აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-4 კვადრატში, 0 ხაზიდან 2,07 სიღრმეზე. გაპრილი იყო სილანარევ თიხნარში. დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. გარეგანი განაზომებია  $1,55 \times 0,75$  მ.

სამარხი ინდივიდუალურია; მიცვალებული ხელფეხმოკეცილი დაუსვენე-

\*ალეოზოოლოგიური მასალები განსაზღვრა დავით ბურჩაქმა. ანგარიში იწახება ჰცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არქივში. იხ. წიგნი № 19, 12.

ბიათ მარჯვენა გვერდზე, თავით სამსრეთისაკენ. დაზიანებული თავის ქალა რიყის ქვის „სასთუმალზე“ ედო. დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სამარხეული ინვენტარი ელაგა ქვედა კიდურების აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს, შუბის პირი ზედა და ქვედა კიდურებს შორის იდო (სურ. 462).

სამარხში აღმოჩნდა:

65 (01/4—20). ხელადა თიხისა — სამტუჩა, ლეგა ფერისა, არათანაბრად გამოშწვარი. სიმაღლე — 21,0 სმ, პირის დმ — 6,0, მუცლის — 11,5, ძირისა — 11,0 სმ.

66 (01/4—21). ჯამი თიხისა — ლეგა ფერისა. პირი გადაშლილი და ჩამოტეხილი აქვს. პირის დმ — 15,0 სმ, ძირისა — 10,0 სმ.

67 (01/4—22). კოკობი თიხისა — ლეგა ფერის. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — მრგვალი.

68 (01/4—23). შუბისწვერი რკინისა — მასრაგახსნილი. მასრაში დარჩენილია ხის ტარის ნარჩენები. სიგრძე — 25,0 სმ, მასრის დმ — 2,5, პირის დმ — 16,0 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი 27 (სურ. 463, 464).

ჩაჭრილი იყო სილანარეე თიხნარში მე-5 და მე-6 კვადრატების საზღვარზე, ნული ხაზიდან 2,10 მ სიღრმეზე. ოგი შედგენილი იყო ქვიშაქვის ტლანქად ნათალი ფილებითა და რიყის ქვებით. აღმოსავლეთ ნაწილში სამარხი ძირითადად ქვიშაქვის ნატეხი ფილებით იყო ნაგები, ხოლო დარჩენილი ნახევარი სამარხისა რიყის ქვებით გადაუხურავთ (სურ. 464). სამარხის გარეგანი განაზომებია:  $1,75 \times 0,85$  მ. სამხრეთის კედლის ქვიშაქვის ფილის ზომაა  $0,90 \times 0,45$  მ. სახურავად გამოყენებული იყო ქვიშაქვის ფილა, რომლის განაზომებია  $1,10 \times 0,90 \times 0,07$  მ. აღმოსავლეთის კედლად გამოყენებულია ქვიშაქვის დამუშავებული ფილა, რომლის განაზომებია  $0,80 \times 0,45 \times 0,08$  მ. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ქვების ალაგების შემდეგ თავი იჩინა სამარხეულმა ინვენტარმა. მასში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული მოხრილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე. ჩონჩხი კარგად იყო დაცული. თავის ქალა რიყის ქვის „ბალიშზე“ ედო (სურ. 463). სამარხში აღმოჩნდა:

69 (01/4—87). ხელადა თიხისა, ლეგა ფერის, პირფართო, ცალყურა.

70 (01/4—88, სურ. 474). ხელადა თიხისა — წითლად ანგობირებული. პირი მრგვალი აქვს. ტანი — მსხლისებრი, ყური — განიკვეთილი მრგვალი, მიძვრული პირსა და მუცელზე. სიმაღლე — 12,7 სმ, პირის დმ — 5,2, მუცლის — 10,1, ძირისა — 4,5 სმ.

71 (01/4—90). მუზარადი(?), დამზადებული ბრინჯაოს ფურცლებისაგან, რომლებიც ბრინჯაოსავე მანკვლებით ყოფილა შეერთებული (სურ. 417).

72 (01/4—89). ფარი(?) ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა. დმ — 30—35 სმ, სისქე — 0,1 სმ.



73 (01/4—91, სურ. 473). შუბლსწერი რკინისა, ერთმანეთზე მიღულე-  
ბული. მასრებში ხის ნარჩენები შეიმჩნევა. სიგრძე — 24,0—28,0 სმ.

74 (01/4—92, სურ. 475). დანა რკინისა, ცალპირლესილი, ოდნავ მოხრი-  
ლია.

75 (01/4—93, სურ. 476). კაურები, 37 ცალი. შემოწყობილი იყო ბრინ-  
ჯაოს მუზარადის ირგვლივ.

76 (01/4—94). ბეჭედი რკინისა, ფარაკიანი, რომელზედაც ამოკვეთილია  
ინტალიო. დაშლილია.

ს ა მ ა რ ხ ი 57. აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-2 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,90 მ  
სიღრმეზე. იგი ქვიშაქვის ტლანქად დამუშავებული ფილებით ნაგები ქვაყუ-  
თია (სურ. 428). სახურავის ერთ-ერთი ფილა სამარხში ჩაქცეულა. გარეგანი გა-  
ნაზომებია:  $125 \times 0,70$  მ. დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.  
სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ძლიერ მოკეცილი, მარჯვენა  
გვერდზე. თავის ქალა რიყის ქვის „სასთუმალზე“ ედო. სამხრეთ-დასავლეთ  
კუთხეში ალაპის ნარჩენები დადასტურდა (სურ. 477).

სამარხში აღმოჩნდა:

77 (01/4—173, სურ. 479). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი: სამ-  
ტუჩა, ცალყურა; ყური — განივკვეთში მრგვალი, ტუჩსა და მუცელზე მიიქრ-  
წილი. სიმაღლე — 22,0 სმ.

78 (01/4—174, სურ. 478). ჯამი თიხისა, სამფეხა, პირმოყრილი, ტუჩიანი.  
სიმაღლე — 9,0 სმ, პირის დმ — 16,0 სმ.

79 (01/4—175). კოჭობი ლეგა ფერის თიხისა, ყელი დაბალი აქვს — სფე-  
რული (სურ. 477).

80 (01/4—176). სასაფეთქლე რგოლი ვერცხლისა (2 ც.). დამზადებულია  
წვრილი მავთულისაგან. დმ — 2,3 სმ.

81 (01/4—177). ფირფიტა ბრინჯაოსი, რომელშიც შერჩენილია მანჭკალი.  
ბოლოებმომრგვალებულია. სიგრძე — 15,0 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი 65. აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-10 კვადრატში. ქვიშაქვის ფი-  
ლებით გადახურული ორმოსამარხია. სახურავად ოთხი უხეშად ნათალი ქვიშა-  
ქვის ფილაა გამოყენებული (სურ. 422). გარეგანი ზომებია:  $1,15 \times 0,65$  მ.

სამარხში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული მოკუნტულ პოზაში,  
მარცხენა გვერდზე; თავი ქვის „ბალიშზე“ ედო (სურ. 471, 472). დამხრობა —  
ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა:

82 (01/4—199, სურ. 480). ჯამი თიხისა, აგურისფრად გამომწვარი, პირ-  
მოყრილი, ტუჩიანი. სიმაღლე — 5,0 სმ, პირის დმ — 16 სმ.

83 (01/4—200). ხელადა თიხისა, აგურისფრად გამომწვარი. დამსხვრე-  
ულია.

84 (01/4—201, სურ. 481). სამაჭური ბრინჯაოსი, ბოლოები ცხოველსახე-  
ებით შემკული, ზურგშედრეკილი.

85 (01/4—202, სურ. 484). სამაჯური რკინისა, დამსხვრეულია.

86, 87 (01/4—203, სურ. 485, 486). საკინძები ბრინჯაოსი 2 ცალი, სიგრძე — 11,3 სმ.

88 (01/4—204, სურ. 487). ძეწკვი ბრინჯაოსი.

89 (01/4—205). მძივები ბრინჯაოსი (2), პასტისა (52), სერდოლოკისა (37) და მოზაიკური (5).

90 (01/4—206, სურ. 489). ბეკედი ბრინჯაოსი, ფარაკიანი. ზედ გამოსახულება(?).

91 (01/4—207, სურ. 490). ილარი ბრინჯაოსი, ფრინველს გამოსახულებით შემკული.

91a (01/4—208, სურ. 491). ზარაკები ბრინჯაოსი, მთლიანად სხმული, მაღალი ყუნწი აქვს, გვერდჩაჭრილია (8 ც.).

საანგარიშო წელს კამარახევის სამაროვანზე გათხრილი სამარხები, როგორც ვნახეთ, ადრეელისტიური და ელინისტიური ხანისაა უპირატესად, მაგრამ წითლად მოხატული კერამიკა სამაროვანს, მაინცდამაინც, მის ერთ ნაწილს, ძვ. წ. V საუკუნისკენ ეზიდება. საზოგადოდ, ეს სამაროვანი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მცხეთის დედაქალაქობის წინარე ვითარების წარმოსადგენად. აწინდელი პ ი რ დ ა პ ი რ ე ბ ი, უნდა ვიფიქროთ, მსხვილ სავენახეებს, ზვრებს უნდა სჭეროდათ და, როგორც 1953 წლის მონაპოვართა საფუძველზე იყო აღნიშნული (2, გვ. 198) კამარახეველთა შორის სწორედ მევენახეებს უნდა ვგულისხმობდეთ უპირატესად, და, უყოყმანოდ იმათ, ვისაც რკინის სასხლავი წაატანეს საიქიოში. მოღუნული რკინის დანა — სასხლავი დამახასიათებელი, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი სამეურნეო იარაღია კამარახევის სამაროვანზე. ეს მონაცემებია ერთ-ერთი მახასიათებელი დიდი მცხეთის წიწამურის უბნისა იმ ეპოქაში, როდესაც მცხეთის გადღედაქალაქება მიმდინარეობს, ე. ი. მცხეთური სინოიკიზმის მონაწილეთა კონსოლიდაცია უნდა გაძლიერებულიყო იქამდე, რომ „დიდი მცხეთა ბაგინეთ-მცხეთა-წიწამურით და უბნებით მონათმფლობელური ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი“ გამხდარა (6, გვ. 229).

კამარახევის სამაროვნის არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს, რომ წიწამურის უბნის დედაქალაქობის წინააღმდეგობის მოსახლეობა საგრძნობლად მრავალრიცხოვანია.

ამრიგად, თუ ადრე წიწამურის დასახასიათებლად სტრაბონისა და ზადენფარნაჯომის შესახებ ქართული საისტორიო წყაროების ცნობების ამარა ვიყავით, 1976 წლის ბოლოსათვის დაგროვილი არქეოლოგიური ძეგლები ახალ საფუძველს ქმნიან დიდი მცხეთის წიწამურის უბნის ცხოვრების წარმოსადგენად. ამასთანავე, რაკი დიდი მცხეთის სხვა უბნებზე ჯერჯერობით არ ჩანს კამარახევის ბადალი და სინქრონული სამაროვნები, არაგვის მარცხენაპირეთის არქეოლოგიურ ძეგლთა საერთო მნიშვნელობა იზრდება; იგი გამოყენებული უნ-

და იყოს ძვ. წ. V—II საუკუნეების დიდი მცხეთის ცხოვრების დასახასიათებლად. კამარახევის მონაპოვართა მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქმე გვაქვს ურბანიზებული მხარის მკვიდრთა, ნივთიერი დოვლათის უშუალო მწარმოებელთა სამარხებთან, ე. ი. ხალხის ფართო მასების სამაროვანთან, და აღმოჩენილი მასალა უნდა იქცეს არქეოლოგიურ წყაროდ ძვ. წ. V—IV სს. ადგილობრივ მკვიდრთა კულტურის დასახასიათებლად. თუ ამ მასალაში მაინც შეინიშნება უცხოური ნაკადი (შესაძლოა, ასეთად პირველყოვლისა მოხატული ჭურჭელი იყო მიჩნეული), ბუნებრივია, ამაში მოულოდნელი არაფერია. თუ მოქალაქეთა ზედა ფენა უცხოური ფუფუნებით ცხოვრობდა და უპირატესად უცხოური ნივთიერი ძეგლებით ხასიათდება თითქმის მთელი ანტიკურობის მანძილზე, ხალხის ფართო მასები განაგრძობდა ტრადიციული აბორიგენული ნივთების კეთებას და ამ ნაწარმით სარგებლობდა პირველყოვლისა, თუმცა სრულიადაც არ ამბობდა უარს ყველაფერ უცხოურზე. ჩვენი აზრით, ფართო მასების ეს პოზიცია სრულიად ბუნებრივი, შეიძლება ითქვას ტრადიციულიც კი არის. ის, სულ ცოტა, ადრე-ბრინჯაოს ხანიდან მოსდგამს ადგილობრივ მოსახლეობას.

ასეთ თვალსაწიერს სახავს კამარახევის 1976 წლის მონაპოვარი სადღეისოდ, ე. ი. წინასწარულად. ეჭვი არ არის, არქეოლოგიური მონაპოვრის საგულდაგულო ანალიზი და პალეოანთროპოლოგიური კვლევა ოსტეოლოგიური მონაპოვრისა არსებითად გაზრდის ინფორმაციას ძვ. წ. V—II სს. მცხეთელთა ცხოვრების წარმოსადგენად.

1976 წლის მაის-ივნისში, პროფ. ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმმა მიმოიხილა სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გორა. შეგროვდა საინტერესო არქეოლოგიური მასალა: თიხის ჭურჭლისა და ბათქაშის ფრაგმენტები, ხელსაფეკავისა და სალესი ქვები, რომელთა უმეტესობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისად გამოიყურება. ეს ანაკრფე მასალა სამარხეული არ არის, ნასახლარისაა და ამიტომაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ანაკრფე მასალის მიხედვით უნდა გვევარაუდო, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარე გორაზე უნდა ყოფილიყო განლაგებული. იგი კოდმანის პლატოსაგან საკმაოდ ღრმა და განიერი მშრალი ხეობითაა გამოყოფილი. ჩრდილოეთიდან ნამოსახლარს ახალციხის ხევი ჩამოუდის, აღმოსავლეთიდან კი გორანამოსახლარების წინ სამთავროს ველია გაშლილი.

გორა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზეა წაგრძელებული. მისი კალთები ახლა გამწვანებისათვის გავლებული ტერასებითაა დასერილი, რომელთა ჭრილებშიაც გამოცდილი თვალი შეამჩნევს გადაამწვარ კულტურულ ფენას. ძლიერ გადარეცხილი და გამწვანების ტერასის მიერ დაზიანებული კულტურული ფენა შეინიშნება გორის თხემზედაც.

გორანამოსახლაზე კორდოვანი (პუმუსიანი) ფენის მოხსნის შემდეგ ჩნდება ხელუხლები კონგლომერატი.

საანგარიშო წელს გაითხარა გორის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, გამწვანების პირველ ტერასაზე (ნაკვეთები: LXVII, XCI და XCII), სადაც შეისწავლებოდა გამწვანების ტერასის მიერ გაშიშვლებული კულტურული ფენები. საანგარიშო სეზონის დასასრულისათვის გათხრილია 290 კვ მეტრი ფართობი, სადაც გამოვლინდა ორი უმთავრესი ჯგუფი — პირობით ფენა.

პირველი წარმოდგენილია ქვასამარხებითა და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებით. ისინი, ცხადია, სამთავროს სამაროვნის კუთვნილია და დამოუკიდებელ უბანს ან საერთო სამაროვნიდან გამოყოფილ ჯგუფს არ წარმოდგენენ (სურ. 595). იქ საანგარიშო წელს აღმოჩენილი 30 სამარხიდან გაიხსნა თოთხმეტი (№№ 117, 119, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 222, 223, 225, 226), სამარხებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა: მინის სანელსაცხებლები, რკინისა და ბრინჯაოს საკინებები, მიწივები, მშვილდსაკინძები და სხვ., ზოგადად ადრეოფეოდალური ხანით თარიღდება.

ძეგლების მეორე ჯგუფი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სახლებითაა წარმოდგენილი (სურ. 596). დღეისათვის გაითხარა სამი სახლი. აქედან ორი, პირველი და მეორე სახლი, დამკავი ნაგებობით გადაიხურა, გათხრილი ფართობი კი მავთულბადით შემოიღობა და მომზადდა სანახავად, დასათვალიერებლად (სურ. 26, 603).


პირველი სახლი მდებარეობს XCI ნაკვეთზე (კვადრატები: 3, 4, 7, 8). საფასადო ნაწილი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს (სურ. 596—598, 601). სახლი ნახევრადმიწურია, რომლის გვერდითი გრძივი კედლები ნაგებია ერთ მწკრივად ქვიშაქვის ქვატეხილითა და რიყის ქვებით, თიხაზე. ზურგის კედლები კი მთლიანად კონგლომერატშია გამოკვეთილი. სახლში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ქვატეხილი, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ კედლების მიწის ზედა ნაწილიც ქვით იყო ნაგები.

თავის დროზე კედლები შიგნიდან ალიზით ყოფილა შელესილი, რაზედაც მეტყველებს სამივე კედელზე შემორჩენილი გამომწვარი ბათქაშის ფრაგმენტები.

სახლის სიგრძე 4,80 მ აღწევს, სიგანე — 5,00 მ, საერთო ფართობი — 24 მ<sup>2</sup>.

სახურავი ბანური უნდა ჰქონოდა. იგი 8 ბოძს ეყრდნობოდა. აქედან სამი ზურგის კედელთან ყოფილა განლაგებული, იატაკის დონიდან 0,35 სმ-ზე აწეულ პატარა საფეხურზე (0,35 მ სიგანის კონგლომერატში ამოუკვეთიათ). სვეტის დმ — 0,28 მ. ერთი მათგანი სახლის მარჯვენა, ჩრდილო-დასავლეთ, კუთხეში მდგარა, დანარჩენი ორი — ერთმანეთისაგან 1,10 მ დაშორებული. მარცხენა, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდგარი, სვეტის კვალი არ დადასტურებულა.

სახლის სიღრმეში სამი სასვეტე ერთ ხაზზეა განლაგებული: ერთი სვეტი



სურ. 26. სამთავრო. აქნ 1, 2, 3 სახლები. გეგმა და კვლები

ჩრდილოეთ კედელში ყოფილა ჩაშენებული, სახლის იატაკიდან 0,10 მ სიმაღლეზე. მეორე სვეტი შუა სახლში მდგარა, მესამე — სამხრეთ კედელთან.

ორი სვეტის ადგილი სახლის პირიმხარეზე ჩანს; სვეტის ბალიშებად გამოყენებული უნდა ყოფილიყო იქ აღმოჩენილი ქვიშაქვის ორი ფილა (დმ — 0,40 მ).

საფასადო მხრიდან ქვის კედლის კვალი არ შემონახულა. შესაძლოა სახლის წინა კედელი შელესილი ლასტით იყო ნაგები. შესაბამისად კარები სახლს ამ მხრიდან ექნებოდა, თანაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ქვის ფილებით მოგებული პატარა მოედანიც იყო გაართული.

გადახურვისას თიხა, ხის ძელები და ნამჯა ჩანს გამოყენებული. მათი ანაბეჭდები შემოინახეს სახლში აღმოჩენილმა გამომწვარმა ბათქაშმა და თიხამ.

სახლის იატაკი მოსწორებულ კონგლომერატზეა მოწყობილი. იგი ოდნავ დაქანებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

სახლის მარცხენა, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კედლებზე მიშენებული პურის საცხობი ლუმელი (სიგრძე 1,25 მ, სიგანე — 1,15—1,45 მ, სიმაღლე — 0,90 მ), რომელიც საამისოდ დატოვებულ 0,40 მ სიმაღლის კონგლომერატის მოედანზეა დაშენებული. ეს ლუმელი ნაგებია ქვით თიხაზე, ნაპირებზე კი თიხის ქურჭლის ნატეხებია ჩაშენებული (სურ. 598).

ლუმელის სახურავის შემორჩენილი ნაწილები მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა მას თაღოვანი გადახურვა ჰქონოდა. ლუმელი ორგანყოფილებიანი ყოფილა: მარცხნივ საკუთრივ საცხობია (0,65 × 0,80 მ × 0,35 მ), მარჯვნივ — საცეცხლე (0,35 მ × 0,80 მ × 0,40 მ). ორივე განყოფილების იატაკი და კედლები კარგად არის დაცული (სურ. 26).

ლუმელს ორი სანაცრე ჰქონია: ერთი მარჯვენა კედელთან იატაკში იყო ამოკვეთილი (ზომები: 0,6 მ × 1,25 მ × 0,15 მ), მეორე — იატაკზე, საცეცხლის წინ, თიხით გამოქვრივი (ზომები: 0,25 მ × 0,30 მ × 0,6 მ). მისგან მარცხნივ, საცხობის ჩამოსწვრივ, ლუმელის კედელზე ამოკვეთილი იყო პატარა ნიში (ზომები: 0,60 × 0,12 × 0,40 მ).

სახლის ზურგის კედელზე, იატაკიდან 1,10 მ სიმაღლეზე, კონგლომერატში გამოქვრივია თახჩა (ზომები: 1,00 × 0,20 × 0,60 მ).

სახლის მარჯვენა, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იდგა „ზურგაიანი საკურთხეველი“: წინასწარ შემზადებული 0,16 მ სიმაღლის თიხის მოედანზე ქვიშაქვის ორი მოზრდილი ფილა ქმნიდა მართკუთხეს. საკურთხეველის ზურგი და იატაკი თიხის თხელი ფენით იყო შელესილი. „სავარძლის ზურგისა“ და ჰორიზონტალური ნაწილის კიდეებს რელიეფური არშია შემოსდევდა. საკურთხეველზე დაპერწილი ყოფილა ოთხი თიხის კერპი — თითქოს ანთროპომორფული ფიგურა, რომელთაგან ორი ძლიერ იყო დაზიანებული, ორი კი მეტ-ნაკლებად უკეთ დაცული (სურ. 596, 597, 600, 602).

შემონახსენები ფიგურების მსგავსი აღმოჩნდა საკურთხეველსა და სახლის

ზურგის კედელს შორის. სახლის ზურგის კედელი (კონგლომერატი) ამ ნაწილში 0,20 მ-ით იყო ამოწეული, რომელზედაც, ზუსტად ცენტრში, პატარა ნიში ამოუკვეთიათ. სწორედ აქ უნდა მდგარიყო მეხუთე ფიგურა(?). ეს თუ ასეა, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახლის მშენებლებს ჭერ კიდევ ტერასის გამოღებისას გაუთვალისწინებიათ აქ საკურთხეველის დადგმა. აღსანიშნავია, რომ მეხუთე ფიგურა, სხვებისაგან განსხვავებით, უკეთ იყო გამოძერწილი და ნაწილობრივ გამომწვარიც.

საკურთხეველის მოხსნის შემდეგ სახლის იატაკის ამ ნაწილში აიკრიფა მცირე რაოდენობით თიხის ჭურჭლის ნატეხები, თიხის ჭურჭლის ნატეხისაგან დამზადებული დისკო და ცხოველის ძვლები; იქვე კარგად ჩანდა წმინდა ნაცრის თხელი ფენა, რომელიც, შესაძლოა, საწესო დანიშნულებისა იყოს. საკურთხეველის წინ იატაკში ჩაფლული იყო თიხის ქოთანის, რომელიც ცხოველის დამწვარი ძვლებით იყო სავსე (სურ. 602).

შუასახლში ჰქონიათ ხარო და კერა (სურ. 596). სახლის წინა მარჯვენა კუთხეში და ჩრდილო კედლის გასწვრივ ფილაფენილია ქვიშაქვისა. გამართულია ზღვე (სიგრძე — 2,30 მ, სიგანე — 1,50 მ) თავისი სანერწყულით (სიგრძე — 1,55 მ, სიგანე — 0,40 მ, სიმაღლე — 0,40 მ) (სურ. 596). სახლში აღმოჩნდა:

92 (01/1—482), სურ. 619). ბორბალი თიხისა, მრგვალ-ბრტყელი, ოდნავ ასიმეტრიული, ხელით ნაძერწი; აქვს საღერძე ნახვრეტი (დმ = 97 სმ). დამზადებულია კარგად განლეჟილი თიხისაგან, კეცი გადანატეხში ყავისფერია, ზედაპირზე — რუხი. აღმოჩნდა ლუმელის ჩაქცეულ სახურავზე.

93 (01/1—488, სურ. 619). ბორბალი თიხისა — მრგვალ-ბრტყელი, ასიმეტრიული, ტლანქად ნაძერწი, აქვს საღერძე ნახვრეტი (დმ — 0,8 სმ). დამზადებულია კარგად განლეჟილი თიხისაგან. კეცი აგურისფერია, ზედაპირი — ღია-მონაცრისფრო (დმ — 2,5 სმ, სისქე — 1,0 სმ). აღმოჩნდა სახლის ცენტრში, იატაკის დონეზე.

94 (01/1—494, სურ. 619). ბორბალი თიხისა — მრგვალ-ბრტყელი, ოდნავ ასიმეტრიული, ტლანქად ნაძერწი. აქვს საღერძე ნახვრეტი (დმ — 0,7 სმ). დამზადებულია კარგად განლეჟილი თიხისაგან; კეცი ყავისფერი აქვს, ზედაპირი — რუხი (დმ — 3,3 სმ, სისქე — 0,7 სმ). აღმოჩნდა ლუმელის ჩაქცეულ სახურავზე.

95 (01/1—495, სურ. 550). ბორბალი თიხისა — მრგვალ-ბრტყელი, ასიმეტრიული, ტლანქად ნაძერწი. აქვს საღერძე ნახვრეტი (დმ — 0,7 სმ). დამზადებულია კარგად განლეჟილი თიხისაგან, კეცი აგურისფერი აქვს, ზედაპირი — ღია მონაცრისფრო (დმ — 2,6 სმ სისქე — 0,9 სმ). აღმოჩნდა სამეურნეო ორმოში, ზედაპირიდან 0,30 ს-ის სიღრმეზე.

96 (01/1—510, სურ. 550). დისკო თიხისა — გამოკრილია ჭურჭლის ნატეხისაგან. კეცი გადანატეხში შავია, ზედაპირი — მოშავო-მონაცრისფრო, ნაპი-

რები — უხეშად ჩამოთლილი. ზედაპირზე შემორჩენილია ფართოდ ამოღარული სარტყელი. თიხა შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს (ღმ — 3,2 სმ, სისქე — 0,6 სმ). იქვე აღმოჩნდა თიხის ქურტლის უსახო ნატეხები (3 ც.) და შავი ქვის(?) ნატეხი. აღმოჩნდა საკურთხეველის მოხსნისას იატაკის დონეზე.

97 (01/1—483, სურ. 608). დანა რკინისა — ცალპირლესილი, წვერწამახული, დაჯანგული, ძლიერ დამსხვრეული; შემორჩენილია ოთხი დიდი და რამდენიმე პატარა ნატეხი (უდიდესი ნატეხის ზომები: 9,0 სმ—2,5 სმ) აღმოჩნდა ლუმელზე.

98 (01/1—484, სურ. 604—606). საბეჭდავი თიხისა, ლეგა ფერის. დამზადებულია კარგად განლეჟილი თიხისაგან. ხელითაა ნაძერწი საკმაოდ ტლანქად. სახელურიანი საბეჭდავი ძირისაკენ ფართოვდება და წრიული მოყვანილობის ოდნავ ასიმეტრიულ პირში გადადის. სახელური ოთხკუთხაა, წახნაგებმომრგვალებული, ზევით ოდნავ შევიწროებული და თავებანაწიული, ლენტისებურყურებიანი, არათანაბრად მოლესილი გვერდები. ერთ-ერთ გვერდზე ადამიანის სახის სქემური გამოსახულებაა დატანილი. პირზე გამოხატულია სპირალი, ძალიან მაღალ რელიეფში (სიმაღლე — 4,7 სმ, ღმ — 2,7 სმ, ყურების სიგრძე — 3,2 სმ, სიგანე — 1,5 სმ). აღმოჩნდა ზღვეს დასავლეთ ნაწილში, ფილებს შორის.

99 (01/1—485, სურ. 611). ნიჟარა ყურთან ნახვრეტიანი (სიგრძე — 5,3 სმ, სიგანე — 2,7 სმ). აღმოჩნდა ჩრდილო კედელთან, იატაკის დონეზე.

100 (01/1—487, სურ. 609). სატარე ძვლისა, განივკვეთში ნახევარწრიული, გულამოღარული. ორივე ბოლოდან ნაკლულია. თავის მხარეს შემორჩენილია კოტას დასაგები შვერილის ნაშთი (ღმ — 0,7 სმ). შემდეგ შემოყვება რელიეფური სარტყელი და ღარი. ძირითად ნაწილზე დატანილია მრავალსახა ორნამენტი. ცენტრში საკმაოდ ღრმა ფოსოები აქვს. ღარის პირთან ორივე მხარეს დატანილია სოლისებური ჭდეები, რომელთა შორის დარჩენილ ფართობზე დატანილი ორნამენტი ძალზე წააგავს ხარის სქემატურ გამოსახულებას. ფოსოებიანი წრეების ძირიდან იწყება მქრქალი ნაკაწრი ხაზებისაგან შედგენილი სწორკუთხა ბადე, რომელშიც ამოკვეთილია ოთხკუთხა სახეები, წრიული მოედნითა და ცენტრში ოდნავ დამჩნეული წერტილით (სიმაღლე — 4,7 სმ, რადიუსი — 0,8 სმ, ფართობი — 1,6 სმ). აღმოჩნდა ზღვეს ფილებს შორის (სურ. 370).

101 (01/1—496). მძივი პასტისა — მუქი ცისფერი, ოვალური, სიგრძივ გახვრეტილი (სიგრძე 0,5 სმ, ღმ — 0,4 სმ). აღმოჩნდა სამეურნეო ორმოში, ზედაპირიდან 0,30 მ სიღრმეზე.

102 (01/1—497). ნამგლისპირი — მოყვითალო-მონაცრისფრო კაჟისა. საშუალო პირის ხერხისებრი კბილები მუშაობისაგან გაპრიალებულია (სიგრძე — 1,7, სიგანე — 1,5 სმ). აღმოჩნდა ლუმელთან, იატაკის დონეზე.

103 (01/1—511, სურ. 613). კოკობი თიხისა — პირი ფართო აქვს, მუცელი — სფეროსებრი. ძირი — ბრტყელი. ცალყურა, ზომორფული(?) ყურა



მოტეხილია. სიმაღლე — 15,2 სმ, პირის დმ — 11,7, მუცლის — 16,5, ძირისა — 8,5 სმ.

104 (01/1—513, სურ. 612). ქოთანი თიხისა, ნაცრისფერი. პარი ფართო აქვს, ოდნავ გადაშლილი: ყელზე სარტყელი შემოსდევს; მუცელი — სვერული, ძირი — ბრტყელი, სიმაღლე — 18,6 სმ, პირის დმ — 14,0, მუცლის — 20,5, ძირისა — 11,2 სმ.

105 (01/1—512, სურ. 614). ტოლჩა თიხისა, ტლანქად ნაძერწი. ცალყურა. ყური მოტეხილი აქვს. სიმაღლე — 11,5 სმ, პირის დმ — 10,7, მუცლის — 13,2, ძირის — 7,0 სმ.

მ ე ო რ ე ს ა ხ ლ ი მდებარეობს X.C.II ნაკვეთის პირველ და მეორე კვადრატებში. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე (სურ. 26, 536).

გამწვანებისათვის ტერასის მოჭრისას ბულდოზერს სახლის წინა, აღმოსავლეთი ნაწილი ჩამოუჭრია. სახლი წაგრძელებული ოთხკუთხედის მოკვანილობის ნახევრადმიწურს წარმოადგენდა, რომლის უკანა მხარეზე კონგლომერატია. სახლის გრძივი კედლები ქვიშაქვის ქვატეხილით აუგიათ — თიხაზე. კედლები თიხისავე ხსნარით შეუღესიათ (ზოგან შერჩენილია შეღესილობის კვალი). კედლის საშუალო სისქე — 0,30—0,45 მ, დმ — 10—1,7 სმ. მეორე სახლის ფართობია 14,3 მ<sup>2</sup> (სურ. 26).

სახლის სახურავი ბანური უნდა ყოფილიყო — თიხითა და ხის ძელებით გაწყობილი.

სახლის იატაკი თიხატეხილი ყოფილა. იგი ოდნავ დაქანებულია შესასვლელისაკენ. სახლის უკანა, მარცხენა, კუთხეში აღმოჩნდა პურის საცხობი ლუმელი (1,20 × 1,35 × 0,70 მ), რომელიც ალიზითა და ქვით აუგიათ. ლუმელი ორგანყოფილებიანია: მარცხნივ აქვს საცხობი (0,72 × 0,90 × 0,25 მ), მარჯვნივ კი საცეცხლე (0,23 × 0,72 × 0,30 მ), რომლის იატაკიც, საცხობის იატაკთან შედარებით 8—13 სმ დაბლაა გამართული. საცეცხლეს ზურგის მხარეზე აქვს პატარა თარო (15,0 × 23,0 × 7,0 სმ), რომლის წინაც საცეცხლეს იატაკზე აქვს ძირითად სანაცრე ორმოსთან დამაკავშირებელი ხვრელი (დმ — 12,0 სმ). ლუმელს თაღოვანი გადახურვა ჰქონია. ლუმელის მარჯვენა კედლის გარეპირზე შემოუყვებოდა რელიეფური სარტყელი. ასეთივე სარტყლის ფრაგმენტები შემორჩენილია ლუმელის სახურავზე.

ლუმელს ორი სანაცრე აქვს: ერთი მარჯვენა მხარესაა, ნაწილობრივ იატაკში ამოკვეთილი და შემოზღუდულია 10,0 სმ სიმაღლის თიხის კედლებით (0,40 × 0,80 × 0,20 მ; კედლების სისქე — 18,0 სმ). მეორე სანაცრე საცეცხლეს პირდაპირ მდებარეობს (39,0 × 54,0 × 5,0 სმ). მისგან მარცხნივ ლუმელის კედელში ამოკვეთილია პატარა ნიში (50,0 × 16,0 × 10,0 სმ).

ლუმელს სახურავის დონეზე, სახლის მარცხენა გრძივი კედლის გასწვრივ, გასდევს არხი. ლუმელსა და სახლის გრძივ კედელს შორის, იატაკიდან 17,0 სმ სიმაღლეზე, გამართულია პატარა ნიში, რომელშიც აღმოჩნდა თიხისაგან გა-

მოძერწილი პატარა, გრძელი გუნდა — შესაძლოა, ფალოსის იმიტაცია. ღუმელი რამდენჯერმე შეუღლესავთ (სურ. 26, 599).

სახლის ზურგის კედელში 1,10 მ სიმაღლეზე ამოკვეთილია თახჩა ( $1,45 \times 0,80 \times 0,60$  მ) (სურ. 536).

სახლის მარჯვენა კუთხეში ზურგისა და გვერდით კედელზე მიშენებულია ნახევარწრიული ფორმის თიხისაგან გამოძერწილი დეტალი (სიმაღლე — 1,00, დმ — 0,35 მ, კედლის სისქე — 0,08 მ). მას მარცხნიდან ეკვრის დაბალი მოედანი ( $1,05 \times 0,40 \times 0,12$  მ), რომელზედაც ერთმანეთისაგან 18—28 სმ დაშორებით მდებარეობს ორი პატარა ორზო: მარცხენა ( $25,0 \times 37,0 \times 5,0$  სმ), მარჯვენა ( $30,0 \times 50,0 \times 5,0$  სმ). სახლის წინა — მარჯვენა კუთხეში შემორჩენილია ქვიშაქვის ფილებით მოგებული ზღვეს ნაშთი ( $1,30 \times 1,10$  მ). სახლში აღმოჩნდა:

106 (01/1—493, სურ. 610). ტარი(?) ძვლისა, მომრგვალებულ-ზედაპირიანი, ერთი მხარე მთავრდება ეპიფიზით, მეორე მხარეზე ნაკლულია, ღრუგულიანი. შემორჩენილია სატარე წრის დაახლოებით ნახევარი. ეპიფიზიდან 6,5 სმ დაშორებით, ნაპირებზე, აქვს პატარა სიმეტრიული კდეები. აღმოჩნდა I კვადრატში.

107 (01/1—498, სურ. 616, 618). ციცხვი თიხისა — კეცი ყავისფერი აქვს, ზედაპირი — რუხი-მონაცრისფრო, პირი — გადაშლილი, ტუჩიანია; გვერდები მკვეთრად ვიწროვდება და გადადის ბრტყელ, ასიმეტრიულ ძირში. გვერდზე, პირისა და ძირის სწორად მიძერწილია ფოსოიანი ყური. ნაძერწია ხელით, ტლანქად. თიხა შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. სიგრძე — 5,3 სმ, სიგანე — 4,3, სიმაღლე — 3,3, ყურის დმ — 2,5, სიგრძე — 2,5, ფოსოს დმ — 0,9, სიგრძე — 2,3 სმ. აღმოჩნდა პირველ კვადრატში.

108 (01/1—499, სურ. 617). ნამგლისპირი ობსიდიანისა — მურა-გამჭვირვალე, სამკბილიანი (სიგრძე — 2,2, სიგანე — 1,5 სმ).

109 (01/1—434, სურ. 615). კოჭობი თიხისა — ლეგა ფერის. ყელი ვიწრო და დაბალცილინდრული აქვს, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მუცელზე დაუყვება ნაპრიალები ხაზები (პირის დმ — 5,5, სიმაღლე — 0,8, საერთო დმ — 8,6, ძირის დმ — 5,7 სმ). აღმოჩნდა სახლის ცენტრში, იატაკის დონეზე. იქვე იყო მრავალრიცხოვანი შავი და რუხპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ხელსაფქვავი და სალესავი ქვები.

მესამე სახლი მდებარეობს XCI და XCII ნაკვეთებზე, ისიც დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის სიგრძივ ღერძზე. სახლის წინა — უდიდესი ნაწილი ჩამონგრეულია (სურ. 26). სახლი ნახევრად მიწურია, გრძივი კედლები ქვიშაქვის ქვატეხილითა და რიყის ქვითაა ნაგები — თიხაზე. ზურგის კედელს წარმოადგენს დედაქანი — კონგლომერატი. სახლის კედლების სისქე — 0,35—0,45 მ, სიმაღლე — 1,00—1,20 მ, ფართობი — 6,73 მ<sup>2</sup>.

სახურავი აქაც ბანური ჩანს. იატაკი გამართული ყოფილა მოსწორებულ კონგლომერატზე.

მესამე სახლს საერთო გრძივი კედელი აკავშირებს პირველ სახლთან. ეს და მისი კონსტრუქციული სიმარტივე გვაფიქრებინებს, რომ ის შეიძლება იყოს პირველი სახლის კუთვნილი სამეურნეო სათავსი. სახლში აღმოჩნდა:

110 (01/1—492, სურ. 607). შუბისწვერის ნატეხი, რკინისა, ოდნავ მომრგვალებული წვეტი აქვს, ორმხრივ მაღალქელიანია, დაქანგული. შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 7,8 სმ.

ბნელია, ჭერჭერობით მაისც, საანგარიშო წელს აღმოჩენილი ნასახლარის სრული სახე წარმოვიდგინოთ, მაგრამ აღმოჩენილი ნაწილისადმი სავანგებო ინტერესი მაინც ბუნებრივია. ას წელზე მეტია, რაც ითხრება სამთავროს ველა, მაგრამ არ იქნა და ნამოსახლარს ვერ მიაგნეს არქეოლოგებმა.

1976 წელს კი პროფ. ალექსანდრე კალანდაძემ შესძლო შეევსო მცხეთის არქეოლოგიური კვლევის ეს ხარვეზიც: მიაკვლია და დაიწყო გათხრა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარისა — გლეხის სახლის ნანგრევებისა, რომელთაც შერჩენიათ: ქვატეხილით და ტალახით ნაგები კედლების ნაწილები, დედაბოძისა და ბანური სახურავის მზიდი სვეტებისათვის ამოთხრილი ფოსოები, მოტყეპნალ-მოსწორებული იატაკი, მოფიქლული ზღვე (პირუტყვის სადგომი) სანერწყულითურთ; ინტერიერის დამახასიათებელი სხვა ელემენტებიც — მარცხენა კუთხეში პურის საცხობი ღუმელი, მარჯვენაში კი ზურგიანი სანსხვერპლო, რომელზედაც ხუთი უკვდავის — თიხის ხუთი კერპის (წარმართული ხატის) ნაძერწი გამოსახულებებია დასმული (3).

აღმოჩენილი სახლები გორის კალთაზე ტერასულად არის გამართული და ცხადსა ხდის, რომ უკვე 2600—2800 წლის წინ ჩამოყალიბებულია დასახლებისა და სახლის დამახასიათებელი ტიპი — ერთსახლიანი, ერთოთახიანი ნაგებობა, ნახევრად მიწური, ტერასულად განლაგებული (58, გვ. 476). ყველა სახლი აღმოსავლეთის ან პრაქტიკულად აღმოსავლეთისაკენ იყურება, ე. ი. აქეთა აქეთ პირიმხარე. სახლის ასეთ ექსპოზიციას მოითხოვს სამოსახლო ადგილი, თუმცა არ შეიძლება საწესო მხარე გამოირიცხოს — უკვდავები — თიხის კერპები ცისკარს შეჰყურებენ, რაც შემთხვევითი, შესაძლოა, არც იყოს.

საანგარიშო წელს გათხრილი 3 სახლი საოცრად ერთგვარია განლაგებით, როგორც ითქვა, ექსპოზიციითა და ინტერიერის ელემენტებით. საეხებით ერთნაირია ისინი მშენებლობის ზერხითა და სამშენებლო მასალითაც. ყოველთვის ინტერესს იწვევს წესი: საკურთხეველი — წარმართული საკერპო — მარჯვენა (ჩრდილო-დასავლეთ) კუთხეში; პურის საცხობი — მარცხენა (სამხრეთ-დასავლეთ) კუთხეში; ზღვე — ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ, ერთნაირად ფილადენილი.

სახლების განლაგება ახლო-ახლოს, გორის საგრძნობლად დამრეც კალ-

თაზე. ცხადსა ხდის, რომ გორაებად დასახლების ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობს; იმდროისთვის დამახასიათებელი უკარმიდამო სახლებია გავრცელებული.

საგანგებო ადგილი სახლში ეთმობა ხატს: მის წინ, როგორც ჩანს, მისივე მფარველობის ქვეშ მყოფი პირუტყვის ბინაა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის — დაკანონებულია და ადასტურებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „... ადრე, და განსაკუთრებით, ქალაქობის წინა დროის „ქართლს“ (=ქართლს, მცხეთას, წიწამურს), უეჭველია სოფლის მეურნეობიდან პირველ რიგში მესაქონლეობა უნდა ჰქონოდა განვითარებული“ (6, გვ. 229), რომელსაც მფარველობდა კერისა და საოჯახო კეთილდღეობის მცველი ხატი — ანთროპომორფული კერპები (58, გვ. 476).

ახლად აღმოჩენილი გლეხის სახლების დაწვრილებით დახასიათებას არ ისახავს მიზნად წინამდებარე ანგარიში, მაგრამ ამ აღმოჩენის მნიშვნელობის ხაზგასმა აუცილებელია, პირველყოვლისა იმის გამო, რომ აქამდე არ გვექონდა მცხეთის ნამოსახლართა არქეოლოგია, მაინცადამაინც, ქალაქობის წინა ხანისა და, თანაც, ადგილობრივ მკვიდრთა, მშრომელი ხალხის სახლის — საცხოვრისის მაჩვენებელი.

ქართლის (=ქართლის, მცხეთის, წიწამურის, — „დიდი მცხეთის“) ნამდვილი ცხოვრების (=მშრომელი ხალხის ცხოვრების), ე. ი. მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი ახლად აღმოჩენილი გლეხის სახლის კვლევით უნდა დაიწეროს. ამიტომ არის მცხეთის ქალაქობის წინა ხანის ნასახლარების აღმოჩენა დიდი მეცნიერული მნიშვნელობის ფაქტი.

ნასახლარების გათხრის შედეგები ახლებურ წარმოდგენას ქმნის ფართო მასების კულტურის დონის შესახებაც. ქალაქობის წინარე ხანის დასახლების კულტურა და ხალხური ხუროთმოძღვრება ცოცხლდება და სოციალური ყოფის სახეც მკაფიოდ იხატება. შემდგომში ჩვენ ვნახავთ, რომ დასახლებისა და სახლის სამთავრული სახე („სამთავრო I“-ის სახელით ცნობილი) არ არის მხოლოდ სამთავროელთა დამახასიათებელი. ეს გარემოებაც არ არის მოულოდნელი. ამაში „დიდი მცხეთის“ სხვა ნაწილების გათხრაც გვარწმუნებს (მაგ., ნარეკევისა), მაგრამ ასეთი შემოფარგლაც არ იქნებოდა ზუსტი. „სამთავრო I“, უფლისციხისა და ხოვლეგორასთან ერთად, სულ ცოტა, ქალაქობამდელი ქართლის დასახლების სახისა და სახლთა ტიპების საზოგადო დახასიათებისათვის, ქალაქობამდელი ხანის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და დასახლების კულტურის საკვლევად არის მნიშვნელოვანი. ეს არის კონკრეტული სურათი ურბანიზაციის გზაზე შემდგარი ქვეყნისა და იმის მაჩვენებელიც, რომ ანტიკური ხანის ქალაქობა ქართლში ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი შინაგანი სოციალ-ეკონომიკური განვითარების ლოგიკური შედეგია (2, გვ. 244—245); უკველეს მოსახლობათა კონსოლიდაციის საფუძველზე წარმოქმნილი მოვლენაა.

შესაბამისად, — უმნიშვნელოვანესი ქართლის მკვიდრი მშრომელი კაცის ცხოვრების, მისი ყოფისა და კულტურის გასათვალისწინებლად.

რა თქმა უნდა, ეს სახლი სულ სხვაგვარი წარმოშობისაა, ვიდრე ქალაქობის ხანის წარჩინებულთა საცხოვრებელი ნაგებობები, კრამიტიანი სახურავებით — სახლები, ტაძრები, აბანოები თუ სასახლეები, მოწყობილი ზუროთ-მოდღვრული წესებით (სტრაბონი, XI, 3). ამ უკანასკნელთა მფლობელნი, ისევე, როგორც აკლდამა-სარკოფაგებში მდიდრულად დაკრძალულნი ან ისინი, ვისაც, მაგ., ძალისის აგარანი ეკუთვნიდა და არმაზისხევის ზუროთმოდღვრული ანსამბლი, ერთი მხრივ, და ახლად აღმოჩენილი გლეხის სახლთა მფლობელნი, მეორე მხრივ, აშკარად ამჟღავნებენ ყოფაცხოვრების სხვაობას, ორ კულტურას, ადგილობრივს — მკვიდრს — ხალხურს და მასთან დაპირისპირებულს, პრაქტიკულად უცხოურს, ერთიმეორისგან დაშორებულს (6, გვ. 613); ე. ი. სახეზე გვაქვს საფუძვლები, რომელზედაც აღმოცენდა და დაეფუძნა ანტიკური ხანის ქართლისათვის, ისევე, როგორც საერთოდ ანტიკონისტურ საზოგადოებრივ ფენებად დანაწილებული საზოგადოების დამახასიათებელი, ორი კულტურა: ა. ზედა, გაბატონებული ფენისა (ქართლში პრაქტიკულად უცხოურიც) და ბ. ხალხისა, ადგილობრივი, ხალხური, ამ შემთხვევაში, ქართული.


ასეთ ვითარებაში არმაზისხევისა თუ ძალისის კომპლექსების მფლობელნი კულტურითა და კლასობრივად რომელ მონათმფლობელთან გაცილებით უფრო ახლო ჩანან, ვიდრე აქაურ მკვიდრთან, ძალისელ თუ მცხეთელ გლეხკაცთან. ისე რომ კულტურით უცხოურობა კლასობრივი დაშორიშორების, მკვეთრად დაპირისპირების მაჩვენებლადაც წარმოგვიდგება.

1976 წლის გაზაფხულზე (აპრილის ბოლო რიცხვებში) სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახალციხის ხეეთან, მცხეთის ადმინისტრაციული სახლისათვის განკუთვნილი ადგილის დავაყებისას, თავი იჩინა ქვასამარხებმა.

ამ შემთხვევამ დააჩქარა გათხრების განახლება სამთავროს ველზე. შეიქმნა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმი (ხელმძღვანელი პროფ. ალ. კალანდაძე), რომელმაც გათხრები დაიწყო 1976 წლის 5 მაისს.

მშენებლებთან შეთანხმებით მოიზომა ნაკვეთი, რომლის გათხრა საჭირო იყო პირველ რიგში. იგი უშუალოდ ეკვრის ახალციხის ხევს და 900 მ<sup>2</sup> ფართობს მოიცავს. იმთავითვე გადაწყდა სამთავროს ველის გეოდეზიური აგეგმვა. მთელი ველი დაიყო ნაკვეთებად. სულ მოიზომა 265 ნაკვეთი. თითოეული ნაკვეთი 432 მ<sup>2</sup> და იყოფა 12 კვადრატად; ყოველი კვადრატი 36 მ<sup>2</sup> (6 × 6 მ) (სურ. 27, 28). მშენებლებმა დააეკეს 4000 მ<sup>2</sup> ფართობი. აქედან 3000 მ<sup>2</sup> უშუალოდ სამთავროს ველზე, ხოლო დანარჩენი ახალციხის ხევის სიღრმეში, მის მარჯვენა ნაპირას.

საველე სამუშაოები გაგრძელდა 8 თვის განმავლობაში, 1976 წ. მაის-დე-



სამთავროს განლაგება

სურ. 27. სამთავრო. ნაკვეთების განლაგება

კემბერში. ამ ხნის მანძილზე მთლიანად გაითხარა XCVI და CXX ნაკვეთები, ნაწილობრივ კი — CXXII ნაკვეთის (მე-9, 10, 11, 12 კვადრატები). დანარჩენ ფართობზე (1728 მ<sup>2</sup>; CXVI, CXVII, CXIII, CXX ნაკვეთები) ჰუმუსიან-ქვალორიანი ფენის ალების შემდეგ გამოვლინდა ქვაყუთები — ქვასამარხები (სურ. 494).

პირველ რიგში გაითხარა 2 ნაკვეთი: XCVI და CXX, ფართობი 864 მ<sup>2</sup> (სურ. 28). მოგვიანებით მუშაობა დაიწყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის სამხრეთ ნაწილში. იქ ითხრებოდა დაახლოებით 290 მ<sup>2</sup> ფართობი (CXVII, XCI და XCII ნაკვეთების ნაწილი). სამარხები (30 ქვასამარხი და ორმოსამარხი) ჩაშვებული იყო ძვ. წ. პირველი ათასწლეულის კულტურულ ფენაში. მთლიანად სამთავროს სამაროვანზე საანგარიშო წელს გაითხარა 201 სამარხი, ამთგან 14 — გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის სამხრეთ ნაწილში.


1976 წელს გათხრილ სამარხთა შორის 89 ქვასამარხია, 97 — ორმოსამარხი, ქვის ფილებით გადახურული, 9 — თიხის ფილასამარხი, ქვის ფილებით გადახურული, 4 — კრამიტსამარხი (მათ შორის 2 ქვის ფილებით გადახურული), 2 — კომბინირებული სამარხი (ქვისა და თიხის, ქვის ფილებით და ბრტყელი კრამიტით შეკრული).

ნივთები აღმოჩნდა 97 სამარხში, დანარჩენი 104 უინვენტარო იყო. 89 ქვასამარხიდან ინვენტარიანი იყო 38; 96 ორმოსამარხიდან — 49: 9 თიხის ფილასამარხიდან — 9; 4 კრამიტსამარხიდან — 1; ორივე კომბინირებულ სამარხში ინვენტარი აღმოჩნდა.

სამარხთა ორი მესამედი ნაწილი გაძარცვული იყო (ყველა ტიპის სამარხი, გარდა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებისა). ინვენტარის მცირე ნაწილი გაძარცვულ სამარხშიც აღმოჩნდა. ნიადაგის დავაყებისას 20-მდე სამარხი დაზიანებულა, განსაკუთრებით ის ქვასამარხები, რომლებიც სამთავროს ველის დასავლეთ ნაწილში მდებარე ბორცვის კალთაზე იყო შეფენილი. ხევის პირას ყველაზე ღრმად პირველი ქვასამარხი (ქვაყუთი) აღმოჩნდა. სამარხების ერთი ჯგუფი CXX ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში გათხრამდე ჩანდა მიწის ზედაპირზე. ეს ადგილი წინათ წლების განმავლობაში იხვნებოდა. გათხრების დაწყებამდე იქ იყო ჩერ ტყავეულის, ხოლო შემდეგ მინის ტარის საწყობი.

საანგარიშო წელს სამაროვანზე გამოვლინდა გვიანანტიკური და ადრე-ფეოდალური ხანის სამარხები.

\* სამთავროს ველზე სველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: პროფ. ალ. კალანდაძე — ნეკროსის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე და სამთავროს რაზმის უფროსი; უმც. მეცნ. თან. გ. მანჯგალაძე — სამთავროს უბნის უფროსი; ლაბორანტები: გ. გიუნაშვილი, დ. ლეკაშვილი, ო. ბენაშვილი, ე. ხახიაშვილი, სტუდენტი-პრაქტიკანტები: თ. ბიბილევი, მ. გოცაძე, მ. შეროზია, ი. ბეხსალია; ფოტოგრაფები: გრ. სიმონიანი, რ. საანიშვილი, ვლ. ნიკოლაიშვილი; მხატვრები: შ. ცინცაძე, მ. ივანიშვილი, ლ. ხუბერაშვილი; ინჟინერ-გეოდეზისტები: ვ. მასხარაშვილი და ა. კუციია.



სურ. 28. სამთავრო CXX—XCVI ნაკვეთები. სამაროვანი. გეგმა

II—III საუკუნეების სამარხები

1976 წელს სამთავროს სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან გვიანანტიკური ხანისა იყო 34 სამარხი, ადრეფეოდალური ხანისა — 167. სამარხთა ხუთი სახეობაა: ქვასამარხი (№№ 1, 8, 13, 62, 65, 71, 77, 79, 84, 110, 119, 122, 130, 139, 180, 184, 187, 201, 207, 191); კრამიტსამარხი (№№ 155, 17, 186); თიხის



ფილასამარხი (№№: 2, 12, 50, 56, 124, 126, 154, 164, 185); კომბინირებული სამარხი (№ 34); ორმოსამარხი (№ 181).

აღნიშნული პერიოდის სამარხები შედარებით ღრმად არის განლაგებული თიხნარ ნიადაგში, სამთავროს ველის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო ზოგიერთი სამარხი CXX ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში ადრეფეოდალური ხანის სამარხთა დონეზეა გამართული. სამაროვნის ეს კუთხე მეჩხერად იყო დაფარული სამარხებით. როგორც ჩანს, ეს მონაკვეთი გვიანანტიკური ხანის სამაროვნის განაპირას წარმოადგენდა, ხოლო მისი ფართო ათვისება დაიწყო ადრეფეოდალურ ხანაში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში. სამარხთა განლაგებაში კანონზომიერება არ შეიმჩნევა. სამარხების ნაწილი (№№: 12, 185, 186, 164) საკმაოდ ღრმად იყო შედგმული I ბორცვის ფერდობში. როგორც ჩანს, ამ სამარხთა გამართვის დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩამოტანილი ქვალორლის მძლავრი ფენა. ამ პერიოდის ყველა სამარხი გადახურულია ქვის ფილებით და ჩნდება მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,50—1,90 მ სიღრმეზე. ქვასამარხთა კედლები შედგენილია ქვიშაქვის მასივური, კარგად ნათალი — ნაკოდი, ლოდებით. იარაღის კვალი ქვის კედლებს უფრო ხშირად შიგა მხრიდან ეტყობოდა, თუმცა, მაგ., 201-ე სამარხის კედლები გარე მხრიდანაც იყო ნაკოდი; მისი განივი კედლები ნარიბანდებიანია. ზოგიერთ ქვასამარხს ქვიშაქვის ფილებით მოგებული იატაკი აქვს (№№: 62, 65, 77). სამარხთა გრძივი კედლები იშვიათად ორი ფილისაგან შედგება (65-ე სამარხი). სამარხთა დიდი ნაწილი გაქარცულია.

კრამიტსამარხები 186 და 155 გადახურული იყო ქვიშაქვის სამ-სამი ფილით. კედლებად ჩადგმულია მხოლოდ ბრტყელი კრამიტები. ეს კრამიტები აკეცილ გვერდებზეა დაყენებული. ორივე სამარხს ასევე ბრტყელი კრამიტით მოგებული იატაკი ჰქონდა. შემორჩენილია 179-ე კრამიტსამარხის მხოლოდ სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები, შედგენილი ბრტყელი და ლარისებრი კრამიტებით.

საანგარიშო წელს გათხრილი 9 თიხის ფილასამარხის კედლები შედგენილი ჰქონდათ თიხის ოთხკუთხა (59,0 × 59,0 × 3,0 სმ) და ნახევარი (28,0 × 59,0 × 3,0 სმ) ფილებისაგან. თავკედლებად თითო ოთხკუთხა ფილა ჩაუდგამთ. იატაკიც ასეთივე კვადრატული ფილებით აქვს მოფენილი.

სამარხთა გრძივი კედლები შედგენილი იყო სამ-სამი კვადრატული ფილით. ზოგ შემთხვევაში ამ კედლებს დამატებული აქვთ ნახევარი ფილები (№№: 12, 50, 126, 154, 164, 185). გამონაკლისს წარმოადგენდა მე-2 სამარხი, რომელიც მეორე მიცვალებულის დასაკრძალავად გაეგრძელებინათ აღმოსავლეთით, 3 მეტრე ქვიშაქვის ფილით.

ერთ კომბინირებულ სამარხს (№ 134) ორი კედელი ბრტყელი კრამიტისა ჰქონდა, ორიც ქვიშაქვის თხელი ფილებისა. სამარხები ინდივიდუალურია, გარდა 185-ისა, სადაც წყვილადი დაკრძალვა იყო და მე-2 და 12-ე სამარხებისა. პირველში ერთი მიცვალებული შევიწროებული იყო მეორეს დაკრძალვის

დროს, ხოლო მეორეში სხვადასხვა ასაკის 7 მიცვალებული აღმოჩნდა. მიცვალებულები გულადმა გამოტილ პოზაში იყვნენ დაკრძალულნი, თავით აღმოსავლეთისკენ ან დასავლეთისკენ.

ქვემოთ მოცემულია 1976 წელს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის სამარხების აღნაგობის, დაკრძალვის წესისა და სპარხეული ინვენტარის მოკლე დახასიათება.

ს ა მ ა რ ხ ი 50. 1976.15.VII (13.XIII); CXX, 2; NOO—SWW. ქვაყუთია. გარეგანი ზომები:  $2,00 \times 0,90 \times 0,55$  მ; შიგა ზომები —  $1,86 \times 0,55 \times 0,54$  მ. სამხრეთი კედლის შუა ფილა გადაქცეულა და ჩონჩხიცა და ინვენტარიც დაუზიანებია. მიცვალებული წოლილა გულადმა გამოტილი: მარჯვენა ხელი ბოქვენზე ელო, მარცხენა — ტანის გასწვრივ. სამარხში აღმოჩნდა:

111 (01/1—124). სანელსაცხებლე მინისა, სქელკედლიანი. ძლიერ დაძსხვრეულია და მხოლოდ გრაფიკული აღდგენა მოხერხდა. აღმოჩნდა ჩრდილო კედელთან, ბარძაყის ძვალთან.

ს ა მ ა რ ხ ი 56. 1976.18.VIII (20.VIII); CXX, 3; O—W (NOQ—SWW). თიხის ფილასამარხია, ქვის ლოდებით გადახურული. ზომები:  $1,84 \times 0,58 \times 0,58$  მ ( $1,70 \times 0,51 \times 0,46$  მ). თიხის ფილებიდან ზოგი კვადრატულია ( $0,58 \times 0,58 \times 0,04$  მ); ზოგიც კვადრატის ნახევარი. დაკრძალული ჩანს ერთი მიცვალებული — შემორჩენილია მხოლოდ მენჯის ნაწილი და ქვედა კიდურების ძვლები, ისიც დამსხვრეული. სამარხში აღმოჩნდა:

112 (01/1—127). გიშრის მძივები, მრგვალ-ბრტყელი, 40 მთელია, 5 — ნატეხი.

113 (01/1—126. ირმის რქის ტოტის ნატეხი, სიგრძე — 13,0 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი 62. 1976.17.VII; CXX, 11; O—W (სურ. 519, 520). ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. სახურავის ლოდები ტლანქად არის დამუშავებული, გვერდითი კედლებისა კი კარგად არის გათლილი, განსაკუთრებით შიგა მხრიდან. განივ კედლებს ნარიბანდები აქვთ ამოჭრილი. ქვაყუთს იატაკადაც დიდი ლოდი აქვს. ზომები: ა.  $2,55 \times 1,30 \times 0,88$  მ; ბ.  $1,92 \times 0,72 \times 0,54$  მ. მიცვალებულის ძვლების რამდენიმე ძლიერ დაზიანებული ნატეხი არეული იყო სამარხში ჩასულ ქვა-ლორღში, სხვადასხვა სიმაღლეზე. გაბარცულია. სპარხში აღმოჩნდა:

114 (01/1—129). სანელსაცხებლე მინისა, მუქი-მოყავისფრო, ირიზებული. ძირის ნატეხია. აღმოჩნდა სამარხის ცენტრში.

ს ა მ ა რ ხ ი 65. 1976.5.VIII (20.VIII). CXX, 11—12; NOO—SWW (სურ. 517, 518). ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. ლოდები საერთოდ ტლანქია, განივი კედლისა — ნარიბანდებიანი. სამარხს იატაკად სამი ლოდი აქვს. გაბარცულია. სამარხში არც ჩონჩხი და არც ინვენტარის კვალი არ ჩანდა, მაგრამ მისი აღნაგობა მიუთითებს მის მდიდრულობას, რითაც არმაზისხევურ სამარხებთან გარეგნულ მსგავსებას ამჟღავნებს. ლოდების გათლა, ნარიბანდები, ლო-

დებით მოფენილი იატაკი მას ახ. წ. II—III სს. შეძლებულთა სამარხებს უახლოებს და, შესაბამისად, იმავდროულად უნდა მივიჩნიოთ.

სამარხი 71. 1976.7.VIII (23.VIII): CXX 10; NWW—SOO (სურ. 523). ქვაყუთია, ბანურსახურავიანი, ტლანქი ლოდებით შედგენილი, მაგრამ აღმოსავლეთ კედელს ნარიბანდი აქვს ამოჭრილი. ზომები: ა.  $1,30 \times 0,65 \times 0,55$  მ; ბ.  $1,0 \times 0,40 \times 0,44$  მ. მიცვალბულის ძვლები გამოჩნდა კედლის პირიდან  $0,25$  მ სიღრმეზე. დაკრძალულია მოზარდი. იგი წეკს გულაღმა გაშოტილი. ჩონჩხი ცუდად არის დაცული, — თავის ქალაც დაშლილია. სამარხში აღმოჩნდა:

115 (01/1—154). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამოძწვარი, კაპებიანი. შემორჩენილია ნატეხების სახით, მაგრამ მინც ცხადია, რომ ისინი პირველ საუკუნეში ფართოდ გავრცელებული ტიპისაა.

116 (01/1—155). სანელსაცხებლე მინისა. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი; ირიზებულია. სიმაღლე —  $4,5$ , პირის დმ —  $2,0$ , მუცლისა —  $4,0$  სმ. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედესთან.

117 (01/1—157). სანელსაცხებლე მინისა, გამკვირვალე, დამსხვრეული. ყური ბრტყელი და დაღარული ჰქონია. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, თავის ქალასთან.

118 (01/1—156). მინის ჭურჭლის ნატეხები. ყელის ძირსა და მხრებზე შემოუყვება მინის მსხვილი ძაფი. აღმოჩნდა თავის ქალასთან.

119 (01/1—160). ბეჭედი ვერცხლისა, პატარა. რკალი არათანაზომიერი აქვს, თვალბუდე — რეაწახნაგოვანი, ბრტყელ ფარაკზე დარჩილული. მასში ზის მუქი-თაფლისფერი თვალი (პიროპი?), რომელზედაც ორი თევზია გამოსახული. ბეჭდის დმ —  $2,0$ , თვალისა —  $0,5$  სმ.

120 (01/1—171, 172). საყურე ოქროსი, წყვილი — განივკვეთში მრგვალი მავთულის თავგახსნილი რგოლებია. დმ —  $0,7$  სმ. აღმოჩნდა მიცვალბულის თავქვეშ.

121 (01/1—162—170). საშუბლე გვირგვინის ფურცლები ოქროსი —  $4$  მრგვალი,  $6$  — სამკუთხა, ნიახურის ფოთლისებრდაკბილული (სურ. 10). მრგვალი ფურცლების დმ —  $1,9$  —  $2,0$  სმ; სამკუთხა ფურცლების სიგრძე —  $2,0$  —  $2,5$  სმ; სიგანე —  $1,0$  —  $1,5$  სმ. აღმოჩნდა თავის ქალის გარშემო.

122 (01/1—153, 154, 158). მძივები ლურჯი მინისა, ქვისა (მათ შორის პიროპისა). პიროპისა  $14$  წახნაგოვანია; სხვები — მრგვალობრტყელი. აღმოჩნდა დაკრძალულის ყელისა და გულმკერდის არეში.

როგორც ვხედავთ, 71-ე სამარხი ნაწილობრივ აღნაგობითაც გამოირჩევა და ჩატანებული ნივთებითაც. ხოირის ოქროს ფურცლები, თანაც სწორედ აქ აღმოჩენილი სახისა,  $14$ -წახნაგოვანი მძივები, ვერცხლის ბეჭედი ინტალიოთი, ოქროს საყურეები და სხვ. გვიანანტიკური ხანის კარგად დამახასიათებელი

კომპლექსია და პარალელური მასალის მოუტანლადაც ცხადია, რომ 71-ე სამარხი ახ. წ. III ს. უნდა დაეთარიღოთ.

ს ა მ ა რ ხ ი 77. 1976.13.VIII (23.VIII); CXX, 11; O—W (სურ. 515, 516). ქვაყუთია, ბანურსახურაიანი, კარგად გათლილი, ნარიბანდიანი ლოდებით შედგენილი. სამარხში ერთი მიცვალებულის ჩონჩხი იყო მიხვეტილი სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან. თავის ქალა დაზიანებულია. გაძარცვული ჩანს. ზომები: ა.  $2,20 \times 1,70 \times 0,90$  მ, ბ.  $1,96 \times 0,96 \times 0,7$  მ. სამარხში აღმოჩნდა:

128 (01/1—183). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, პირგადაშლლი, ყელი წიბოიანი აქვს, მუცელი — სფერული. სიმაღლე — 15,2 სმ, პირის დმ — 6,2, მუცლისა — 11,7 სმ. აღმოჩნდა კუთხეში მიხვეტილ ძვლებთან.

ზემოაღწერილი ხელადა და ქვაყუთის აღნაგობა, საგულდაგულოდ გათლამორგება ქვიშაქვის ლოდებისა, შეიძლება დამათარიღებლად გამოდგეს და სამარხი II—III სს. მივაკუთვნოთ.

ს ა მ ა რ ხ ი 124. 1976.5.VIII (1.IX); CXX, 7; NOO—SWW. თიხის ფილასამარხია, ქვიშაქვის ლოდებით გადახურული. კედლების ფილები კვადრატულია ( $0,58 \times 0,58 \times 0,35$  მ). სამარხის ზომებია: ა.  $2,25 \times 0,75 \times 0,58$  მ, ბ.  $1,90 \times 0,62 \times 0,46$  მ. დაკრძალულია ერთი მიცვალებული — გულადმა გაშოტილი. მარცხენა ხელი თითქოს თავთან მიტანილი ჰქონია. ჩაქცეულ ლოდს თავის ქალა და გულმკერდი დაუზიანებია. სამარხში აღმოჩნდა:

124 (01/1—271). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა. ყური განივკვეთში ოვალურია და მას დაკუთხული მეჭეჭი აზის. მუცელი სფერული აქვს, კოპების სამი მწკრივით შემკული, ძირი — ბრტყელი. აღმოჩნდა მენჯის არეში.

125 (01/1—272). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, ბაკო გადმოკეცილი, დაბალყურიანი. მხრებზე მეჭეჭები შემოუყვება, ტანი დაღარული აქვს (კანელურებიანი); ყური — მუცელზე მიძერწილი, ნაქდევებიანი. ყურისთავზე ჯიხვის(?) რქისებრი გამოსახულება.

126 (01/1—273). კოლბა(?) მინისა. ყელი მაღალი აქვს, მუცელი გამოზერილი, ძირი — შეზნექლი. სიმაღლე 6,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან.

127 (01/1—275). ბეჭედი ვერცხლისა — რკალი განივკვეთში სამკუთხა, გარედან წიბოიანი; თვალბუდე — ოვალური, თვალი — თაფლისფერი სარდიონისა, რომელზედაც ამოკვეთილია ზეზე მდგომი მამაკაცის მარცხენა პროფილი (ანაბეჭდზე, შესაბამისად — მარჯვენა პროფილია). ღვთაებას ქლამიდა აქვს წამოსხმული. ქსოვილი სქემურად არის გადმოცემული. მას მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენაში — ქვისა(?); დიონისე(?). ბეჭდის დმ — 2,0--2,4 სმ.

128 (01/1—274). მძივები ქვისა — რძისფერი, მრგვალ-ბრტყელი (8 ც.); ლურჯი მინისა, მანდარინისებრი (11 ც.); სარდიონისა, მრგვალი (7 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი 126. 1976.10.IX (5.X); CXX, 9; O—W. თიხის ფილასამარ-

ხია, ქვიშაქვის 3 ლოდით გადახურული. გრძივი კედლები 3 მთელი და ერთი ნახევარი ფილისაგან შედგებოდა, განივი კი ერთისაგან:  $1,90 \times 1,00 \times 0,73$  მ. ( $1,79 \times 0,58 \times 0,50$  მ). მიცვალებული გულალმა დაუქრძალავთ, გაშოტილი. სამარხი მიწით იყო ამოვსებული, ჩონჩხის ძვლები კი ნაწილობრივ დაძრული და დაშლილი. გაძარცვულია. სამარხში აღმოჩნდა:

129 (01/1—339). მონეტა ვერცხლისა, ავგუსტუსის დენარი (გალიის ზარაფხანა).

130 (01/1—340). მონეტა ვერცხლისა, ისეთივე.

131 (01/1—342). მძივები გიშრისა — მრგვალ-ბრტყელი (33 ც.); ლურჯა მინისა — მანდარინისებრი (33 ც.).

132 01/1—341). საკინძი ბრინჯაოსი, წყვილი პასტის მძივით შემკული.

133 (01/1—343). რგოლი რკინისა, დაქანებული. სიგრძე — 2,4, დმ — 1,8 სმ.

ზემოაღწერილი ინვენტარის დიდი უმრავლესობა გვიანანტიკური ხანის ქართლისათვის დამახასიათებელია. გამონაკლისს წარმოადგენს ბრინჯაოს საკინძი, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში ვრცელდება და სამარხში შემთხვევით მოხვედრილი ჩანს.

ს ა მ ა რ ხ ი 134. 1976.13.VIII (23.VIII); CXX, 9; O--W. კომბინირებული სამარხი. ნაგებია თიხის ფილებითა და ქვიშაქვის ლოდებით. სახურავი ჩაქცეული ჰქონდა და ამიტომ სამარხი მიწით იყო ამოვსებული ( $1,00 \times 0,46 \times 0,50$  მ); ( $1,00 \times 0,38 \times 0,46$  მ). ბავში დაუქრძალავთ გულალმა გაშოტილი, თავით აღმოსავლეთისკენ. თავის ქალა დამსხვრეულია. სამარხში აღმოჩნდა:

134 (01/1—320). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი. ორსართულიანი და ორმუცლიანია; ზედა მუცელზე შეეუღლად ერთი ყური აქვს დაძვრული, ქვედაზე — ორი, ამობურცული კოპებით შედგენილი, ორი სარტყელი ემჩნევა, ძირი ბრტყელი აქვს.

135 (01/1—321). ხელადა — ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, ცილინდრული, მუცელი — სფერული, პირი — ბრტყელი. ყელზე რელიეფური წიბო ამჩნევა.

136 (01/1—322). კოჭობი თიხისა, მოჩალისფროდ გამომწვარი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, ცილინდრული, მუცელი — სფერული, ძირი — მრგვალი. სიმაღლე — 5,8 სმ, მუცლის დმ — 4,6 სმ.

137 (01/1—315, სურ. 547). ბეჭედი ოქროსი, ოვალური, გარდიგარდმო დაღარული მავთულის რკალი აქვს; რკალზე აღმანდინისთვლიანი ბუდეა დაჩილული. ბუდეს გარშემოსდევს დაღარული მავთულის არშია. დმ — 1,7 სმ.

138 (01/1—316, სურ. 545). საყურე ოქროსი, სამნაწილედ — ზედა ნაწილი შედგება ოვალური ფართონაპირებიანი თვალბეჭდისაგან, რომელშიც ზის ამობურცული აღმანდინის თვალი; ზედა ნაწილში თვალბუდეს მორჩილული აქვს ყურში გასაყრელი ოქროს მავთული; ქვედა ნაწილი წარმოადგენს ნუშის-

გულსებრ თვალბეკედს. ზემოაღწერილი ნაწილები ერთმანეთს უკავშირდება მცირე რკოლების (ყუნწის) მეშვეობით. ქვედა ნაწილზე დამაგრებულია დახვეული მავთულის ლერაკი, რომელიც ბოლოვდება მარგალიტის მძივით.

139 (01/1—317, სურ. 546). საყურე ოქროსი — ზემოაღწერილის ანალოგიურია, მხოლოდ ბოლოში მარგალიტის მძივის ნაცვლად ყურძნის მტევნის იმიტაციაა.

140 (01/1—318). ბეჭედი ვერცხლისა, ოვალური; დაწახნაგებულ რკალზე დარჩილულია ოვალური მალალი ბუდე, რომელშიც სარდიონის ინტალიო ზის. მხოლოდ ბუდეში ამობურცულზურგიანი თვალი ზის.

141 (01/1—319). ბეჭედი ვერცხლისა. ზემოაღწერილის ანალოგიურია, მხოლოდ ბუდეში ამობურცულზურგიანი თვალი ზის.

142 (01/1—323). მძივები: პიროპის — თოთხმეტწახნაგა (7 ც.), რვაწახნაგა (2 ც.), სარდიონის — მანდარინისებრი (3 ც.), ბიკონუსური (2 ც.), ქვის მრგვალ-ბრტყელი (22 ც.), მწვანე ფერის მინისა — რვაწახნაგოვანი (1 ც.); ლურჯი მინის — ცილინდრული (12 ც.), მანდარინისებრი (114 ც.), მრგვალი (18 ც.), გვერდებდაღარული, მანდარინისებრი (27 ც.); ქარვისა — მრგვალ-ბრტყელი (27 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი 164. 1976.16.IX (20.IX); XCVI, 9; O—W (სურ. 537—540). ფილასამარხია, თიხის ქვიშაქვის 3 ლოდით გადახურული, გრძივი კედლები სამ-სამი მთელი და თითო-თითო ნახევარი ფილისაგან შედგება, განივი კი — თითო-თითო მთელი ფილისაგან, ხოლო იატაკი — 3 მთელი და ერთი ნახევარი ფილისაგან ( $2,01 \times 0,62 \times 0,62$  მ); ( $1,95 \times 0,56 \times 0,56$  მ). დაკრძალულის ძვლები ნაწილობრივ არეულია სამარხში ჩაკეცივულ მიწასთან ერთად. იგი გუალმა გამოტილი დაუსვენებიათ.

143 (01/1—325, სურ. 527). სანელსაცხებლე მინისა, გამკვირვალე, მომწვანო-მოყვითალო; პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — შესქელებული, ყელი — ცილინდრული, მუცელი — მსხლისებრი, ძირი — ბრტყელი, მცირექუსლიანი. ყელი შიდა მხრიდან შეესებულა მინისავე მასით, რომელშიც მცირე წერტილისებრი ნახვრეტია დატოვებული. სანელსაცხებლეს მთელ ტანზე შემოსდევს პირდაღებული დრაკონის რელიეფური გამოხატულება. სიმაღლე — 11,0 სმ, დამსხვრეული. აღება ვერ მოხერხდა.

144 (01/1—326, სურ. 526). ბოთლი მინისა — მწვანე ფერის, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — ცილინდრული, ტანი — ოთხკუთხა, ძირი — ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი, ძირზე ამოღარული კონცენტრული წრეები ემჩნევა. ბრტყელი, დაღარული, ყური ყელზე და მხარზე აქვს დამაგრებული. სიმაღლე — 22,0, სიგანე — 7,5, პირის დმ — 5,5 სმ.

145 (01/1—327). სანელსაცხებლე თეთრი მინისა, ძლიერ დაშლილი და დამსხვრეული. აღება ვერ მოხერხდა.

146 (01/1—334—337). მონეტები ვერცხლისა, ავგუსტუსის დენარები (გალიის ზარაფხანა).

147 (01/1—333). მონეტა ვერცხლისა, არტაბან II დრაქმა (ძვ. წ. 10/1—38 წწ.).

148 (01/1—330, სურ. 556). ბეჭედი ვერცხლისა, ოვალური ფორმის და წახნაგებულ რკალზე დარჩილულია მრგვალი მინის თვლიანი თვალბუდე.

149 (01/1—331, სურ. 552). ბეჭედი ვერცხლისა, ოვალური ფორმის და წახნაგებულ რკალზე დარჩილულია ისეთივე ბუდე, რომელშიც სარდიონის ინტალიო ზის. გამონახტულია ლოდზე ჩამომჭდარი მწყემსი, პროფილში მარჯვნივ. იგი თხას წველის, ხოლო მის ზურგს უკან მიწაში კომბალია ჩარჭობილი. ბეჭდის სიმაღლე 2,1, სიგანე — 2,4 სმ.

150 (01/1—332, სურ. 553—555). ბეჭედი ვერცხლისა — ოვალური ფორმის და წახნაგებულ რკალზე დარჩილულია მსგავსი მოყვანილობის ფარაკი, რომელშიც თაფლისფერი სარდიონის ინტალიო ზის. გამოსახულია ზეზემდგომი არესი პროფილში მარჯვნივ. არესი საომარი საქურვლით არის შემოსილი: თავზე მუზარადი ახურავს, მოკლე კვართი აცვია, გულ-მკერდს აბჯარი უფარავს, ფეხებს — თორი.

151 (01/1—329). ბეჭედი რკინისა — ძლიერ დაეანგული და დამტვრეულია. ოვალური რკალი გადადის მრგვალ ფარაკში, რომელზედაც კონუსისებრი სარდიონის თვალი ზის.

152 (01/1—328). მძივები: გიშრის — მრგვალ-ბრტყელი (27 ც.), ოთხკუთხა (63 ც.), აქატისა — მრგვალი (2 ც.), ქარვის (2 ც.), მანდარინისებრი (2 ც.), თეთრი ქვისა — მრგვალ-ბრტყელი.

153 (01/1—334—337). მონეტები ვერცხლისა (4 ც.), ავგუსტუსის დენარები (გალიის ზარაფხანა).

154 (01/1—333). მონეტა ვერცხლისა (არტაბან II).

ს ა მ ა რ ხ ი 181. 1976.3.IX (10.IX); XCVI, 9; NOO—SWW (სურ. 590, 591). გადახურული ქვიშაქვის ტლანქად ნაკეთები სამი ლოდით (1,80 X 0,70 X 0,25 მ). მიცვალებული გულაღმა გამოტილი დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

155 (01/1—357). ბეჭედი ბრინჯაოსი: ოვალური რკალი განიკვეთში სამკუთხაა, რომელზედაც მრგვალი ფარაკია დარჩილული. ფარაკზე კონუსური მოყვანილობის ალმანდინის თვალია დამაგრებული. დმ — 2,0 სმ.

156 (01/1—358). საყურე ბრინჯაოსი — წარმოადგენს პირგახსნილ ოვალურ რგოლს, რომელსაც ქვემოთ ოთხწახნაგოვანი პირამიდის მოყვანილობა აქვს. სიმაღლე — 1,5 სმ, სიგანე — 1,1 სმ.

157 (01/1—356). მძივები ლურჯი მინისა, მრგვალი (81 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი 186. 1976.20.IX (10.IX); XCVI, 9; O—W (სურ. 569, 571). კრამიტისამარხია. გრძივი კედლები შედგება აკეცილი გვერდებით ჩადგმული ოთხ-ოთხი ბრტყელი კრამიტისაგან, განივი კედლები კი შვეულად დაყენებული ორ-ორი კრამიტისაგან. სამარხი ქვიშაქვის სამი ტლანქად დამუშავებული ლო-

დით გადაუხურავთ (2,10 × 0,90 × 0,48 მ; 2,00 × 0,80 × 0,10 მ). მიცვალებული გულალმა გამოტილი დაუქრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა:

158 (01/1—459). კოჭობი ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — ცილინდრული, წიბოიანი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 9,5, მუცლის დმ — 7,5 მ.

159 (01/1—504). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, ცალყურა. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, წიბოიანი, ცილინდრული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ყური ყელზე და მხარზე აქვს დაძერწილი. სიმაღლე — 16,5, მუცლის დმ — 18,0 სმ.

160 (01/1—505). კოჭობი თიხისა, მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი. პირგადაშლილია, ყელი ცილინდრული აქვს, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი.

161 (01/1—345, სურ. 577). საყურე ოქროსი, წარმოადგენს თავგახსნილ ოვალურ რგოლს, რომელზედაც თავთან დარჩილულია ყურძნის მტევნის იმიტაცია. დმ — 2,1 სმ.

162 (01/1—365, სურ. 578). ბეჭედი ბრინჯაოსი. ოვალური, სამკუთხა რკალზე ამავე ფორმის თვალბუდეა დარჩილული, რომელშიც ბრტყელზედაპირიანი სარდიონის ინტალიო ზის. გამოხატულია დელფინი. ბეჭდის დმ — 1,7 სმ.

163 (01/1—367, სურ. 572). ბეჭედი რკინისა — ნაკლულია. ოვალური ფორმის რკალი გადადის რომბული მოყვანილობის ფარაკში, რომელზედაც სარდიონის ინტალიოა დამაგრებული. გამოსახულია ნახევარმთვარე და ვარსკვლავი.

164 (01/1—371). ინტალიო სარდიონისა, პირზე გამოსახული ყოფილა მხედარი — მოჩანს ტორაწეული ცხენის ნაწილი. ინტალიოს ცენტრალური ნაწილი ამოტეხილია.

165 (01/1—369). აბზინდა ვერცხლისა: რგოლზე პატარა ენაა დამაგრებული, დმ — 0,5 სმ.

166 (01/1—368). რგოლი ვერცხლისა — თავები ერთმანეთზე ყოფილა დადგრეხილი (შემორჩენილია ორი ნატეხი).

167 (01/1—361). ნიჟარა — ფერუმარილის საზელი. ზედაპირზე ორ რიგად ამოღარული წრეები ემჩნევა. სიგრძე — 11,0 სმ.

168 (01/1—362). საკინძის თავი(?) — ძელისა, ბროწეულის ნაყოფის ფორმა აქვს.

169 (01/1—360). სალესი ქვა — ოთხკუთხა, თავებთან გახვრეტილია.

170 (01/1—372). მძივები: პიროპის თოთხმეტწახნაგოვანი (1 ც.), ლურჯი მინის, ცილინდრული (1 ც.), მანდარინისებრი (5 ც.), რძისფერი მინის ბურთულა (2 ც.).



171 (01/1—376, სურ. 574). კილიტები (ლილაკები) ოქროსი (28 ც.), ნახევარსფეროსებრი. შიგა მხრიდან ყუნწი აქვს დარჩილული.

172 (01/1—370). მონეტა ვერცხლისა, ავკუსტუსისა (გალიის ზარაზხანა).

173 (01/1—365). მონეტა ვერცხლისა, არტაბან II-ის.

ს ა მ ა რ ხ ი 207. 1976.18.IX (20.IX). XCVI, 6; SO—NW. პანურსახურავიანი ქვაყუთია. სამარხის კედლები თითო-თითო ლოდისაგან შედგება. სახურავად ქვიშაქვის ოთხი ფილა გამოუყენებიათ (1,00 × 0,65 × 0,43 მ; 0,90 × 0,4 × 0,20 მ). სამარხში 7—8 წლის ბავშვი დაუკრძალავთ, გულაღმა გაშობილი. გაძარცულია. სამარხში აღმოჩნდა:

174 (01/1—404). კოკობი ჩალისფრად გამომწვარი თიხისა — პირგადაშლილია, ყელი დაბალი აქვს, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ყური ყელზე და მხარზე აქვს დაძვრწილი.

175 (01/1—210, სურ. 560). საყურე ოქროსი. წარმოადგენს ოვალური ფორმის თავგახსნილ ფუძე რკალს, რომელზედაც მავთულის კავია მირჩილული.

176 (01/1—211, სურ. 561). საყურე ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიურია.

177 (01/1—409, სურ. 562). ბეჭედი ვერცხლისა, ოვალური, სამკუთხე რკალზე მაღალი თვალბუდე ყოფილა დარჩილული (მოტეხილია), რომელშიც მსგავსი მოყვანილობის სარდიონის ინტალიო მჭდარა. პირზე გამოსახულია სხივმოსილი მამაკაცის ბიუსტი პროფილში მარჯვნივ (ჰელიოსი?). გრძელი, სწორი ცხვირი და წაწვეტებული ნიკაპი აქვს, თავსაბურავი შუბლს სანახევროდ უფარავს. მხრებზე სამოსი ხაზებითაა გადმოცემული.

178 (01/1—408). მძივები: გიშრისა — კასრისებრი (5 ც.), ძელისებრი (1 ც.), ლურჯი მინის მრგვალ-ბრტყელი, ინკრუსტირებული (1 ც.), ქვის მრგვალ-ბრტყელი (7 ც.), ლურჯი მინის თოთხმეტწახნაგოვანი (39 ც.), სარდიონის მრგვალ-ბრტყელი (5 ც.), ქარვის მანდარინისებრი (1 ც.).

ზემოაღნიშნულ სამარხებში აღმოჩენილი ნივთების ანალოგები მრავლად დასტურდება დიდი მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ გვიანანტიკური ხანის ძეგლებში (4; 33).

#### ნოთხე საუკუნის სამარხები

სამთავროს სამაროვანზე შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ტიპის სამარხთა ჯგუფი, რომელიც ახ. წ. IV საუკუნით თარიღდება (№№ 1, 2, 8, 12, 13, 79, 110, 154, 180, 185, 187, 201). მათ შორის 8 ქვასამარხია, 4 კი თიხის ფილასამარხი, ქვის ფილებითვე გადახურული.

სამარხი 1. 1976.7.V (15.V); CX XII, 4; O—W (სურ. 495). ქვაყუთია, ბანურსახურაიანი; ტლანქად დამუშავებული ლოდებით შედგენილი (1,93 X X 1,65 X 1,00 მ; 1,65 X 0,85 X 0,40 მ). ქვალორდიანი მიწით იყო ამოვსებული. სამარხში ოთხი მიცვალებული დაუკრძალავთ. სამის ძვლები კედელთან მიუხვეტიათ. სამარხში აღმოჩნდა:

170 (01/1—1, სურ. 496). სანელსაცხებლე მინისა, ღია-მომწვანო ფერის, ოთხკუთხა. მუცელი და ძირი შეზნეილი აქვს.

180 (01/1—2, სურ. 499). სანელსაცხებლე მინისა, ღია-მომწვანო ფერის. ბაკო მომრგვალებული აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი.

181 (01/1—3, სურ. 497). მძივი ოქროსი, თოთხმეტწახანაგა. სიგრძე — 3,0 მმ, სიგანე — 2,8 მმ.

სამარხი № 2. 1976.18.VI (23.VI!); CX XII, 12 (NW—SO) (სურ. 500). თიხის ფილასამარხია, ქვიშაქვის 4 ლოდით გადახურული. გრძივი კედლები სამ-სამი ფილისგან შედგება, განივი — თითო-თითო, ხოლო იატაკი — ოთხი ნახევარი და ერთი მთელი ფილისაგან; სახურავად ქვიშაქვის ოთხი ლოდი გამოუყენებიათ (2,35 X 0,66 X 0,37 მ; 2,29 X 0,60 X 0,30 მ). სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ. ერთი, გვიან დაკრძალული, გულადმა გაშოტილია, მეორის ძვლები დაძრული და არეული იყო. სამარხში აღმოჩნდა:

182 (01/1—5). ბეჭედი ოქროსი, რკალი დამზადებულია წვრილი მავთულისაგან, რომელზედაც ოვალური თვალბუდეა დარჩილული; ბუდეში სარდონის ინტალიო ზის — მორიელია გამოხატული. რკალის დმ — 2,0 სმ.

183 (01/1—6, სურ. 547). ბეჭედი ოქროსი, ოვალური, დაღარული რკალი წვრილი მავთულისა აქვს; რკალზე აღმანდინისთვლიანი ბუდეა დარჩილული. თვალბუდე ოვალთან მირჩილვის ადგილებში შემკულია თითო ცვარათი. დმ — 1,2 სმ.

184 (01/1—7). ღილი ოქროსი, მომრგვალებული, რომელშიც თავბრტყელი აღმანდინის თვალი ზის. დმ — 5,0 მმ.

185 (01/1—8). საყურე ოქროსი, მავთულისაგან დამზადებული თავგახსნილი რგოლია, რომელსაც ქვედა ნაწილში მირჩილული აქვს ღერაკი. ღერაკზე ვარდულებით დამაგრებულია პასტის ცილინდრული და მარგალიტის მრგვალი მძივები. ღეროს სიგრძე — 0,9 სმ, დმ — 1,0 სმ.

186 (01/1—10). ბეჭედი ვერცხლისა: ოვალურ რკალზე რომბისებრი მოყვანილობის თვალბუდეა დარჩილული, რომელშიც აღმანდინის თვალი ზის. ბეჭდის დმ — 1,8 სმ.

187 (01/1—11). ბეჭედი ვერცხლისა, რკალი განივკვეთში სამკუთხაა, მხრებთან მსხვილდება, ოთხკუთხა ფარაკია დარჩილული. ბეჭდის დმ — 2,2 სმ.

188 (01/1—12). ბეჭედი ვერცხლისა: რკალი ძლიერ დაშლილია. შემორჩენილია რვაწახანაგა სარდონის ინტალიო, რომელზედაც გამოხატულია ობობა.

189 (01/1—13). მძივები — კოწახურის ნაყოფის ფორმის ძოწის მძივია. 35 გიშრის ბრტყელი, წახნაგოვანი; 14 მინისა — მრგვალი, გამჟვრავალი; 3 ბროლისა, მრგვალი, გვერდებდაღარული.

ს ა მ ა რ ხ ი 8. 1976.16.VII (25.VII): XCVI, 3; O—W (სურ. 501, 502). ქვაყუთია, ბანურსახურავიანი, ტლანქად დამუშავებული ლოდებით შედგენილი. განივ კედლებზე ნარიბანდებია ამოკვეთილი. (2,00 × 1,00 × 0,80 მ; 1,90 × 0,85 × 0,75 მ). ამოვსებული იყო შიგ ჩასული ლორით და მისივე სახურავის ფილების ნამტვრევებით. გაუძარცვავია. სამარხში 4 მიცვალებული დაუქრძალავთ. უკანასკნელად დაქრძალული ორი მიცვალებული იწვა გულადმა გაშოტილი; დანარჩენი სამარხის განივ კედელთან იყო მიხვეტილი. სამარხში აღმოჩნდა:

190 (01/1—27). სანელსაცხებლე მინისა. ძლიერ ირიზებული, მაღალყელიანი, ბაკოვადმოკეცილი, მრგვალი მუცელი და გამონეჩილი ძირი აქვს.

ს ა მ ა რ ხ ი 110. 1976.11.VIII (14.VIII); XCVI, 11; W—O (სურ. 533, 534). ქვაყუთია, ბანურსახურავიანი, ტლანქად დამუშავებული ლოდებისაგან შედგენილი. განივ კედლებზე ნარიბანდებია ამოკვეთილი. გრძივი კედლები შედგებოდა ქვიშაქვის ორი —!მცირე და დიდი — ფილისაგან. გადახურული იყო ქვიშაქვის სამი, უხეშად დამუშავებული ლოდით (2,45 × 1,28 × 0,60 მ; 1,96 × 0,71 × 0,60 მ). ამოვსებული იყო მიწით. გაუძარცვავია. დაუქრძალავთ 3 მიცვალებული, 2 მათგანი იწვა გულადმა გაშოტილი, ერთის ჩონჩხი მიხვეტილი იყო განივ კედელთან. სამარხში აღმოჩნდა:

191 (01/1—255). სანელსაცხებლე მინისა, ღია მომწვანო ფერის, ბაკო გადაშლილი აქვს, ყელი — საშუალო სიმაღლის, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი. მუცელზე მინის ძაფის სპირალი შემოსდევს. დამტვრეულია.

198 (01/1—264, სურ. 567). ბეჭედი ვერცხლისა — რკალი სამკუთხა განივკვეთიანია. თვალბუდე არ შემორჩა. სარდიონის გემა ინტალიო ოვალური ფორმისაა, ოდნავ ამობურცული. გამოსახულია ტიხე ფორტუნა პროფილში მარჯვნივ. ქალღმერთს გრძელი, უსახელო კვართი აცვია. ქსოვილის ნაოჭები სწორი ხაზებითაა გადმოცემული. წინ წაწვეტილი მარჯვენა ხელთ საკეის ეყრდნობა, მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს; იმავე მკლავზე დახვეული წამოსასხამი აქვს გადაკიდული; ფეხებს შორის ნიადავის ზოლი სჩანს.

194 (01/1—262). ბეჭედი ვერცხლისა, ფარაკიანი; ფრაგმენტებია (აღღგენა ვერ მოხერხდა).

195 (01/1—263). ბეჭედი ვერცხლისა, ფარაკიანი: ძოწის რომბისებრთედიანი, ფრაგმენტებია (აღღგენა ვერ მოხერხდა).

196 (01/1—261). ბეჭედი ბრინჯაოსი: რკალი განივკვეთში ოვალურია, მხრებთან მსხვილდება, კუთხეებს ქმნის და მართკუთხედის ფორმის ფარაკში გადადის. დმ — 2,2 სმ.

197 (01/1—265, სურ. 565). საყურე ოქროსი — ოქროს სამკუთხა განივ-

კვეთიანი რკალისა, რომელიც ქვედა ნაწილში რომბულადაა გამსხვილებული. ამ ნაწილში მირჩილული აქვს მრგვალი თვალბუდე, რომელშიც ზის ოდნავ ამობურცული ცისფერი პასტის თვალი.

198 (01/1—266, სურ. 568). საყურე ოქროსი: განივკვეთში ოთხკუთხა, ოქროს დაგრესილი მავთულისაა. ღმ — 0,9 სმ.

199 (01/1—267, სურ. 507). საკიდები ოქროსი (10 ც.): წარმოადგენს ღრუ მილაკს, რომელსაც შუაში პატარა ყუნწი აქვს მირჩილული. ყუნწში გაყრილია გრესილი მავთული, რომელიც ოქროს ცვარათია გაკეთებული, მტევნის იმიტაციით ბოლოვდება. მავთულზე ლალის 14-წახნაგა მძივია წამოცმული.

200 (01/1—256). მძივები ლურჯი მინისა — მრგვალბრტყელი (2) სარდიონისა, სხვადასხვა ზომის (5), მწვანე მინისა — მანდარინისებრი (14); ქარვისა მრგვალბრტყელი (2), ქვის — გვერდებდაკუთხული (1); გიშრისა — 14-წახნაგა, ბრტყელი (1); მედალიონის ფორმისა (5); ინკრუსტირებული (1); ყვითელი მინისა, ინკრუსტირებული, მილისებრი (3); ლურჯი იოტები (6); აქატისა, მოგრძო — ბრინჯაოს რგოლგაყრილი (1); გიშრისა — 14-წახნაგა (6).

ს ა მ ა რ ხ ი 185. 1976.20.VIII (18.X): XCVI, 9; W—O. თიხის ფილასამარხია, ქვიშაქვის 3 ლოდით გადახურული. გრძივი კედლები შედგებოდა სამსამი კვადრატული და თითო ნახევარი ფილისაგან. განივი კედლები — მთელი და ნახევარი ფილისაგან ( $1,90 \times 0,82 \times 0,58$  მ;  $1,85 \times 0,80 \times 0,58$  მ). სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ, გულალმა, გაშოტილი. სამარხში აღმოჩნდა:

201 (01/1—428). სანელსაცხებლე მინისა, ღია მომწვანო ფერის. მრგვალმუცლიანი და მაღალყელიანია, პირგადაშლილი. მუცელზე მინის ძაფის სპირალური შეზოსდევს.

ს ა მ ა რ ხ ი 187. 1976.19.X (18.XI); XCVI, 5; O—W. ქვაყუთია, ბანურსახურაეიანი, ტლანქად დამუშავებული ქვიშაქვის ლოდებით შედგენილი. განივ კედლებს ნარბიანდები აქვს ამოკვეთილი. გრძივი კედლები ორ-ორი ქვიშაქვის ლოდისაგან არის შედგენილი ( $2,00 \times 0,75 \times 0,75$  მ;  $1,89 \times 0,60 \times 0,67$  მ). სამარხში 7 მიცვალებული დაუკრძალავთ, მათ შორის 2 იწვა გულალმა გაშოტილი, დანარჩენ მიცვალებულთა ძვლები არეული იყო. სამარხში აღმოჩნდა:

202 (01/1—388). სანელსაცხებლე მინისა, ღია მომწვანო ფერის: ყელი მაღალი აქვს, ბაკო — გადმოკეცილი, მუცელი — მრგვალი. სიმაღლე — 10,0 სმ. მუცლის ღმ — 3,6 სმ.

203 (01/1—389). სანელსაცხებლე მინისა, თეთრი ფერის, გამჭვირვალე: ყელი მაღალი აქვს, მუცელი — მრგვალი, ძირი — შეზნეჭილი. სიმაღლე — 8,7 სმ. მუცლის ღმ — 3,5 სმ.

204 (01/1—390). სანელსაცხებლე მინისა, გამჭვირვალე, მოთეთრო ფერის: ყელი მაღალი აქვს, მუცელი — მრგვალი, ძირი — შეზნეჭილი. სიმაღლე 6.5 სმ; მუცლის ღმ — 2,5 სმ.

205 (01/1—391). სანელსაცხებლე მინისა, თეთრი: ყელი მაღალი აქვს, მუცელი — მრგვალი, ძირი — შეზნეპილი. დამსხვრეულია.

206 (01/1—392). სანელსაცხებლე მინისა, მოთეთრო: ყელი ვიწრო აქვს, მუცელი — მრგვალი. დამსხვრეულია.

207 (01/1—393). სანელსაცხებლე მინისა, მოთეთრო: რამდენიმე ნატეხია შემორჩენილი.

208 (01/1—395). საკინძის ღერო რკინისა. ნატეხებია შემორჩენილი.

209 (01/1—395). რგოლი ვერცხლისა: ბრტყელი, თვალური, დმ 1,5 სმ.

210 (01/1—396). ბეპედი ვერცხლისა, ფარაკიანი, თხელი: თვალბუდე არ შემორჩა, აქვს სარდიონის თვალური ფორმის ინტალიო, რომელზედაც ამოკვეთილია ცეცხლიანი ბომონი.

211 (01/1—397, სურ. 462). საყურე ოქროსი, სამნაწილედ. ზედა ნაწილი ნახევარმთვარისებრი თვალბუდეა. მას ყურში გასაყრელ ოქროს მავთულზე რგოლი აქვს მიჩილული. თვალბუდეში აღმანდინის ბრტყელ-ზედაპირიანი თვალი ზის; შუა ნაწილზე დამაგრებულია 3 ნახევარმთვარისებრი და 1 რომბისებრი თვალბუდე, რომლებშიც ბრტყელზედაპირიანი აღმანდინის თვლებია. ქვედა ნაწილი ოქროს მრგვალი თვალბუდეა, რომელშიაც აღმანდინის თვლები სხედან.

212 (01/1—398, 399, სურ. 510, 511). საყურეები ოქროსი — წყვილი: ნუშისებრ თვალბუდეში აღმანდინის თვალი ზის; თვალბუდეს ზედა ნაწილში მიჩილული აქვს ყურში გასაყრელი მავთული, ხოლო ქვედა ნაწილში — ოქროს პატარა მარგალიტის იოტით შემკული ღერაკი.

213 (01/1—400—401, სურ. 508, 509). საყურეები ოქროსი, წყვილი. ოქროს რგოლს ქვემოთ აქვს მიჩილული ოქროს ღერაკი. მასზე აცმულია: მარგალიტის მძივი და ოქროს ორ ვარდულს შორის მოქცეული მწვანე პასტის მილისებრი მძივი.

214 (01/1—402, 403, სურ. 513, 514). საყურეები ოქროსი, წყვილი: განივკვეთში ოთხკუთხა დაგრეხილი რგოლია, თავგახსნილი.

215 (01/1—394). მძივები: გიშრისა — ორნახვრეტიანი, გვერდებზე რელიეფური ხაზებით შემკული (4), ოთხკუთხა, ზემოდან დაკუთხული (2), ჩოგნისებრი (7), თოთხმეტწახნაგა (11). მინისა — მწვანე, მოგრძო გვერდებდაწახნაგებულ (3), მანდარინისებრი (1), მილისებრი (1); მთის ბროლის — გვერდებდაღარული, მრგვალი (2). ლურჯი მინის რკალი (1), ლურჯი მინის მძივი ბიკონუსური (2), მწვანე ფერისა, მანდარინისებრი (1); აღმანდინის მცირე მძივი (23); აღმანდინისა, მანდარინისებრი (1); სარდიონის მცირე ზომის, ბიკონუსური (2), კონუსური საკიდი (1), მანდარინისებრი (1), კასრისებრი, გვერდებდაწახნაგებულ (1).

ს ა მ ა რ ხ ი 201. 1976.26.IX (14.X); XCV, 12; O—W. ქვაყუთია, ბანურ-სახურავიანი, ტლანქად დამუშავებული ლოდებით შედგენილი და გადახურუ-

ლი. განივ კედლებზე ნარიბანდები აქვს ამოკვეთილი (2,45 × 0,90 × 1,00; 2,05 × 1,00 × 0,91 მ). სამარხში აღმოჩნდა:

216 (01/1—377, სურ. 557). საყურე ოქროსი: თავგახსნილი რგოლია, რომელზედაც მიჩიჩილულია ღერაკი, სიმაღლე — 1,5 სმ, დმ — 0,6 სმ.

217 (01/1—378, სურ. 558). საყურე ოქროსი, განივკვეთში ოთხკუთხა, დაგრეხილი რგოლია. დმ — 1,2 სმ.

218 (01/1—379). ბრინჯაოს რგოლი. დმ — 2,0 სმ.

219 (01/1—380). საკინძი ბრინჯაოსი; განივკვეთში მრგვალია. დმ — 0,2 სმ.

220 (01/1—381). ილარი ბრინჯაოსი: თავდაბრტყელებული ღერაკია.

221 (01/1—382, სურ. 559). თვალი თავღლისფერი სარდიონისა, ოვალური: პირი ოდნავ ამობურცული აქვს, ამოკვეთილია ეროტი ეტლში, პროფილში მარჯვნივ. ეტლში ორი ცხენია შებმული. ეროტს პატარა ფრთა აქვს, გრძელი სამოსი აცვია: მარჯვენა ხელში მათრახი უჭირავს, მარცხენაში — ალვირი. ცხენები ოთხით მიდიან. ფაფარი სქემატურადაა შესრულებული. ჩლიქები — მკაფიოდ აქვს გამოხატული.

ზემოაღნიშნულის მსგავსი ინვენტარი გვხვდება ქართლის სამაროვნებზე IV საუკუნით დათარიღებულ კომპლექსებში (4; 37).

კიდევ 6 გაძარცული ქვაყუთი II—IV სს. უნდა მიეკუთვნოს, რადგან აღნაგობითა და გულმოდგინედ დამუშავებით ისინი აშკარად გამოირჩევიან გვიანდელი მასობრივი სამარხებისგან. საგულდაგულო გათლა, სიდიდე, ნარიბანდები და, როგორც წესი, გაძარცულობა საფუძველს გვაძლევს გვიანანტიკურ ხანისად მივიჩნიოთ ისინი.

ასეთია 1976 წელს სამთავროს სამაროვანზე გახსნილი სამარხების ერთი ჯგუფი — ახ. წ. II—IV სს. ქვაყუთების, ორმოსამარხების, კრამიტსამარხებისა და თიხის ფილასამარხების აღნაგობა, დაკრძალვის წესი და დამახასიათებელი სამარხული კომპლექსები. როგორც ითქვა, ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში შედის სულ 34 სამარხი. 167 სამარხი — გახსნილი 1976 წელს, მომდევნო დროისაა — V—VIII საუკუნეების, და მათ ცალკე განვიხილავთ\*.

სამთავროს სამაროვნის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გათხრამ იქ მუშაობის განახლების პირველივე წელს ბევრი საკითხი დააყენა. პირველყოვლისა, ყურადღებას იქცევს სამთავროს ველის ამ მონაკვეთის ასე მჭიდროდ „დასახლება“ სამარხებით, რაც ქალაქის მოსახლეობის ზრდის მანიშნებელიცაა. ეს კი თითქოს გამოირიცხება წერილობითი საისტორიო წყაროების ცნობებით, რომლებშიაც საუბარია მცხეთის ათხელების შესახებ. ახლად აღმოჩენილ ნივთიერ ჩვენებას გვერდს ვერ ავუვლით, მით უფრო, რომ მსგავს სუ-

\* ეს ჯგუფი განხილულია სამთავროს რაზმის უფროსის გ. მანჯგალაძის დოკუმენტურ ანგარიშში, რომელიც შესრულდა 1977 წლის გეგმით. იხ. სამთავროს სამაროვანი. 1976, გვ. 76—112. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არქივი.

რათს გვიჩვენებს სხვა უბნებიც. ასეთ ვითარებაში წერილობით წყაროების მეცნიერული კრიტიკის საჭიროება დგება. როგორც ჩანს, წყაროთა მითითების ტრადიციული გაგება უნდა გადაისინჯოს, ახალ აღმოჩენათა საფუძველზე მაინც.

არანაკლებ საყურადღებოა 1976 წელს გათხრილ უბანზე კომპაქტურად განლაგებული თიხის ფილასამარხების აღმოჩენა, რაც არ იყო ადრე შენიშნული. ცხადია, ამას ახსნა დასჭირდება.

სამაროვნის ამ მონაკვეთზე თავმოყრილი ჩანს ლარიბ-ლატაკთა, მდაბოთა, სამარხები, თანაც — ქალაქის კარიბჭიდან შორს, ხევისპირთან. საანგარიშო წელს საგანგებო ყურადღება ექცეოდა სწორედ ამ ჯგუფს, რადგან მასობრივ სამაროვანზე უნდა მოველოდეთ ადგილობრივი მასების დამახასიათებელ ნივთიერ კულტურას, დაპირისპირებულს დედაქალაქის თუ სამეფოს მესვეურთა სამარხებში აღმოჩენილ მდიდრულ, მაგრამ უცხოურ ავლა-დიდებასთან. ასეთი მიზანდასახულებით არ ითხრებოდა სამთავრო და ამიტომაც ხალხის მშრომელი ნაწილის კულტურის დახასიათება ძნელდებოდა თუ შეუძლებელი არ იყო. რაკი ასე იყო, მდიდრულის და ლარიბულის საერთო განხილვა-გამოკვლევა ხდება და ლარიბული, ე. ი. მასების დამახასიათებელი იკარგება, მდიდართა და მაღალი ფენის სამარხეული ავლა-დიდება საერთო ქართული კულტურის ძეგლებად ცხადდება. კულტურის ამგვარი კვლევა ანელებს ნამდვილად ადგილობრივის ძიებას და ადგილობრივისა და უცხოურის შეხვედრის, გადამუშავების შედეგების გამოვლინებას. ასე, ტრადიციულად ქცეული გზის დაძლევის ემსახურებოდა საანგარიშო წელს გათხრები სამთავროზე, ისევე, როგორც ახალ-არმაზსა და კამარახევში.

მასობრივ სამაროვანთან ახლებური დამოკიდებულება, ერთმანეთისაგან დაშორიშორებული კულტურული ნაკადების კვლევა იყო უმთავრესი სამთავროს სამარხთა კვლევის მიზანდასახულებაში 1976 წელს. ეს შეეხება გვიან-ანტიკურ სამარხებს და V—VIII სს. სამაროვანსაც.

საანგარიშო წელს გაგრძელდა 1975 წელს საცხოვე-  
**სვეტიცხოველი I** რებელი სახლისათვის გათხრილ ქვაბულში გამოვლენი-  
(01/6) ლი ფეოდალური ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარი-

სა და სამაროვნის გათხრა-შესწავლა. არსებული ნაკვეთი გაფართოვდა სამხრეთის მიმართულებით (კვადრატები: მე-5, 7, 9), სადაც კვლავ დადასტურდა ადრე, შუა და გვიანფეოდალური ხანის ნამოსახლართან დაკავშირებული სახლების ნაშთები (სურ. 16, 388), გამოვლინდა თიხატყეპნილი იატაკები, ქვატეხილითა და ალიზით ნაგები კერები და თონეები (სურ. 389), ხელსაფქვავეები და თიხის ქურქელი (სურ. 402, 403). გაიწმინდა და ალაგდა გვიანფეოდალური ხანის ფენასთან დაკავშირებული წყალსადენი (სურ. 391). რომელმაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაკვეთა 1 ნაკვეთი.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი სახლების კედლები სცილდება გათხრილი ფართობის ფარგლებსა და ოთხივე მიმართულებით ვრცელდება. აღნიშნული

ვითარება მოითხოვს ნაკვეთის გაფართოებას, რაც გაძნელებულია გარშემო საცხოვრებელი ნაგებობების არსებობის პირობებში.

ფეოდალური ხანის ნასახლარის ქვეშ კვლავ დადასტურდა გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანის სამაროვნის არსებობა. გამოვლინდა კრამიტ-სამარხები (სურ. 394, 395), ქვეერსამარხები (სურ. 370—371) და რამდენიმე ორმოსამარხი.

საანგარიშო წელს გაითხარა რამდენიმე სამარხი. სამარხში აღმოჩნდა: მოწითალოდ გამომწვარი თხელკეციანი კერამიკა. გვხვდება მთლიანად შეღებილი და ნაპრიალები თიხის ჭურჭელი: ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაული (სამაჯურები, სასაფეთქლე რგოლები), სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, რკინის სასხლეი დანები, მონეტები და სხვა — 1975 წელს გახსნილ სამარხებში აღმოჩენილის მსგავსი და სინქრონული ინვენტარი<sup>14</sup>.

1975 წლის მონაპოვრის მნიშვნელობის დახასიათებისას მოკლედ აღინიშნა სვეტიცხოველთან გვიანელინისტური ხანის ძეგლების აღმოჩენის მნიშვნელობა, სხვათა შორის, აქ, მტკვრისა და არაგვის ხერთვისში საქალაქო ცხოვრების განვითარების ადრინდელი — ელინისტურ-რომაული საფეხურის დახასიათებისათვის. აღნიშნული იყო ისიც, რომ მირიანის სამშენებლო მოღვაწეობა, როგორც გათხრებმა გვიჩვენა, ხორციელდება გვიანელინისტურ-რომაული ხანის სამაროვნისა და კულტურული ფენების ადგილებში, ე. ი. იქ, სადაც მირიანამდე 600—700 წლით ადრე იკრძალებოდნენ მცხეთელები ელინისტური ავლადიდებით თუ, შემდეგ, რომაულ ყაიდაზე.

1976 წლის აღმოჩენები კიდევ უფრო აძლიერებენ ნივთიერ საფუძვლებს ზემოაღნიშნული დასკვნებისათვის. საამისოდ, პირველყოვლისა, სვეტიცხოველის უბანზე 1976 წელს გათხრილი სამარხები და სამარხეული კომპლექსები უნდა აზეტყველდეს.

**ს ა მ ა რ ხ ი 8.** 1976.12(15)VI; 1, 3 (—3,70 მ); O—W. ორმოსამარხია, დაზიანებული კრამიტსამარხის (№ 9) ჩადგმისას. მიცვალებული წევს მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. სამარხში აღმოჩნდა:

222 (01/6—148, სურ. 661). დოქი თიხისა, წერნაქით შეღებილი, ცალყურა, მოვარდისფრო. პირი მოტეხილი აქვს; ყური მხარზე და პირთან მიძერწილი; მუცელი — მსხლისებრი, აზიდული. სიმაღლე — 17,0, პირის დმ — 3,5, მუცლის — 13,5, ძირისა — 9,5 სმ. იღო მიცვალებულის იდაყვთან.

223 (01/6—149). საბეჭდავი ქვისა. ამოკაწრულია გაურკვეველი სახის გამოხატულება. სიმაღლე — 5,5, სახელურის დმ — 2,5, საბეჭდავი ნაწილის დმ — 5.5 სმ, იღო ორმოსამარხის ზედა ნაწილში, № 8 და 9 სამარხთა შორის, ისე რომ სამარხის კუთვნილ საგნად საეჭვოა ჩაითვალოს.

**ს ა მ ა რ ხ ი 9.** 1976.19.VI; 1, 1, 3; W—O (—3,67 მ). კრამიტსამარხია — ორფერდასახურავიანი. შედგენილია ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტებით. სიგრძე — 1,50, სიგანე — 0,80, სიმაღლე — 0,50 მ. სამარხში ერთი მიცვალე-



ბული წევს, მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი — ხელები სახის წინ. სა-  
მარხში აღმოჩნდა:

224 (01/6—150, სურ. 660). ხელადა თიხისა — შავად გამომწვარი, ცალ-  
ყურა. პირი გადაშლილი აქვს, მრგვალი; ყელი — დაბალი, მუცელი — მრგვა-  
ლი. სიმაღლე — 12,0, პირის დმ — 5,0, მუცლის დმ — 10,5, ძირის დმ —  
6,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, მიცვალებულის ტერფთან.

225 (01/6—151, სურ. 659). ხელადა თიხისა — შავად გამომწვარი, სამტუ-  
ჩა, ცალყურა. ყური მიძერწილი აქვს ჭურჭლის პირსა და მუცელზე; მუცელი —  
თიჯქმის სფერული, ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 12,0, მუცლის დმ — 10,0,  
პირის დმ — 7,0, ძირისა — 8,0 სმ. სამარხის ჩრდილო მხარეზე, მიცვალებუ-  
ლის ხელთან იღო.

226 (01/6—152). ბეჭედი რკინისა — ძლიერ დაშლილი. შედარებით უკეთ  
არის შემონახული თვალბუდე, რომელშიაც ინტალიო მჯდარა (შემორჩა მცირე  
ნატეხი).

227 (01/6—153). მძივები მოყვითალო პასტისა, სხვადასხვა სიდიდის.

ს ა მ ა რ ხ ი 10. 1976.7.VII; 1, 3; W—O (სურ. 658). ორმოსამარხია,  
თითქოს პატარა რიყის ქვებით გადახურული. დაკრძალული ყოფილა ბავშვი.  
ჩონჩხი ძლიერ დაზიანებულია და ნაკლები. ასევეა თავის ქალაც. სამარხის  
დაახლ. სიგრძე — 1,00, სიგანე — 0.60 მ. სამარხში აღმოჩნდა:

228 (01/6—157, სურ. 660). ტოლჩა თიხისა, მუქი-ნაცრისფერი, ცალყუ-  
რა. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი; ყური — პირსა და მუცელზე შებ-  
მული; მუცელი სფერული. სიმაღლე — 8,1, პირის დმ — 6,9, ძირისა — 6,1 სმ.  
აღმოჩნდა გულმკერდის არეში.

229 (01/6—158, სურ. 672). ხელადა თიხისა — წერნაქით შეღებილი. პი-  
რი მრგვალი აქვს, ყელი დაბალი, წიბოიანი, ყელსა და მუცელზე შებმული. მუ-  
ცელი — მრგვალი; ძირი — ფართო, ბრტყელი. სიმაღლე — 8,5 სმ, პირის  
დმ — 5,5 ძირისა — 6,5 სმ. მენჯთან იღვა.

ს ა მ ა რ ხ ი 11. 1976.26(29).VII; 1, 4; W—O (—3,95) მ; სურ. 395).  
ქვევრსამარხია, საშუალო სიდიდისა, მოძველებული (ნახმარი). სიგრძე — 1,40,  
დმ — 0,94 მ. დაკრძალულია 2 მიცვალებული სიგრძეზე გატეხილ ქვევრში.  
ზემოდან იმავე ქვევრისა და კრამიტების ნატეხები აფარია. ქვევრის პირს ჰხუ-  
რავს ბრტყელი კრამიტი. ქვევრსამარხში აღმოჩნდა:

230 (01/6—161, სურ. 674). ხელადა თიხისა, ცალყურა, წითლად გამომწვა-  
რი. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი; ყელი — დაბალი; ყური — ქობას-  
თან და მხარზე შებმული; ტანი — მაღალი, ძირი — ბრტყელი. სიმაღლე —  
15,3 სმ, პირის დმ — 5,4. მუცლისა — 11,5, ძირისა — 7,0 სმ. I მიცვალებუ-  
ლის გულმკერდის არეში.

231 (01/6—162, სურ. 671). ხელადა თიხისა, ცალყურა, წერნაქით შეღე-  
ბილი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი; ყელი — დაბალი, წიბოიანი; ყური —

ქობასთან და მხარზე შებმული; ტანი — მაღალი; ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 18,0 სმ, პირის დმ — 7,7, ძირისა — 9,4 სმ. იქვე, სადაც წინა ხელადა.

232 (01/6—163, სურ. 673). ჭურჭელი თიხისა — თითქოს იხვს გვაგონებს. წერნაქით შეღებილი, მოვარდისფრო, დაბალი. ღარნისკარტა პირი აქვს, წაგრძელებული; ყური — შეწევილებული, ზემოდან დადგმული, ტანი — წაგრძელებული, დაბალი; ძირი — ბრტყელი, ჭუსლდაბალი. სიმაღლე — 12,3, პირის სიგრძე — 7,0 სმ, ძირის დმ — 7,0 სმ. I მიცვალებულის გულმკერდის არეში.

233 (01/6—164, სურ. 665). დოქი თიხისა, მოვარდისფრო, ცალყურა. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი; ყელი — დაბალი, წიბოიანი; ყური — მუცელზე და პირთან შებმული; ტანი — მაღალი. სიმაღლე — 13,7, პირის დმ — 5,0, ძირისა — 8,0 სმ. II მიცვალებულის ზურგს უკან.

234 (01/6—165). რგოლი (სამაჯური?) რკინისა. ძლიერ დამსხვრეული და დაუანგული. იღო მიცვალებულის მაჯასთან.

235 (01/6—166, სურ. 666). სასხლავი რკინისა. პირი მოხრილი აქვს, წვეტიანი, სატარე — ბრტყელი, მანჭვლებიანი. სიგრძე — 19,0, სიგანე — 2,3. I მიცვალებულის გულმკერდის არეში აღმოჩნდა.

236 (01/6—167, სურ. 662). სამაჯური ბრინჯაოსი, ბოლოებდამსხვილებული. აღმოჩნდა II მიცვალებულის მაჯასთან.

237 (01/6—168, სურ. 668, 669). სასაფეთქლე რგოლი ვერცხლის წვრილი ნავთულისა. იღო II მიცვალებულის თავის არეში.

238 (01/6—169). სასაფეთქლე რგოლი ვერცხლის წნული მავთულისა. იქვე.

239 (01/6—170, სურ. 670). მძივები: სარდიონისა — ღია შინდისფერი, სხვადასხვა მოყვანილობისა. 7 ცალია. ეწყო II მიცვალებულის გულმკერდის არეში.

240 (01/6—171, სურ. 667). მძივები მინისა, ღია-ყვითელი და მოლურჯო. იქვე.

241 (01/6—173). მძივი ქვისა — ცალმხრივნახვრეტე. რუხი-მოთეთრო.

242 (01/6—174). მძივები პასტისა — მოთეთრო, მომწვანო, მოლურჯო — 170 ცალი. იქვე.

243 (01/6—175). მძივსაკიდი პასტისა, მოთეთრო. სიგრძე — 1,9, დმ — 0,7 სმ. იქვე.

ს ა მ ა რ ხ ი 12. 1976.6.VIII; 1, 3, 5. N—S (—3,80 მ). (სურ. 675). კრამიტყუთია. გრძივ გვერდებს 4—4 ბრტყელი კრამიტი შეადგენს, განივს — თითო. სახურავიც ბრტყელი კრამიტისაა; ჩაქცეულა. იატაკზეც 4 ბრტყელი კრამიტია. დაკრძალულია ერთი მიცვალებული მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი (გამართულად ვერც მოთავსდებოდა). სამარხში აღმოჩნდა:

244 (01/6—178, სურ. 677). ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი,

ცალყურა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, მომტვრეული; ყელი წიბოიანი, ყური ყელსა და მუცელზე შებმული; მუცელი მკვეთრად გაფართოებული და ასევე მკვეთრად გადამავალი ძირისკენ; ძირი — ფართო. სიმაღლე — 11,5, პირის დმ — 6,5, ძირისა — 8,7 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის არეში.

245 (01/6—179, სურ. 678). ხელადა თიხისა, მოწითალო-მოჩალისფროდ გამოიწვარი, ცალყურა. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი; ყური — ბრტყელი, ყელსა და მუცელზე შებმული; ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 14,4, პირის დმ — 7,0 სმ, ძირისა — 9,0 სმ. იღო სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში.

246 (01/6—180, სურ. 676). სანელსაცხებლე მინისა, თხელკეციანი. ყელი ვიწრო აქვს და მაღალი უნდა ყოფილიყო (მომტვრეული); ტანი კონუსური, ძირი — ფართო, მრგვალი. სიმაღლე — 3,3 სმ, ყელის დმ — 1,0, მუცლის — 2,3, ძირისა — 1,4 სმ. მიცვალებულის კისერთან იღო.

247 (01/6—181, სურ. 679). სანელსაცხებლე მინისა, ძლიერ იროზებული, დამსხვრეული — შემორჩენილია მხოლოდ ყელი — მაღალი, პირი შესქელებული აქვს. ყელის დმ — 1,6 სმ. მიცვალებულის გულმკერდთან იღო.

248 (01/6—182, სურ. 680). მძივი(?) მინისა, მომწვანო-მოლურჯო, ბორბლისებრი, გახვრეტილი. დიამეტრი — 2,3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის არეში.

249 (01/6—183, სურ. 681). მძივსაკიდი მინისა, ლურჯი, ბიკონუსური, თავში გახვრეტილი. სიგრძე — 2,1 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხების არეში.

ს ა მ ა რ ხ ი 13. 1976.23.VI (18.VIII. 1, 5); W—O (—3,68 მ; სურ. 363, 369). კრამიტსამარხია, ორფერდასახურავიანი, სოლენგბითა და კალიპტერებით შედგენილი. სახურავი სამარხშია ჩაწოლილი, მაგრამ კალიპტერების არშია და კეხი მაინც კარგად ჩანს. მიცვალებული ასვენია მარჯვენა გვერდზე, ხელები მოხრილი აქვს, ზეაწეული, ფეხები — მოხრილი. სახის წინ მინისა და თიხის ჭურჭელი უდგას. ჩონჩხი დაზიანებულია. შედარებით უკეთ შემონახულია თავის ქალა. სამარხის გარეგანი ზომებია:  $1,35 \times 1,00$  მ. სამარხში აღმოჩნდა:

250 (01/6—189, სურ. 683). ხელადა თიხისა, ჩალისფერი, ცალყურა. პირი მრგვალი აქვს; ყელი — წიბოიანი, ყური მუცელზე და ყელის წიბოზე შებმული; მუცელი — გამობერილი; ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 13,2; პირის დმ — 7,1 სმ, ძირისა — 105 სმ. იღო მიცვალებულის ფეხებთან.

251 (01/6—190, სურ. 682). ხელადა თიხისა. ისეთივე, როგორც წინა. სიმაღლე — 14,0, პირის დმ — 6,8, ძირისა — 10,5 სმ. იღო სახის წინ.

252 (01/6—191, სურ. 686). სანელსაცხებლე მინისა, მოცისფრო-მომწვანო. ყელი მაღალი აქვს, მუცელი — მსხლისებრი, კოლბას წაუგავს. სიმაღლე — 12,0 სმ, ყელის სიგრძე — 8,2, პირის დმ — 1,6, ძირისა — 4,1 სმ. იქვე.

258 (01/6—192, სურ. 687). სანელსაცხებლე, ისეთივე, როგორც წინა,

ოლონდ ყელ-პირი წატეხილი აქვს, ნაკლულია. სიმაღლე — 9,4, ძირის დმ — 4,0 სმ. იქვე.

254 (01/6—193, სურ. 684). სანელსაცხებლე(?) მინისა, თხელკედლიანი, გამჟვირვალე, ორყურა. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — დაბალი; ყურები — მხრებსა და ყელზე შებმული; ტანი — აზიდული, ძირი — ფართო, ოდნავ შეზნეპილი, ფსკერი — გაფართოებული. სიმაღლე — 6,7, პირის დმ — 2,0, ძირი — 2,4 სმ. იდო მუცლის არეში.

255 (01/6—194, სურ. 685). სანელსაცხებლე მინისა, მოლურჯო, გამჟვირვალე. პირი გადაშლილი აქვს; ყელი — მაღალი, ლულოვანი; მუცელი დაბალი — ბრტყელ-მრგვალი, ყელთან შეერთების ადგილას მკვეთრად შევიწროებული, მხრები — თარაშული. სიმაღლე — 10,5, პირის დმ — 1,4, ძირისა — 2,5; ყელის სიგრძე — 4,8 სმ. სახისწინ, ოდნავ მოშორებით იდო.

256 (01/6—195). ბეჭედი ბრინჯაოსი. ინტალიო დაზიანებულია, ნაკლული და გაურკვეველი. იდო მარჯვენა ხელზე.

257 (01/6—196). ბეჭედი ბრინჯაოსი. ინტალიო — გაურკვეველი, ნაკლული. იქვე.

258 (01/6—197). ბეჭედი ბრინჯაოსი. ინტალიო — გაურკვეველი — კონკორდია(?) იქვე.

259 (01/6—198, სურ. 688). მძივები სარდიონისა (7) და გიშრისა (6). გვერდღაწახნაგებული. ეწყო მიცვალეზულის გულმკერდის არეში.

260 (01/6—200, 201). მონეტები (2). გაურკვეველი. აღმოჩნდა მიცვალეზულის პირსა და ხელში.

261 (01/6—202, სურ. 689). ფირფიტა ოქროსი, მრგვალი. დმ — 1,8 სმ. აღმოჩნდა თავის მიდამოებში, მიწის თხრისას.

262 (01/6—203, სურ. 690). სასაფეთქლე თუ საყურის რგოლი ოქროსი, თავგახსნილი და თავებში ოდნავ გამსხვილებული. დმ — 1,4 სმ. იქვე.

263 (01/6—204, სურ. 691). სასაფეთქლე თუ საყურის რგოლი ოქროსი, თავგახსნილი და თავებში ოდნავ შესქელებული. დმ — 1,4 სმ. იქვე.

ამრიგად, 1976 წლის გათხრებმა კიდევ უფრო შეავსო ჩვენი წარმოდგენები სვეტიცხოვლის დასავლეთით არსებული დასახლების შესახებ, სახელდობრ იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ტერიტორია ათვისებულია გვიანელინისტურ ხანაში მაინც. ე. ი. იმ დროის ქალაქური მოსახლეობა საეჭვოდ არ უნდა იქცეს. 1976 წლის გათხრის შედეგების მნიშვნელობა, მაინცდამაინც, იმაშიცაა, რომ სამაროვანი მასობრივი ჩანს, ე. ი. 1975 წელს შემთხვევით მოწყობილი სამარხები კი არ აღმოჩენილა, არამედ, უნდა ვიფიქროთ, ითხრებოდა დიდი სამაროვნის ერთი მონაკვეთი, დაკავებული საკმაოდ მკიდროდ გვიანელინისტურ-რომაულ ხანაში. საყურადღებოა, რომ ჯერჯერობით იქ არ ჩანს ადრეფეოდალური ხანის სამარხები და, თითქოს სამაგიეროდ, კულტურული ფენა — კი.

**ნარეკავი**  
**(01/10)**

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნარეკავ-  
ის რაზმი\* განაგრძობდა მუშაობას პროფ. ა. კალან-  
დაძის მიერ 60-იან წლების დასაწყისში მიკვლეული  
გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ნამოსახლარზე  
(სურ. 351). 3 ივლისიდან 16 ნოემბრამდე პროფ. ა. კალანდაძისავე ზეღმძღვა-  
ნელობით\*\*. აღნიშნული ნაკვეთი მდ. ნარეკავის მარჯვენა ნაპირზე, მუხრა-  
ნის მაღალი ძაბვის ელექტროქვესადგურის უკან არსებულ ფერდზე, მდებარეობს (სურ. 12, 352).

ჰუმუსიან ფენაში (სისქე 0,40—0,45 მ) გამოვლინდა ოსტეოლოგიური და  
კერამიკული მასალა. კერამიკული მასალა ამჟღავნებს სიახლოვეს სამთავროს  
სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხების თიხის ჰურ-  
ჰელთან. იმავე ფენაში გამოვლენილი არქაული თიხის ჰურჰელის ნატეხები კა-  
ლანდაძის გორიდან უნდა იყოს ჩამორეცხილი. ამაში გამოიყოფა ადრე- და შუა-  
ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები.

ნაკვეთის სტრატეგრაფიული ჰრილი ასეთია:

1. ჰუმუსიანი, რომელიც შეიცავს თიხის ჰურჰელისა და ცხოველის ძვლის  
ნატეხებს;

2. დელუვიური ნალექები — თიხისა და ნაცრის მინარევიანი;

3. ნაცრიანი ფენა;

4. ქვალორღი.

აღნიშნული ნაკვეთის მე-6, 7 და 12 კვადრატებში გამოვლინდა, შეიძლება  
წინასწარ ითქვას, ადრერკინის ხანის ორი სახლის ნაშთი, პურის საცხობი ლუ-  
მელებითურთ (სურ. 353—357).


პირველი სახლის (მე-12 კვადრატი) კედლები იატაკის დონემდე იყო და-  
ზიანებული. მეორის გაწმენდა საანგარიშო წელს ვერ მოესწრო.

1 სახლის ლუმელი ოთხკუთხა ალიზით და რიყის ქვით ამოყვანილი ნაგე-  
ბობაა (1,30 X 2,20 X 0,85 მ), რომელიც შედგება ორგანულად ერთმანეთთან  
დაკავშირებული ნაწილებისაგან — საცხობი, საცეცხლე, სანაცრე და საკურ-  
თხვეელი (სურ. 333). მისი ცენტრალური ოვალური ნაწილი შედგება საცხობი  
და საცეცხლე განყოფილებებისაგან. ლუმელს თაღოვანი გადახურვა უნდა ჰქო-  
ნოდა — უკანა ნაწილში შემორჩენილია გადახურვის ნაშთი. მარცხნივ საცხო-  
ბია, ხოლო მარჯვნივ — საცეცხლე განყოფილება (0,78 X 0,92 მ).

საცეცხლის იატაკთან შედარებით საცხობის იატაკი 8,0 სმ მაღლა მდებარე-

\* გათხრებში მონაწილეობდნენ: ვ. საღარაძე (უბნის უფროსი), რ. დავლიანიძე (უფრ.  
ლაბორანტი); გეოდეზისტები: ვ. მასხარაშვილი და ა. კუცია; მხატვარ-არქიტექტორები: შ. ცან-  
ცაძე და მ. ივანიშვილი; ფოტოგრაფები: რ. საანიშვილი, გ. სიმონიანი და ელ. ნიკოლაიშვილი.

\*\* 1975 წლის ნოემბრის მეორე ნახევრის შემდეგ მშენ-ს დოკუმენტაციაში ამ გორა-  
მოსახლარს ეწოდა „კალანდაძისგორა“, მისი აღმომჩენის პროფ. ს ა ნ დ რ ა ( ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე )  
კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს სა მ ა ხ ს ო ვ რ ო დ .



სურ. 29. ნარევევი. გეგმა და კრილები

რობს. საცხოვის ფართი ნახევარი მეტრია ( $0,92 \times 0,47$  მ). საცეცხლეს მოგრძო ოვალის ფორმა აქვს ( $0,85 \times 0,25$  მ) და სანაცრე ორმოს ოვალური ხვრელით უკავშირდება. ღუმელს დასავლეთი მხრიდან ეკვრის სანაცრე ორმო. იგი ნალისებრი მოყვანილობისაა, იატაკის დონეზეა გამართული და გარშემოუყვება ალიზით ნაგები სარტყელი. სანაცრე ხვრელი ზემოაღნიშნულ ორმოს უკავშირდება ვერტიკალური, წახნაგებიანი სარკმელით. ცენტრალური განყოფილების ოვალური მოყვანილობის თალი დაზიანებული და ჩაწოლილი იყო.

ღუმელს წინა მხარეზე — საცეცხლეზე მიშენებული აქვს საკურთხეველი. იგი ალიზითაა ნაგები. საკურთხეველი გეგმაში კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენს. მისი იატაკი ოდნავ ჩაზნექილია და მდებარეობს საცეცხლის იატაკიდან  $19,0$  სმ დაბლა. საერთო მოყვანილობით საკურთხეველი კვადრატულია ( $0,35 \times 0,34$  მ). საკურთხეველის წინა მხარე ადრე, მიწისთხრისას, არის დაზიანებული. შუბლის მხრიდან საკურთხეველს შუაში აქვს ოთხკუთხა (კუთხეებმომრგვალებული) ჩარჩო.

ცენტრალური განყოფილების ქვემოთ, იატაკის დონეზე, აღმართულია რკალისებრი თახჩა. საცხოვ და საცეცხლე განყოფილებებს ეტყობა ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი.

მეორე სახლში მდებარე ალიზით ნაგები ღუმელი წარმოადგენს ოთხკუთხა ნაგებობას (სურ. 355). იგი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: საცხოვი, საცეცხლე, სანაცრე და საკურთხეველი — სახლის იატაკზეა გამართული ( $1,26 \times 1,92 \times 0,64$  მ). ცენტრალური განყოფილება ნალისებრი მოყვანილობისაა. საცხოვი კამერის იატაკი საცეცხლურთან შედარებით  $12,0$  სმ მაღლა მდებარეობს ( $0,86 \times 0,78$  მ). საცეცხლე განყოფილება საცხოვის მარჯვნივაა, იგი წაგრძელებულ-ოვალურია ( $0,71 \times 0,24$  მ). ცენტრალურ განყოფილებას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან უკავშირდება ნალისებრი მოყვანილობის სანაცრე ორმო ( $0,71 \times 0,59$  მ). იგი სახლის იატაკის დონეზეა გამართული და შემოუყვება ალიზის სარტყელი.

ცენტრალური კამერის თალი დაზიანებული და ჩაწოლილი იყო. საკურთხეველი საცეცხლურის წინა ნაწილზეა მიყრდნობილი. იგი წარმოადგენს ოთხკუთხა მოყვანილობის ნაგებობას (სურ. 356, 357). ( $0,40 \times 0,36$  მ). საკურთხეველს შუბლის მხარეს გაურკვეველი დანიშნულების ორი ოდნავ ასიმეტრიული ხვრელი აქვს (დმ —  $0,6$  სმ). საცხოვი კამერის ქვემოთ — იატაკის დონეზე, ღუმელს აქვს ოვალური ფორმის თახჩა ( $0,28 \times 0,40 \times 0,52$ ). საცხოვ და საცეცხლე განყოფილებებს აქაც ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი.

ზემოაღწერილი ორივე ღუმელი ზოვლური ტიპისაა. ამ ტიპის პურის საცხოვი ღუმელები გვხვდება შიდა ქართლის ტერიტორიაზე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარებზე (ცხინვალის ნაცარგორა II და III ფენა; ყათლანიხევი, II ფენა; ზოვლეგორა; დილომი; მქადიჯვარი; სამთავრო). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. ზოვლური ტიპის ღუმელის გამოვლენა

მკადიჯვრის მტკვარ-არაქსული ხანით დათარიღებულ ნამოსახლარზე. ეს ფაქტი მსგავსი ლემელების ხანგრძლივად გამოყენებაზეც მიგვითითებს და მის აბორიგენულ ხასიათზეც.

როგორც ჩანს, სახლის კედლები ძელებითა და ალიზით იგებოდა. ასეთი კონსტრუქციის კედლების ნაშთები დადასტურებულია შიდა ქართლის სინქრონულ ძეგლებში (ცხინვალის ნაცარგორა, ყათლანიხევი, ხოვლეგორა, მკადიჯვარი). განსხვავებული სურათი გვაქვს სამთავროზე, დილოშში. იქ კედლები ქვატალახზეა ნაგები.

შესასწავლი ნაკვეთის ტერიტორიაზე აიკრიფა კერამიკული მასალა. მათგან ძირითადი ნაწილი საშუალო და მომცრო თიხის ჭურჭლისაა. ნატეხების პროფილის მიხედვით გამოიყო: სამარილე, ფიალა, ჯამი, ლანგარი, კოკობი, კათხა, ქოთანის, დოქი, კოკა, დერგი და ქვევარი (სურ. 368—372). თიხის ჭურჭელი დამზადებულია მორგვზე. იშვიათად, მაგრამ გვხვდება ხელით ნაძერწიც (ძირითადად კათხისებრი სასმისები და ქოთნის ტიპის ჭურჭელი).

ნამოსახლარის ზედა ფენებში აკრეფილი მასალების ნაწილი: პირმოყრილი, ასევე დაღარულტანიანი და მუცელწიბოიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, პარალელებს პოულობენ სამთავროს, კასპის, ჩარდახისა და წეროვნის სამაროვნებზე დადასტურებულ თიხის ჭურჭლებთან და თარიღებიან არა უგვიანეს ძვ. წ. XII ს. I ნახევრით.

უშუალოდ ზედა სამშენებლო დონეზე მოპოვებული მასალა: სამშენებლო მასალის ნაშთები, მრავალრიცხოვანი შავი, ლეგა-ნაცრისფერი და ყავისფერი თიხის ჭურჭლის ნატეხები, საოჯახო და საკულტო დანიშნულების ნივთები (სურ. 358, 371, 373, 374) ძვ. წ. VII—VI სს. უნდა დათარიღდეს.

А. АПАКИДЗЕ, А. КАЛАНДАДЗЕ, В. НИКОЛАИШВИЛИ, Г. МАНДЖГАЛАДЗЕ,  
Л. СИХАРУЛИДЗЕ, В. САДРАДЗЕ, Л. ХЕЦУРИАНИ, Г. ДЖГАРКАВА,  
М. ДЗНЕЛАДЗЕ, Р. ДАВЛИАНИДЗЕ, Г. ГИУНАШВИЛИ

М Ц Х Е Т А. 1976

МЦХЕТСКАЯ АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ 1976 ГОДА

Резюме

Мцхетская постоянно действующая археологическая экспедиция (МПАЭ) вела раскопки на Самтаврском поле, у Светицховели, в Нареквани, Ахали Армази, Мухатверди, Карснисхеви, Камарахени и Самадло.



Все семь отрядов МПАЭ вели раскопки на новостройках, на участках, отведенных под строительство для сооружения жилых или административно-производственных корпусов.

В отчетном году раскапывались остатки поселений раннефеодальной и позднеантичной эпох в Карснисхеви и Ахали Армази; раннежелезной и позднебронзовой эпох в Нареквани и Самтаврском поле; могильники — раннефеодальной и античной эпох в Мухатгверди, Карснисхеви, Ахали Армази, в городе Мцхета, у Светицховели и на Самтаврском поле; могильники — раннеантичной и раннеэллинистической эпох в Камарахеви — на правом берегу реки Арагви.

В отчетном сезоне значительно пополнились наши представления о городской жизни раннефеодальной, позднеантичной, эллинистической и раннеантичной эпох на территории Мцхетского междуречья, у слияния р.р. Арагви и Мтквари (Куры), впервые обнаружилось развалины поселений позднебронзовой и раннежелезной эпох. Остатки уникальных для Великой Мцхета жилых зданий, а также значительная часть могильника раннефеодальной эпохи — Мухатгверди I — законсервированы и подготовлены для широкого обозрения, наряду со знаменитым архитектурным ансамблем достопримечательностей Великой Мцхета.

(01/S). В Карснисхеви продолжались раскопки комплекса поселения ремесленников — Керамика, стольного города, начатые в 1975 году. На поселения, после снятия культурных слоев и остатков сооружений двух строительных периодов, выявлен третий — ранний слой. В этом слое обнаружены очаги, выложенные из рваного камня и фрагменты глинобитных полов.

В вышеупомянутом слое в большом количестве выявлена топко-костенная керамика красно-розового обжига; встречаются и фрагменты расписной посуды, а также круглые кирпичи от калорифера, что может служить свидетельством существования поблизости помещения с подпольной системой отопления (баня?).

Примечательно обнаружение в культурном слое кесарийской монеты II в. На полу помещения обнаружена часть синопской амфоры (рис. 49).

Для установления границ распространения комплексного памятника. вблизи производственного участка было заложено два раскопа (V и VI), в которых выявлены одновременные памятники.

В V раскопе засвидетельствованы остатки поселения и «марани». Здесь изучался культурный слой мощностью до 5 метров (рис. 620).

В двухстах метрах от поселения Карснисхеви на небольшой искусственной террасе выявлена и раскопана винодельня. Она представляет собой продолговатую площадку (3,2 × 2,4 м), обмазанную розовым гидравлическим раствором, к которому примыкает прямоугольное помещение, собственно, давяльня — четырехгранный резервуар (1,80 × 1,10 м), снабженное двумя керамическими трубопроводами и выстроенное из керамических плит на розовом гидравлическом растворе (рис. 21, 22, 621).

Вышеуказанные памятники в общем одновременны и датируются они первыми веками н. э.

В отчетном году продолжались раскопки могильника в Мухатгверди I. Было раскопано около 360 м<sup>2</sup> площади. Погребения были выявлены на глубине 0,15—1,20 м.

Всего было выявлено 57 погребений. Из них 56 — каменно-ящичных погребений и одно грунтовое погребение с перекрытием из каменных плит. Количество костяков в гробницах колеблется от одного до трех. На могильнике было четыре индивидуальных погребения (47, 51, 65 и 69) — все были детскими. В трех погребениях было захоронено по два покойника (25, 30, 74), в погребениях № 36, 39, 43 было обнаружено по три покойника. В погребении № 53 покойника не оказалось.

Погребальный инвентарь был обнаружен только в восьми гробницах (25, 30, 33, 39, 43, 51, 65 и 74), остальные были ограблены.

Большую часть погребального инвентаря составляют булавки и бусы. Они очень разнообразны как по форме, так и по материалу: наряду с булавками встречаются также колокольчики, фибулы, серьги, браслеты и перстни.

Предметы украшения, обнаруженные на могильнике Мухатгверди I, имеют аналогию как на территории Великой Мухета, так и за ее пределами и датируются IV—VIII вв. (рис. 335—350).

С 18 мая по 1 ноября 1976 г. археологические раскопки велись на участке Ахали армази\*, расположенном между Мартацисхеви и Армазисхеви. С севера Ахали Армази омывается р. Курой, а с юга граничит со склонами Триалетского хребта.

Археологические раскопки велись на двух участках, недалеко от железнодорожной платформы «Армази», у подножия горы.

На I-м участке, к югу от платформы «Армази» было выявлено 17 каменных гробниц раннефеодальной эпохи. Продольные стены гробниц были выложены из рваных камней на глиняном растворе, а для поперечных стен использованы песчанниковые плиты; все гробницы перекрыты плитами из песчаника. Стены погребальных сооружений имеют следы обмазки. У изголовья некоторых из них были вставлены обломки песчанниковых плит (рис. 458, 459).

В большей части гробниц (12) был обнаружен погребальный инвентарь, характерный для раннефеодальных могильников: золотые и серебряные кольца, серьги, бусы из пасты и стекла, бронзовые и железные булавки, фибулы, браслеты и т. д.

В восточной части I-го участка было заложено еще два раскопа (8 квадратов). Оба раскопа расположены на склоне холма, в разрезе которых был замечен мощный культурный слой. В гумусном слое встречались черепки керамических сосудов и керамический производственный брак той же эпохи. Это обстоятельство дает основание

\* Под этим именем в полевой документации МАЭ будут называться раскапываемые участки в поселке Армази (бывшее Навтсадени).

предположить, — на склоне или у подножия горы — существование гончарных мастерских раннефеодальной эпохи.

На II-ом раскопе после снятия поверхностного слоя земли было выявлено небольшое помещение. Его стены выложены из рваных камней на глиняном растворе.

На территории строительства жилых корпусов завода «Промсвязь», севернее от платформы Армази, при раскопках было выявлено два «квасира», остатки сырцовой кладки, контуры которой точно определить не удалось, т. к. во время строительства, сырцовая кладка была сильно повреждена. На всей территории стройплощадки в большом количестве обнаруживаются черепки розовато-палевого обжига, характерные для раннефеодальной эпохи.

В июне 1976 года на берегу Диди Камарахеви, во время земляных работ, было повреждено несколько погребений — часть могильника, раскапываемого еще в 1953 году Мцхетской археологической экспедицией (А. М. Алакидзе).

В отчетном году у обрыва на левом берегу р. Арагви было раскопано 432 м<sup>2</sup> площади и выявлено 72 погребения (рис. 465). На могильнике было засвидетельствовано 4 типа погребального сооружения: грунтовые ямные погребения с перекрытием из каменных плит; грунтовые погребения с каменной насыпью; грунтовые погребения с земляной насыпью; каменноящичные гробницы. Встречаются и комбинационные погребальные сооружения, стены которых составлены из песчаных плит и булыжника (погребение № 27). В 46-ти могилах обнаружен разнообразный погребальный инвентарь, но встречаются и безынвентарные захоронения. Таковыми оказались в основном детские погребения. 12 погребений было повреждено строительной техникой и поэтому зафиксировать их не удалось.

Для иллюстрации предлагаем описание типичного для Камарахеви погребения:

Погрешение № 24 представляет собой грунтовую яму с каменной насыпью. Размеры погребения: длина — 1,65 м, ширина — 0,80 м. После снятия перекрытия оказалось, что погребение имело двухслойную каменную насыпь, под которой был захоронен один покойник, в скорченном положении, на правом боку: у изголовья лежал булыжный камень, на котором покоилась голова покойника.

После снятия второго слоя каменной насыпи и расчистки погребения был обнаружен довольно многочисленный и многообразный погребальный инвентарь:

1. Браслет бронзовый, овальной формы с раскрытыми концами, диаметр стержня — 0,5 см, кольца — 7,5 см. Обнаружен у правого запястья.

2. Цепочка бронзовая, составленная из тонких овальных колец с едва раскрытыми концами, — лежала на железном ноже, у запястья левой руки.

3. Фрагменты железного ножа — лежала около запястья левой руки.

4. Булавка железная, круглая, со стержнем, имеющим утолщенную головку, находилась у бедренной кости.

5. Горшочек глиняный со сферическим туловищем и плоским дном; диаметр горлышка — 5,54 см, туловища — 10,0 см, дна — 5,5 см, высота — 8,0 см.

6. Миска глиняная, неравномерного обжига, с плоским дном; диаметр горлышка — 11,0 см, туловища — 10,0 см, дна — 5,5 см, высота — 6,0 см.

7. Пластинки бронзовые.

8. Наконечники стрел — костяные, конусообразной формы — 3 шт, длина — 3,4 см.

9. Точильный камень — круглый в сечении; длина — 14,0 см, длина стержня — 1,5 см.

10. Наконечник железного копья с открытой втулкой, на котором имеются насечки: длина — 38,0 см, диаметр втулки — 3,4 см.

11. Меч железный, сильно поврежденный, фрагментированный; длина — 51,0 см.

12. Кувшинчик глиняный, грушевидной формы с круглым горлышком, с одним ушком, плоским дном; высота — 19,0 см, диаметр горлышка — 7,0 см, туловища — 16,0 см, дна — 8,0 см.

13. Серьга электрическая — кольцо с раскрытыми концами, на котором имеются отверстия; к кольцу припаяны 8 стержней; диаметр кольца — 1,5 см.

Среди довольно многочисленных керамических изделий впервые были выявлены образцы краснокрашенной, расписной глиняной посуды (рис. 466—468). Судя по погребальному инвентарю, Камаравский могильник датируется IV—III вв. до н. э.

Самтаврский могильник. В отчетном году на Самтаврском могильнике полевые работы продолжались 8 месяцев, с 5 мая до конца декабря. В северной части могильного поля, после снятия тонкого слоя земли, как и следовало ожидать, выявились каменные гробницы. Исследовались раскопы СХХII, ХСVI и СХХ.

